გურამ
დოჩანაშვილი



განსმდგომი შუაკაცი

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“
თბილისი, 1983

Г 2
899. 962. 1—1
დ 795

გურამ დოჩანაშვილის ეს კრებული თემატურად მრავალფეროვანია.

მოთხრობების მოქმედი გმირები თითქოს ყველაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — ასაკით, ხასიათით, ეროვნებით... თანამედროვე ქართული სოფლისა და ქალაქების მკვიდრებთან ერთად (მოთხრობა „განსმდგომი შუაკაცი") გვხვდებიან პერსონაჟები, რომლებიც შუა საუკუნეების სპარსეთსა („მხიარული ბორცვი") და გასული საუკუნის ესპანეთში („ვატერ (პო) ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები") სახლობენ.

და მაინც, მოთხრობებს ორი ძირითადი თემა აქვს. ესაა ხელოვნებისადმი სიყვარული და სიკეთე, ხან უკიდურესობამდე გამეღავნებული, ხან — ძნელად ამოსაცნობი, დაფარული...

© „ნაკადული" 1988 წ.

70303 — 16
Д————————93 — 83
М-603 (08) — 83

მხიარული ბორცვი

და ისე მოხდა, რომ ჩემმა მბრძანებელმა, მიუწვდომელმა და ყოვლისმცოდნემ, უხმომ, დაფარულმა, სწორედ ამ ქვეყანაში გამომაგზავნა. მე, მტვერი ფერხთა მისთა, მარად უძლური მის იდუმალ სიბრძნეთა წინაშე, მორჩილად ვისმენდი ძუნწ, მკაცრ დავალებას და ზურგი რომ შემაქცია, მე, ამჩატებული, მბრძანებელივით უხილავი და მოთვალთვალე, ნიავად ავედევნე კოპწია ხომალდს და ჩემი წყალობით იალქანი ამაყად გამოიბერა. ანძის სიმაღლიდან დავცქეროდი უცნობ, ფერადჩალმიან ადამიანებს, და მოოჭვილ სარტყელზე მოქანავე გაზნექილი ქარქაშის მიხედვით ხმლის გამოცნობა რა იყო ჩემთვის, — არაფერი. ეს კი არა, მე ისიც ვიცოდი, ამპარტავანმა კაცმა თუნგი რომ მიიყუდა, რამდენი წვეთი შარბათი შესვა, მე სახელიც მაშინვე გავიგე მისი — სიდ ბენ იჯნპალი. არა მგონია იმასაც სცოდნოდა ჩემი იქ ყოფნა, თუმცა პირველივე სიტყვა, მისი თხელი ტუჩებიდან მომწყდარი, ჩემი სახელი იყო: „სიმართლე რომ ითქვას...“ ასე წარმოთქვა მან, მე — სიმართლე ვარ, ხანდახან სინამდვილესაც შეძახიან, მაგრამ ეს სახელი, სიმართლე უფრო მომწონს, მე — სიმართლე ვარ, ყველგან მოარული, მოხეტიალე, უჩინარი მოწმე, ყოველივეს დამნახავი მაწანწალა, ვერაფერი გამოაცლებს, არც იმას გავუკვირვებივარ, თანამოსაუბრე ბენ ინჯპალს ჩემი მბრძანებლის სახელით რომ დაეთანხმა: „ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება“, ასე დაეთანხმა თანამოსაუბრე სიდ ბენ ინჯპალს.

და მაინც, ხომალდზე მოწყენით ვიყავ, აბრეშუმის ნაზ იალქანს მსუბუქად მიყრდნობილი. აქ, როგორც ყოველი მგზავრობისას, ადამიანები ნაკლებად წააგავდნენ თავიანთ თავს — თუმცა მშვენიერი დარი იდგა, გულის [illegible] ში [illegible] დაღუპვის შიში აიძუ-

ლებდა მგზავრებს. უფრო უკეთ მოქცეულიყვნენ, ვიდრე საერთოდ სჩვეოდათ და თავაზიანად მასლაათობდნენ. ამაყმა ბენ იჯნპალმაც კი, მთელს ისპაჰანში სიმდიდრით განთქმულმა კაცმა, ჩვეულებრივი მოკვდავივით აღნიშნა — „სიმართლე რომ ითქვას, ხომალდზე არა ცხელა“, ასე აღნიშნა მან. და იქვე მდგარმა ასი-თავმა, მდიდარი კაცის უშუალობით აღტაცებულმა, მაშინვე კვერი დაუკრა: „ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება...“ უგუნურო! მეც კი, თავად სიმართლემ, არ ვიცი მბრძანებელი.

მერე მე მხარი მოვინაცვლე და ცას დავუწყე თვალიერება. თვალმოჭუტული შევცქეროდი მზეს, ღრუბლებს, ვინ იცის, მერამდენედ ვათვალიერებდი გავარვარებულ დისკოს, მე ვიცოდი ზომა, მოცულობა, სიძლიერე, გზა მისი—მრავალჯერ ამომწვარი და მაინც უხილავი, ვიცოდი მისი სიჩქარე, ლაქები და დანიშნულება და ყოველივე ამის მიუხედავად, შემზარავი იყო იმის გაფიქრება, რომ მე მაინც არ ვიცოდი, რა იყო მზე — ან როგორ შეიქმნა, ან რამ გაათბო... დაძაბული და აფორიაქებული, იქამდე შევცქეროდი, სანამ ზღვის მიღმა დიდებულად არ ჩაეშვა და გაუჩინარდა თუ არა, წითლად შეფერილ დასალიერს თვალი ავარიდე და ცა მოვათვალიერე. მე შევცქეროდი ღრუბლებს, თანდათან რომ მუქდებოდნენ და მოწოლილ სიბნელეში თითქოს გამკვრივდნენ, მაგრამ მალე სრულიად გაუჩინარდნენ, ვპოულობდი მბეჟუტავ ვარსკვლავებს, უწესრიგოდ რომ ჩნდებოდნენ ღამეულ ცაზე და სუსტი ციაგი თვალს მიმშვიდებდა; მე რომ სიმართლე არ ვყოფილიყავ, შეიძლება ისეც კი მომჩვენებოდა, თითქოს ცაზე დამსხვრეული მზე მიმობნეულიყო, მაგრამ მე არა მქონდა ამის უფლება და მხოლოდ ის მიკვირდა, ამ შორეულ და ამოუცნობ, მაგრამ მიწიდან მაინც ერთნაირ კაშკაშს როგორ დაარქვეს ადამიანებმა ისეთი განსხვავებული სახელები, როგორიცაა მეეტლე, ქალწული, ღრიანკალი... და რადგან ბნელოდა, და ღამე იყო, მსუბუქად ჩამოვცურდი ანძაზე მე, უხილავი, და ხომალდის პაწია ოთახები დავიარე — ძალიან მიყვარს ადამიანების თვალიერება, როცა პირველი ძილით მიყუჩდებიან ხოლმე. მე დავცქეროდი მოქანცულ მეზღვაურს, მართალი დაღლილობით გარუჯულ სახეზე და ამ კუთვნილი ძილით მოხიბლული, მის საწოლთან კარგა ხანს ვტივტივებდი და მძიმე ჰაერი ჩემითაც გაიჟღინთა, მერე მივადექ თვით სიდ ბენ იჯნპალს, ვისი ერთადერთი ვაჟიშვილის გამოც ამ ხომალდს დამადევნა

აბრძანებელმა, მერე ზიზღით ავათვალიერე პირდაფჩენილი ასისთავი და მისმა უსიამოვნო გამომეტყველებამ ისევ მღვიძარი ადამიანი მომანატრა და აჭრიალებულ საჭესთან გახევებულ, ყვრიმალებდაბერილ მეზღვაურს, ჯიუტად რომ იცქირებოდა სიბნელეში, ნაზად შევეხე მხარზე. მერე კი, ხომალდზე მყოფთა ფშვინვითა და დაბუჟებული სახეებით გაღიზიანებული, მიყუჩებულ ზღვაში გადავეშვი და მთელი ღამე მხიარულად დავდევდი უზარმაზარ, გაცელქებულ თევზს, მოქნილი კუდით ღონივრად რომ აპობდა ზვირთებს და ამოხტომისას გლუვი ზურგი უპრიალებდა.

* * *

დიდი ქალაქი, ისპაჰანი, გმირთაგმირს ხვდებოდა.

მე დავნავარდობდი მეჩეთებიან ქალაქში, ხან დავძვრებოდი ხალხში, დიდიან-პატარიანად რომ გამოფენილიყვნენ ქუჩებში და მათი ერთსულოვანი ქებათა-ქება მესმოდა — ყველას პირზე ეკერა გმირთაგმირის სახელი; ხან ავიჭრებოდი ზემოთ, დავცქეროდი ისევ მათ — ამსიმაღლიდან დაპატარავებულებსა და ერთნაირებს, მერე მე დავინახე, როგორ გაიფინეს ფერადი ნოხები და ლოცვას შეუდგნენ და სიოდ შევეხე მეჩეთის კენწეროდან გადმომდგარ მოლას. ვისი ტკბილ-გამყივანი მოთქმაც შუადღის ხვატში სქლად გაიჟღინთა. ყველა გაიტრუნა, თითქოს ყოველივე გადაავიწყდათ, მე კი ერთი სული მქონდა, სანამ გმირთაგმირს დავინახავდი — მე ხომ ვიცოდი, რა როგორ იყო... არად მიღირდა, შესახვედრად რომ გავქანებულიყავ, მაგრამ მისი დანახვა სწორედ აქედან, ამ ხალხთან ერთად მინდოდა და აფორიაქებული, მოუთმენელი, მიწის პაწია ნასვრეტებიდან ღრუბლებამდე დავქროდი და დრო ასე გამყავდა. და როცა შორს, გზაზე, მტვერი აიზიდა, მე დავინახე თვით გმირთაგმირი, რომლის სახელსაც ამ ორი დღის უკან სანუკვარი სიტყვა „ხანი“ დაემატა — მტვრიან გზაზე, დიდებული ეტლით თვით არებ ხანი მოდიოდა! იგი იდგა ინდოეთიდან ჩამოყვანილი თეთრი ხარებით შეკაზმულ ეტლში, რომლებმაც აჯილლა ცხენებივით მსუბუქად სირბილი იცოდნენ, თავდახრილებს, წითლად შეღებილი რქები წინ გაეშვირათ და ვაი იმას, ვინც ეტლს გზაზე გადაუდგებოდა,

სატახტო ქალაქი; ისპაჰანი, გმირთაგმირს ხვდებოდა, ეტლის

გამოჩენისთანავე ძალიან გრძელი საკრავები — კერენაი ცისაკენ აიშვირეს ღონიერმა მუსიკოსებმა, ჩაჰბერეს და მეც კი, თავად სიმართლეს, სხვა დროს ასეთი შემზარავი ბღავილი არც გამიგია. მაშინვე დაირები, ბუკები და დაფდაფები აჰყვნენ კერენაის და ამ წარმოუდგენელ ღრიანცელში მე მაინც გავარჩიე რაღაც უცხო, ველური ჰარმონია. ეტყობა, არებ ხანსაც მისწვდა ეს ხმები, რადგან წელში უფრო გაიმართა. იგი ქალაქში შემოდიოდა დემავენდის მთის მხრიდან, მდიდრულად გამოწყობილი ხუთი ათასი მხედარი ჩამწკრივებულიყო გზის პირას, ქარი კი ქროდა და მტვერი სახეში ეხლებოდათ, მაგრამ ვინ შეატოკებდა თავს — მეჩეთებიან ქალაქში გმირთაგმირი შემოდიოდა!

მთელი ქალაქი გამოფენილიყო მთავარ გზაზე, არებ ხანს აღტაცებულნი შეჰყურებდნენ მღებავები და ვაჭრები, პატივისცემით აღვსილი მეომრები, ასეთი დიადი ზეიმით განცვიფრებული ფეიქრები, თვალები უელავდათ პირაკრულ ქალებს, მაიდანელი უსაქმურები ჩალმებს ჰაერში ისროდნენ და თვით აუღელვებელ სიდ ბენ იჯნპალს თვალზე სიხარულის ცრემლი უკიაფებდა „მეგობრობა, — ამბობდა ხანდახან ბენ იჯნპალი, — ნამდვილი მეგობრობა — აი, ერთადერთი, რაც კი ცხოვრებაში არის“. ასე ამბობდა ბენ იჯნპალი, არებ ხანი კი მეგობარი იყო მისი. ახლა სად მეცალა, თორემ მის ერთადერთ ვაჟიშვილს, პირდაფჩენილი ისე რომ გახევებულიყო, თითქოს რაიმეს ფიქრობდა, უკეთესად შევათვალიერებდი, მაგრამ ამ წუთას მაინც არებ ხანი მაინტერესებდა, თუმცა ამ ქვეყანაში მბრძანებელმა სწორედ ბენ იჯნპალის ვაჟიშვილისათვის გამომგზავნა. ერთი მაინც ავხედ-დავხედე და გამიკვირდა — ღირდა კი ამ ლოქოსათვის ამსიშორეს წამოსვლა? მაგრამ მბრძანებელს უკეთ მოეხსენება ყველაფერი და იმ იმედით, თეთრ ფარჩაში გამოწყობილ ყმაწვილს სხვა დროსაც რომ ვნახავდი, ისევ არებ ხანისაკენ გავქანდი — იგი კი, მზისა და მტვრისაგან თვალმოჭუტული, ოფლით გაცვარული, გაჯგიმულიყო და მაინც ზანტად ათვალიერებდა აღტაცებულ ხალხს და დაბინდულ მზერაში უცებ კმაყოფილება გაიკლაკნა: მართლაც რომ მეფური იყო შაჰის საჩუქარი — არებ ხანისკენ ოცდაათი საუცხოო ცხენი მოქროდა, ზურგზე ფოცხვერის ტყავი ეფინათ; დაოთხილი ცხენები, ოქროს ლაგამითა და ბრილიანტებით მოოჭვილი უნაგირებით, ყოველ ცხენს კი, რაც მთავარია, ლამაზი ქალი მოაგელვებდა. ბუღში მოჩ-

ვეწებასავით ატივტივებულ მხედრებს ყვრიმალებდაბერილი ათვალიერებდა არებ ხანი, პირბადე კი არ ჰქონდათ ჩამოფარებული — ხავერდის მჭიდროდ შემოტმასნილ შარვლებსა და გამქვირვალე აბრეშუმში გამოწყობილნი, თავად საჩუქარნი, მხიარული ყიჟინით მოაგელვებდნენ ნაჩუქარ ცხენებს და ახტუნავებული ოქროს ყელსამკაულები ალაგ-ალაგ მოულოდნელად ფეთქდებოდნენ მზეზე. და ზომავალ ნეტარებათა თვალნათლივმა წარმოდგენამ უფრო მოუქუფრა სახე გმირთაგმირს და ქვედა ტუჩი ძალიან ნელა, სიამოვნებით აილოკა. მოახლოებულმა მხედრებმა მარჯვედ შეაჩერეს ცხენები და ავარდნილი ბუღი რომ გაიკრიფა, თაყვანი სცეს ახალ პატრონს და ეტლს აედევნენ, ქალაქის კარიბჭესთან კი საუცხოოდ მორთულ, დამჯერ აქლემს ტანმომცრო მსახურმა მუხლზე მსუბუქად დაჰკრა ჯოხი და მორჩილმა პირუტყვმაც მაშინვე ჩაიჩოქა. არებ ხანი ეტლიდან გადმოვიდა და გოროზად მოკალათდა ორ კუზ შორის კოხტად ჩაგებულ, გედის ბუმბულით დატენილ ბალიშზე. აქლემი წამოდგა და თანაბარი, ძლიერი რწევით ქალაქში შეიყვანა არებ ხანი, ჯანმრთელმა მუსიკოსებმა უფრო ააბღავლეს კერენაი, დაირასაც მომეტებულად აჩხაკუნებდნენ — დიდ ქალაქში ეევნებითა და ზანზალაკებით აჟღრიალებულ აქლემზე ამაყად მჯდარი შემოდიოდა... თუმცაღა, კმარა, მე აღარ შემიძლია ვახსენო ეს გაპრანჭული სიტყვა „გმირთაგმირი“ — მეჩეთებიან ქალაქში პროვინციიდან აფრენილი ავაზაკი, არებ ხანი შემოდიოდა.

ყურად აღარ ვიღებ აღფრთოვანებულ შეძახილებსა და ტაშისცემას, თვალს აღარ ვადევნებ ჰაერში აფრენილ ბრჭყვიალა ჩალმებს, მე ვათვალიერებ სოფელს, სადაც იზრდებოდი. ჰეე, არებ ხან, არებ, ავაზაკო... შენ დაიბადე ჭაობიან, დამყაყებულ სოფელში, რომელსაც მორდოვი ერქვა. მიწა იქ არ ვარგოდა და წყალი, საქონელიც შიმშილით გეხოცებოდათ და, მშიერ-მწყურვალებს, ჩამოძონძილებს, ნესტიან მიწურებში თვალებჩაღამებულებს, წვალებამ და გაჭირვებამ გასწავლათ, რომ არაფერზე გეფიქრათ და შენი სოფლელები, ცივ ღამეებში ცეცხლის პირას გახევებულნი, ვერაფერზე ფიქრობდნენ. შენს გულუბრყვილო თანასოფლელებს ხანდახან ცხელი კერძი თუ ეღირსებოდათ, საჭმელს სულს არ უბერავდნენ, რატომ, რისთვის, არ ვიცი, ასეთი იყო მათი ერთადერთი გულუბრყვილო წესი, თავისით უნდა გაციებულიყო ნანატრი კერძი და მოლოდინისას ისევ და ისევ ცდილობდნენ, არაფერ-

ზე ეფიქრათ. ასეთი იყო შენი ხალხი — შიოდათ, სციოდათ, წვალობდნენ, თვლემდნენ. შენში კი, ავაზაკში, მთელი სოფლის დასვენებულმა სისხლმა იფეთქა და დიდ ქალაქს ისპაჰანს მოაშურე, რომელიც ახლა აღტაცებული ღრიალით გხვდებოდა და ოთხკუთხა სახლების ერდოებიდან ვარდებსა და ყაყაჩოებს გესროდნენ, შენ გესროდნენ, ჩაჭაობებული სოფლიდან აფრენილო ავაზაკო. დიდ ქალაქში რომ მოხვდი, ერთხანს ყველაფერს დიდის გულისყურით აკვირდებოდი და სწრაფად აუღე ყოველივეს ალღო — მშვილდ-ისრის ხმარება მშვენივრად შეისწავლე, იცოდი, სად უნდა ჩაგეცა დანა მტრისათვის, მლიქვნელური ლაპარაკიც დიდებულად აითვისე, გულუბრყვილო კაცად მოჩვენების ძნელ საქმესაც ზედმიწევნით ფლობდი და გამძვინვარებულ ვაჟკაცსაც ხშირად თამაშობდი სხვების დასაშინებლად. ისე, ძნელი გზა კი გამოიარე, უცნაური იყო შენი გზა, ხიფათით მოფენილი — კაციც მოგიკლავს და პანღურიც მოგხვედრია. მაგ თავზე, ახლა რომ ალმასისთვლიანი ჩალმა გადევს, ირიბი ნაჭდევი გეტყობა, რაც შენ მაშინ სისხლი დაღვარე... არ შეშინდი კი, რაც მართალია, მართალია, მერე უცებ ისე მოხდა, რომ ყველაფერში გაგიმართლდა და თვით შაჰის კარზე მოხვდი, რა ღრიალია, ეს შენ გხვდებიან აღფრთოვანებულნი, არებ ხან, გმირთაგმირო...

პირველ ხანებში წვრილ-წვრილ საქმეებს გავალებდნენ, როგორიც იყო საეჭვო პირთა თვალყურის დევნება, ვისიმე მოკვლა, საიდუმლო ბრძანების წაღებ-წამოღება, მერე კი, გულმოღგინეობით თავი რომ გამოიჩინე, შაჰის ამალაში შეგიყვანეს. დათაფლული ენა გქონდა ,არებ ხან, მაგრამ შენი უსიამოვნო, ჭროღა თვალები ერთხელ აშკარად არ მოეწონა ახალგაზრდა შაჰს და მისი გულის მოსანადირებლად უჩვეულო, გასაოცარი საქმე გადაწყვიტე — შეთქმულება. მშვენივრად იცნობდი რუსტამ ბეგს, გულიანი სიცილი იცოდა, გულუბრყვილო და მიმნდობი იყო, მაგრამ საოცრად ამაყი და გაბედული. და როცა შაჰმა ერთხელ სიმთვრალეში ხელუკუღმა სთხლიშა, მას შემდეგ დამცინავად შეაცქერდებოდი ხოლმე და როცა იგრძენი, საბოლოოდ რომ აემღვრა გონება, მიიხედ-მოიხედე, მერე თანაგრძნობა აღიბეჭდე სახეზე და მომავალ მეჯლისზე შაჰის მოკვლა შესთავაზე. აღუთქვი ისიც, რომ მაშინვე გვერდში ამოუდგებოდი და გამოაცხადებდი, რომ შაჰს ყველა იქ მყოფი ხანის სიკვდილით დასჯა სურდა, ეს კი ნამდვილად იცო-

დი — საიდუმლო ბრძანება შაჰის ხალათის ჯიბეში იდო; ამიტომ აღშფოთებული ხანები აუცილებლად მოგემხრობოდნენ, როგორც სიცოცხლის გადამრჩენელს, ახალგაზრდა შაჰის ნაცვლად კი სხვას ამოირჩევდნენ, რომელიც, ალბათ, ამ ამბის შემდეგ — აქ ისევ დამცინავად შეაცქერდი — ხელუკუღმა გარტყმას ვეღარ გაბედავდა. წამოჭარხლებულ რუსტამ ბეგსაც დიდხანს აღარ უფიქრია, გაქვავებული სახე შენკენ მოატრიალა და უხმოდ დაგიქნია თავი. და როცა მეჯლისზე, მთელი ისპაჰანელი დიდებულების თანდასწრებით შენ და შენი თანამზრახველი შაჰის ზურგს უკან იდექით, და როცა შეატყვე, პატარაზე რომ შეთვრნენ, მოლოდინით აღსავსე რუსტამ ბეგისაკენ გაიხედე და ოდნავ დაუქნიე თავი. იმანაც მაშინვე ისკუპა და ალაპლაპებული ხანჯალი რომ შემართა, ის იყო, უნდა დაექნია, მაგრამ შენც ისკუპე, მარცხენა ხელი მაჯაში სტაცე, მარჯვენათი კი ყელში ჩაეცი შენი წვრილი, გრძელი დანა და სამჯერ დაატრიალე. თან წელზე შემოხვიე ხელი, ფეხის წვერებზე შედექი და, თავგადავარდნილს, თვალებში ჩახედე. მსხვერპლი სუსტი გაკვირვებით ამოგაცქერდა და სანამ განცვიფრებასა და აღშფოთებას გამოხატავდა, სული დალია. რისხვისაგან გაფითრებულმა შაჰმა შემოგხედა, გიყურა, გიყურა, შენ კი მიამიტი, ერთგული გამომეტყველება დაიბრუნე და, სისხლში ამოთხვრილი ტანსაცმლითა და ხელებით, უწყინარი მღებავივით იდექი შეცბუნებული დარბაზის წინაშე.

ახლა კი, შაჰის სიცოცხლის გადამრჩენელს, ზეიმი მოგიწყო დიდმა ქალაქმა და ისპაჰანის აბლავლებულ ქუჩებში ამაყად შემოდიოდი, არებ ხან! გზადაგზა გართობდნენ, აქლემის წინ ყირამალა გადადიოდნენ მასხარები, ოინბაზები სხვადასხვა ხრიკებს გთავაზობდნენ, ინდოელი ქალები ცეკვისას დაუზოგავად აცახცახებდნენ სხეულს, ვარდები გაწვიმდა დაქანებულ მხრებზე, გმირთაგმირო. შაჰის სასახლეს რომ მიუახლოვდი, არაბული ცხენი მოგიყვანეს, ადგილზე ცმუკავდა, ორი მსახური ძლივს იჭერდა, სანამ შეჯდებოდი. მთელს სპარსეთში განთქმული ცხენი იყო, შაჰის მეჯინიბეები ოქროს უზარმაზარი თასიდან ასმევდნენ წყალს. ცხენს თავაწყვეტა უნდოდა, მაგრამ მაგარი ხელი გქონდა, ნაბიჯით წაიყვანე. შაჰის სასახლესთან ჩამოქვეითდი და დინჯად გაიარე საუცხოო ბაღები, ნუშისა და ბროწეულის ხეებით, შადრევნები სასიამოვნოდ აგრილებდნენ იქაურობას, პირთამდე სავსე მარმარილოს აუზებ-

ში უხვად ტივტივებდა ლიმონი, ატამი და ნესვი, კედლებზე წითელი ჩიტები და ყვავილები ეხატა და შაჰის დარბაზში რომ შეხვედი, კრიალა იატაკზე განერთხე. შაჰმა წამოდგომა გიბრძანა და პატივი დაგდო, მუხლზე გეკოცნა მისთვის.

...თარსა და ჭიანურზე უკრავდნენ, ლამაზი ქალები ჩანგს კენკავდნენ, შაჰი ალერსით შესცქეროდა გმირთაგმირს, მერე ღიმილით ჰკითხა:

— გიყვარვარ, არებ ხან?

გმირთაგმირსაც ბევრი აღარ უფიქრია, ისე უპასუხა:

— მარადძლიერი სიყვარული, ყოვლადძლიერო, — წარმოთქვა არებ ხანმა, — დაფარული უნდა იყოს, როგორც ზღვათა ფსკერზე ნიჟარაში ჩაკირული მარგალიტი.

მერე მზერა გველივით მოუცურა სახეზე და, კმაყოფილება რომ შეატყო, თავდახრილმა დაუმატა:

— მაპატიე, კარგად თუ ვერ გამოვთქვი ჩემი ჭეშმარიტი სიყვარული, ყოვლადძლიერო.

შაჰმა კი ტაში შემოჰკრა და ყურადღებით აფეთქებულ მსახურს ასე უთხრა:

— ის საფირონი მომიტანე.

ქალაქგარეთ, მინდვრებისაკენ გავქანდი, აღარ მინდოდა სასახლეში გაჩერება. ვეღარ გავუძელ ამდენ პირფერობასა და სიცრუეს, ისედაც ვიცოდი, რითი დამთავრდებოდა ყოველივე ეს — ჯერ ტკბილეულს მიართმევდნენ სტუმრებს, მერე ოქროს თეფშებს დაალაგებდნენ მაგიდაზე და ათასნაირ საჭმელს ჩამოატარებდნენ. უხვად შეისმებოდა წითელი ღვინო, რომ გამოთვრებოდნენ, მაგიდებს წაიღებდნენ მსახურნი და, გამომტყვრალები, იატაკზე წამოგორებულნი გააგრძელებდნენ ქეიფს. რაღა მინდოდა იქ, მთვრალების გნიასი არაფრად მიღირს, ისევ ამ ბალახოვან ველზე ტალღად გადასვლა მერჩია და თუ გზადაგზა ბორცვს გადავაწყდებოდი, მსუბუქად ავიჭრებოდი ხოლმე. მაღლა. იმ ბორცვებს კი, რომლებზედაც სადა, ფერადი ყვავილები იზრდება, მხიარულს ვეძახი. მრავლად მინახავს მოტიტვლებული, მკვდარი ბორცვებიც, აქ კი, ისპაჰანის ახლოს, ბევრი იყო მხიარული ბორცვი და მათი ყურება თვალს მიხალისებდა. თანაც, ვისაც დავეძებდი, აქ რომ გადავაწყდებოდი, მთელი ჩემი უხილავი სხეულით ვგრძნობდი და მოლოდინში სუნთქვა მეკვროდა.

ეს იყო სწორედ ის, ვისი შემჩნევაც მბრძანებელს ჩემთვის არ დაუვალებია და მაინც ვისაც აქამდე იმედგაცრუებული დავეძებდი მეჩეთებიან ქალაქში — მხიარულ ბორცვზე ამაყად შემდგარს შენ შეგცქეროდი, მაჰმუდ აალი!

მე მახსოვს შენი ფერმკრთალი სახე, შენი ხელები, დაძარღვული და გრძელთითა; შენი სახე და ყოველი ნაკვთი, შენი მომწვანო-მონაცრისფრო, შუქიანი თვალები, ახლა. მზეში მდგარს, ოდნავ რომ მოგეჭუტა და შუბლიც თითქოს შეკრული გქონდა; მე მახსოვს შენი თხელი, ფიქრისას დაბერილი ნესტოები, შენი ამაყად გამოძერწილი ყვრიმალები და ნიკაპი, შენი წარბების შეტოკება მცირედ ხმაურზე და ოდნავ გაკვირვებული, შეეჭვებული სახე, სუსტი ღიმილით აბეუტებული; უბრალო ნაცრისფერი ჩალმითა და ფართო ხალათში გამოწყობილი, ამ ხალვათ სამოსში შენი შემხედვარე კაცი ვერ იფიქრებდა, ისეთი წვრილი წელი თუ გქონდა, ხანდახან კი, ათასში ერთხელ, დოინჯს თუ შემოიყრიდი, მარაოდ ადიოდა შენი სხეული წელიდან ბეჭებამდე, ჩემო რჩეულო მაჰმუდ აალი!

ყველაფერს მერჩია ახლა, შენთვის მეცქირა, საცა წახვიდოდი, კვალდაკვალ დაგდევნებოდი, შენს ირგვლივ მეტრიალა; შენ ვერ მხედავდი, მე კი ვიცოდი, როგორ გიყვარდი და მეც, თვით სიმართლეს, ამ ჭრელა-ჭრელა ხალხით გულგრილად მოღლილს, შენს დანახვაზე სიხარულმა დამიარა და ჩემით ათრთოლებული მუხლამდე ყვავილები ზვირთად მოგწვდა. შენი ყურება ყველაფერს მერჩია, მაგრამ ვიცოდი, მბრძანებელი საიდანღაც კუშტად რომ დამცქეროდა.

* * *

სიდ ბენ იჯნპალი სიმდიდრითა და გონიერებით მთელს სამეფოში იყო განთქმული. კაცი იყო, რა კაცი — ფული, გაგიხარია, ჰქონდა; დემავენდის მთიდან ჯიკიჯიკის ბორცვამდე იმისი რემა ბალახობდა, ბენ იჯნპალის ფეიქართა ნახელავი აქლემებით მიჰქონდათ შორეულ ქვეყნებში და ოქრო და თვალმარგალიტი ხომ, იცოცხლე, თავზე გადასდიოდა, ეს კიდევ არაფერი, სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობითაც იყო განთქმული — მის ადგილას სხვა ვინ დაიახლოვებდა არებ ხანს, როცა იგი ჯერ კიდევ უბრალო ავაზაკი იყო. როგორც კი ამაზრზენ თვალებში მიაჩერდა, იმავე დღეს ცხენი

და იარაღი უბოძა და დახმარებაც აღუთქვა. არები ხშირად დაიარებოდა მასთან და ბენ იჯნპალი ყოველთვის გულუხვად ასაჩუქრებდა. ხელგაშლილობით კი არ მოსდიოდა, შიში იყო, შიში. მანამდე არავისთვის მიურთმევია საჩუქარი, შაჰისა და ხანების გარდა, იმათ კი, ო, იმათ მართლაც დიდებულ ძღვენს უგზავნიდა. „ალაჰსა ვთხოვ, — დააყოლებდა ხოლმე საჩუქარს სიდ ბენ იჯნპალი, — დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს მზისსადარ შაჰს და მისი ყოველი დღე კი ათას წელიწადს უდრიდეს“. ასე ამბობდა ბენ იჯნპალი, გულში კი ფიქრობდა: „თავის დაზღვევა და სიმშვიდე — აი, ერთადერთი, რაც კი ცხოვრებაში არის“.

დილაადრიან თავის სასახლეში გავლა-გამოვლა უყვარდა ბენ იჯნპალს — მოკლე ნაბიჯით დაიარებოდა კრიალა დარბაზებში და აუარება ავლადიდებას ათვალიერებდა. ყურადღებით შესცქეროდა ოქროულს, ძვირფას თვლებს, უცხოურ ბროლსა და ფუმფულა ბეწვეულს. „ქონება“, ფიქრობდა მაშინ ბენ იჯნპალი, „აი ერთადერთი, რაც კი ცხოვრებაში არის“. მაგრამ თვალი მაინც უცნაური რამაა და გულნაკლული ბენ იჯნპალი ხან აქეთ მიიხედავდა, ხან იქით, ბოლოს კი უძრავი ქონების თვალიერება მაინც ბეზრდებოდა და მოძრავი ქონებისაკენ, ესე იგი, თავისი ერთადერთი ცოლის, სორეია ხანუმის აბრეშუმით გაწყობილ დარბაზისაკენ მიეშურებოდა. ოჰ, იმას კი გულის ძილით ეძინა. ახლა, როცა მცირედ ფშვინავდა, ოდნავ მოძრავი ქონება იყო, საერთოდ კი, როცა მიდიმოდიოდა... მე თუმცა სიმართლე ვარ და ამიტომ თითქოს უფლება არ მაქვს, სხვადასხვანაირი შედარებები მოვიყვანო, მაგრამ იგივე სიმართლე მაიძულებს ვთქვა, რომ სორეია ხანუმი... ნესვივით ქალი იყო, — გრილი, ტკბილი, დასაწაფებელი. და დილაადრიან, როცა საერთოდ წინდახედული, ძუნწი, თავშეკავებული ბენ იჯნპალი მძინარე ცოლს დაინახავდა, უცნაურად აუჩუყდებოდა გული, მოშორებით მიუწვებოდა, კისერს გაჭიმავდა, გაჭიმავდა და ლოყას ნაზად მიადებდა შიშველ მკლავზე. იწვა ასე, სულგანაბული, „ნამდვილი ქალი“, ფიქრობდა გასუსული ბენ იჯნპალი, „აი, ერთადერთი, რაც კი ცხოვრებაში არის“. მისი შეძლების კაცს წესითა და რიგით უამრავი ცოლი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ სორეია ხანუმი მკაცრად აფრთხილებდა: „მოიყვან და... ცოცხალს ვეღარც მნახავ“. „არა, არა“, ამშვიდებდა ბენ იჯნპალი, „შენს მეტი არავინ მინდა“. სორეია მკლავებს წინ გაიშვერდა, ბენ იჯნპალიც საჩქა-

როდ გაშლიდა მოკლე ხელებს და მაშინვე ერთმანეთს ჩაეხუტებოდნენ. მშვენიერი კარგი წუთები იყო — ძვირფას ხალიჩაზე იდგნენ, ერთმანეთს ჩახუტებულნი. „ულამაზესი ქალის თავდავიწყებული სიყვარული ვაჟკაცისადმი“, ფიქრობდა გატრუნული ბენ იჯნპალი, „აი ერთადერთი, რაც...“ სორეია ხანუმი კი მდიდრულად მორთულ დარბაზებს გასცქეროდა და გულში იქადნიდა: „როგორ, ამ სასახლეში სხვა ქალმაც იპარპაშოს? როგორ არა, დია-ახ!“

მაგრამ სიდ ბენ იჯნპალი ყოველთვის როდი იყო ასეთი მორჩილი და ნაზი. მსახურებსა და ხელოსნებს მის დანახვაზე ფერი ეცვლებოდათ და უღრმესი პატივისცემით შეჰყურებდნენ — ბენ იჯნპალმა იცოდა, სად როგორ დაეჭირა თავი. ამაყი და ნაძალადევად უკმაყოფილო სახით ჩამოუვლიდა ფეიქართა ნახელავს, შუბლს შეჭმუხნიდა და მიდიოდა. შეწუხებული ხელოსნები ერთმანეთს გადახედავდნენ, უფრო გულიანად ამუშავდებოდნენ და გაიფიქრებდნენ: „არა, რაც მართალია, მართლია, უფრო კარგადაც შეგვიძლია მუშაობა“.

დღე ისე არ გავიდოდა, ნავაჭრი რომ არ მიეტანათ ბენ იჯნპალისათვის. ოქროს ოქრო ემატებოდა, ალმასს — ალმასი. ფულიან კაცს მეგობრებს რა გამოულევდა, მაგრამ ბენ იჯნპალმა ოთხი ღირსეული მოქალაქე შეარჩია მათგან და მხოლოდ იმათთან საუბრობდა. დაჯდებოდნენ ხალიჩაზე, ფეხმორთხმულნი, უძვირფასეს კრიალოსნებს დინჯად მარცვლავდნენ და ზრდილობიანად საუბარსაც კრიალოსანს ააყოლებდნენ ხოლმე: „ალაჰი, იყოს“, იტყოდა ბენ იჯნპალი, ორ მარცვალს გადათვლიდა და მერე ისევ ორს მიაყოლებდა — „შაჰის მფარველი“. „ალაჰმა გისმინოს“, ტყუპად გაწკარუნდებოდა მეგობრების კრიალოსნები. მერე კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ და, როცა მრავლად გადათვლიდნენ მარცვლებს, მასპინძელი სიჩუმეს არღვევდა — „სიტყვა“, ამბობდა ბენ იჯნპალი, „იშვიათი უნდა იყოს, მაგრამ უღრუბლო დღესავით ნათელი და ნირისის ფოლადივით შეუპოვარი“. სტუმრები მოწონების ნიშნად თავს აკანტურებდნენ და თვალმოჭუტულნი წრუპავდნენ შარბათს. „რად აღარ მოდიხარ ჩემთან სტუმრად“, ეუბნებოდა ბენ იჯნპალს სახენაიარევი კაცი, „ოღონდ მობრძანდი და ორთავ თვალის სინათლეს ბილიკად მოგიძღვნი“. „მშვენიერი გამონათქვამია“, ცერით ორი მარცვალი მიითვალა სქელმა სტუმარმა, რომელსაც ირიბად ეხურა ჩალმა, — ცალი ყური ახალგაზრდობისას მოაჭრეს, — „ალაჰსა

ვფიცავ, მშვენივრად იყო ნათქვამი და ასეთი დიდებული სიტყვებისათვის ძალა კი მხოლოდ ჭეშმარიტ მეგობრობას შეუძლია მისცეს". „ოო, წეშმარიტი მეგობრობა", ტუჩების უცნაური მოძრაობით დაეთანხმა მესამე, ყბამონგრეული კაცი, „ო, წეშმარიტი მეგობრობა მეეშავით გვინათებშ ჩხოვრებიშ გეაეე და გვათბობშ". „რა თქმა უნდა", თქვა მეოთხემ, ლამაზმა კაცმა, „ჭეშმარიტი მეგობრობის ღალატი ყველაზე მეტად მომაკვდინებელი ცოდვაა". „ჭეშმარიტი მეგობრობის ღალატი", წარმოთქვა სიდ ბენ იჯნპალმა და მომდევნო წინადადება ყველაზე შთამბეჭდავი და შემზარავი სიტყვებით ააგო, „ეს იგივეა, მუჰამედის საფლავზე დედა რომ გააუპატიურო" „ოჰ", შეცბუნდნენ სტუმრები და ჭერისაკენ აღაპყრეს თვალები — „ალაჰმა დაგვიფაროს" „ყოვლადძლიერი იყოს ჩვენი მფარველი" თქვა სიდ ბენ იჯნპალმა და მოკლე ხელებით ტაში ძლივს შემოჰკრა: „კანჯარის ხორცი მოიტანე".

ამასობაში პირაკრული სორეია ხანუმიც თამამად შემოდიოდა დარბაზში და უეცრად აფორიაქებული სიდ ბენ იჯნპალი, რომელიც ლამაზი კაცის გვერდით იჯდა, გრძნობდა, რომ მისთვის წამგებიანი იყო ასეთი ეშხიანი მამაკაცის გვერდით ჯდომა და თითქოსდა მუხლის გასაშლელად, გაივლიდა, გამოივლიდა, მერე ყბამონგრეულ კაცს მიუჯდებოდა და თავაზიანად, გამოთქმით ეკითხებოდა: „მოგწონს ხორცი, ბებუთ ხან?" „ოო", თავს აქანავებდა სტუმარი, „მეტიშმეტად შაშიამოვნოა".

და სიდ ბენ იჯნპალი წელში იმართებოდა.

მაგრამ ყველაზე მეტად მაშინ გაამაყდა, ვაჟიშვილი რომ შეეძინა. ერთი სული ჰქონდა, სანამ დახედავდა, მაგრამ მეჩეთებიან ქალაქში მდიდარ მამაკაცებს უფლება არა ჰქონდათ, ხუთ წლამდე ენახათ შვილი, ასეთი იყო მათი უცნაური წესი. ბენ იჯნპალმაც რამდენიმე თვე ითმინა, ითმინა და ბოლოს მაინც შეიპარა ოთახში. მომვლელი ქალი თვლემდა, ფარჩაში გახვეული ბავშვი კი ჭერს შესცქეროდა და მისკენ დახრილი უცნობი სახე რომ დაინახა, მაშინვე ჩაეძინა. და გახარებული სიდ ბენ იჯნპალი ფეხაკრეფითვე გამოიპარა ოთახიდან, საბოლოოდ დარწმუნდა, ნამდვილად მისი შვილი რომ იყო — იგივ დაცქვეტილი ყურები, მოკლე, ხელები, იგივ მდიდრული ნიღაბივით ლაპლაპა სახე. დიდხანს აღარ მონატრებია, ახლა თუგინდ ათ წელიწადს აღარ ენახა, დამშვიდებული იყო. ხანდახან, ათასში ერთხელ კი მაინც აეკვიატებოდა უცნაური ეჰვი: „იომ არ მომეჩვენა?" მაგრამ არა, არა, ძალიან წააგავდა.

„მადლობა შენ, ლამაზო სორეია ხანუმ, ერთგულო ქალო, ბარაქალა შენ“, — იმეორებდა გულში ბენ იჯნპალი.

ბალღი კი ჭამდა, სვამდა, იზრდებოდა. უშფოთველად გადიოდა დრო; ხანდახან ბუზი თუ დააჯდებოდა, სახეს ჭმუხნიდა. ფეხი რომ აიდგა, ოქროთი მოსირმული კოპწია ხალათი ჩააცვეს, ბრჭყვიალა ჩალმა დაადგეს თავზე. და როცა პირველად წარუდგა მამას საუცხოოდ გამოწყობილი, სათამაშო ხანჯლით წელზე, სიდ ბენ იჯნპალმა ახლოს მოიხმო, მაგრამ ბავშვი ადგილზე დარჩა. მაშინ ბენ იჯნპალი თვითონ მივიდა შვილთან, ერთხანს უყურა და არ იცოდა, რა ექნა, მერე კი ორი თითი გულისპირზე გაუსვ-გამოუსვა და უთხრა: „ხიცი-ხიცი...“ ბავშვი შესცქეროდა და ბენ იჯნპალს გაუხარდა: „მიყურებს, მიყურებს...“ გადიამ რამდენჯერმე წაჰკრა პატარას ხელი, რაღაცას აძალებდა. იმან ერთხანს მოუყრუა, მაგრამ მერე თქვა: „ყოვლად ძლიერი შაჰი იყოს ალაჰის მფარველი“. აქ კი ბენ იჯნპალს სახე მოეღრიცა და მეორე დღესვე ბავშვს მჭევრმეტყველების მასწავლებელი — დიდი მადერისი აუყვანა. ამას რა უნდოდა, არაფერი, სახელის დარქმევა კი ძალიან გაუჭირდა. მთელი დღე იმეორებდა — მაჰებ, მაჰებ, არა, არ ვარგა, ჰასან, ჰასან... ა? ჰასან... არა, არ ვარგა, კენჯა? კენჯა, კენჯა... მაინც ვერაფერი შეარჩია და უცებ, ხასხასა მოლის შემყურემ, იგრძნო, რომ ახლა კი ნამდვილად შეარქმევდა სახელს, სასწრაფოდ შევიდა ოთახში, შვილს შეაცქერდა ნაცნობ, დაპატარავებულ, შედარებით ნაზ ნაკვთებზე და უწოდა... ნორჩი, სორეია ხანუმს ჯერ თითქოს ეხამუშა სახელი, მაგრამ მერე იმასაც მოეწონა, ტუჩებს მოამრგვალებდა და გამოთქმით ეძახდა: „ნოორჩი, ნორ-ჩი!

მთელ ისპაჰანს მოედო ეს ამბავი, და ბენ იჯნპალის მიბაძვით ბევრმა დაარქვა შვილს „ნორჩი“, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, არავინ გამდიდრებულა.

დიდი მადერისი კი თავის უშრეტ ხელოვნებას ანაბანათი იწყებდა: „აბა გაიხედე, ნორჩი, მზეა?“ „ჰა?“ „მზიანი დღეა, ნორჩი, და თქვი, დაე, მზესავით ანათებდეს შაჰის დიდება“. ნორჩი კი ვერცხლის ფიალას წაატანდა ხელს და ეკითხებოდა: „ეს რა არის?“ „ნორჩი, ნორჩი“, თავს აქანავებდა დიდი მადერისი, „ჯერ მითხარი, როგორ უნდა გამოთქვა მზიან დღეზე და მერე გეტყვი“. ნორჩი კი ფიქრობდა, ფიქრობდა და ბოლოს ეუბნებოდა: „არა, ჯერ შენ მითხარი“.. „ააჰ, ნორჩი, ნორჩი...“

„ბავშვო," წარმოთქვა იმავ საღამოს სიდ ბენ იჯნპალმა, „ჩვენს ქვეყანაში ასეთი წესია — ვაჟკაცს სამი რამ მოეთხოვება: ცხენზე კარგად უნდა იჯდეს, მშვენივრად ხმარობდეს მშვილდ-ისარს და ილაპარაკოს სიმართლე. მე კი, შენი მამა, ასე გეუბნები — ვაჟკაცი ცხენზე კარგად უნდა იჯდეს, მშვენივრად ხმარობდეს მშვილ-ისარს, ილაპარაკოს სიმართლე და იყოს განსწავლული. გაიგე? თუ არა და..." — აქ კი ბენ იჯნპალს თავშეკავებამ უმტყუნა, რადგან ნორჩიმ მაგიდიდან მსხალი აიღო და უგულოდ ჩაკბიჩა. „თუ არა და გადმოგიღებ და იმდენს გირტყამ, სარკემ ვერ გიცნოს, გადააგდე მსხალი!"

„ჰე, ვინ გაზომოს ზღვათა სიღრმე, ანდა ცათა. ტატნობზე წერტილად მოძრავი ფრინველი ვინ ამოიცნოს? — განაგრძობდა სწავლებას დიდი მადერისი, — რამ და ჩემმა შენდამი განუზომელმა სიყვარულმა, მზის სადარო შაჰო, ისპაჰანის მარადუჭკნობო მშვენებავ".

„თამამად, თამამად, ფეხები მაგრად შემოაჭდე, მხედარი რომ იგრძნოს, თამამად, ნუ გეშინია, — ამხნევებდა ცხენოსნობის მადერისი,—ახლა ცოტათი მიუშვი, ტანი ააყოლე, არა, არა, ეგრე არა, დაიჭირე, მოზიდე ლაგამი, ვაიმე! დავიღუპე!.. ხომ არაფერი გეტკინა, ნორჩი?"

„მოხარე, მოხარე და თან გაასწორე, კიდევ, კიდევ, ოო, აი, ასე, ახლა კარგად გახედე, ურჯულოს ფიტულია, ვითომ ცოცხალია, გულში დაუმიზნე. კიდევ მოზიდე, ახლა ხელი შეუშვი ისარს და გაფრინდება, ხელი შეუშვი! რაა, თითებს ვეღარ შლი? იქით გასწიე, იქით, თორემ გაგივარდება, საითკენ მიაშვირე, არ მომიკლა, გასწიე-მეთქი, რამ დაგაბნია, აჰ!.. ოჰ, კიდევ კარგი, უნაგირში მოხვდა".

„ვის განადიდებს ყოვლადძლიერი? ვის განადიდებ, ყოვლადძლიერო, ან ბნელ სამარეს რომელს გაუთხრი? შაჰის მოყვარულთ შენ ააღზევებ, ხოლო იმას, ვისაც შაჰი არ უყვარს, სიკვდილი და არგადარჩენა. აბა, მე თავიდან ვიტყვი და შენ გაიმეორე — ვის განადიდებს ყოვლადძლიერი?"

„დაჭიმე, დაჭიმე, აბა ახლა ხელი შეუშვი, ხელი შეუშვი, თორემ ისე ვერ გაისვრი, თითები გაშალე, მოაცილე, ვითომ ცხელია:.. ოო, ყოჩაღ".

„როგორ გაიზარდა, — ამბობდა სორეია ხანუმი, — რომ დაიბადა, რა პატარა იყო“.

მეჩეთში კი ნახევარწრედ მოკალათებული ბავშვების პირდაპირ მოლა იჯდა, დაჭიმულ მშვილდსა ჰგავდა ბავშვების გაღუნული მწკრივი, მოლა კი ისრის ფრთასავით მოშორებოდა მათ და უხილავი, ალესილი ისრისწვერით ბავშვების მიღმა უცნაურ აზრებს სტყორცნიდა: „ალაჰისაა აღმოსავლეთი და დასავლეთი, რა კუთხითაც პირი იბრუნოთ, მის სახეს შეხედეთ, ალაჰი განუზომელია და ყველაფერიც უწყის. „ურჯულოებზე გამარჯვება მოგვეც“.

„და თუ ვინმემ შეგავიწროოთ“, მრისხანებისაგან წელში იმართებოდა მოლა და უფრო იძაბებოდა მშვილდი, „თქვენც შეავიწროეთ ისე, როგორც შეგავიწროათ“.

„ნამდვილი მეგობრობა“, ხშირად უმეორებდა ვაჟიშვილს სიდ ბენ იჯნპალი, როცა არებ ხანი შაჰის უახლოესი მსახური გახდა, „აი ერთადერთი, რაც კი ცხოვრებაში არის“.

ნორჩიმაც თითქოს ბევრი რამ შეითვისა, ოღონდ სანამ რაიმეს შოიფიქრებდა, მზერა გაუშტერდებოდა ხოლმე. მრგვალ, გამობერილ თვალებს ჭერისაკენ აღაპყრობდა და როცა მე, უჩინარი, მივუახლოვდებოდი და შიგ თვალებში ჩავაცქერდებოდი, ისე მეგონა, თითქოს დიდი სიმაღლიდან დავყურებდი მრგვალ აუზს, სადაც დამდგარი წყალი პირთამდე იყო და შუაში კი გახუნებული კასრი ტივტივებდა. ო, როგორ მძულდა! მის დანახვაზე აღარ ვიცოდი, საით გადავკარგულიყავ, მაგრამ მბრძანებლის დავალება მახსოვდა და სხვა რა გზა მქონდა — ჩაჩანაკივით დავყვებოდი მადერისებთან, მეჩეთში, უხალისოდ მივძუნძულებდი არებ ხანის სასახლისაკენ, ნორჩის კი ხელთ უძვირფასესი საჩუქრები ეპყრა. დიდი ავაზაკიც კი ასე არა მძულდა, როგორც ეს საუცხოო სამოსში გამოწყობილი ყმაწვილი. არადა, სიბრძნით განთქმულ ბენ იჯნპალსაც კი არა ჰქონდა იმდენი მიხვედრა — ნორჩისთანა გარეგნობის შვილს რომელი ჭკუათმყოფელი მამა ჩააცმევდა ისეთ ძვირფას, თვალშისაცემ სამოსს, ის კი არა, ქალივით პირაკრულს რომ ეელო, უკეთესი იქნებოდა. და რადგან სიმართლე ვარ, მაინც ვხედავდი, სწორი ნაკვთები რომ ჰქონდა — წარბები, ცხვირი, შუბლი, ტუჩები, მაგრამ ეს თვალები, თვალები და უაზრო გამოხედვა, ფიქრისას კი ოფლი მოსდიოდა და უფრო ულაპლაპებდა ნიღაბივით სახე.

მერე ვისი შვილი იყო [illegible] ვისაც მოჩვენებითი

სიამაყე მუდამ სახეზე აღბეჭდოდა, თუკი ლოყა ნესვივით ცოლის მკლავზე არ ჰქონდა მიხუტებული. და ყოველივე ამას კიდევ მოვითმენდი, მაგრამ როცა ვუყურებდი, როგორ ჭამდა, როგორ ეძინა, როგორ იხედებოდა მოვარაყებულ სარკეებში, რა დიდის წუნიაობით ირჩევდა ნაირ-ნაირ ჩალმებს; და რაც მთავარია, სუყველაფერი — განცდა, მოძრაობაცა და ტვინიც მადერისებისა და მამისაგან ჰქონდა გაწვრთნილი. და თუმცა იცოდა, სად რა ეთქვა, ცხენის გაჭენებაც შეეძლო და მშვილდ-ისრის ხმარებაც ისწავლა, მაინც ზომაზე გაცილებით დიდი თოჯინა იყო, რომელსაც ორად ორი მისწრაფება ჰქონდა — სიმდიდრე და უსაფრთხოება. თუმცა, სიმდიდრე ათასი მარცვლისაგან შედგებოდა — სასიამოვნო იყო გემრიელი კერძების მირთმევა, საკუთარი შადრევნებისა და მბზინავი ტანსაცმლის თვალიერება, ოქროს გლუვი ელვარება, იშვიათი მარგალიტი, საჩუქრების მიღება; უსიამოვნო კი იყო ეჭვი, გაძარცვის შიში, საჩუქრების გაცემა. და მაშინაც კი, არაბულ ცხენს რომ გააჭენებდა, როცა ყოველ ადამიანს ძარღვებში სისხლი უნდა აყივლებოდა, იმ ნიავივით ბედაურზე მუყაოს გაბრუებული იდიოტი იჯდა. თოჯინა იყო, რაგინდ მდიდრულ სამოსში გამოწყობილიყო, სახე მაინც ულაპლაპებდა. მერედა, სახელი, ჰმ — ნორჩი... მაჰმუდ აალი! შენ დაგეძებდი, მისგან თავგაბეზრებული და ბრაზით აცახცახებული, დაგინახავდი და ყველგან მოგსდევდი, როგორ მიყვარდა შენი თვალიერება, შენი ხან სევდიანი, ხანაც მკრთალი ღიმილით აბეჟუტებული სახე. შენ დაგყვებოდი მტვრიან ქუჩებსა და მეჩეთში, შენ დაფიქრებული შესცქეროდი მაიდანელ უსაქმურებს, ბავშვებს, როგორ მიდიოდი — ხელები ჩამოყრილი გქონდა, ნაბიჯი—უნებურად ამპარტავანი, თავიც უნებური სიამაყით ზეაწეული, ბაზარში კი, აყივლებულ, მოგების წყურვილით აფორიაქებულ ხალხში ისე გამოირჩეოდა შენი სხეული და მშვიდი, ნაღვლიანი სახე. შენს მეჩეთებიან ქალაქში კი ყველგან ბაზარი იყო — ვინ არ ეაჭრობდა, ვინ არ ცდილობდა სხვის მოტყუებას; და თუ ღრიალა საკრავების ხმაზე თავს მიატრიალებდი, ზურგიდან მიყვარდა შენი ცქერა: საფეთქელთან მკრთალი, ცისფერი ძარღვი, ლოყაზე რომ იკარგებოდა და მერე ყელთან ისევ ოდნავ ჩანდა; შენი შეეჭვებული მზერა, შენი მკაფიოდ გამოძერწილი ნაზი ყვრიმალი, მაღალი ყელი, ძლიერი და ქათქათა... მაჰმუდ აალი! — შენი ფიქრები, შენი ეჭვები... ვერავისთან ამბობდი, მაგრამ მე ხომ

ძაინც ვიცოდი ყველაფერი. და მხოლოდ შენი მზერა — მრავლისმეტყველი, მართალი, პირდაპირი... მე გიყურებდი, როგორ უმზერდა იმ კაცს, დანასისხლად რომ აფასებდა ფარჩას, იმ მექარავნეს, აქლემს ზედმეტი ბარგი რომ აჰკიდა და მერე წაქცეულს ყელში ორგან გამოუსვა დანა, იმას, ვინც მოწყენილი იძახდა დათაფლულ სიტყვებს და კიდევ იმას, ვინც ყოველივეს გულგრილად შესცქეროდა... მაჰმუდ აალი! არაფერი იყო შენთვის უმნიშვნელო, კარგად იცოდი ხმარებით გაცვეთილ საუნჯეთა ფასიც — წყალი, რომელსაც სვამდი, ჰაერი, რომლითაც სუნთქავდი, მზე, რომელიც გათბობდა... და როცა ერთხელ ნორჩიმ ატამი აიღო და ჩაკბიჩა, შენკენ გამოვქანდი და შევცბი — შენც მაღლა აშვერილ თითებში იგივე ხილი გეჭირა და დიდხანს უყურებდი. ნორჩიმ—არაფერი, აიღო და შეჭამა, შენ კი გაოცებული შესცქეროდი ნაზი ბუსუსებით დაფარულ ნაყოფს და მოლას სქელი წიგნიდან, სადაც ზოგიერთი რამ არ მოგეწონა, ეს წინადადება გაგახსენდა და ნელა, აღტაცებით იმეორებდი: „ზეცით წყალს გადმოავლენს, მით აღვაღორძინებთ ყოვლისავე მცენარის თესლსა; მით ამოვიყვანთ მწვანეს, რომელიც გამოიღებს რიგრიგობით დალაგებულ მარცვლებს, და ინდისხურმის ხეებს, რომელთა რტონიც დიდრონ ფუნჯებს მოისხამენ, და ვაზით მოფენილ წალკოტებს, და ზეთისხილებსა და ბროწეულებს, რომელნიც ერთმანეთს ემსგავსებიან და ერთმანეთში განირჩევიან; თვალი გადაავლეთ მათ ნაყოფს, მათი მსხმოიარობა და სიმწიფე იხილეთ — ყოველივე ეს სასწაულია მათთვის, რომელნიც გულისხმას ჰყოფენ“.

მაჰმუდ აალი ისიც მინახავს, ცხენს მოახტებოდი თუ არა, ყალყზე შედგებოდა, წამით გახევდებოდა და ნამდვილ მხედარს რომ იგრძნობდა, გრძელი ნახტომით გაჭენდებოდა მხიარულ ველზე. შენ გამართული იჯექი დაოთხილ ცხენზე, ყურებთან ქარი იწელებოდა, ხან დასცქეროდი გაქცეულ მიწას, ხან დემავენდის მთას გაჰყურებდი, მრისხანე როკვით რომ მოიწევდა შენკენ.

და, რა თქმა უნდა, ისიც ვიცოდი, რად არ უყვარდი ისპაჰანელებს; შენი მზერა, მოურიდებელი და დაეჭვებული, რაში უნდოდათ — თვალს, გარიდებდნენ, ბრაზობდნენ, სძულდი — შენ, ახოვანი, მომღიმარე, შეეჭვებული, სინდისივით დაიარებოდი მტვრიან ქალაქში, გამორჩეულო, მაჰმუდ აალი!

მაგრამ იძულებული ვიყავ, ისევ ბენ იჯნპალის კრიალა დარბა-

ზებში მეარა, აშიშინებულ შადრევნებთან მეწრიალა, იმ მაგიდის ქვეშ შევმძვრალიყავ, რომელზედაც ნორჩი საჭმელს მიირთმევდა და ჩემ წინ კი უდარდელად ატყაპუნებდა ფეხებს. იქ რა მინდოდა...

მაგრამ მბრძანებელს, მიუწვდომელსა და ყოვლისმცოდნეს, უკეთ მოეხსენება.

* * *

მთავარი მზარეული ერთხანს ირგვლივ აცეცებდა თვალებს, მერე კი, შორიახლოს ვერავინ რომ ვერ შენიშნა, ერთხელ კიდევ თაყვანი სცა ბენ იჯნპალს და ის საზარელი ამბავი დაბალის ხმით მოახსენა.

— ვინა, სორეიამ?! — წამოჯდა გაფითრებული ბენ იჯნპალი.

— დიახ.

— ნამდვილად იცი?

— დიახ, — შეწუხდა მზარეული.

— შენი თვალით დაინახე?

— ჩემი თვალით.

— სუყველაფერი?

— სულ, ყველაფერი.

— მერე, ვერ აჩეხე?!

— ხმალი არა მქონდა, — ხელები გაშალა მზარეულმა და შეფიქრიანებული დაეკითხა: — ორივე უნდა ამეჩეხა?

ბენ იჯნპალმა მოუყრუა და კრიალოსანი ხალიჩაზე მიაგდო. სულის მოსათქმელად სარკმელთან მივიდა, მაგრამ დიდებულმა ბაღჩამ უფრო გააღიზიანა — „ფუჰ!“ აღელვება არასოდეს რომ არ უნდა დასტყობოდა, ეს კი იცოდა — „თავშეკავება, თავშეკავება“, — ამოიჩემა და აკანკალებული თითები ერთმანეთში გადახლართა. მერე ამაყად შემართა თავი და უთხრა:

— წადი და კარგად გამიგე ეგ ამბავი.

— ნამდვილად ვიცი, ყოვლადძლიერო, — გულზე ხელი მიიდო მზარეულმა, — რაღა გავიგო, ნამდვილად ვიცი, ჩემი თვალით დავინახე.

— წადი-მეთქი, — მოკლე ხელი კარისაკენ გაიშვირა, — წადი და კარგად გამიგე.

„ოო, სორეია, ყოფას გიტირებ!“—გაიფიქრა და ხალათის შამოფხრეწა მოუნდა, მაგრამ ვერ შეძლო — მშვენივრად იყო ნაქსოვი. „შენ კიდევ, შე მათხოვარო, როგორ გამიბედა, უუხ, გლახაკი!“

გლახაკი კი არა, ფრიად ჯანმრთელი მეპურე იყო, დიდი, თეთრი ხელები ჰქონდა.

აქამდე კუთხეში ვიდექ, მოწყენილი და თავგაბეზრებული. ახლა კი, გონებაარეული ბენ იჯნპალის დანახვაზე, მისი ფიქრების გაგება მომინდა და ჩალმად შემოვეხვიე გაპარსულ თავზე. „სიმშვიდე, სიმშვიდე“, გავიგონე ჩუმი, დაძაბული ხმა, — „მთავარია სიმშვიდე“. ხალათის შიგნიდან კი, თავის ადგილას, გული აფრიალდა: „აჩეხე, ნაკუწ-ნაკუწ აჩეხე, ყველაფრის ღირსია“. „დამშვიდდი, დამშვიდდი, მთავარია გონიერება“, ჯიუტად იმეორებდა გაპარსული თავი, „გონიერება — აი, ერთადერთი, რაც კი...“ „აჩეხე“, წრიალებდა გული და მუშტად შეკრული თითებიც მიიმხრო, „აჩეხე, ანდა სხვას ააჩეხინე“. „ავაჩეხინოთ,“ უეცრად დაეთანხმა თავიც და როცა თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო... „არა, არა,“ შეიხვეწა ლოყა, „რომ ააჩეხინო, ხომ მოკვდება“.

„რას აყრანტალებდა ენას, — გაიფიქრა მერე ბენ იჯნპალმა, — არადა, ცოცხალი რომ დავტოვო, მთელ ისპაჰანს მოსდებს, ეჰ, არებ ხანი მაინც იყოს ქალაქში...“

არებ ხანი კი მოქუფრული იდგა სულთანის წინაშე და დუმდა. იცოდა, დაძაბული სიჩუმე წონასწორობიდან რომ გამოიყვანდა სულთანს და, როცა საჭიროდ სცნო, თვალი თვალში გაუყარა და ნელა წარმოთქვა:

— ყოვლადძლიერმა შაჰმა, დიდი ისპაჰანის მშვენებამ დამავალა, სუჰაკს ხუნდები დაადო და მე გადმომცე.

— ჩემთან არ არის, დღეგრძელი იყოს ისპაჰანის გონება და მახვილი.

— შენთან არისო, ასე ამბობენ.

— ალაჰსა ვფიცავ, ჩემს მიწაზე თუ იყოს, — თქვა სულთანმა და ყურანს ხელისგული დაადო, — ბაირამობა დღეს ღორის ხორცი მეჭამოს, თუ სუჰაკი ჩემს მიწაზე იყოს!

საზარელი ფიცი იყო, ერთმანეთს დიდხანს შესცქეროდნენ, თავთავიანთ სიმართლეში დარწმუნებულნი. დიდმა ავაზაკმა ნაღდად იცოდა, სულთანმა რომ შეიფარა ლტოლვილი, სულთანმა კი უზარმაზარ კალათში ჩასვა სუჰაკი, საჭმელ-სასმელი ჩაულაგა,

ფაამხნევა, ორიოდე დღით სრული დამუნჯება უბრძანა და კალათი ორ უერთგულეს მსახურს უღრან ტყეში, ხეზე ჩამოაკიდებინა, ახლა კი თამამად ეფიცებოდა არებ ხანს:

— თუ ჩემს მიწაზე იყოს...

— შენ მიწაზე რომ ყოფილიყო, — დინჯად დაუმარცვლა არებ ხანმა და სახე დაუთვალიერა, — მომაკვლევინებდი?

— მოგაკვლევინებდი.

— ძმა როა შენი?

— ძმაზე და მამაზე ახლობელია ჭეშმარიტი მსახურებისათვის ისპაჰანის მშვენება.

— ძალიან კარგი.

დიდი პატიჟის მიუხედავად, არებ ხანი სასახლეში არ დარჩა და ღამის გასათევად მინდორში გააშლევინა კარავი. დაბალ კარავში შესასვლელად თავის დახრა დასჭირდა, შორს კი, ისპაჰანში, მზარეულმაც თავი დახარა და ისე შევიდა ბენ იჯნპალთან, თუმცა კარი მაღალი იყო.

— რა ქენი, გაიგე? — ცბიერად დაეკითხა ბენ იჯნპალი.

— ბევრი ვიფიქრე, ყოვლადძლიერო, ხომ არაფერი შემცდამეთქი, მაგრამ ნამდვილად ისე იყო, პირველად რომ მოგახსენე: სორეია ხანუმი თავის ოთახში ფანჯარასთან იდგა და, თქვენ რომ წაბრძანდით, სახელოებაკაპიწებული მეპურე ეზოში რომ გამოვიდა, სორეია ხანუმმა თითი დაუქნია და თავისთან...

— წადი, გამეცალე! — ხმას აუწია ბენ იჯნპალმა, — რეებს როშავ, კარგად გამიგე, რა როგორ იყო და მერე მოდი!..

— ხომ მოგახსენე, ყოვლადძლიერო...

— წადი, დამეკარგე! — გაუწყრა ბენ იჯნპალი, — კარგად გამიგე-მეთქი ყველაფერი, მიხვდი?! — და ავად შეხედა.

— გავიგე, ყოვლადძლიერო.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, გათენებისას კი, სქლად შედედებული ბინდი რომ დაიჭიმა და გაიცრიცა, არებ ხანმა ტანსაცმელი ჩამოიბერტყა, ხელ-პირი გულდასმით დაიბანა და დილაუთენია სულთანს მიადგა.

— აბა, წავედი, — თქვა და აჭიხვინებულ ცხენს მაგრად მოზიდა ლაგამი, — შენის ნებართვით, შაჰს გადავცემ, სულთანთან არ იყო-მეთქი.

— ჩემი ფიცი გაუმეორე და ყოველივეს დამიჯერებს ისპაჰანის მარადუჭკნობი მშვენება.

— იმასაც ვეტყვი, რომ ყოფილიყო, აუცილებლად მომაკვლევინებდა-მეთქი.

— აგრე გადაეცი. ალაჰი იყოს შაჰის მფარველი!

არებ ხანმა დინჯად შემოატრიალა ცხენი და ნაბიჯით წაიყვანა. აღელვებულმა სულთანმა მსახური მოიხმო და უბრძანა, შეუმჩნევლად ასდევნებოდა და თვალი არ მოეცილებინა, სანამ ჯიკიჯიკის ბორცვს არ მიაღწევდა. შებინდებამდე მსახურს უცდიდა, ეშვი კი ღრღნიდა — ვაითუ მობრუნდეს... და როცა მსახურმა გაოფლილი ცხენი შემოაგდო ეზოში და არებ ხანის ბორცვს გადასვლა ამცნო, გახარებული სულთანი ყველასათვის შეუმჩნევლად, უჩირაღდნოდ და უმსახურებოდ წავიდა ტყეში. თეთრ ცხენზე იჯდა, შავი კი მარქაფად მიჰყავდა. უმთვარო ღამე იყო, ძალიან ბნელოდა, ჩაშავებული კალათი ძლივს გაარჩია. ხესთან მივიდა, თოკის კიბე წელზე შემოიხვია, უნაგირზე დადგა და ტოტს ჩაებღაუჭა. ფრთხილად, უხმაუროდ მიძვრებოდა, ღონიერ ხელებს სიბნელეში აფათურებდა, ახალ-ახალ ტოტებს ეძებდა. მერე თოკის კიბე შემოიხსნა, მაგრად მიაბა მსხვილ ტოტზე და ფრთხილად, ფრთხილად ჩაიარა კიბე. ერთხანს გაჭიმული ფეხით ეძება მორიგი საფეხური, მაგრამ რომ ვერ მიაგნო, ფრთხილად ჩახტა ძმასთან. კალათი დაირწა, დაღლილმა თავი ვეღარ შეიმაგრა და ზედ გადაემხო. სუჰაკ, გაიღვიძე, ჩასჩურჩულებდა სულთანი, ცხენი მოგიყვანე, მოაჯექი და წადი... მხარში ჩასჭიდა ხელები, შეაჯანჯღარა, უცებ მკერდზე მოუფათურა თითები და რაღაც ცივსა და ამაზრზენს რომ შეეხო, უკან გადაქანდა, თან ფართოდ დაღებული პირით შეისუნთქა ჰაერი და მერე თვალებგაფართოებული, სუნთქვაშეკრული გახევდა: დანა იყო, შიგ გულში ჩაცემული.

ჰეე, არებ ხან, არებ, ავაზაკო... ჯიკიჯიკის ბორცვი რომ გადაიარე, დაუზოგავად გააჭენე ცხენი და საღამოხანს მშობლიურ სოფელს, მორდოვს რომ მიუახლოვდი, შექუჩებული ხალხის დანახვაზე შეჩერდი და, თვალ-მარგალიტით აელვარებული, დამცინავად მიაჩერდი ჩამოძონძილებს. ისინიც გაკვირვებით შემოგცქეროდნენ და, რა თქმა უნდა, ვერ გიცნეს; და როცა წასვლა დააპირე, ერთმა თმაგაჩეჩილმა კაცმა ხელისგული გიჩვენა და ასე გთხოვა, დაგეცადა. შენც გაკვირვებულმა შეიცადე, თან ისევ დამცინავად შესცქეროდი, როგორ მიფართხუნებდა ჭაობებს შორის, როგორ მიიმალა მიწურში და იქიდან კი ძალიან ნელა გამოვიდა, ფრთხილად

მოდიოდა შენკენ და რომ მოგიახლოვდა, ხელები მაღლა ასწია და ცხენზე მჯდარ სტუმარს პირთამდე სავსე ჯამი მოგაწოდა — რძე იყო. ღიმილი პირზე შეგაშრა და აღარ იცოდი, რა გექნა. ერთი სული გქონდა, აგეკუწა, რადგან თვალებში სწორედ ის ამოიკითხე, რაც ყველაზე მეტად გძულდა — უმიზეზო სიკეთე; მაგრამ იმ კაცის მოკვლა მაინც არ შეიძლებოდა, იმიტომ კი არა, რომ ვერ გაბედავდი, არა, მშვენივრად იცოდი, ხახვივით რომ შეგრჩებოდა, მაგრამ მაინც არ შეიძლებოდა... არადა, მოწოდებულ ჯამსაც ვერ მიიღებდი — ყელზე შხამად დაგადგებოდა და დაბნეულმა შეატრიალე ცხენი, ერთხელ კიდევ მიხედე იმ თმაგაჩეჩილ კაცს და, განრისხებულმა, ერთგულ ბედაურს მაგრად გადაუჭირე მათრახი. და მერე, სიბნელეში, დაუზოგავად მიაჭენებდი ცხენს და გზადაგზა ჩავლილ სოფლებში მძინარე გლეხებმა გვერდი იცვალეს, ისე მკაფიოდ ჩაესმათ ფლოქვების თქარათქური. არსად ჩანდა სინათლე, ყველას ეძინა, მოქანცული, გულაღმა გაშოტილი გლეხები უცხო მხარეში დაბორიალობდნენ, რომელიც მე, მარადფხიზელ სიმართლეს, არასოდეს მინახავს, მდიდარ ბენ იჯნპალს კი მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს და ირიჟრაჟა თუ არა, გახარებულმა მსახურმა ტახტზე მჯდარს მოჰკრა თვალი და ოთახში შემოვარდა:

— ყოველივე გავიგე, მარადძლიერო.

— რა? — კრიალოსანს დასწვდა ბენ იჯნპალი და თვალი აარიდა, — რა გაიგე?..

— რა და მთელი ღამე ვალაპარაკე! ახლოს მივუჩოჩდი, ვუთხარი, მე და შენ ხომ ძმები ვართ, მეპურე და მზარეული რამ გაყო, მოდი, მიამბე ყველაფერი, მე ხომ დაგინახეთ-მეთქი. იმანაც მიამბო, ო, სორეია ხანუმისთანა ქალი ცხოვრებაში არ შემხვედრია, ბედნიერი იმისი ქმარიო...

— გაეთრიე აქედან! — წვრილი ხმით დაიყვირა ბენ იჯნპალმა, — გაეთრიე და დღეს საღამომდე ყველაფერს დანამდვილებით თუ არ გამიგებ, თავს წაგაცლი, იცოდე!

საღამოს კი თვალებამოღამებული მზარეული გაუბედავად მიუახლოვდა, ფეხზე აკოცა და უთხრა:

— მაპატიე, ყოვლადძლიერო, ტყუილი ყოფილა.

ბენ იჯნპალი ამაყად გაიმართა წელში და აპატია, მეორე დილით კი უგუნებოდ მობრუნებული არებ ხანი მოინახულა, ხოლო ნაშუადღევს მთავარ მზარეულსა და მეპურეს მოედანზე თავი მოჰ-

კვეთეს, როგორც შაჰის მოღალატეებს. კმაყოფილი ბენ იჯნპალი შინ დაბრუნდა და უეცრად ოთახში აღელვებული სორეია ხანუმი შემოვარდა და უცნაური რამ უთხრა: „რატომ მოაკვლევინე, სიდ ბენ, რატომ, მე ხომ ძალათი ვათქმევინე მთავარ მზარეულს...“ „როგორ ძალათი... დაიბნა იჯნპალი. „როგორ და მაინტერესებდა, დაიჯერებდი თუ არა... დაიჯერე, ხომ? ხომ დაიჯერე, სიდ ბენ...“ და სორეია ხანუმი ისე მდუღარედ სტიროდა და თანაც ისეთი ლამაზი იყო, სიდ ბენ იჯნპალი საბოლოოდ მაინც ვერ მიხვდა, იყვნენ თუ არა მთავარი მზარეული და თეთრხელება მეპურე შაჰის მოღალატენი.

მაგრამ იმავ საღამოს, როცა სორეია ხანუმი სიმღერითა და ცეკვით ძალიან გაცელქდა, სიდ ბენ იჯნპალმა თითქოსდა მოფერებით ძალიან მაგრად უჩქმიტა მკლავზე, სწორედ იმ ადგილას, დილ-დილაობით ლოყას ნაზად რომ მიადებდა ხოლმე.

* * *

ისევ მომწყინდა ამ მდიდრულ სახლში, ლამაზ ბაღებსც თვალი შეეჩვია, ყველაფერი მომბეზრდა.

ნორჩისთან კვლავინდებურად დაიარებოდნენ მადერისები და განსაკუთრებით მჭევრმეტყველების მასწავლებელი მაღიზიანებდა. მერე მათ არაბი ასტრონომი, ხალილ მინაჯიმი შემოემატათ. ისღა მაკლდა სწორედ — მთვარიანი ღამით ბაღჩაში გავიდოდნენ, მსახურს ბროლის თასით ხილი მოჰქონდა, დიდი მინაჯიმი თითს ცისაკენ აიშვერდა და სწავლებას იწყებდა: აიი, ამ ვარსკვლავს... ესა და ეს ჰქვია... იმას... ისა... მხარ-თეძოზე წამოწოლილი ნორჩი კი აუზში ჩაციებულ ყურძენს მიირთმევდა და ხელს თხელი პურით იმშრალებდა. შესანიშნავად მიდიოდა ბენ იჯნპალის საქმეები — რემა და ოქრო მრავლდებოდა, ნაცნობები უწინდებურად აფასებდნენ, არებ ხანის მეგობარს ვინ რას გაუბედავდა და ნორჩიმაც მჭევრმეტყველება შეისწავლა, ოღონდ გულგრილად იძახდა ძვირფას სიტყვებს. აღტაცების მადერისი კი მთელს ისპაჰანში ვერ მოიძებნებოდა და ამიტომ ბენ იჯნპალმა დიდი სარკის წინ გვერდით მოისვა ვაჟიშვილი, და დაარიგა—აბა, ყურებთან თუ მიიტან ლოყებს... ნორჩიც დაიძაბა, მაგრამ არა, ღიმილი მაინც სულ სხვა რამ იყო. აბა, ტუჩები გაჭიმე, ასე, ახლა თვალები მოჭუტე; ბოლომ-

დე, ბოლომდე გაჭიმე ტუჩები... ნორჩი ყოველივეს გულმოდგინედ ასრულებდა, მაგრამ გულიანად გაღიმება მაინც ვერ ისწავლა და ამიტომ ბენ იჯნპალმა გაღიმების ნაცვლად უმდაბლესი თაყვანისცემის ნიმუში წარმოუდგინა — მოკლე ხელები მკერდზე გადაიჭდო და იატაკამდე დახარა თავი. და თუმცა ნორჩიმ ესეც კი ვერ გაიმეორა, სიდ ბენ იჯნპალმა მაინც სიამოვნებით გაიფიქრა: „ქედს ბოლომდე ვერ მოახრევინებ ნამდვილი ვაჟკაცია“.

რჩეული მეგობრები ძველებურად დაიარებოდნენ, და ერთხელ თვით არებ ხანი რომ ეწვია, აღტაცებულმა მასპინძელმა დიდებული სუფრის გაშლა ბრძანა, მაგრამ სტუმარი უგუნებოდ იყო და ქუჩაში გავლა შესთავაზა. ბენ იჯნპალმაც ბედნიერი შემთხვევით ისარგებლა და ნორჩიც გაიყოლია. ქუჩა-ქუჩა მიდიოდნენ, ხალხი აღტაცებით შესცქეროდა უძვირფასეს სამოსში გამოწყობილ მოსეირნეებს; დიდი ავაზაკი უმძრახად მიაბიჯებდა და გზადაგზა ყვავილს თუ ესროდნენ, ვერც კი ამჩნევდა. ბენ იჯნპალსაც ყოველი მხრიდან მდაბლად უძღვნიდნენ სალამს — თითებს მკერდზე, ტუჩებსა და შუბლზე იდებდნენ, ნორჩისაც ალერსიანად უღიმოდნენ, სასიამოვნო იყო მოსეირნეთათვის ესოდენ აშკარა პატივისცემა, ბოლოს და ბოლოს არებ ხანმაც ასწია თავი და გუნებაზე რომ მოვიდა, უეცრად, გზაზე, უცნაური სპარსელი შემოხვდათ და გახევდნენ. სამივე იმას შესცქეროდა, ის კი რიგრიგობით ათვალიერებდა სამ განსხვავებულ სახეს: ერთი — მუყაოს თოჯინისა იყო, მეორე — ფრთხილი ძუნწისა, მესამე სახე კი, ხარბად მომზირალი, ამაზრზენი, დიდი ავაზაკისა იყო, მაგრამ უცნაური სპარსელი სამივეს ერთნაირი სიმშვიდით შესცქეროდა. იმათ კი სულ სხვადასხვა რამ აწუხებდათ: ნორჩის — უცნაური სპარსელის აშკარა, თვალშისაცემი უპირატესობა, სახესა და სხეულზეც რომ აღბეჭდოდა, ბენ იჯნპალი ისეთ დაკვირვებულ მზერას წააწყდა, რომ თავი დახარა და სორეიას ღირსებაში მაშინვე ეჭვი შეიტანა; მხოლოდ არებ ხანს არ მოუცილებია მისთვის თვალი და ახლა შემხვედრიც მხოლოდ მას შეჰყურებდა. ვიღაცას ჰგავდა! იმასაც გრძნობდა არებ ხანი, სახით კი არა ჰგავდა, თვალებში ჰქონდა რაღაც ისეთი, რომ არ სიამოვნებდა, ვიღაცაც ასე შესცქეროდა, სადღაც, ახლახან... და გაახსენდა — ჰო, იმ კაცს ჰგავდა, სოფელ მორდოვში რძე რომ მიაწოდა, კი არა ჰგავდა, იმასავით გულღიად შესცქეროდა ჩემი რჩეული, მაჰმუდ აალი და განრისხებულმა არებ ხანმა ხანჯალზე დაიდო

ხელი, მაგრამ ასე, შუა ქალაქში დღისით, მზისით, უდანაშაულო კაცის მოკვლა არ შეიძლებოდა და დიდმა ავაზაკმა უმოკლესი გზა აირჩია:

— შაჰი თუ გიყვარს?!

და მე, თვით სიმართლე, აფორიაქებული და დაშინებული, ყურთან მივვარდი და სიცრუეს ჩავჩურჩულებდი:

— თქვი, რომ გიყვარს, თქვი, რომ ძალიან გიყვარს, რა გენაღვლება...

მაგრამ მაჰმუდ აალის თვალიც არ დაუხამხამებია, ისე უპასუხა:

— ვერაფერს გეტყვი, არსად მინახავს.

— როგორ, როგორ? — ტუჩი აილოკა არებ ხანმა და მივხვდი, ჩემი იქ ყოფნა უარესი იყო მაჰმუდ აალისათვის — მე ხომ სიმართლე ვარ და სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას — სახლებს მსუბუქად გადავევლე და მხიარულ ველზე აღმოვჩნდი, მაგრამ ახლა ყვავილებისათვის სად მეცალა — ეჭვებაშლილი, შეწუხებული, ერთხანს ბალახებში დავძვრებოდი, მერე კი მაღლა ავიჭერი და დემავენდის მთისაკენ მძიმედ გავცურდი, დრო რომ გამეყვანა; მერე ისევ დინჯად გამოვბრუნდი, შუაგზაზე მოთმინება აღარ შეყო და მეხივით დავატყდი იმ ადგილს, მაგრამ ქუჩაში აღარავინ ჩანდა. მაშინ პირდაპირ შაჰის სასახლისაკენ გავიჭერი და შევცბი: ყველანი იქ იყვნენ, იატაკზე გართხმული ნორჩი კი გრძელ წინადადებას ამთავრებდა: „...ისპაჰანის მარადუჭკნობო მზევ!“

და, საოცრებავ, ისე გულღიად შესცინა!

— აი, როგორ უყვარხარ, სათაყვანებელო, — თქვა არებ ხანმა და შეიცადა, სანამ ნორჩი შაჰს მუხლზე ემთხვეოდა, მერე კი თავი მაჰმუდ აალისაკენ ოდნავ გაიქნია და უთხრა:

— ერთი ამასაც ჰკითხე, ისპაჰანის გონებავ და მახვილო!

თარსა და ჭიანურზე უკრავდნენ, შაჰმა ჩემი რჩეული თავითფეხამდე აათვალიერა და კმაყოფილმა ჰკითხა:

— რა გქვია?

— მაჰმუდ აალი.

„ყოვლადძლიერო!“ „ყოვლადძლიერო“ მაინც დაემატებინა, კედელს მივენარცხე.

შაჰს სახე მოეჭმუხნა, მერე მაინც ალერსიანად ჰკითხა:

— გიყვარვარ, მაჰმუდ აალი?

იმან კი შაჰი შეკავებული ღიმილით აათვალიერა და უთხრა:

— არ მძულხარ.

— თუ გიყვარვარ?

— არ მძულხარ-მეთქი.

და მაშინ შაჰმა პირი მაგრად მოკუმა და კვერთხი მოიქნია. მაჰმუდ აალიმ, რჩეულმა, ხელი იტაცა გაჩეხილ წარბზე, მერე კი დინჯად მოიწმინდა თვალის უპეში ჩამდგარი სისხლი, ხელისგულს დახედა, ახალგაზრდა შაჰს თვალებში შეაცქერდა, ისე გაიღიმა, მე რომ მიყვარდა და უთხრა:

— მაინც არ მძულხარ.

!

რა, რა ხდებოდა! მოედნისაკენ დიდი ჭოკი, მიჰქონდათ მსახურებს და ხელი რომ შემეშალა, რა არ ვიღონე, წინ გადავუდექი, ფეხებში ვედებოდი, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე და გადათელილმა, დამცირებულმა, სეირის საყურებლად გამოდენილ ხალხს ჩამოვუარე — ყველას თვალებში ჩავცქეროდი, ნიავად ველამუნებოდი, ვეხვეწებოდი ხმლის გაშიშვლებას, ამბოხს ვუბრძანებდი; ვინ დამიჯერა — არც კი გაუგიათ ჩემი, სეირის მოლოდინში ზოგი ხელებსაც კი იფშვნეტდა და კმაყოფილები იყვნენ. მე კი, უხილავი და უხმო, უსუსური, ტანსაცმლის კალთას თუ ავუფრიალებდი მსუბუქად ჩაცმულთ, სხვა რა შემეძლო, გაცოფებული ვენარცხებოდი ქვასა და მუხლებს, მაინც ჩემსას ვჩურჩულებდი და შესმენის იმედი მთლად რომ გადამიწყდა, დაკუნთულმა მუსიკოსებმა საზარელი კერენაი ააბღავლეს—შაჰი გამოჩნდა. იგი მოდიოდა მოედნისაკენ, მშვილდ-ისრით ხელში, მთელ მის ამალასაც მშვილდ-ისრები ეკავა და მოედნის შუაგულში კი, ჭოკის თავზე სამიზნედ მიკრული, ჩემი რჩეული მაჰმუდ აალი ტივტივებდა! შაჰი ამაყად მოდიოდა და ამალა ახლდა, უკეთესი რომ არ შეიძლებოდა — მხრებდაქანებული დიდი ავაზაკი, მოკლეხელება სიდ ბენ იჯნპალი, ყურმოჭრილი ხანი, ირიბად რომ ეხურა ჩალმა, ძაღლებივით გაწვრთნილი ასისთავები, ის ყბამონგრეული კაციც შევნიშნე, რომელსაც ახლა შაჰის ერთგულების დასამტკიცებლად მშვილდი გაედო მხარზე, და თვით მუყაოს იდიოტიც ისრებს ალესილ წვერს უთვალიერებდა. ხმა რომ მქონოდა, ხილული რომ ვყოფილიყავ! ის კი, განწირული, ჭოკის კენწეროზე მიკრული, ალბათ, ისიც ამალას შესცქეროდა, ველარ შევხედე, არა, არ შემეძლო! და როცა ახალგაზრდა შაჰმა ცხენი

შეაჩერა და მრისხანედ მოვუთვალიერე სახე, კერენაები მომეტებულად ააბღავლეს და მთლად მოვიჩვარე — ამ საზარელ, აბდაუბდა ღრიანცელში რაღაც ველური ჰარმონია მაინც იყო. და როცა შაჰმა მშვილდი გადმოიღო, უკანასკნელად შეეებრძოლე და, დაუძლურებული, სახეში ვეკვეთე, მაგრამ იმას ნიავი ესიამოვნა და კმაყოფილმა მომიშვირა სახე, თან ისარიც გადმოიღო და მშვილდი რომ დაჭიმა, გამწარებული ავვარდი ზემოთ, შემოვეხვიე და მაშინვე ვიგრძენი, ისარმა ზუზუნით რომ გამაპო და ჩემს რჩეულს, უცნაურ სპარსელს, ყელში ჩაესო — იმ ცისფერ ძარღვში, ოდნავ რომ მოუჩანდა. არ ვუყურებდი, მაგრამ ვიცოდი, სუსტად რომ აფართხალდა და აღარაფრის დანახვა და გაგონება არ მსურდა, მაგრამ საკრავები წამით დადუმდნენ, შაჰმა კი თვალი მოავლო ამალას, ხალხს და ღიმილით განაცხადა: „ვისაც ვუყვარვარ, ყველამ ესროლოს“. და მაშინვე აუარება ისარმა გამიარა და, რჩეულს შემოხვეული, ბრაზით აცახცახებული, ადგილს მოვწყდი და ისევ ზიზღით ჩავაცქერდი თვალებში ყველას, ყველას, ვინც კი ისროდა. მერე შორიდან ავხედე ჭოკს და გავშრი — უთვალავი ისრისაგან დამრგვალებულიყო კენწერო და აღარავინ ჩანდა, მისი დანახვა მომინდა და იმ აუარება ისარში, ზოგს სისხლი რომ სდიოდა, ათრთოლებულმა, დამცირებულმა გავიარე და უხმო ღრიალით შემოვეხვიე; და მე, უსუსურს, გამწარებულს, ერთი ნუგეში მაინც, მაინც მქონდა — ჰაერში მოკვდა!

სანამ მაგრად შელამდებოდა, ჩაშავებულ ფუღუროში შევიყუჟე და ჩემთვის ვგლოვობდი, მერე კი, შურისძიებითა და ბრაზით გაწელილმა, გოროზად გადავუარე მიძინებულ ქვეყანას, მთვარით აბჟუტებულ ზღვას და ახლა, თავად მბრძანებლის ფერხთით გაშოტილი, სისხლის აღების წყურვილით ანთებული, ჯიუტად ვევედრებოდი: „ან ხმალი აძგერებინე ვინმეს, თუგინდ — ისარი, ან საზარელი რამ სნეულება შეჰყარე, ბღავილსა და კბილთა ღრჭენაში რომ ამოხდეთ სული, რომელიც გინდა, ის დასაჯე, გინდ ავაზაკი, გინდა — ძუნწი ან იმისი შვილი, ანდა სულაც სამთავეს ერთად დაატეხე თავს შენი რისხვა, ერთ მათგანსაც დაგჯერდები, ერთერთს გევედრები, მტვერი შენთა ფერხთა, შენი ერთგული, დამცირებული და უმოწყალოდ გადათელილი... იმათ ჩემი რჩეული

მოჰკლეს, ვისაც მადერისად თავად დედაბუნება ჰყავდა, შენ რომ გენახა, როგორ დადიოდა, როგორ...

ავხედე და სიტყვა გამიწყდა — ყოველივე იცოდა.

სევდიანი და დაფიქრებული, ნაღვლიანად დამცქეროდა. რაღაცა ისეთიც იცოდა, მე რომ არც მომლანდებია, დიდხანს მიყურა და რომ შევკრთი, მკაფიოდ მითხრა:

— საბრალო ნორჩი!

ნაღდად ასე თქვა, არ მომჩვენებია. გონება ამემღვრა და მბრძანებელს, ყოვლისმცოდნესა და იდუმალს, მე, აღშფოთებული მსახური, უდიერად შევეპასუხე: „ვინაა საბრალო, ვინ — მუყაოს იდიოტი?! ის, ვინც ყოველგვარი გარჯის გარეშე მიირთმევს გემრიელ კერძებს, უძვირფასეს სამოსს აცმევენ, შადრევნებში დაიარება...“

მაგრამ მბრძანებელმა სუსტად გაიღიმა და მითხრა:

— ეგ არაფერი. სხვა?

სხვა რაღა უნდოდა, დავიბენი. მერე მაინც ყველაფერი გამახსენდა და სხაპასხუპით მივაყარე:

— უგუნურსა და ყეყეჩს, დიდად აფასებენ, წუწკი მამის დაგროვილი ქონების წყალობით!

მაგრამ მბრძანებელს წარბიც არ შეუხრია:

— ეგეც არაფერი, სხვა?

რომელი ერთი ჩამომეთვალა! და ყველაფერზე მეტად თვალშისაცემი რამ გამახსენდა:

— ბავშვობიდანვე მლიქვნელად ზრდიდნენ მშიშარა შამა და განსწავლული მადერისები! ჩემი რჩეული, ვისთვისაც უცხო იყო ამდაგვარი რამ, ახლა ჭოკის თავზე მრგვლად დაისრული, ბაბუაწვერასავით ამოსული მთავარ მოედანზე, მაგრამ რომელი სულისშებერვა გააცლის უმოწყალოდ ჩასობილ ისრებს, ის კი, მადერისებისაგან მოწამლული, ისეთ დათაფლულ სიტყვებს იძახდა!

მბრძანებელმა კი ჩუმად, ნაღვლიანად გაიმეორა:

— საბრალო ნორჩი!

თავისას ამბობდა, ალბათ კარგად ვერ გავაგებინე:

— რითია საბრალო, რა აქვს შესაცოდი?! ვის არ შეშურდებაიმისი ქონება, ოქროული და თვალ-მარგალიტი, ბედაურები, ბროლი და საფირონი და ერთი ისეთი ალმასი აქვს...

მაგრამ მბრძანებელმა მკაცრად გამაწყვეტინა:

— ყველანი წავლენ, — მითხრა და ისე შემაცქერდა, წამსვე მოვინუსხე და დავპატარავდი, — ერთი იცოდე, ეგენი ყველანი წავლენ და თუნდაც მთელი სიმდიდრე და ავლადიდება უზარმაზარ საფლავში ჩაატანონ, მაინც ვერავინ ვერაფერს წაიღებს იმქვეყნად, ეგ ერთი იცოდე, — და დამიყვავა, — მარჯვენა ხელო.

გაოგნებული შევცქეროდი, ის კი, განრისხებული, სადღაც შორს იყურებოდა:

— ის ბენ იჯნპალიც ნუ გგონია ბედნიერი და პროვინციელ ავაზაკსაც ერჩია, მთელი სიცოცხლე სოფელ მორდოვში მჯდარიყო. იმ უბედურ ნორჩისაც ნუ შეიძულებ ასე და ისიც იცოდე, ვინაა ბედნიერი...

ეგონა, რომ ყველაფერს მივხვდი და შეჩერდა, მაგრამ მე, მოკუნტული, მუჭისოდენა, ხარბად დავეკითხე:

— ვინ?

— ვინც რჩება.

რაღაცამ გამიელვა, შევეჭვდი:

— ვინ დარჩა?

იმან კი, მბრძანებელმა, ღიმილით შემომხედა და მითხრა:

— ვინც უყვარდათ.

თითქმის ყველაფერს მივხვდი და მაინც ხარბად, მოუთმენლად დავეკითხე:

— ვინ უყვარდათ?

იმან კი, მბრძანებელმა, მიუწვდომელმა და ყოვლისმცოდნემ, დაფარულმა, ალერსიანად შემომხედა, თავი მძიმედ დამიქნია და დინჯად, დამარცვლით მითხრა:

— მაჰმუდ აალი, მხიარულ ბორცვზე.

სიხარულმა რომ გადამიარა, არეული და დაფიქრებული, ნისლად გავიწელე ღამეულ ზღვაზე... მე ვიხსენებდი მბრძანებლის სიტყვებს და მაინც, მარად უძლური მის იდუმალ სიბრძნეთა წინაშე, საბოლოოდ ვერაფერში დავრწმუნდი და კიდევ კარგი, მთელი ჩემი უხილავი სხეულით ბრმად რომ ვგრძნობდი მისი სიტყვების ჭეშმარიტებას. სიფრიფანა ნისლად ვტივტივებდი ღამეულ ზღვაზე, დავცქეროდი მთვარის შუქზე ნაზად ამოზნექილ ტალღებს და თვალი დამიმშვიდდა. მერე გავხედე ზღვას და მივხვდი, რატომ

ეძახდნენ უკიდეგანოს, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, სად ჰქონდა ნაპირი და გულღმა ამოვტრიალდი. იქ კი, ცაზე, უამრავი ვარსკვლავი ჩანდა, და მე, ვისაც ღრუბლებს მიღმა ასვლა არ შემეძლო, მაინც მშვიდად შევცქეროდი ჩემთვის გამოუცნობ, შორეულ კაშკაშს და მხოლოდღა ის მიკვირდა, მიწიდან ასეთ ერთნაირ ციაგს როგორ დაარქვეს ადამიანებმა ისეთი განსხვავებული სახელები, როგორიცაა მეეტლე, ქალწული, ღრიანკალი...

1969 წ.

ჩემი ბუჯუტა, ჩვენი ტერეზა

ჰარალეთში ერთხელ ამბავი მოხდა, მტრისას.

ვინ იფიქრებდა და, იმ ამბის შემდეგ პარმენა დვალმა, მთელს გუბერნიაში სახელგავარდნილმა თამადამ, სმას თავი მიანება და, შეფიქრიანებული, ღამღამობით ვარსკვლავებს უჰვრიტინებდა — ყანწის ნაცვლად ჭოგრიტი ეკავა და თვალის მაგივრად პირზე კი იყუდებდა უცაბედად პირველ ხანებში, მაგრამ მერე შეეჩვია და ჭოგრიტს სწორად ხმარობდა. არადა, ამბავი მოხდა, ავ თვალსაც კი დაენახებოდა — ჰარალეთის ორი ტიტანი, ორი მოქალაქე, რომელთა უძლეველობაში ეჭვი არავის ეპარებოდა, ერთმანეთს შეერკინა და ხომ უნდა დამარცხებულიყო რომელიღაც, რაც ჩვენთვის, ჰარალეთელთათვის, წარმოუდგენელი გახლდათ და ისე, უბრალოდ კი არ წაქილიკდნენ, არა, ბატონო — ერთმა პერანგი გადაიძრო თავზე, უშნოდ გამობზეკილ ტოტზე ჩამოკიდა და ნამდვილად სწორად მოიქცა — მეტოქის დასაშინებლად ისე დაბურცა რიყის ქვასავით კუნთები, რომ პერანგს მაშინვე დაფლეთდა, მეორემ კი სახელოები დაიკაპიწა, ქამარზე ძეწკვით მიბმული საათი მოიხსნა და პირველივეს, ვინც თვალში მოხვდა, პატარა ხნით შენახვა სთხოვა და ცნობილი თამადის, პარმენა დვალის ნიშანზე ისე დაეძგერნენ ერთმანეთს და მერე და ძერე მუშტების ყრუ ბრაგაბრუგი რომ გაისმა, და ისე დაბზრიალდნენ, რომ შემკრთალ პარმენა დვალთან ერთად ხალხი მახლობელ ხეებზე აძვრა და ამ შერკინებას ასე უმზერდა.

ჰარალეთში რა არ მომხდარა, მაგრამ ამდაგვარი? აჰ, არა არა... ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, მაგრამ

სწორედ ჰარალეთში, დიდი ქორწილისას, შემწვარ გოჭს კბილებშუა მსოფლიოში პირველად გაუჩარეს ბოლოკი და ასე მიართვეს თამადას. ბუნებრივია, სუფრის გამოცოცხლების ეს ახალი ხერხი, საერთო აღტაცებისა და ერიამულის გამომწვევი, მეზობელ ქალაქებსა და სოფლებს სწორედ ჰარალეთიდან მოედო, მერე გადასწვდა შორეულ დაბებსა და ვრცელ დასახლებებს და ბოლოს, ბუნებრივია, ისე გავრცელდა, რომ აღარცვის ახსოვდა, სწორედ ჰარალეთში დიდი ქორწილისას პირველად რომ გაუჩარეს შემწვარ გოჭს დრუნჩში ბოლოკი. მაგრამ ორი ჰარალეთელის შერკინების ამბავი, დიდად სამახსოვრო, არ მინდა უკვალოდ გაქრეს და შერკინების შემდეგ გუბერნიის ტენორმა, პალტოს საყელოზე კრაველშემოვლებულმა ოსიკო არჯევანიძემ კი აღნიშნა, რომ „ასეთ დიდებულ სანახაობას არასოდეს გადაეფარება დავიწყების მტვრიანი, მონაცრისფრო ფარდა“, მაგრამ მაინც, მე, თქვენი მონა-მორჩილი, დიდად ვშიშობ, „დროთა უწყალო დალმა-დინებამ“ (ესეც ოსიკო არჯევანიძის სიტყვებია) არ წაშალოს ეს უმაგალითო შერკინება და ისე კი, რომ ითქვას, სულ შაშია კუტუბიძის ბრალი გახლდათ ყველაფერი, და რომ არა თქვათ, რის შაშია, რა კუტუბიძეო, აქვე მოგახსენებთ, რომ შაშია კუტუბიძე ჰარალეთის თეატრის დირექტორ-ადმინისტრატორი იყო.

ჩემი ჰარალეთი... ჩემი ქალაქი, მიხვეული, მოხვეული, მთებშუა ზვავად ჩავარდნილი, თავისთვის იდგა, ვის უშავებდა რამეს. ჯერ იყო და, უბრალო, მომცრო სახლებით იწყებოდა, ეზოებში ვარდი, გეორგინი იდგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგი ხასხასა მოლიც გვიბიბინებდა ეზოებში, ხეები იდგა მწვანედ გატიკინებული და ჩრდილი ზაფხულში კი იყო და ზამთრობით არ იყო, მაგრამ არც გვინდოდა, სახლს უკან ვენახები გვქონდა, ეუვლიდით, ვრწყავდით, ჭურები გვეგულებოდა მარანში, ღვინო ორშიმოთი სულ ლიკლიკით ამოგვქონდა, შეჭამანდს ხის კოვზებით შევექცეოდით, თაღიანი ბუხრები გვედგა სახლებში, ზამთარ-ზაფხულ კვამლი ასდიოდა ჰარალეთს, ნაკვერჩხლებზე ჭყინტ სიმინდს ვწვავდით, კვამლი თვალებში გვხვდებოდა და ცრემლი გვდიოდა, ხოლო დრო, მოგეხსენებათ — გადიოდა. ამ უბრალო სახლების შემდეგ, სადაც ჭეშმარიტი ჰარალეთელები ვცხოვრობდით, ქვემოთ და ქვემოთ, უფრო დიდი, შთამბეჭდავი სახლები იდგა, სახურავებზე ოქროსფერი რკინის მტრედებიანი, აივნებიანი, შუშაბანდებიანი და სამართ-

ლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იქაც ჭეშმარიტი ჰარალეთელები ცხოვრობდნენ, ქალაქის ცენტრში კი, მთავარი მდინარის პირას, რომელზეც გაზაფხულობით ხიდად მორი იყო გადებული, ჰარალეთის სიამაყე, სამსახურეობანი შენობა იდგა, სვეტებიანი, მარმარილოთი მოპირკეთებული. ჰარალეთის მშვენება მისი ადამიანები გახლდათ — ზოგი ცუდი, ზოგი უფრო ცუდი. ზოგიც კარგი და საშუალო, ჰარალეთის მთავარი სიამაყე კი სწორედ ეს საბსართულიანი შენობა იყო, ყავისფერი დრამატული თეატრი. დირექტორის დანიშვნაზე ბევრი აღარ უფიქრიათ, შაშია კუტუბიძემ განაცხადა, ახალგაზრდობაში მომღერალი ვიყავიო, იმხანად კი ჩურჩულით ძლივს ლაპარაკობდა, ხოლო ავი ენები იძახდნენ, სანთლის არაყმა გადაუწვა ხმაო და იგივე ავი ენები იმასაც ამბობდნენ, შაშია კუტუბიძეს მისდღემჩი არ უმღერიაო და თუ ლოთის დანიშვნა ყოფილა აუცილებელი კულტურულ ადგილას, ბარეღამ პაპიკოლოთი დაგენიშნათო, თუმცა პაპიკოს აზრადაც არ მოსვლია ეს, რადგან ჩუმი ლოთი გახლდათ და კულტურულ თანამდებობას ჩრდილში ყოფნა ერჩია. შაშია კუტუბიძე მანამდე საბილიარდოს გამგე იყო და ამანაც შეუწყო ხელი — საბილიარდოც კულტურული დასვენების ალაგია და ჩვენც გვაქვს, ბატონო, რაღაც გამოცდილებაო... მერე, ისიც კი იცოდნენ დამნიშნავებმა, ქალაქის თავის მოადგილემ კაკოია გაგნიძემ და იმისმა თანაშემწემ ბუხუტი ქვაჭარავამ, რომ თვით სანკტ-პეტერბურღში დაწინაურებული ჩინოვნიკოსვეტნიკი გულბაათ კანსტანტინოვიჩ კუტუბიდზე შაშიას ნათესავი თუ არა, მოგვარე მაინც ნაღდად იყო და, რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ამდენს რომ გიყვებით, ეგეთები მომხდარა? — დანიშნეს, მოკლედ, შაშია დირექტორად. ერთი ურიადნიკიც, გვარად კაველაძე მიუჩინეს წესრიგის დამცველად და ზორბა მაუზერით ქამარზე, წარმოდგენებს პირდაფჩენილი, გატაცებით უყურებდა, მაგრამ როცა გაიგეს, კაველაძე ყრუ ყოფილაო, აბა რაღას უყურებსო და ალბათ ვერიკო თიროშვილი თუ მოსწონს, თორემ სხვა რომელი არტისტი მოეწონებოდაო, დაასკვნეს. კაველაძე დღედაღამ თეატრში იყო, გრძელ ქარქაშს ხელისგულით მაგრად მიიჭერდა ბარძაყზე, სკამის ფეხს ხმაურით რომ არ წამოსდებოდა, და რეპეტიციაზე ასე შედიოდა. ერთი მოწვეული რუჟისორი დიდი უცნაური, ესე იგი, თავისებური კაცი აღმოჩნდა. და ფეხისწვერებზე მომავალი ზონზროხა კაველაძის დანახვაზე გაბ–

რაზებულმა შესძახა: „გაბრძანდით გარეთ, მოქალაქეე, მე არ მსურს, უცხო ხალხმა რომ გაიგოს ჩემი მუშაობის მეთოდიო“. იმან არ იცოდა, კაველაძე ყრუ რომ იყო და ეს რომ აუხსნეს, მაინც სიტყვის კაცი აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ რაღაცა ცუდს ეძებდარი კაველაძე დამანამუსებლად უმზერდა — „ასე ჩვენში, ხომო?“ — მაინც თქვა: „მერე რა, მაინც არ მინდა, ყრუმ და ათასნაირმა... ეე... ათასნაირებმა ჩემს მეთოდს რომ უყურონო“, და გარეთ მიაბრძანა დიდად ენერგიული, ჭეშმარიტად თეატრალური ჟესტით. ასე რომ, ნირწამხდარი კაველაძე იმისი რეპეტიციების დროს თეატრის შესასვლელთან, მტვრიან კიბეზე მოწყენილი იჯდა და მაუზერით კაკალს ტეხავდა, ძალიან უყვარდა ნედლი კაკალი. სხვა დროს სულ თეატრში იყო, ხან პარტერში ბოლთას სცემდა, ქანდარაზე ადიოდა, ღამითაც თეატრში რჩებოდა, ჩაკეტავდა ურდულით კარებს, მიმოიხედავდა, ხომ არსაიდან ბოლავდა და შუა სცენაზე დადგმულ დიდ სკივრს მიაშურებდა. ეს სკივრი წარმოდგენისას ბევრნაირ მოვალეობას ასრულებდა — ხან საწოლი იყო, ხან მაგიდა, ხან კიდევ საფლავის ლოდი და კიდევ ვინ ჩამოთვლის, რა... ხოდა, მიაშურებდა კაველაძე სცენის შუაგულს და ჩვენ, ფანჯარაზე გარედან აკრული გოგო-ბიჭები, გაფაციცებულნი შევყურებდით, როგორ გაიშლიდა ლოგინს დიდ სკივრზე, რომელშიც ატლასის ფარდა, პუდრი, პომადა, პარიკები და ამგვარი რამერუმეები ინახებოდა; მერე კაველაძე მოიხსნიდა მაუზერიან ქამარს, ღვედზე ჩამოკიდებულ ხმალს თავს ზემოთ გადაიძრობდა, გაიხდიდა მძიმე ჩექმებს და, სკივრზე ჩამომჯდარი, დაბუჟებულ ფეხის თითებს ნეტარებისგან თვალდახუჭული აათამაშებდა, მერე გაიხდიდა ურიადნიკის ხალათს, შარვალს, გემოვნებისდამიხედვით ააფუებდა ბალიშს, ტყუპად ასწევდა კანჭებს და ლოგინზე მოკალათდებოდა, მერე საბანს დაჭორფლილ ბეჭებზე წაიხურავდა და ახლა რომ ვუკვირდები, რამდენი წელი გავიდა და მე, ვისაც ბედმა რომელი თეატრი არ გინდა და რანაირიღა მსახიობის ყურება არ მარგუნა, მაინც თავისუფლად, მაინც უპოემანოდ შემიძლია ვთქვა, რომ ურიადნიკ კაველაძესავით ბუნებრივად არავინ მოქცეულა მსოფლიო თეატრების სცენებზე.

ჰოდა, თეატრში, საღამოობით, ხალხი იკრიბებოდა. გამოვეწყობოდით ჰარალეთელები შედარებით კარგად, ვისაც რა გვქონდა, ქალები მორჩენილ ოდეკოლონ „ფანტაზიას“ ბავშვებსაც გვაპკუ-

რებდნენ თავზე, ჩაგვკიდებდნენ ხელს, მეორეში ქოლგები ეკავათ, კაკალა მამიდას რკინის ყუთში, რომლის გასაღებიც შაშია კუტუბიძეს ებარა, შაურიანს ჩავაჩხარუნებდით, შევიდოდით პარტერში, ფარნები ბდღვიალებდნენ სცენაზე, ჩაბნელებულ დარბაზში „ფანტაზიის“ სუნი იდგა, კაკალა მამიდა რკინის ყუთით იღლიაში განზე გასწევდა მავთულზე ჩამოკიდებულ ყვითელ ატლასის ფარდას, აგერ გამოვიდოდა ჩვენი ტიტიკო ღლონტი, ინგლისელი გრაფი იყო ვითამ, აიღებდა ხის ხმალს და გაურჭობდა შიგ გულში თავის ბიძაშვილ ეფრემა ღლონტს, ტიროდა ცხარედ ესპანელთა პრინცესა ვერიკო თიროშვილი, შაშია კუტუბიძე სადმე მიფარებულში შაურიანებს ითვლიდა და, მოგეხსენებათ, დრო გადიოდა.

თეატრი ბევრს გვიყვარდა ძალიან, რამდენიმე ჰარალეთელს კი, წარმოიდგინეთ, დიდად არ ეპიტნავებოდა. ზოგს, მაგალითად, ფული ენანებოდა და ამბობდა, ტიტიკიას ღლიცინში რა ყრიაო, სხვასაც ფული ენანებოდა, მაგრამ ამბობდა, ამდენი ხალხის ნასუნთქ ჰაერში ბაცილებია, ბატონო, და მესამეთაც ფული ენანებოდათ და ჩიოდნენ, წელი მაქვს გაკავებულიო, მუცალავსო და რა ვიცი, ასე... კი გვიყვარდა მაინც ჩვენი თეატრი უმრავლესობას, კარგი იყო თუ ცუდი იყო, ჩვენი იყო და ჩვენ რომ არ გვევლო, აბა, სხვა ქალაქებიდან ივლიდნენ?!. დავდიოდით ასე, დროგამოშვებით, ნება-ნება, და როგორც იქნა, ოსიკო არჯევანიძის მამა, ღრჯუ და პირქუში სამსონა არჯევანიძე, ერთადერთი კაცი, ვინც არასოდეს ყოფილა თეატრში, ძლივს დაითანხმა შვილმა — იმას, ოსიკოს შემხედვარეს, თეატრი და საერთოდ, ხელოვნება ჭირის დღესავით სძულდა — შვილი წამართვა ხელოვნებამ, ყანაში აღარ მეხმარებაო — ჰოდა, დღენიადაგ ჩამოფლეთილ ტანსაცმელში გამოწყობილმა, ოსიკოს დაჟინებული ხვეწნა-მუდარის შემდეგ — „არ შეიძლება აგრერიგ, მამავო,“ მოირგო ახალი ჩოხა და ეზოში გამოვიდა. ერთი გამოპენტერებული ძაღლი ჰყავდა, რაღაცა ქრონიკული სურდო სჭირდა, აცხიკვებდა წარამარა და სულ რომ დაკარგა ყნოსვა, ადამიანებს ჩაცმულობისდა მიხედვით არჩევდა ჩინივნიკივით, და რომ დაინახა სამსონა არჯევანიძე, ეზოში სულ სხვა ეშხით მომავალი, არ ეტაკა და არ უკბინა? გადაირია სამსონა — თქვენ და თქვენი თეატრიცო, ისევ გამოეწყო ძველმანებში და „არ შეიძლება აგრერიგ, მამავო“, მწუხარედ აღნიშნა ოსიკომ და კიც მოხვდა პალო კოპებში. ჰოდა, იმის შემდეგ, ქუდი შეგეგდოთ კი

არა, შარვალ-ხალათიც ზედ რომ მიგეყოლებინათ, სამსონა მაინც არ შეევიდოდა თეატრში, სადაც მისი უფროსი შვილი, ოსიკო არჯევანიძე, ანტრაქტებში ცნობილ სიმღერას — „შშვენიერთა ხელმწიფეს“ ქანდარისაკენ ხელაპყრობილი მღეროდა.

ქალაქის თავის მოადგილე კაკოია გაგნიძე და იმისი თანაშემწე ბუხუტი ქვაჭარავა მხოლოდ პრემიერებზე დაიარებოდნენ და შაშია კუტუბიძე პირველ რიგში კაკოიასათვის ბალიშს დებდა სკამზე, საზურგეზე კი მუთაქას მიაყუდებდა. ბუხუტი ქვაჭარავასათვის მხოლოდ ბალიში იყო განკუთვნილი — ხომ უნდა ყოფილიყო რაღაც განსხვავება უფროს-უმცროსში თანამდებობით, თორემ ისე ქვაჭარავა ასაკით უფროსი გახლდათ — და ვერაფერი პატივისცემა იყო, ჩემის აზრით, პირველ რიგში ჯდომა — მთელი მტვერი იმათ ეყრებოდათ თავზე. ურიადნიკი კაველაძე, ფეხზე მდგარი და ბიდელს მიყრდნობილი, ხმალჩამოკონწიალებული, ისევ პირდაფჩენილი მისჩერებოდა ვერიკო თიროშვილს, მოგეხსენებათ, დრო — გადიოდა და დრო რას არ სცვლის და მერე სხვა ქალი აშოიჩემა, მერე — კიდევ სხვა და, თავის სკივრზე თავმიდებულს, თამამ სიზმრებში ხან ვერიკო თიროშვილი ესიზმრებოდა, ხან მარგალიტა თალაკვაძე, ხან კიდევ მაკრინე ჯაში და ლუიზა თუშაბრამიშვილი. ისე, სიტყვიერად, ვის გაუმხელდა თავის ოცნებებს, ფეხისწვერებზე დაბოდიალობდა თეატრში, მალულად უჭვრიტინებდა სხვადასხვა ქალებს და მხოლოდ ასე, ოცნებებში იცვლიდა გულის რჩეულებს, მაგრამ ისე ხშირ-ხშირად, თუკი შეიძლება ასე გამოითქვას, ურიადნიკი კაველაძე პლატონური დონ ჟუანი იყო.

და ყოველ ტაშის გაგონებისთანავე, ტკბილ ბურანში ჩაძირულ ოსიკო არჯევანიძეს ელანდებოდა საკუთარი თავი, მუხლამდე ვარდებში ჩაფლულს, მილანის ცნობილ „ლა სკალაში“ „ბის“-ზე წარდგენილს, ლოჟა-ქანდარებისაკენ ჰაეროვანი კოცნის ტყორცნითა და თავის ღრმა დაკვრით გართულს, წარმოედგინა ასეთი აფიშაც — „საოცრება მთა-გორიანი კავკასიიდან — ტენორი ოსინიო ჰარალეთინი—ყოველი ქალის ოცნება“, და ეს აფიშა ისეთი ცხადი და თანაც ისეთი საეჭვო იყო, განსაკუთრებით „ჰარალეთინში“ ბგერა „ჰ“ ისე აინტერესებდა, რომ შაშია კუტუბიძეს დაეკითხა, ნეტაი იტალიურში „ჰ“ თუ არსებობს, და ყელგადაბწვარმა შაშიამ აღშფოთებისაგან სულ ხრიალ-ხრიალით უთხრა, აბა რა, ბიჭო, „ჰ“ რომ არ იცოდნენ იტალიელებმა, „ჰ“—ამლეტს ისე ხომ ვერ დადგამდნენ

და რავა გგონია, იტალიანაში „ჰამლეტი“ არ იქნება დადგმულ-განსახიერებულიო? ოსიკოსაც დაუჯდა ჭკუაში ეს აზრი, და აფიშამ მეტი დამაჯერებლობა მიიღო — თარიღიც კი გაჩნდა ზედ.

ხოლო დრო, მოგეხსენებათ — გადიოდა.

1

ტერეზას ეზოში ქათმები სულ ყვინთვა-ყვინთვით დაიარებოდნენ, რადგან ღამით ტერეზას ხვრინვა არ აძინებდათ.

ისე, რა უცნაურია, მაგალითად, სახელის დარქმევის ამბავი.

იმ დღეს, ტერეზა რომ დაიბადა, თურმე ჰარალეთში ვიღაც ევროპელმა მოგზაურებმა ჩაიარეს დახურული ეტლით. რაღა მაინცდამაინც ჰარალეთში მოუნდათ ჩხუბი და დავიდარაბა, თუმცა, რა იცი, ზოგი ცოლ-ქმარი ყოველ ნაბიჯზე კინკლაობს, მაგრამ მაინც არა მგონია, ცოლი ყოველდღე რაიმე ნივთს რომ ესროდეს ქმარს, მერე სად — შიგ თავში. კივილ-ყვირილზე მეეტლემ ცხენები შეაჩერა, მსუბუქი ფარდა ნიავმა ააფრიალა და ვარდისფერლოყებიანმა, ნაზმა, ლამაზმა კაპარჩხანა ქალმა თლილი, მოქნილი თითებით ჩანთიდან კოლოფი ამოიღო და თავში ესროლა აღელვებულ მამაკაცს, კოლოფი შუბლმა აისხლიტა და ღია ფანჯრიდან ჰარალეთის ტერიტორიაზე დავარდა, განრისხებულმა კაცმა ხელი მოიქნია, მაგრამ დროზე შეაჩერა, ქალმა უყურა, უყურა, კაცმაც უყურა და მერე, უეცრად ერთმანეთს დაეძგერნენ, ხელები შემოჰხვიეს და გაბმული კოცნით ერთმანეთს კინაღამ არ ამოხადეს სული და ფარდაც დაიხურა და ეტლი წავიდა. დარჩა მხოლოდ სურნელოვანი კოლოფი, რომელშიც ერთ დროს რაიმე ძვირფასი ოდეკოლონი, ანდა პუდრი ინახებოდა და რომელზეც მცოდნე კაცმა არდალიონ ჭედიამ ამოიკითხა უცხო რამ სახელი — „ტერეზა“ და სამსონა არჯევანიძეს ბევრი აღარ უფიქრია, მეორე ვაჟიშვილს სწორედ ეს სახელი შეარქვა.

ტერეზა სამი წლისა რომ გახდა, თავისი უფროსი ძმა, რვა წლის ოსიკო პირველად მაშინ გალახა, ძლივს გააგდებინეს ხელიდან. მერე იყო და, შვიდი წლისამ, სამსონა არჯევანიძე შაშიასთან ერთად სანთლის არაყით დედმამიშვილების სადღეგრძელოს რომ სვამდა, სამფეხა სკამს ქვემოდან თავი ამოსდო, ერთი კი დაიძაბა და შაშია კუტუბიძე სკამიან-ჭიქიანად ააყირავა და ჩამქრალ ბუხარ-

ში ლოყით გაადენინა ბრახვანი, გაბრაზებულ, ხელმოქნეულ სამსონას კი მკერდში ატაკა თავი და ისიც შაშიას გადააამხო, დაბნეულ შაშიას ეგონა, სამსონამ მიყო ეს ოინიო და ლოყაში სტკიცა, სამსონამ კი ნაცარი შეაყარა თვალებში და ამ დროს ის სურდოიანი ძაღლიც შემოვარდა და თვალდავსებული შაშია თავით-ფეხამდე დაკბინა, შაშია კი ხრიალებდა: ნუ მბწკენ, სამსონა, თორემ განანებო, ხოლო ტერეზამ კაი შოთი პური ამოიდო იღლიაში, ჭყინტი ყველი და წავიდა ტყეში. თორმეტი წლისას მთელი ჰარალეთი ერიდებოდა, საწყალი ოსიკო კი, რომელსაც ღამ-ღამობით ყვირილი დასჩემდა, დიდ ქალაქში გაგზავნა მამამისმა, აქ შიშით მომიკვდება, ბატონო, თავისი ძმის ხელში და იქ ეგება ხელობა ისწავლოს რამეო, და ოსიკო რამდენიმე წლის შემდეგ პალტოს საყელოზე კრაველშემოვლებული რომ დაბრუნდა და ტენორობა ვისწავლეო, თქვა და „მშვენიერთა ხელმწიფა“ თვალებმილულულმა შემოსძახა, ვაი მე, უბედურსო, თავზე ხელი შემოირტყა სამსონამ, ამისი იმედი მაინც მქონდა და ზოგს ყველა შვილი კარგი რომ გამოუვა, მე რატომ არ გამომადგა არც ერთიო, და შაშიამ ჩაიხრიალა, კიდევ კარგი, შვიდი რომ არ გყავს ზოგიერთივითო. ერთადერთი, რაც სამსონას თავისი უმცროსი ვაჟიშვილისა მოსწონდა, სახელი გახლდათ, მაგრამ ნასწავლმა კაცმა, არდალიონ ჭედიამ თქვა, ქალის სახელია ეგ სახელიო და სამსონამ, ღრჯუმ, აქ კი თავი ვეღარ შეიკავა — როგორაა ქალის სახელი, როცა ამას ჰქვიაო და რანაირადაა ეს ქალიო... მართლაც, ტერეზა ქალის გარდა ყველაფერი იყო, სხეულის აგებულებას სულაც თავი რომ დავანებოთ, ყველა ჰარალეთელს ერთად გალახავდა, და ყველამ მასხრად აიგდო არდალიონ ჭედია და იმანაც, ცოდნა წყალში რომ არ გადაჰყროდა, თქვა, არა, ბატონო, კაცის სახელიცაა, ამჯთანავე საბერძნეთში ერთი ბრმა მკითხავი იყო, იმას ერქვა ტერეზიაო, ხოდა, ტერეზა და ტერეზია რამ გაყო და ისე, ქალსაც კი ჰქვია ხანდახანო, მაგრამ სამსონა მაინც ნაწყენი დარჩა — რაღა ჩემი შვილი მოიყვანე მაგალითად, აგერ ერთი და იგივე სახელია შურა და ქალსაც ჰქვია და კაცსაც. საშაც ეგრე არ არისო, პარმენამ, დვალმა. მოკლედ, ტერეზა ისეთი ყმაწვილი იყო, ათ კაცს უდრიდა სხეულითა და ღონით, ხოლო რაც შეეხება ჭკუას, უკაცრავად პასუხია, მაგრამ... მოკლედ, ჭკუით ვერ დაიკვეხნიდა. დიდად საკვირველი კი იყო, საიდან ჰქონდა იმოდენა ღონე. მე, მაგალითად, გამიგია ისეთი ხალხი, რომელნიც დღენია-

დაგ ვარჯიშობენ, სხეულს იკაჟებენ, კუნთებს იდიდებენ გამუდმებული ვარჯიშითა და სხეულის წრთობით და შემდეგ ფოტოსურათებს გაჯგიმულნი იღებენ, მაგრამ ტერეზას თავის დღეში არც უვარჯიშია, არც ტანი დაუზელია სველი ტილოთი, არც ურბენია აღმართ-დაღმართ ზოგიერთივით, თოხს დააჭერინებდი კი არა, ღვინოს არ ამოიღებდა ჭურიდან, ჭიდან წყლის ზიდვას სულაც თავი რომ გავანებოთ, და საიდან ჰქონდა იმოდენა ღონე, კაცმა არ იცოდა, ვერავინ ვხვდებოდით. ერთადერთი იმისი ვარჯიში ის იყო, ვინმეს მიეპარებოდა, იღლიაში ხელებს სტაცებდა და ჰაერში ისროდა ჭინჭის ბურთივით. ამას კიდევ არა უშავდა, მიწასთან მიახლოებულ მსხვერპლს ნაზად იჭერდა, მაგრამ ერთხელ ვიღაცამ დაუძახა და მიტრიალდა — სულ გადაავიწყდა ჰაერში აგდებული კაცი და მოგეხსენებათ, ალბათ, დედამიწის მიზიდულობის კანონი და ამიტომ ჰარალეთელები ერთთავად კედელ-კედელს აკრულნი დავიარებოდით, ტერეზა რომ არ მოგვპარვოდა; ყველას ამოგანგლული გვქონდა ზურგზე ხალათი. ვინმე რამეს გაუბედავდა თუ რა — თვით ბოქაული ტიტვინიძეც კი, ჰარალეთის რისხვა, ვითომ ვერ ამჩნევდა იმის გამოხდომებს (ცარიელი კასრის დაგორება უყვარდა ქვაფენილზე და ეტლების გადაყირავება), ისე კი, ტერეზაზე, ალბათ, ძალიან ბრაზდებოდა, რადგან მისი ყოველი უმსგავსი საქციელის შემდეგ მოედანს თვალს მოავლებდა, პაპიკო-ლოთს დაინახავდა და, ტერეზაზე გაბრაზებული, იმას შეუძახებდა:

— მოდი აქ შენ!

ჩვენი პაპიკო-ლოთიც წყნარად წამოდგებოდა ჩრდილიანიდან და შორიახლოს აეტუზებოდა.

— რა გქვია, ბიჭო, შენ?!

— პაპიკო.

— ლაპარიკი! — დაიქუხებდა ტიტვინიძე.

იდგა ჩვენი პაპიკო თავისთვის, ვის უშავებდა რამეს.

— რა დღეა, ბიჭო, დღეს?!

— ოთხშაბათი.

— ლაპარიკი! — როგორ გავიდნენ თავს, ხედავ? — გაჯგიმულ მკერდზე დაიხედავდა და მოხრილ პაპიკოს ისევ ეკითხებოდა:

— ხვალ რა დღე იქნება?

— ხუთშაბათი.

— ზეგ?

— პარასკევი.

— ლაპარიკი!!

მერე ტერეზას ცალი თვალით გახედავდა, „სმიტის, ვენსონისა და K°"-ს ტიპის ცეცხლმსროლელზე მოისვამდა ხელს და იტყოდა:

— ბუხუტი ქვაჭარავას ფაეტონს ხომ არ ჩაუვლია აქ?

მაგრამ პაპიკო, ჩემო ბატონო, ამჯერად ხმას არ იღებდა...

— ხომ არ ჩაუვლია-მეთქი!

იდგა პაპიკო ჩუმად.

— არ ამბობ, ხომ? — იფეთქებდა ტიტვინიძე, — მოლაპარაკებაა, ხო? ბუნტია ხომ, ბუნტი?! კაველაძე, მოდი აქ!!

ჩვენი ურიადნიკიც ქარქაშს ბარძაყზე მიიჭერდა და სმენადქცეული მიუახლოვდებოდა, თუმცა, სმენა სად ჰქონდა, ყრუ იყო.

— ბუნტია, ხომ? კაველაძე!

— ცხრამეტია, მგონი... — ამბობდა კაველაძე.

— რა ცხრამეტია, ბიჭო... — იბნეოდა ბოქაული.

— ივლისის, უფროსო.

— ჰატ! — ჰქუხდა ტიტვინიძე, — მე თქვენ გაჩვენებთ! აგიყოლიეს ხომ, მასხარაობაში, ხომ? მოგჭრით ყველას თავს!!!

პაპიკოს, ჩუმ ლოთს, ლურჯი თვალები ჰქონდა.

ჰარალეთში რა ქორწილი უნდა ჩატარებულიყო ისე, სუფრის თავში პარმენა დვალი რომ არ მჯდარიყო, ლექსიც კი მიუძღვნა ერთმა: „გული შენ უნდა გვიხარო, სუფრისა თავსა ზიხარო" — პარმენა დვალი დიდ, სასახელო ყანწს რომ მიიყუდებდა პირზე და ყანყრატო დგუშივით თანაბრად რომ აეწ-დაეწეოდა, პარმენა დვალი მაცდურ ჭინჭილიდან ბოლო წვეთს რომ გამოწუწნიდა, პარმენა დვალი გულღია ჯამს რომ დაეწაფებოდა, პარმენა დვალი მთელ სუფრას რომ აჩვენებდა გადმოპირქვავებულ სასმისს, ამის დანახვა ერთ რამედ ღირდა, ხოლო ათ რამედ ღირდა იმისი ლაპარაკი — დასურათხატებულ სადღეგრძელოებს ამბობდა. რას არ იტყოდა იმისი ენა: „გუგულებივით ზიხართო", „იკუჭკუჭ-იჭუკჭუკითო", „უმთვარო ღამის ციურ-მანათობელო ვარსკვლავო და მზიან დღის შუქისა დამჩრდილვარეო", „დღით ღამის ტურფად მომყვანო და ღამისა გამნათებელოო", „სამშობლო ერთიაო" და ასე, ხუმრო-

ბაც კარგი იცოდა, სიტყვა-პასუხიც. ხმაც მშვენიერი ჰქონდა და, სახეაწითლებული, ყელს მოიღერებდა და მეორე ხმას თვალდახუჭული, ეშხით ამბობდა, მერე ახალ სადღეგრძელოს იტყოდა, მოწყენილს გამოაცოცხლებდა, აღგზნებულს — დააშოშმინებდა და ერთი ნაკლი ის ჰქონდა, რომ თამადობაში ფულს იღებდა — ვის არ გვაქვს თითო ნაკლი. მაგრამ სხვა საქმე იმას არ ჰქონდა, ეს იყო მისი ხელობა და რა ექნა — ვერ ვამტყუნებდით. ისე კი, გამოთრობა ხშირად უწევდა და ბოლო დროს სახე წითლად დაელაქა, ცხვირიც წითლად აუხაზასდა და, ვაიმე, ლოთი არ ვეგონო ამ ხალხს და ფასი არ დამეკარგოსო, გაიფიქრა და ერთ მშვენიერ დღეს, ხალხის თანდასწრებით, ჩვენს პაპიკოს მიუტრიალდა და უთხრა: „რაა, კაცო, ამდენს რომ სვამ“.. პაპიკომ ერთი კი ახედა და მერე ისევ წავიდა თავის ამღვრეულ ფიქრებში. „ნუ სვამ, ბიჭო, ნუ, — მიმართა პარმენა დვალმა, — ლოთობაზე ცუდი რაა ამ ცხოვრებაში... მე, მაგალითად, — და ხალხს მოავლო თვალი, — სამ იმდენს ვსვამ ყოველდღე, ვიდრე შენ ერთ კვირაში, მაგრამ ლოთი კი არ ვარ, ბიბია — მე რომ ვსვამ, ვმხიარულობ, ხალხიც მხიარულობს, ამბებს ვყვებით, შენ ხარ ჩემი ბატონი, შენ კი, პაპიკო, რატომ ხარ სულ ასე ჩუმად, სადღეგრძელოსაც არ იტყვი ისე დალევ ერთ-ორ ჭიქას და მიჯდები, კიდეც ხის ჩრდილში. არ ვარგა ეგრე, პაპიკო, ან სულ ნუ დალევ, ანდა ბევრი დალიე და მხიარულად, არ ვარ სწორი?“

მაგრამ პაპიკო წყნარად იჯდა და ნაღვლიანად დასცქეროდა მიწას.

„რას გაჩუმებულხარ ქვაზე დახატულივით?!. — გააცინა პარმენამ ხალხი და სიცილი რომ მიწყდა, განაგრძო: — მე რომ გიკვირდები, რაღაცა დარდი უნდა გქონდეს შენ. ახლავე გეტყვი, რატომ — მუშაობა შენ არ გეზარება, ვინმე დახმარებას რომ გთხოვს, ყველას ეხმარები და ფული სულაც რომ არ ზოგცენ, არ დაგცდება სიტყვა... ქვაზე დახატულივით, — იხუმრა ისევ, — ბოროტი კაცი შენ არ ხარ, შენი ცუდი საქმე კაცს არ გაუგია, შეყვარებულიც არ უნდა იყო — ეგ ისეთი ამბავია, ისეთი რამაა, მაინც გაუმხელდი ვინმეს, ანდა სულაც ჩვენით შეგამჩნევდით და სხვა რაღა რჩება, დარდი გაქვს რაღაცა გულში...“

მაგრამ პაპიკო ისევ წყნარად იჯდა და ძველებურადვე ნაღვლიანად დასცქეროდა მიწას.

ახლა, შენ რომ დაგჩერებივარ, — განაგრძო პარმენმა დვალ-

ბა, — შვილებს გეფიცები, გული მტკივა — კი ხარ ლოთი და საბარცხვინო, მაგრამ მაინც ჩვენი ხარ, ბიჭო, ჩვენში გაიზარდე, ერთი წყალი გვისვამს, ერთი ჰაერით გვისუნთქია და ამიტომ მტკივა გული შენს შემხედვარეს, აბა!..“

პაპიკომ თავი ასწია და სადღაც შორს, გადაკარგულში გაიხედა.

„ახლა რაღაცა უნდა გკითხო და უნდა მითხრა აქ, აქავე, ამ ხალხში, — განაგრძო პარმენამ და ურიადნიკ კაველაძისათვის არც შეუხედავს, ისე იხუმრა, — როგორ მოგვჩერებია ეს ბედოვლათი, ვითომ ესმოდეს რამე... — დიდი სიცილი ატყდა და კაველაძეც ხალხს უგულოდ აჰყვა, მაგრამ მერე შენიშნა, ყველა მხოლოდ მას რომ შესცქეროდა, პაპიკოსა და პარმენას გარდა და რაღაცა ცუდი უგრძნო გულმა, მაგრამ ამ დროს პარმენამ რჩევა-დარიგება განაგრძო და თვალი მოაცილეს, — ჰოდა, პაპიკო-ჩემო, რაღაცა მინდა გკითხო და შემომხედე ერთი, თუ კაცი ხარ...“

პაპიკომ თავი მოაბრუნა და პარმენა დვალს ლურჯად ამღვრეული თვალებით ახედა.

„აგერ სულ შენიანები ვართ, შენი მეზობლები, შენი... შენი კეთილები!.. ჰოდა, ვატყობთ ჩვენც, რაღაცა დარდი რომ გაქვს, თორემ აბა ჩემებრ მხიარული კაცი რატომ გალოთდება და გვითხარი, პაპიკო, თუ კაცი ხარ, რა დარდი გაქვს... თქვი და გულს მოგეშვება“.

პაპიკომ კი თქვა:

— ვთქვა?

— თქვი!

და პაპიკომაც თქვა:

— კაცია საჭირო.

— რაო? — ყურებს არ დაუჯერა პარმენამ, — ვინაო?

პაპიკომ კი ისევ გაიხედა შორს, გადაკარგულში და გაიმეორა:

— კაცია საჭირო.

— რა კაცი, ბიჭო? — კინაღამ გადაირია პარმენა, — რავა ქალივით ლაპარიკობ შენ...

მაგრამ პაპიკო ჩუმად იჯდა, მოწყენილი დაჩერებოდა მიწას.

— კაცები ვართ, აბა რა ვართ ჩვენ! — იწყინა პარმენა დვალმა, — აგერ, კაცი არაა პატივცემული აკაკი გაგნიძე და ბუხუტი ქვაჭარავა? კაცი არაა, აგერ... სამსონა არჯევანიძე და პატივცემული ბოქაული ტიტვინიძე? აგერ, კაცი არაა ეს ჩვენი ტერეზა და ჩვენი

თეატრის თორმეტ მსახიობს სულაც თავი რომ გავანებოთ, კაცია აბა რაა შაშია კუტუბიძე, ა?

აქ კი პაპიკომ შენიშნა:

— კი გამოგრჩა ბევრი, მაგრამ... კაცია მაინც საჭირო.

— აუჰ! — თავში ხელი შემოირტყა პარმენამ, — გესმით, ხალხნო? გესმით, რას ამბობს? კაცები რომ არ ვიყოთ, როგორღა გამრავლდებოდა მაშინ ჰარალეთი და აგერ, ეს ჩვენი ურიადნიკიც კაცი რომ არ იყოს, იმნაირად მიაჩერდებოდა მარგალიტა თალაკვაძეს?

— იმას აღარ უყურებს, — თქვა კაკალა მამიდამ, — კარგა ხანია, იმისაკენ აღარ გაუხედავს.

— აბა ვის უყურებს ეს ჩემი ცოდვით... ვის უყურებს, კაკალა, მაკრინე ჯაშს?

— არა, არა.

— აბა ვის, ქალო, დაკარგა აბა კაცობა?

— ლუიზა თუშაბრამიშვილს მისჩერებია სულ.

— მერე, შე ქალო, რამ გაყო მარგალიტა თალაკვაძე, ლუიზა და მაკრინე ჯაში? ქალი ქალია, ჩემო კაკალა და ტყვილა რატომ გამაწყვეტინე სიტყვა... რაღაცას ვამბობდი და... რა იყო, კაცო, რამ დამავიწყა... რაღაცა უცნაური თქვეს და როგორ ვერ ვიხსენებ, რა იყო მაინც...

— კაცია საჭირო, კაცი, — თქვა პაპიკომ, წამოდგა, თითი მაღლა აიშვირა და გაიმეორა, — კაცი.

— რანაირი გნებავს მაინც, გვიბრძანო ეგება, ამ გლახაკს ვერ ხედავთ? რანაირი გინდა მაინც, პაპიკო ბატონო, სქელი, ხმელი, მაღალი თუ მომსუქანო?

— ეგ სულ ერთია, — თქვა პაპიკომ, ისევ შორს, აღმოსავლეთისაკენ იყურებოდა, — მთავარი ისაა, რომ კაცია საჭირო, მაგრამ ის კაცი მარტო მე კი არ მინდა, ყველას გინდათ, სუყველას, კაცია საჭირო.

ეს პირველი რთული წინადადება იყო, პაპიკოს პირიდან ამოსული. მანამდე მხოლოდ „არასა და ჰოს“ ამბობდა, „არ ვიცისაც“ კი ვერ ათქმევინებდით — მხრებს აიჩეჩავდა ხოლმე.

— სად მიხვალ, ბიჭო, უყურე ამას, სად მიდიხარ-მეთქი! უყურეთ, უყურეთ, როგორ მიაქვს ფეხები, პრინცს არ ჰგავს სულ? ამის შემხედვარეს...

აქ კი პარმენას სიტყვა გაუწყდა, რადგან ხუმრობის იშტაზე მოსულმა ტერეზამ იღლიაში ხელები სტაცა...

2

ხოლო დრო, მოგეხსენებათ, გადიოდა.

ამ წინადადებას ისე ხშირად ვიმეორებ, ცოტათი უხერხულიცაა მგონი, მაგრამ რა ვქნა, სწორი კია და — დრო ყოველთვის, ყველგან გადის და ჩვენი ჰარალეთი გამონაკლისი რად უნდა ყოფილიყო — ჩვენშიაც სწორედ ისე გადიოდა დრო, როგორც სხვაგან, მაგრამ ჩვენ, სხვა ქალაქელთაგან განსხვავებით, დროსტარება უფრო ვიცოდით, ოჰოჰოჰოჰო! — ღომი და სულგუნი, ჭყინტი ყველი და პრასშემოხვეული მჭადი, ღვინო ზედ... ქოთნის ლობიო, კარგად შეკმაზული, მწვადი, გენაცვალე, თევზი შემწვარი, თავისი მაშარაფით, უჰ ᲣᲰᲣᲰᲣ! ნაქეიფევს კაი დილის არაყი, მეავე კიტრი და პამიდორი, გამხმარი ტარანა, ხაში ვიცოდით ქონიანი ისეთი, მსოფლიოს რუკას ჰგავდა — პაჰ-პაჰ, პაჰ-პა:, პაჰ!—გავიდოდა დრო, რას იზამდა აბა...

და თუნდაც მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყო, ჰარალეთში რაღაცა ყოველთვის იცვლებოდა — ერთ დროს, მაგალითად, ხალიანი ბიჭები იყვნენ მოდაში, „ხალიანო ბიჭოო“, სიმღერაც კი გაჩნდა მოფერებითი ასეთი, და ოსიკო არჯევანიძე გასათხოვარ ქალიშვილებთან საუბრისას ვითომ ყურს მიუშვერდა მოლაპარაკეს და სინამდვილეში იმ ხალიან ლოყას აჩვენებდა, მერე კი, ხალი მოდიდან რომ გადავარდა, და ასეთი სალანძღავი გამოთქმაც რომ გაჩნდა — „შე ხალიანოო, შე დახალულოო“, ოსიკო მეორე ყურს მიუშვერდა პრონწკია-პრონწკია, სპეციალურად ქოლგით გამოსულ ჰარალეთელ ქალიშვილებს. მერე იყო და, დიდი კამათი ატყდა — შაშია კუტუბიძე აფიშაზე პიესის ავტორის გვარს არ აწერინებდა მცოდნე კაცს, არდალიონ ჭედიას და ძალიან რომ მომრავლდა უავტორო პიესები, ვიღაცამ თქვა, ეს ხალხურს არა ჰგავს და უთუოდ შაშიას დაწერილი იქნებაო, ბარაქალა შაშიასო, ეს ბოლო პიესა მაინც რა კარგი გამოუვიდა, „ვერაგობა და სიყვარულიო“, სახელები არტისტებისთვის განგებ აქვს შეცვლილი და ერთი მაინც დატოვა ნამდვილი — ლუიზა თუშაბრამიშვილისთვისო... ამ აზრის ძომხრენი ძირითადად შაშიას ნათესავები და ის ახლობლები იყვ-

ნენ, რომლებსაც უშაურიანოდ უშვებდა თეატრში, სხვები კი, შაშიას მტრები, იძახდნენ, თუ მაინცდამაინც ლოთმა უნდა დაწეროს პიესა, პაპიკო ყოფილა, გენაცვალე, მაგეების ერთპიროვნული ავტორიო, და ერთმა ისიც კი თქვა, შაშია რანაირად დაწერდა პიესას, ყელი გადამწვარი აქვს და ხმა კიდევ ჩახლეჩილი და პიესაში ხომ სულ ხმამაღალი ლაპარაკიაო. ბოკლედ, ვიკამათეთ ბევრი... აზრთა გაცვლა-გამოცვლები იყო.

მერე ერთი თეთრწვერა, წელში ძალიან გამართული ბერიკაცი გადმოსახლდა ჰარალეთში — მალხაზ კაკაბაძე. ახალგაზრდობაში ემსახიობობდი, მერე მომბეზრდა მაღალ საზოგადოებაში ტრიალი, მიყრუებულ სოფელში დავსახლდი და ყანაში ვიმუშავე მთელი სიცოცხლეო, ახლა კი ისევ მომინდა თეატრი, კარმიდამო გავყიდე, აქ, ჰარალეთში პატარა ხუხულა ვიყიდე, მორჩენილი ფული სულ შაურიანებად გადამიხურდავა შაშია კუტუბიძემ და ერთი წარმოდგენა თუ გავაცდინო, აგერ ჩემი წვერი და აგერ ჩემი ულვაშიო და როლში შევიდა და კინაღამ სულ ჩამოიბდღვნა სახე. ისე კი, რაც მართალია, მართალია, არ აცდენდა წარმოდგენას — ქანდარაზე უყვარდა ასვლა, გაიჯგიმებოდა იქ და თვალმოჭუტული დასცქეროდა მსახიობებს და ტიტიკო ღლონტს სიტყვა თუ შეეშლებოდა, ხელად გადმოსძახებდა ზემოდან — ძველი ჰარალეთელი რომ ყოფილიყო, ნამდვილად იმისი გვეგონებოდა ყველა უავტორო პიესა.

პაპიკო-ლოთი კი დაღონებული იჯდა ხის ძირას, ხანდახან შორს, გადაკარგულში გაიხედავდა და მერე ისევ დააჩერდებოდა მიწას. „როგორაა, პაპიკო, საქმე, — შეუძახებდნენ ჰარალეთელები, — აბა, საჭიროა კაცი? „კი“, ხმადაბლა ამბობდა პაპიკო. „სადაა მერე?..“ „მოვა, — ამბობდა პაპიკო, — აუცილებლად მოვა“. „არ გაუვა წყალი, ხომ?“ „მოვა“. „ვინ დაგალევინა დღეს?“ „კაკალა შამიდამ“. „რა გაუკეთე მაგიორში?“ „ვენახი გავუთოხნე შვიდი რიგი“. „ყოჩაღ! ახლა დაელოდე იმ შენ კაცს მანდ, ოღონდ არ ჩაგეძინოს, ბიჭო...“ „არა, არა, რა დამაძინებს...“ „ისე, როგორ უმატა ლაპარაკს, ა? რა გადის ნეტავ დღეს თეატრში?..“

ტერეზა ბოლო დროს გადაგვერია სულ. მიადგებოდა ვინმეს ღობეს, აუდენდა ლაწალუწს, დაეძგერებოდა მერე ხეებს, შუაზე გადატეხავდა, მთავარ მდინარეზე ხიდად გადებულ მორს არ აჩერებდა — ასწევდა, დაირტყამდა მუხლზე და სადღა იყო ჩვენი ხი-

დი, მერე თეატრის მარმარილოს ბოძს დაეჯაჯგურა და, კიდევ კარგი, მამამისმა სამსონამ მოუღიტინა იღლიაში და ტერეზა ძირს გაგორდა და კინაღამ გაიგუდა სიცილით. ეს ერთი კარგი თვისება ჰქონდა — ეღიტინებოდა ხოლმე, თორემ უთეატროდ დარჩებოდა ჰარალეთი. ბოქაული ტიტვინიძე მშვენივრად ხედავდა, რაც ხდებოდა და, გაგულისებულს, პაპიკო-ლოთი ქალაქის განაპირას, მაღალ გვიმრიანში ემალებოდა და იქ იჯდა მოწყენილი. ხელობით ღონიერმა კაცმა ჩამოიარა ერთხელ ჰარალეთში, ხარი თოკით მოჰყავდა და იღლიაში მამლის ბოლო ჰქონდა გამოჩრილი, შეაგროვა კაპიკ-კაპიკი, მერე მამალი ხარის რქაზე დასვა, ხარს კი ხელები მოჰხვია და ქშინვა-ქშენით რომ ააცილა ცოტათი მიწას, მიეპარა ამ დროს ტერეზა, წაავლო იმ კაცს ხელი და თავის ხარიან-მამლიანა ისროლა ცაში. მამალს რა უჭირდა, გაგულისებული კრიახით დაეშვა ძიწაზე, ის კაციც ტერეზამ დაიჭირა ჰაერში, ხარმა კი... ვიქეიფეთ, მოკლედ, იმ დღეს, რა გვენაღვლებოდა რა — დანახარჯი სამსონა არჯევანიძემ გადაიხადა. ტერეზას არ დაულევია, თუმცა, ჩვენთვის სულ ერთი იყო, გინდ ფხიზელი და გინდ მთვრალი — ერთნაირი იყო სულ. და ტერეზას განსაკუთრებული აღტყინების მიზეზი თურმე, როგორც მალე შევიტყვეთ, ქალი ყოფილა. არა, ქალი ვის არ გვიყვარს, რომელს არ გაგვიყოლებია ჩუმად თვალი, მაგრამ ნამდვილად უხერხული იყო, ტერეზა ქალებს ისე გულდაგულ მისჩერებოდა... მოკლედ, ცოტაც და სულ ნაფოტებად იქცეოდა ჩვენი ჰარალეთი, ბეწვზე ეკიდა ყველას სიცოცხლე, ყველას ყანა და მარანი, ყველას ბალი და თუთა და, ღმერთო, შენ ააშენე მარგალიტა თალაკვაძის ოჯახი... ტერეზა დამშვიდებული დაიარებოდა ქუჩებში და, კაი გუნებაზე დამდგარი, თავისი ჭკუით წაუღიღინებდა ხოლმე. ასე ყვიროდა:

ქალო ჩამოდი კიბე-ზეეე!!
ქი-იშმიში მაქ ჯიბე-ზეეე!!!

ხოლო დრო, კარგად მოგეხსენებათ, გადიოდა.

3

წელიწადი არ მახსოვს კარგად, ისე კი, 24 სექტემბერი იყო — მაკრინე ჯაში თხოვდებოდა. მაკრინეს დიდად შეძლებული მშობლები ჰყავდა და მთელი ჰარალეთი დიდიან-პატარიანა ქორწილზე იყო

დაპატიჟებული. სიძედ ყელბაფთიანი ოსიკო გახლდათ, და სხვა რა გზა იყო — მამამისმა სამსონამ გამოამზეურა ტახტში შენახული ჩოხა-ახალუხი და იმ სურდოიან ძაღლს კიდევ რომ არ ეკბინა, ეზოს გარეთ, ღობესთან წვალებ-წვალებით შეიკრა ღილები. ტერეზამაც ძმის ხათრით წითელი ატლასის პერანგი ჩაიცვა და კუნთები მოადუნა, რომ არ გახეოდა. ჰარალეთში სადილი არ გაკეთებულა იმ დღეს, ყველა ქორწილისათვის ინახავდა თავს. ნაშუადღევს წავიხემსეთ და ერთი სული გვქონდა საღამოს რვა საათამდე — ამ დროს იყო დანიშნული ქორწილი, ასე ეწერა მოკურკურე მტრედებიან ბარათზე. მსახიობები, რა თქმა უნდა, პირველ რიგში დაპატიჟეს — მსახიობი კარგია სუფრაზე. იმ დღეს თუმცა „ვერაგობა და სიყვარული“ გადიოდა, მაგრამ ვინ მივიდოდა თეატრში. შაშია კუტუბიძემ მაინც ხრიალით გამოაცხადა, არაფერი არ ვიცი მე, გინდაც არავინ მოვიდეს, რვა საათისთვის ყველანი პარიკებში იყავით და მესამე ზარს რომ დარეკავს კაკალა, და თუ არავინ არ იქნება მოსული მაყურებელთაგან თეატრში, ე მაშინ გადაიცვით და წამოდით ქორწილზეო... კაი, ბატონოო, ტიტიკომ, ღლონტმა, და თავის ბიძაშვილ ეფრემა ღლონტთან კამათი გააგრძელა — „ჰოდა, იმას გეუბნებოდი, კი ჯობია დამბაჩა ხმალს, დამბაჩიანი კაცი ყოველთვის მოერევა ხმლიანს, მაგრამ ამასაც დაუკვირდი, დამბაჩით ფანქრის გათლა რომ მოგინდეს, დამბაჩით გათლი ფანქარს შენ? ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, ეფრემა, ყველაფერს...“ ტიტიკო ღლონტი საქეიფოდ იყო აღგზნებული და ამიტომ ლაპარაკობდა ასე გატაცებით — დრო რომ გაეყვანა. დრო კი ისედაც გადიოდა და რომ შესრულდა რვის ნახევარი, შაშია კუტუბიძის ნიშანზე კაკალა მამიდამ პირველი ზარი მისცა, გაგიგონია? — ვინ მოვიდოდა... რვას რომ დააკლდა ათი წუთი, შაშია კუტუბიძემ ისევ დაიქნია თავი და კაკალა მამიდამ მეორედ დარეკა ზარი და ვერიკო თიროშვილმა ღილებზე წაივლო ხელი — არც ერთი მაყურებელი არ ჩანდა, ჰოდა, კაკალა მამიდას ის-ის იყო მესამედაც უნდა აეჟღარუნებინა ზარი და ყველანი გავარდნილიყვნენ ეზოში ტანსაცმლის გამოსაცვლელად და მერე სოფრომ ჯაშის შეძლებულ ოჯახში, ქორწილზე, რომ ამ დროს, სად იყო და სად არა, გამოჩნდა ჩვენი წვეროსანი მალხაზ კაკაბაძე, ჩააგდო კაკალა მამიდას რკინის ყუთში შაურიანი, ავიდა ქანდარაზე, გახედა სცენაზე შეკუჩულ, დაბნეულ არტისტებს, ჩაახველა მუჭში და დაიძახა:

— რაა, კაცო, აღარ იწყებთ სპექტაკლს?

ეფრემამ კი, რომელიც მილერს ანსახიერებდა, შესძახა:

— არ ხართ დაპატიჟებული ქორწილში, მალხაზ?

— კი.

— რამ მოგიყვანა მერე ამ დასაწვავში!

— სპექტაკლი მირჩევნია მე.

— ახლა ერთი კაცის გულისათვის ქორწილს უნდა დავაკლდეთ ამდენი ხალხი? — შეიცხადა ტიტიკო ღლონტმა, — ერთი ყველასთვისო, არ გაგიგია შენ?

— ყველა ერთისთვისო გამიგია მე!

— გვღუპავ, მალხაზ?! — იყვირა მილერმა.

— რატომ გღუპავ მე, ბიძია, მე კი არ ამომირჩევია შენთვის არტისტობა, რასაც იკისრებ, გაანაღდო უნდა ის. რაღაც არ მახსოვს, ჩემთან რომ მოსულიყავი და გეკითხა, რა ხელობას მირჩევ, მალხაზ ბიძიაო...

— კი მაგრამ, ასე უგულო თამაშის ყურებას, არ ჯობია კაი ქორწილი? — მხრები აიწურა პრეზიდენტმა ფონ ვალტერმა.

— არაფერი არ ვიცი მე! — გაცხარდა მალხაზი. — ბიჭო!.. ხომ ჩავაგდე ყუთში შაურიანი? შენ გეკითხები, კაკალა!

— კი.

— ხომ დავჯექი ჩემს ადგილზე თავის დროზე!

— კი, მარა...

— ძარა და ბარა არ ვიცი მე!! ბაბუაშენისაა ეს თეატრი, ტიტიკო, თუ იმპერიის?

— იმპერიისაა, მაგრამ...

— ჰოდა, დაიწყეთ ახლავე. ამდენი ლაპარაკის თავი სად მაქვს მე...

— კი, მარა...

— რა გააჭირეთ ამ „მარათი“ საქმე! „მარათი“ არ იწყება ეს პიესა, წესიერად დაიწყეთ, გირჩევთ მე!

— არ დავიწყებთ! — დაიძახა გაკაპასებულმა ჰოფმარშალმა ფონ კალბმა.

— რაო? — მუქარით იკითხა მალხაზმა, — არ დავიწყებთო? სადაა დირექტორი!

შაშია კუტუბიძე სცენის შუაგულში გამოვიდა. ასე, როგორც იყო, უპარიკოდ და უპუდროდ, როგორ დამშვენდებოდა ბანდიტის როლი?

— რა ხდება აქ! რისთვის გიხდის ფულს იმპერია! ახლავე დააწყებინე მაგ ხალხს თამაში, თორემ... რკინის ქალამანს ჩავიცვამ, რკინისავე ჯოხს დავიჭერ ხელში და გუბერნატორამდე თუ არ მივიდე, აგერ, ჩემი წვერი და ჩემივე ულვაში!.. თქვე ვინ გგონიეართ ძე! ვის გავაბითურებიებ თავს! იწყებთ თუ არა წარმოდგენას, კუტუბიძე ხარ თუ ვიღაცა ხარ შენ!

— ვიწყებთ, აბა არ ვიწყებთ? — ჩაიხრიალა შაშიამ, — დაიწყეთ ახლავე! ამ წუთში!

— კმარა, ეს უკვე სახიფათო საქმეა, — თქვა ეფრემა ღლონტმა, — ჩემ ქალს ბარონთან ურთიერთობა სახელს გაუფუჭებს. ოჯახი შემირცხვება.

— ე მასე! — შეუძახა მალხაზმა.

— პრეზიდენტი შეიტყობს, — განაგრძო დაღვრემილმა ეფრემა ღლონტმა, — ერთი სიტყვით, მე იმ ვაჟბატონს აქ ფეხს აღარ დავადგმევინებ.

— შენ რომ ის სახლში არ შემოგიტყუებია, შენი ქალი მისთვის თავზე არ მოგიხვევია? — უგულოდ იკითხა ვერიკო თიროშვილმა.

— უნდა მეტი თვალყური მედევნებინა, — აღნიშნა ეფრემა ღლონტმა, — მაიორი კარგად შემეხურებინა, ან მაშინვე მისი აღმატებული მამისათვის მეცნობებინა.

— წავედი აბა მე და, — თქვა შაშიამ, — მე აღარ გჭირდებით ახლა. მერე წამოდით ერთად და რა გიჭირთ, პატარას თუ დააგვიანებთ, გათენებამდეა ქორწილი.

— ნუ გვიშლი თუ შეიძლებოდეს, ვიღაცა ხარ შენ!

— მივდივარ, ბატონო, მივდივარ...

— შორს ბატონ ბარონებისაგან... — ჩაილაპარაკა ეფრემა ღლონტმა, — ვინ იცის, იმ ვაჟბატონს რა გადახდენია თავს — ეშმაკმა იცის, რასაკვირველია, მაგისთანა მსუქანს გემრიელი ლუკმის დანახვაზე პირში წყალი მოადგება...

— ყვითელი დედლები იქნება, ნიორწყალში ჩადებული! — ასძახა უცებ მალხაზს ჰოფმარშალმა ფონ კალბმა.

— თუთ! ეგ წერია ტექსტში?

— არა, მაგრამ... საცივია ინდაურის თურმე, თითებს მიატან ზედ! — შეჰყვირა ფერდინანდმა.

— გოჭია შემწვარი, აჯიკაწასმული! — დაიქუხა პრეზიდენტმა ფონ ვალტერმა.

— რა გინდა შენ სცენაზე, სულ არ ხარ ამ მოქმედებაში!!! — არანაკლებ იქუხა მალხაზმა, — დატოვეთ ახლავე ზედმეტებმა სცენა და განაგრძეთ სპექტაკლი, ყველანი გამოხვალთ თქვენ თქვენს დროზე!..

— მაშ, რა განზრახვა უნდა ჰქონდეს იმ თავქარიანს? — განაგრძო დანაღვლიანებულმა ეფრემა ღლონტმა, — გოგო ლამაზია, მოხდენილი... ზედა სართულში რა უყრია, ამას ყურადღებას ვინ აქცევს, თქვენ, ქალებს ამისთვის არავინ დაგიწუნებთ, თუკი მიმზიდველი ქვედა სართული გექნებათ. მე ბარონს არ ვამტყუნებ. ადამიანი ხომ მუდამ ადამიანია, ეს ნუ დაგავიწყდება.

— ნეტავი გაჩვენა, რა მშვენიერ წერილებს წერს ბარონი ლუიზას, — თქვა ვერიკო თიროშვილმა.

— ეს ხომ ყოველთვის ასეა, — მიუგო მილერმა, — მულო, შენ გეუბნებიან, რძალო, შენ გაიგონეო. ვინც სხეულს შესტრფის, ის ჯერ... კალმახია შემწვარი, თხილის ტოტზე აგებული!

— სად იშოვნეს კალმახი?.. — დაინტერესდა მალხაზი ქანდარიდან.

— ურიადნიკ კაველაძეს დააჭერინეს წყალში!.. რაა კიდევ თუ იცი!

— არა?

— ღორის ხორცია, ცივად მოხარშული!

— კუჭმაჭია, გენაცვალე, წითელ ხახვში მოხრაკული!

— ვარიებია, მალხაზ, კოხტა-კოხტად დაბრაწული!

— ცხვრის მწვადია, ტკბილო, ჩუმად აშიშხინებული!

— არაფერი არ ვიცი მე!! გააგრძელეთ წარმოდგენა, თუ არა...

ურიადნიკი კაველაძე კარებშივე შეჩერდა და დაბნეული მიაჩერდა სცენას — რაღაცა სხვა ხდებოდა.

— ცეცხლში ეგ საზიზღარი ნაჯღაბნი!.. — თქვა ნირწამხდარმა ეფრემა ღლონტმა, — ღმერთმა უწყის, რა ჰაეროვან ფანტაზიებს გაუღვიძებს გოგოს. ისინი სისხლში ესპანელი ბუზებისავით აირევიან და მაშინ მშვიდობით... ცეცხლში, გელაპარაკები!

— კუპატია ჰარალეთური, პილპილით შეკაზმული!

— ა ბიჭო, მალხაზ, ცივდება ხაჭაპური!

— ტოლმაა, მალხაზი ჩემო, ვაზის ფოთოლში გახვეული.

— მჟავე კომბოსტოა, ცხარე, ისეთი, სულ ცეცხლმოდებული!

— შუშა კიტრებია, გაუთლელად იჭმევა სულ!

— გაგთლით მე თქვენ! კიდევ შემოხვედი სცენაზე, ხომ? ვეღარ ითმენ, ტიტიკო, ხომ? დატოვე ახლავე სცენა!

— კი მაგრამ, ჩემს მეტი ვერავინ ნახე ზედმეტი? — იკითხა ჰოფმარშალმა ფონ კალბმა, — აგერ, ეგრე თუა, ლედი მილფორდს რა უნდა შუაგულ სცენაზე?..

— გაბრძანდით თქვენც, გაბრძანდით, ქალბატონო... ესაა თქვენი სცენური კულტურა? მიბრძანდით კულისებში... ა ბიჭო, ეფრემა!

— ეჰ... სწორედ მანდ არის გოჭის თავი... ეე, ძაღლის თავი დამარხული, — განაგრძო მილერმა, — პრეზიდენტმა მადლობა უნდა მითხრას. გამიწმინდე ჩემი ხავერდის ჯუბა, წავალ და მის აღმატებულებას ვინახულებ. თავი დაანებე წყეული ყავის სმას და ბურნუთის ყნოსვას, მაშინ აღარ დაგჭირდება შენი შვილის სილამაზე ბაზარზე გამოაფინო, მე კი მაძღარი ვიყავ და...

— ხაშლამაა, მალხაზ, აორთქლებული ისეთი, არ დაიჯერებ!

— ლორია შებოლილი, ექვს თვეს ეკიდა ბუხარში!

— ლაპარაკი!

— დილა მშვიდობისა, მამილო!

— ყოჩაღ, ლუიზა!

— ოჰ, მამაჩემო, ცოდვილი ვარ!.. — თქვა ლუიზა თუშაბრამიშვილმა.

— რაღაცა აკლებთ სიტყვებს თქვენ!

— როგორ გეკადრებათ, მალხაზ-ბატონო... თევზია ცოცხალი, მარილ-წყალში მოხარშული!

— კი მაგრამ, სად იშოვნეს თევზი?..

— კაველაძეს დააჭერინეს წყალში!

— კარგი იქნება მაგისი დაჭერილი!

— თევზი თევზია, მალხაზ! რაა კიდევ, თუ იცი!

— არა?

— კაი ბაჟა-წვენი თავისი ღომით და ღომია ცხელ-ცხელი თავისი ჩამდნარი სულგუნით, აბა!

— ეგება არ მიყვარს ეს ღომი...

— შოთი ´პურებიცაა, მალხაზა, თონიდან ცხლად ამოყრილი!

— პამიდორებია წითელ-წითელი, ქვასავითაა მაგარი!

— ცუდი ღვინო ექნებათ მაგათ.

— რაიო? — შეიცხადა ჰოფმარშალმა ფონ კალბმა, — ხუთი წლის ღვინოა, მალხაზა, ჭურიდან ამორიკრიკებული!

— მწვანილეულს აღარ იკითხავთ, მალხაზ-ბატონო?

— ეგ რა სახსენებელია, ბიჭო...

— შემწვარ გოჭებზეა მიმოყრილი!

— ტყემალი თუა?..

— როგორ არაა, მალხაზა, აბა ვარდი — უეკლოდ?

— ეკალაც იქნება, აბა... — ფიქრებში წავიდა მალხაზი.

— ეკალაა, სულო, ძმარ-ნიგვზით გაჟღენთილი, თითებს მიატან ზედ!

— ჩანგალი არ აქვთ მაგ უპატრონოებს?, განაგრძეთ ახლავე სპექტაკლი!

— ჩანგლის მეტი რა აქვთ, მალხაზ, ვერცხლის ჩანგლით მიირთვი, თუ მოგეხასიათოს!

— რომ არ დავუპატიჟებივართ? — მორცხვად მოისმა ქანდარიდან.

— აუჰ! — თავში ხელი შემოირტყა პრეზიდენტმა ფონ ვალტერმა, — აგერ არ დამაბარეს მეე?

— როდის, კაცო?..

— გუშინ, კაცო...

— ვერ თქვი მერე? ვინ დაგაბარა?

— თვითონ სოფრომმა დამაბარა გუშინ...

— რომელმა, ჯაშმა?

— აბა!

— მე რომ არ ვიცნობ...

— ის გიცნობთ სამაგიეროდ, ბატონო!

— არა, მაინც უხერხული რომაა სპექტაკლის ჩაშლა... — შეფიქრიანდა მალხაზი, — პურ-მარილი როგორ ვანაცვალოთ ხელოვნებას...

— ნადუღია, მალხაზ, ჯერ რომ არ მიგირთმევიათ, ისეთი...

— პიტნითაა?

— უჰ! სულ პიტნა-პუტნითაა აზელილი.

— აბა, რას მომჩერებიხართ მე, თუ ეგრე გინდათ წასვლა, ერთი ყველასთვისო, ჯანდაბას — წავიდეთ მაშინ ქორწილზე!

— სად მიდიხართ ა, თქვენ, ა? — იკითხა განცვიფრებულმა ურიადნიკმა კაველაძემ.

— თუთ! — შეუტია ეფრემა ღლონტმა და ხავერდის ჯუბა სკივრში ისროლა, — რაში გეკითხება შენ?!

— ა?

— ყველა ყრუ და ბრუტიანი რატომ უნდა გამოერიოს ჩვენში! — გული დასწყდა ტიტიკოს და პარიკი იმანაც სკივრში ისროლა — ისე, თუ გინდა, წამოდი შენც...

ამ დღეს იმიტომ აღვწერ ასე დაწვრილებით, რომ კაცი ჰარალეთში სწორედ იმ ღამით მოვიდა.

4

— ოჰ, გაუმარჯოს არტისტებს! — დასჭექა თამადამ, პარმენა დვალმა, — სად ხართ, ბიჭო, თქვენ? აბა, აგრაფინა ბიცოლა, გენაცვალე შენ, მომაწოდე ერთი ჩვენ რომ ვიცით ის ყანწი და შესვით აბა, ბიჭებო, ამ კაი ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო, რომ იმრავლონ სულ და კურკურობა-კურკურობაში დაასიონ სოფრომ ბატონს ტკბილი შვილიშვილები!

— ცალ-ცალკე შეიძლება კი მენახოს ასეთი კარგი ქალი ან კარგი კაცი, — წამოიწყო სადღეგრძელო ტიტიკომ, — მაგრამ ორთავ ნეფე-დედოფალი ასეთი კარგი? — აჰ, არა, არა...

— კაი ხარ, ტიტიკო, კარგი! — შეუძახა პარმენამ, — მაგრამ „არა-არა"-თი სადღეგრძელოს დამთავრება არ გამიგია მე. ათქმევინე სხვასაც.

— გაუმარჯოს ეს...

ქალაქის თავის მოადგილე კაკოია გაგნიძე და იმისი თანაშემწე ბუხუტი ქვაჭარავა ფარნებით განათებულ, გამოსაჩენ ადგილას ისხდნენ და, ჩემის აზრით, ვერაფერი პატივისცემა იყო ეს — მთელი სუფრა იმათ მისჩერებოდა და სანამ შეთვრებოდნენ, ძალიან ნაზად იციცქნებოდნენ — ეხამუშებოდათ ასე სახალხოდ, განათებულ ადგილას მადიანად ჭამა. მერე კი, რომ შეთვრნენ, იცოცხლე, ისინი მიეძალნენ კუპატს და კალმახს, მაგრამ სინათლე ძველებურად ურტყამდათ თვალებში, იჭმუხნებოდნენ და სოფრომა ჯაში შეეჭვდა, ხომ არ ვაწყენინეთ უნებურად რამეო, მაგრამ მერე სოფრომაც რომ შეთვრა, სულ გადაავიწყდა პატივსაცემი სტუმრები და აგრაფინა ბიცოლასთან ლეკური იცეკვა მკლავებგაშლილმა. სწორედ ამ ქორწილზე, მსოფლიოში პირველად, შემწვარ გოჭს

დრუნჩში გაუჩარეს ბოლოკი და ასე მიართვეს თამადას, და აღტაცებულმა პარმენა დვალმა ადამიანის მოხერხებულობის სადღეგრძელო რომ შესვა, ჰარალეთიც აქო, ამ გონებამახვილ, მარიფათიან, ადამიანთა ბუდე და ერთმა ჩვენებურმა, ვინც წერა-კითხვაც არ იცოდა, უცებ, სუფრაზე, სახელდახელოდ, ასეთი ლექსი დასჭექა:

ვარი და ვარალე,
ჰარი და ჰარალე!
ჰარალეთი დაილოცოს!!
ჰარალეთელების მხარე!!!

და ატყდა ტაში, მაგრამ რა ატყდა. ჩვენ, ჰარალეთელები, ყველანი პოეტები ვართ ბუნებით და გვესიამოვნა ეს გამოთქმა — „ჰარალეთელების მხარე". აგერ, შორს რომ არ წავიდეთ, მეც პოეტი ვარ ბუნებით და ზოგი რომ მალავს და ისე წერს ლექსებს, ჩუმ-ჩუმად, მე პირადად სულაც არ მრცხვენია განვაცხადო, რომ ერთი სული მაქვს, მთელი ეს ამბავი ლექსად გამოვთქვა, მაგრამ სადაა ამდენი რითმა, ქუჩაში კი არ ყრია და იძულებული ვარ ასე, სიტყვა-სიტყვით აღვწერო ყველაფერი, მაგრამ ესეც არ ყოფილა ადვილი საქმე, დაიჯერებთ? ხომ არაფერია ვითომ, ასე მოყოლა, მაგრამ თავიდან რომ მცოდნოდა, ესეც რომ ძნელი ყოფილა, ვინ ოხერი... — არც მოვკიდებდი ფანქარს ხელს, ახლა კი რაღაა — კაცის მოსვლამდე მომიყვანია ამბავი და ახლა რომ გავწყვიტო, ასე, შუაგზაზე, არ ივარგებს ნამდვილად.

— ახლა კიდევ მინდა, ამათი სადღეგრძელო თავიდან რომ შევსვა, — წამოდგა პარმენა დვალი,—მაგრამ ჯერ ერთხელ ხომ არ იცეკვებდი, სამსონა, ა?

— გააჩერე ენა!

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, სამსონ, გახსენი ერთხელ სახე, რა იქნება, — დაუყვავა პარმენა დვალმა, — აგერ, ბატონმა სოფრომმა ხომ იცეკვა და შენ რა დაგემართა, გოგოს მამა უფრო არ უნდა იყოს მოწყენილი?

— გააჩერე ენა!

— გააჩერე ენა. მამაა ჩემი ეგ,—თქვა ტერეზამაც.

— კი ბატონო. ახლა კიდევ მინდა, ამათი სადღეგრძელო თავიდან რომ შევსვა, — შესძახა პარმენამ, — რომ ვუყურებ ახლა მე მაგათ, როგორ კოხტად სხედან, სულ იმას არ ჰგვანან, რა ქვია, კაცო... რომელია მონადირე თქვენში... რა ქვია... არა, მწყერი არა...

ჰო, გვრიტებს! ჰოდა, იყავით სულ კარგად და ბედნიერად! ტიტიკო!!

— იახშიოლ!

— შესვი აბა შენც! ასე! — და საჩვენებელი თითი თვალებმოჭუტულმა ასწია, — მაშ ერთი პატარა პაწაწინა პაწაწკინტელა მრაავალ...

— მრავ-ალ, — აუწია ყელმოღერებულმა ოსიკომ, — ჟაამიეერ...

— უუო, — აჰყვა ეფრემა ღლონტი, ბანი, და ნიკაპი მკერდზე დაიბჯინა.

— ჟაამი — მაღალიაბიჭოეერ, და მრაა-ვალ...

— უუოო.

ყველაზე ადრე ბოქაული ტიტვინიძე დათვრა. დიდი ულვაში ჰქონდა, ლულასავით სწორი და ღვინის სმისას უსველდებოდა, ერთთავად ცხვირში ურტყამდა სველი ულვაშიდან ღვინის სუნი და დათვრებოდა სხვაზე ადრე, აბა რა. მერე იყო და, ბოლოკგაჩრილ გოჭს ტერეზა ჩააფრინდა კბილებით, ახტა და მაგიდაზე შემწვარი გოჭით პირში სულ ლიწინ-ლიწინით იცეკვა და საცივი ზედ მწვანე მუნდირზე გადაასხა ტიტვინიძეს, ძალიან გაცხარდა ჩვენი ბოქაული, ხმალი იშიშვლა, ხალხს მოავლო თვალი და რაღგან პაპიკო იქ არ გახლდათ, მოხარშული დედალი ამოიღო მიზანში და გაჰკვეთა კიდეც შუაზე, მაგრამ პარმენა დვალი არ დაბნეულა, ნახევარი დედალი მაკრინე ჯაშს მიართვა, მეორე კი ოსიკოს ესროლა და, რაღაცნაირად, დედლის გაკვეთა სიმბოლური გამოვიდა. ყველამ ტაში დაუკრა ისევ და სწორედ ამ დროს, საიდანღაც, ჰარალეთიდან, ნიავმა ფლოქვების თქარათქური მოიტანა.

— ჩუ! — თქვა ნასწავლმა კაცმა, არდალიონ ჭედიამ, — ცხენია, მგონი, ბიჭო...

— ცხენს რა უნდა ჰარალეთში... ამ დროს, — შეუტია პარმენა დვალმა და მაშინვე სმენად გადაიქცა, — დაიცა, დაიცა...

— ამ შუა ღამით? — დაინტერესდა ეფრემა ღლონტი, — ვინაა ნეტავ...

— ამას ვკითხოთ ერთი, — თვალები გაუბრწყინდა პარმენას, — გესმის შენ რამე, კაველაძე? კაველაძე!

— იახშიოლ, — თქვა იმან.

— სანდა საღოლ, დაგაყარე მეხი... — ჩაიცინა პარმენა დვალმა, — ორი შენისთანა მოგვცა კიდევ...

— ყველა ყრუ და ბრუტიახი რატომ უნდა გამოერიოს ჩვენში, — მჯიღი დაირტყა ტიტიკო ღლონტმა.

— ჰარალეთი დაილოცოს, ჰარალეთელების მხარე! — ისე დაიყვირა ტერეზამ, ტიტვინიძეს პირთან მიტანილი ყანწი გაუვარდა.

— ღამეულ მგზავრს გაუმარჯოს ყველას! ვთქვათ მაინც სადღეგრძელო, არ აჯობებს? — მიმოიხედა პარმენამ და ბოქაულმაც იმაზე იყარა ჯავრი — ყაჩაღი და ბანდიტია ღამეული მგზავრი! — დაიქუხა ტიტვინიძემ, — ყაჩაღებისკენ ხარ შენ?!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო...

— ჰოდა, თუ ეგრეა, სხვანაირად თქვი...

— დღის მგზავრს გაუმარჯოს!

— ეგრე! ვის?

— დღის მგზავრს...

— ლაპარიკი! თქვენ ვინ გგონივართ მე! ბუნტია, ხომ? ბუნტია, კაველაძე, ხომ?

— ოცდაოთხია, ბატონო.

— რომელი ოცდაოთხია, კაველაძე?! მოგჭრი ახლავე თავს! რა ოცდაოთხია, ბიჭო?!

— სექტემბრისაა, უფროსო!

— ჰატ! — გაცეცხლდა ტიტვინიძე, — ვინაა შენი უფროსი! შენი უფროსის... ვინაა შენი უფროსი!

— თქვენ, პატივცემულო.

— ახლა გაეხსნა სმენა? — ჩაიხრიალა შაშია კუტუბიძემ და მჟავე კიტრი ჩაკბიჩა, — საკვირველია სწორედ...

5

ხის ძირას, ჩრდილში, პატარა კაცი იწვა. თავთით პაპიკო-ლოთი ეჯდა და გვიჭრის ტოტით ბუზებს უგერიებდა. ლურჯი თვალებით დასცქეროდა, ფრთხილად, მოწიწებით იქნევდა ხელს. ირგვლივ კი ჰარალეთის სიამაყე — ჰარალეთელები ვიდექით, ახლადგამოღვიძებულნი, გაბუჟებულნი, გაბიჟვინებულნი და ასეთ დროს, მოგეხსენებათ, თითქოს არაფერი გვენაღვლება ხღლმე, არც არაფერი გვაინტერესებს, ახლა კი მაინც გაკვირვებულნი დავცქეროდით ხელისგულზე ლოყამიდებულ კაცს, „ვინაა ეს უპატრონო...“ — იკითხა პარმენა დვალმა და ბარძაყზე დაირტყა ხელი.

— ჩუ... — თქვა პაპიკომ და თითი მიიდო პირზე, — ჩუმად. დაღლილია.

— არ გამიგია ასე სახალხოდ ძილი მე!

— შენ ბევრი რამ არ გაგიგია, — ჩურჩულით უთხრა პაპიკომ, — მოიცადე ცოტაც...

— ჩვენი შეურაცხყოფაა ეგ, — იწყინა არდალიონ ჭედიამ, — ეგრე მოიქცა სწორედ მიკლუხო-მაკლაი, თუ გაგიგიათ თქვენ...

— არა... არა...

— იყო ერთი ასეთი კაცი და რომ ჩავიდა პაპუასებში, წამოწვა და დაიძინა კოხტად, მაგრამ ამას რად უნდა ასე მოქცევა, პაპუასები ვართ ჩვენ, აღზრდილ-განათლებული ხალხი?

— ვინაა ეს პაპუასები...

— პაპუასებია ბევრი პაპუასი ერთად.

— ვინ არიან, ამოღერღე, რას გვაყვედრი ცოდნას? — დასჭექა ტიტვინიძემ.

— ველურებია, ბატონო.

— ველურებიო?

— კი.

— ლაპარიკი!

— თვითონ ეგ ყოფილა პაპუასი, ბოქაულ-ბატონო, — შესცინა ტიტიკო ღლონტმა, — მიწაზე ძილი არ გამიგია მე.

— პაპუასი კი არა, პაპიკოსია ეგ, — იხუმრა პარმენა დვალმა, — როგორ დაჩერებია, ხედავთ? არ გაგიცივდეს, ბიჭო...

— ასეა, ალბათ, საჭირო, — თქვა პაპიკომ.

— კი მაგრამ, წვიმა რომ მოსულიყო, — ჩაიხრიალა შაშიამ, — მაშინაც ეგრე წამოწვებოდა?

— წვიმა არ მოვიდოდა, — ჩურჩულით უთხრა პაპიკომ, — წვიმა ხვალ მოვა.

— აუჰ! რა იცი შენ?.. — ძალაუნებურად ჩურჩულით იკითხა შაშიამ — გადამწვარი ჰქონდა ყელი.

— ვიცი...

— ხომ ვერ გვეტყვით უფრო ზუსტად! — აგდებულად შეუძახა პარმენა დვალმა.

— ორს რომ დააკლდება ოცი წუთი, მაშინ მოვა წვიმა...

— აუჰ! დავნიძლავდეთ თუ გინდა.

— არა აქვს აზრი.

— რატომ? — დაინტერესდა კაკალა მამიდა.
— ნამდვილად ვიცი.
— აბა, თუ მოვა, დაგალევინებ არაყს.
— არ მინდა... — თქვა პაპიკომ.
— რატომ, ბიჭო? — შეიცხადა პარმენამ. — შეიშალე შენ?!
— ჩემი ნება არაა? არ მინდა.
— არც ღვინო გინდა იქნებ!
— არა.
— რატომ, ბიჭო...
— კაცი მოვიდა, — თქვა პაპიკომ.
— მერე, რას გიშლის კაცი?..
— ღვინოს და არაყს იმიტომ ვსვამდი, — ჩუმად თქვა პაპიკომ, მწოლიარეს მოწიწებით დასცქეროდა, — კაცი არ იყო...
— სად არ იყო, ბიჭო, კაცი?!.
— აქ.
— სად აქ! ამ ხის ძირას?
— არა, ჰარალეთში...
— ვაი შენს პატრონს, უბედურს, — თავი გაიქნია პარმენამ, — ვინაა აბა ტერეზა!
— ჰარალეთელია.
— არაა კაცი?!
— როგორ გითხრა... რა ვიცი.
— ერთი მარგალიტა თალაკვაძესაც ჰკითხე, თუ არაა კაცი...
— უხერხულია.
— რომ არ ჰკითხო, ისე არ იცი?
— მოწმედ არ დავყავართ მაგისთანა საქმეებში მე.
— კარგი. ტიტიკო ვინაა აბა?
— ჰარალეთელია.
— ეფრემა, ღლონტი?
— ჰარალეთელია ისიც.
— მე?
— შენც ჰარალეთელი.
— რას ამბობ თუ იცი შენ! ზუსტად ერთნაირები ვყოფილვართ აბა ჩვენ ყველა?
— დაახლოებით.
— რატომ, შე კაცო, — მოულოდნელად დაუყვავა პარმენამ, —

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ან სიტყვა-პასუხს, ან უფროს-უმცროსს, ან... არაფერს არ აქვს მნიშვნელობა? რატომ?..

პაპიკო ჩუმად იჯდა.

— რატომ!

— იმიტომ.

— რა პასუხია ეგ! უზრდელო შენ!.. ტერეზა და არდალიონ ჭედიაც ერთია აბა?

— დაახლოებით.

— ტყვილა იკითხა აბა მაგან იმდენი წიგნები, კოდალა რომ გინახავს ხეზე, ისეა ეგ წიგნებზე, ტყუილ-უბრალოდ იკითხა?

— ეგ აღარ ვიცი.

— აბა რა იცი!

— ჩუ... — ტუჩზე თითი მიიდო პაპიკომ, — ჩქარა წამოდგება...

— არც ბატონი კაკოიაა... ეე, არც ბატონი აკაკია... ეე, არც ბატონი აკაკი არ არის კაცი?

— რომელი, გაგნიძე?

— ჰო. არაა?

— ნუ მაძლევ, პარმენ, უხერხულ კითხვებს.

— რატომაა ვითომ უხერხული!

— ამომიჩემონ, გინდა?

— შენ ამოგიჩემა ჭირმა და... — ვეღარ დაამთავრა აღშფოთებისაგან პარმენა დვალმა, — იჯექი აბა მაგ უპატრონოსთან და წავიდეთ ჩვენ ყველა!

— ჯერ შეიცადეთ.

უცხო ხმა იყო.

— ჯერ შეიცადეთ. უპატრონო არავინ არაა. პატრონი ყველასა გვყავს. ოღონდ ხანდახან გვავიწყდება. მეც არ ვარ უპატრონო. და პატრონი თქვენც გყავთ.

ასე თქვა პატარა კაცმა და წამოდგა.

6

სადღაც, შორს, მარგალიტა თალაკვაძის ეზოსთან, ტერეზა ღრიალებდა: „ქალო, ჩამოდი კიბეზეეე!! ქიშმიში მაქ ჯიბეზეეე!!!“

— მიკლუხო-მაკლაის არ ეძინა. იგი დაინტერესებული იყო. ხოლო დაინტერესებულებს არ სძინავთ. არც მე მეძინა. მეც დაინტერესებული ვარ.

პაპიკოც წამომდგარიყო და შორიახლოს იდგა. აღტაცებული შეჰყურებდა პატარა კაცს. იმას პრიალა პიჯაკი ეცვა და თმა გვერდზე ჰქონდა გადავარცხნილი. თავი მაღლა აეწია, შემოგვცქეროდა, გვათვალიერებდა და თან ისე მკაფიოდ ლაპარაკობდა, თითქოს ტყვიას ტყვიაში აჯენდა.

— მაკლაის აინტერესებს ველურთა საქციელი მძინარე კაცის დანახვისას. მე არ მეძინა. მე ვისვენებდი. და რაც მთავარია — მე მაინტერესებდა თქვენი საქციელი. და მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ ვარ. ეს ხერხია. ასევე მოიქცა მიკლუხო-მაკლაი. იგი კარგი ადამიანი იყო.

— ერთი საბუთი მაჩვენეთ თქვენი... მაჩვენე-მეთქი, ვიღაცა ხარ, ვის ვეუბნები მე! — დაიღრიალა გავეშებულმა ბოქაულმა ტიტვინიძემ და ცეცხლმსროლზე წაივლო ხელი. „წაავლოს“ ნაცვლად „წაივლოს“ იმიტომ ვამბობ, სხეულის ნაწილივით ჰქონდა მაუზერი — რამდენი დაკვირვება გინდა კაცს წერისას?! — საბუთი ახლავე!!

— შეიკარით ღილი!! — ისე მხნედ შეუტია უცებ პატარა კაცმა, ყველანი გავშრით და სროლის მოლოდინში ყურებზე ავიფარეთ ხელი, — ქუჩაში იმყოფებით და არა ბოსელში! დადგენილებას პატივს არ სცემთ! ხალხს მაინც ეცით პატივი! ერთადერთი ღილისათვის წყალში ჩაგეყრებათ ეგ წვალებით მოპოვებული ეპოლეტები! შეიკარით-მეთქი ღილი!

— კი ბატონო, — თქვა უცებ ტიტვინიძემ და საყელოზე ხელისგული მიიფარა, — შემთხვევით გამეხსნა, თორემ ვინ ოხერი... დადგენილებას პატივს როგორ არ ვცემ, მაგრამ... დამკარგვია, ბატონო, და რა ვქნა...

— თანა მაქვს ნემსი და ძაფი, — თქვა კაკალა მამიდამ და გულისპირზე მიიდო ხელი, — აგერ, ამ წუთში...

— ღილი რომ არ გვაქვს აქ... — დაფიქრდა ტიტვინიძე. — კაველაძე, მოდი აქ! ხომ იცი ჩემი სახლი... რას მომჩერებიხარ!!!

— ოცდახუთია, მგონი...

— ახლავე წაბრძანდით შინ. ურიადნიკი თქვენი თანაშემწეა და არა შინამოსამსახურე ქალი. ღილი დაიკერეთ. მანამდე არ გაჭაჭანდეთ ქუჩაში.

— კი ბატონო, — პირველად ვიხილეთ ჰარალეთელებმა ტიტვი-

ნიძის თავაზიანი ღიმილი — რაღაც საოცრება ხდებოდა, — დავიკერებ კიდევაც და ცარცითაც გავიპრიალებ.

პატარა კაცმა თვალი გააყოლა, მერე ჩვენ, ხალხს მოგვავლო მზერა, დაღლილმა გაგვიღიმა. თავი დაგვიკრა და თქვა:

— გამარჯობათ.

ასე მოვიდა კაცი ჰარალეთში. ისეთი სიჩუმე იდგა, ძალაუნებურად ნიავზე აჩურჩულებულ ხეს ყურს ვუგდებდით. პაპიკო დაიხარა და მუხლისთავი საგულდაგულოდ გაიწმინდა — ფქვილი თუ ამდაგვარი რაღაცა ეცხო. პატარა კაცი ჩვენს მიღმა იყურებოდა — ფერდობზე შეფენილ სახლებს ათვალიერებდა. სახეზე ნაცრისფერი ედო.

— კაი გამარჯობა! — უცებ ისე შესძახა პარმენა დვალმა, ზოგიერთები შევხტით. — სხვა, როგორ ბრძანდებით?..

— გამარჯობათ... გამარჯობათ... — გაისმოდა აქეთ-იქიდან.

მერე ისევ მივჩუმდით. პატარა კაცი დიდხანს ათვალიერებდა ჰარალეთს, ისეთი ჩაფიქრებული იყურებოდა, ჩვენც პირი ვიბრუნეთ და სხვამ არ ვიცი, რა დაინახა, პაპიკომ კი თავი ცისკენ ასწია — ეტყობა, კვამლს გააყოლა თვალი.

და მერე ყველამ მორცხვად შევხედეთ პატარა კაცს, რადგან შორიდან ისევ მოისმა: „ქალო, ჩამოდი კიბით! ჭიშმიში მააქვს ჯიბით!!“ — ისე რომ ვთქვათ, მაინც რაა ეს ჩვენი ჰარალეთი, ტერეზამაც კი ააწყო ლექსი, მაგრამ უნიჭოდ ბღაოდა, პატარა კაცს სახე მოეჭმუხნა. არავინ ვიცოდით, რა გვეთქვა, უხერხულად ვწრიალებდით ადგილზე, ფეხს ხშირ-ხშირად ვინაცვლებდით და ნასწავლ კაცს რა სჯობს? — ისევ არდალიონ ჭედიამ გვიხსნა:

— პირადად იცნობდით, ბატონო?

— ვის?

— მიკლუხო-მაკლაის, ბატონო.

— ისე, შორიდან, — თქვა პატარა კაცმა, — რა მნიშვნელობა აქვს... აი თქვენ, ხმლიანო, თქვენ რა გვარისა ხართ?

— კაველაძე ვარ.

— სად მსახურობთ?

— თეატრზე ვარ მიმაგრებული, პატივცემულო.

— ის ბოქაული ხშირად გიყვირით?

— ისე, საშუალოდ...

— რაღა საშუალოდ, — გაიკვირვა ტიტიკომ, — ყოველდღე არ გიყვირის?

— ჰა? — იკითხა კაველაძემ.

— არა უშავს, გადაეჩვევა, — თქვა პატარა კაცმა.

ეტყობა, მარგალიტა თალაკვაძე ჩამოვიდა კიბეზე, რადგან ღრიალი აღარ გაისმოდა.

— სახელად რა გქვიათ, თუ შეიძლება ერთი... — მორიდებულად იკითხა პარმენა დვალმა.

— ის ქალი ვინაა, სერზე რომ მიდის, წყალი რომ მიაქვს?

— ჩვენებურია, ჰარალეთელი, მაროს ეძახიან... თქვენ რა გქვიათ?

— შავები რატომ აცვია?

— შვილი მოუკვდა, ტკბილო.

— იმის შვილს რა ერქვა?

— ბუჭუტა ერქვა, საწყალს.

— რა დამთხვევაა, — თქვა პატარა კაცმა, ქალს თვალი გააყოლა და თავი დახარა, — მეც ბუჭუტა მქვია.

ასე მოვიდა კაცი ჰარალეთში.

— მოვა-მეთქი, — მორცხვად თქვა პაპიკომ და იმანაც თავი დახარა, — მოვა-მეთქი, აკი ვამბობდი.

7

დრო, მოგეხსენებათ, ისევ გადიოდა მაგრამ, რაღაცნაირად, სხვაფრივ...

ჯერ იყო და, მეორე დღეს, ორს რომ დააკლდა სწორედ ოცი წუთი — არდალიონ ჭედიას ჰქონდა ზუსტი საათი — მართლა მოვიდა წვიმა. აკაკუნდა სახურავებზე, წვეთები გაკვალული გზით დაუყვნენ ფოთლებს, ოდა-სახლების ქვეშ შეძვრნენ ქათმები, კაკალა მამიდამ ჩაიარა ჭრელი ქოლგით ხელში, ფრთხილად აბიჯებდა გუბეებს. ჰარალეთის განაპირას წისქვილი ახრიალდა, შაშია კუტუბიძემ თავისი დეიდაშვილის — სამსონას სახლს შეაფარა თავი, შემცივნებულმა, პიტნის არაყი გადახუხა და „ჰხა“-ო, როგორც კი დააყოლა, მაშინვე არჯევანიძეების ძაღლმაც დააცემინა და „სიცოცხლეო“, უგულოდ უსურვა შაშიას ყანიდან მობრუნებულმა, თავ-მხრებზე ტომარაგადაფარებულმა სამსონამ, მაგრამ შაშია

კუტუბიძეს მადლობა არ უთქვამს, „დავლიო ერთიცო?“ — სამსონას ჰკითხა. „რა ჩემი თქმა გინდაო“, იმან... მაკრინე ჯაშმა მატყლის წინდები ჩაიცვა და „ბრრ“-ო, ნაზად, ქალურად თქვა, იმისმა ახლადშეძენილმა ქმარმა და არდალიონ ჭედიამ თბილად შეიფუთნეს ყელი, ჩვენს ტერეზას კი შუა ეზოში ეძინა და აწვიმდა. მთელი აპარალეთი სახლებში შეყუჟულიყო, კაველაძე იმ თავის სკივრზე თავჩაქინდრული იჯდა, ლუიზა თუშაბრამიშვილზე ფიქრობდა და ფიქრებში ძალიან ღრმად შეტოპა, ტიტიკო და ეფრემა ღლონტები კბილებშუა ისრუტავდნენ ცივ ღვინოს, ქალაქის თავის მოადგილე კაკოია გაგნიძე და იმისი თანაშემწე ბუხუტი ქვაჭარავა ლოტოს თამაშობდნენ ბუხართან და ერთს მარჯვენა ლოყა ასწითლებოდა, მეორეს კი მარცხენა, თითქოს თითო სილა გააწნეს ერთმანეთსო, ბოქაული ტიტვინიძე მოხარშულ სიმინდს ჩაფიქრებული მიირთმევდა და თან მაუზერს წმენდდა და სასაცილო კი იქნება მოგახსენოთ, უცაბედად ტაროს ნაცვლად მაუზერს უკბინა-მეთქი, მაგრამ არ მომხდარა ასე და ტყუილი რა საკადრისია — სიცილზე კი არაა მხოლოდ საქმე. პარმენა დვალს მოსწყინდა ძალიან. ერთხანს ოთახში იწრიალა, დაძინებაც სცადა, არ გამოუვიდა, გულღმა გაიშოტა, ჭერს შეაცქერდა, სად მოჭრეს ნეტავი ეს ხეო, გაიფიქრა, გალად ასხმულ წიწაკებს შეხედა, რა გაათავებს ამასო, ხვნეშით გაივლო გულში, მოსწყინდა, მოკლედ, ძალიან.

— ერთი წავალ და ვნახავ, ჩემო ყვავილო, სტუმარს, თორემ აუგია, — უთხრა ცოლს ოსიკომ.

— მამაჩემმა თქვა, ქმარი საერთოდ გარე-გარე არ უნდა დაიარებოდესო.

— ეჭვიანობ, სულო? — მომხიბვლელად დაეკითხა ოსიკო და ხალიანი ლოყა მიუშვირა — ისევ შემოვიდა ხალი მოდაში, — ხომ არა გცივა? ჭირიმე შენი!..

— სამოცდაშვიდი, — გამოაცხადა ბუხუტი ქვაჭარავამ, — გაქვთ, პატივცემულო?

— არაა. ლამაზად თქვი, ბუხუტი...

— სამოცდაშვიდი, დავკრიფე შინდი.

— ასე. მაინც არაა.

— ოცდაათი.

— არის. თქვი აბა კიდევ...

აწვიმდა ჰარალეთს.

პარმენა დვალმა ჭურს თავი მოხადა, ორშიმო მოიმარჯვა, ათლიტრიანი გაავსო და ფუჩეჩით დაუცო ყელი. მარჯვენა ხელი ჩასჭიდა და მარცხნივ გადახრილ-გადაჭიმული, პაპიკოს სახლისაკენ გაემართა. აივანზე ბუჭუტა იჯდა, მოაჯირზე პაწია მუშტები ჩამოედო, მუშტს ნიკაპით დაყრდნობოდა და, ჩაფიქრებული, წვიმას გასცქეროდა. იქვე არდალიონ ჭედიაც ჩამომჯდარიყო, მობუზული, შეფუთნილი, პაპიკოს კი, ფეხზე მდგარს, ხელები გადაეჯვარედინებინა გულზე და ღრუბლებს უყურებდა.

— გამარჯობათ თქვენი! — შესძახა პარმენამ, — როგორ გიკითხოთ, ბუჭუტა-ბატონო?

— გამარჯობათ, არა მიშავს, ეგ რაა?..

— ღვინოა, თქვენ მოგართვით, შევსვათ პატარა ერთად!

— რასთან დაკავშირებით? — შეაცქერდა პატარა კაცი.

— როგორ თუ რასთან... — დაიბნა პარმენა. — ოთხი წლის ღვინოა, ისე კი არაა ის...

— მერე რა?.. — თქვა პაპიკომ.

— უჰუჰუ! — დაემანჭა პარმენა. — დიდი ხანია, აღარ სვამ, ვაჟ-ბატონო?

— მარტო ვიყავი, — ხმადაბლა თქვა პაპიკომ, — მარტო ვიყავ და, იმიტომ ვსვამდი...

— როგორ თუ მარტო... ლოთმა ღვინის ფასი არ იცოდეს, არ გამიგია ჯერ!.. დავლიოთ, ბუჭუტა-ბატონო, მოვილხინოთ ჩვენებურად ერთი... ისე, მოსაწყენია, ბატონო, ტყვილა ჯდომა... წვიმაში კარგია სმა...

— წვიმაა მოსაწყენი?! — გაუკვირდა პატარა კაცს.

— დიახ.

პატარა კაცი წამოდგა და თქვა:

— გახედე აბა...

წვიმდა.

— მოსაწყენია? — ჩუმად იკითხა ბუჭუტამ.

პარმენა დვალმა ჩურჩულით თქვა:

— არა.

— თუ იცი, როგორ მოდის?..

— კი. ღრუბლებიდან...

— ღრუბლები როგორ ჩნდება?..

— ორთქლდება წყალი.

ჩურჩულებდნენ.

— როგორ?

— მზე აორთქლებს.

— რატომ?

— ცხელია, ბატონო, მზე...

— რატომაა ცხელი?

— არ ვიცი, — თქვა პარმენამ და მიმოიხედა.

— მეც სწორედ მანდ ჩამჭრა, — ნაღვლიანად გაიღიმა არდალიონ ჭედიამ.

— თქვენ თუ იცით, — საიდუმლოდ წასჩურჩულა პარმენა დვალმა.

— რა?..

— წვიმა როგორ მოდის... მითხარით და არავის ვეტყვი.

— არ ვიცი.

— არც მე ვიცი, — თქვა პაპიკომ.

— რაღას ვუყურებთ აბა! — ხმას აუწია პარმენა დვალმა.

— ლამაზია, — ჩუმად თქვა პაპიკომ, — ლამაზია და იმიტომ.

— ჰოო, — ისევ ჩურჩულზე გადავიდა პარმენა დვალი, — ლამაზია მართლა.

ჰეე, წვიმდა.

— ჰოპ! — დაიძახა კაკოია გაგნიძემ, — დავამთავრე — ხუთი, ოცდასამი, ორმოცდათერთმეტი, სემდესიატ, ოთხმოცდაორი... სწორია?

— აბა არა? — აღტაცებული დაეკითხა თავის მხრივ ბუხუტი ქვაჭარავა.

— ხომ ვთამაშობ კარგად?

— აბა არა? მშვენივრად...

— ლოტოში მოვუგებ ყველას, — თქვა კაკოია გაგნიძემ.

— წავალ რა იქნება, მაკრინე, რა... ჩემო მშვენიერო! — შეეხვეწა ოსიკო, — შენ ხომ მაინც უნდა მოისვენო ტახტრევანზე და წავალ მე, ვნახავ სტუმარს ერთი... თორემ აუგია...

— იმღერე აბა და წადი მერე.

— რა გიმღერო, ჭირიმე შენი... რა შევასრულო?

— „შავ-ბნელი რას მოგვერევა“ შეასრულე...

— ჰხკ-ხკ, — განემზადა ოსიკო,—შავ-ბნელი რაას...

— სულ ამ ძმების ბღავილი უნდა ისმოდეს ჰარალეთში?! — იწყინა პარმენა დვალმა, — წვიმას არ გაყურებინებ კაცს...

ჩვენი ჰარალეთი კი უკვე შრებოდა. ცა მოიწმინდა, მხოლოდ ერთგან ღრუბლის დიდი, თეთრი ქულა კიაფობდა, თვალმოჭუტულნი ასცქეროდნენ. მერე მზემ უფრო იძალა, ორთქლი ასდიოდა ჰარალეთს, ფოთლები შრებოდა, კრამიტის სუფთა, მტვერჩამორეცხილი სახურავები ჯერ კიდევ გლუვად ბზინავდა მზეზე, მერე ალაგ-ალაგ აბრჭყვიალდა, ორთქლი ასდიოდა არჯევანიძეების ეზოში ჯერ კიდევ მძინარ ჩვენს ტერეზასაც, ფანჯრები გამოაღო ხალხმა, სიცილი გაისმა სადღაც, მბზინავი ლაქები გაიზარდა და ერთნაირად აბრჭყვიალდნენ სახურავები, დამძიმებული ბალახიც გაშრა, ამჩატდა, გაიმართა.

— მზე როგორია, — ჩუმად თქვა ბუჭუტამ, — ა, როგორია მზე..

— კარგია, — თქვა პარმენამ და ხელები მოიფშვნიტა.

— ლოყა მიუშვირე, აბა...

— ასე?

— თვალები დახუჭე... გათბობს?

— კი, სულ ჭრუანტელი მივლის ტანში.

პარმენა, თვალდახუჭული, მადლიერად იღიმებოდა.

— ყოველ წელიწადს მზე ჩვენს პლანეტას ექვსას ოც მილიონ მილიარდ კილოვატ-საათ ენერგიას აწვდის, — აღნიშნა არდალიონ ჭედიამ, — ეს ზუსტად თექვსმეტი ათასჯერ მეტია, ვიდრე მთელ კაცობრიობას სჭირდება.

— აუჰ, არ გამიფუჭა ვუნება? — ხელი აიქნია პარმენა დვალმა, — ჯერ ერთი, რა იცი შენ...

— შავით თეთრზე წერია, ბატონო.

— კი მაგრამ, როგორ შეცდა მაინც მზე ზუსტად თექვსმეტი ათასჯერ? — გამომწვევად დაეკითხა პარმენა, — წიგნების მზე არ გამიგია მე... მზე, აი, ესაა...

— მზესავით ვიცოდეთ ჩვენ-ჩვენი საქმე, არ იქნებოდა ურიგო, — ჩაილაპარაკა პაპიკომ.

— კაცო, მე ჩემდა თავად კი არ მითქვამს, ვილაცა სულელმა დაწერა ასე, მეცნიერულ-პოპულარულ თემაზე.

— მერე, სიტყვასიტყვით უნდა გაიმეორო? — დაანამუსა პარმენამ.

— აღარ ვიტყვი აწი.

— ოო, ეგრე.

— ოო, ეგრე, — წარმოთქვა კაკოია გაგნიძემაც, — არის... დღეს გავიაროთ ქალაქში?

— კი. ხალხს უნდა ვეჩვენოთ ხანდახან, თორემ... ხომ იცი მაგათი ამბავი, არაფერს აკეთებენო, იტყვიან.

— წარმოდგენებზე ხომ გვხედავენ ისე...

— აბა არა?

— მეზარება რაღაც... შეშრეს პატარაზე ჯერ. ანდა, შენ გაიარე და მეც გავახსენდები, ამოიღე ახლა ქვა, რაღას უცდი, აბა ჰე, ბუხუტი!

— ორმოცდათვრამეტი!

— აუჰ! ორი მაქვს მაგისთანა.

— ჰიჰი...

— თქვი აბა რამე კარგი კიდევ!

— ხუთი!.. ისე, ამბობენ, შაშია კუტუბიძე ყუთიდან შაურიანებს ღუნავსო.

— ეგ თუ ტერეზა?..

— ტერეზას რა უნდა ყუთთან?..

— აბა შაშიას სადა აქვს გასაღუნი ღონე?..

— არა, ეგ შელამაზებული გამოთქმაა — ღუნავსო, რომ იტყვიან, აწაპენას ნიშნავს.

— ეგ რაღაა?..

— უკანონოდ იდებს შაურიანებს ჯიბეში!

— ქი-იშ-მიში მაქ ჯიბეზეე!!! — გაისმა უცებ ჰარალეთში.

— გამოუღვიძია, — აღნიშნა პარმენამ და უცებ შეეშინდა, — მზე რომ არ იყოს, რა იქნებოდა...

— ნულარ იტყვი, — შეშფოთდა არდალიონ ჭედია, — სიბნელე არ მიყვარს.

— მხოლოდ სიბნელე? — გაეღიმა პატარა კაცს.

— ვენახი არ დამწიფდებოდა! — დაიყვირა პარმენამ, სხვას რომ არ დაესწრო, — არც სიმინდი, ხომაა ასე!

— წელს კარგი პირი უჩანს, — თქვა არდალიონ ჭედიამ, — თითო ჰექტარზე თორმეტ ცენტნერს მაინც ავიღებთ უდანაკარგოდ

— რისი ამღები ხარ შენ, — აგდებულად შეაცქერდა პარმენა და უცებ სახე გაებადრა, — ნამდვილად კარგი პირი უჩანს! ვენახს!

დავლიოთ ერთიც, რა იქნება, — მხიარულად თქვა და ათლიტრიანს წაატანა ხელი, მაგრამ მაშინვე მოიბუზა.

— მზის მიმართ მადლობის გარდა არაფერი გვეთქმის, — მოწიწებით აღნიშნა არდალიონ ჭედიამ, — მზე რომ არ. იყოს, დავიხოცებოდით ყველა...

— მხოლოდ მზე? — იკითხა ბუჭუტამ.

ჩაფიქრდნენ, ჩუმად იყვნენ... ორი კაცი ერთდროულად ჩაფიქრდა ჰარალეთში! მერე ვინ — ერთ-ერთი პარმენა დვალი გახლდათ. ჩვენი მომლხენი, ჩვენი თამადა. არდალიონ ჭედიასაგან ისე ძალიან არ გამკვირვებია ეს, მაგრამ ახლა მაინც განსაკუთრებულად ჩაფიქრებული ფშვინავდა და პაპიკომ თქვა:

— ჰაერი. ჰაერიც აუცილებელია...

— აუცილებელია, აბა...

პარმენამ ისევ დახუჭა თვალები, მადლიანად ისუნთქავდა ჰაერს.

— გემრიელია? — იკითხა ბუჭუტამ.

— აჰ, გემრიელი.

— და წყალი რომ არ იყოს? — იკითხა პაპიკომ.

— უჰ, უჰ, მტრისას...

— და მიწა რომ არ იყოს?

— აბა ჰაერში ხომ არ გამოვეკიდებოდით...

— არა, არაფერი რომ არ ამოდიოდეს... რა იქნებოდა...

პარმენას კი აღტაცებამ სწრაფად გადაუარა:

— რა ვიცი მე, რა იქნებოდა... როგორც სხვა, ისე მე...

დედა ღორი შემოვიდა ეზოში, თავის გოჭებიანად. ღრუტუნით ყნოსავდა ბალახს, ერთი-ორჯერ ქვეშ-ქვეშად ახედა აივანზე შეკრებილ საზოგადოებას. გოჭები ფეხებშუა უსხლტებოდნენ, გამალებულნი სწოვდნენ ძუძუს, დახტოდნენ, მერე კი, რაღაცით გაოცებულნი, სველ, პატარა დრუნჩებს მოლოდინით გაიშვერდნენ და ისევ გაკუნტრუშდებოდნენ მაღალ ბალახში. ყველანი გოჭებს შესცქეროდნენ, ალბათ, არდალიონ ჭედიაც, — ელამი არ იყო, მაგრამ, საით იყურებოდა, ვერასოდეს მიხვდებოდით.

— პატარა რომ ყველაფერი კარგია, ა?! — იკითხა პარმენამ, — ახლა, წარმოიდგენს ვინმე, ამათგან რომ ეს დადგება? — ლაფში ამოსვრილ დედა ღორს მიაბჯინა თითი.

— აბა? — დაეთანხმა არდალიონ ჭედია, — საკვირველია სწორედ!

— მერე და მერე რა გვემართება, არაა უცნაური? — მუხლზე ხელი დაირტყა პარმენამ, — ახლა, კაველაძის შემხედვარე, ვინმე იფიქრებს, ისიც რომ ბავშვი იყო, ა?

— ხუჭუჭა თმა მქონდა, — მორცხვად თქვა კაველაძემ. იქვე, აივანზე იდგა.

— აქ ხარ შენც? — შეცბა პარმენა, — რას აკეთებ აქ...

— გიგდებთ ყურს, ბატონო...

— მერე, გამარჯობა არ უნდა გეთქვა?

— ვთქვი, მაგრამ... ვერ გაიგეთ, ბატონო...

— მოდი, ჩემო გოგი, — ალერსიანად უთხრა ბუჭუტამ, — მოდი, ჩამოჯექი აქ... ხუჭუჭი თმა გქონდა?

— კი.

— კიდევ რა გახსოვს, გოგი?..

— დედა მეფერებოდა ძალიან...

— მართლა? — შეაცქერდა ბუჭუტა, პატარა კაცი.

— კი. ვუყვარდი ძალიან.

ხმლის ღვედს აწვალებდა.

— ახლა სადაა?..

— ეჰ!.. — თქვა კაველაძემ.

— დიდი ხანია? — ჩუმად იკითხა ბუჭუტამ.

— ბავშვი ვიყავი... ახველებდა ძალიან. ოთახში ნუ შემოიყვანთ, არ გადაედოსო... ჩემზე ამბობდა. ისე კი, ნათესავებს სთხოვდა, მაყურებინეთო და აივანზე, ფანჯარასთან დამაყენებდნენ ნათესავები და საწოლიდან მიყურებდა სულ, არ მაცილებდა თვალს.

— დიდხანს იდექი?

— კი. დამჯერი ბავშვი ვყოფილვარ და წყნარად ვიდექი. შუბლი მინაზე მქონდა მიბჯენილი და ხანდახან ჩემი სუნთქვისაგან შეორთქლდებოდა და სახელოთი ვწმენდდი.

ბუჭუტამ მაგრად მოისრისა შუბლი, პაპიკოს შეხედა. კაველაძე თავჩაქინდრული იჯდა, ისევ ღვედს აწვალებდა.

— მოკვტა... — თქვა კაველაძემ.

პაპიკომ ფრთხილად მოინაცვლა ფეხი, კაველაძეს დასცქეროდა. არდალიონ ჭედია სადღაც განზე იყურებოდა, მკერდზე ამაყად იკაკუნებდა, კაველაძემ კი ჩუმად, თავდახრილმა თქვა:

— ახლა არავის აღარ ვუყვარვარ, სულ აღარავის...

კარგა ხანს სიტყვა არ დასცდენიათ. მერე ბუჭუტამ მხარზე დაადო ხელი:

— ცდები, გიორგი.

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია კაველაძემ. ისევ თავჩაქინდრული იჯდა, — სულ რომ გადასაღვრელი ჰქონდეთ ღვინო, არავინ მეტყვის, მოდი ჩვენთან, დალიეო. ღვინო არ მიყვარს, მაგრამ... მაინც... არც არაფერი მაბადია და...

და უცებ ბუჭუტა ჩვენს სახელოვან თამადას მიუბრუნდა:

— ღვინო სჯობია თუ წყალი, პარმენ.

— მამასხარავებთ, ბატონო?

— რომელი სჯობია!

— ღვინო, რა ლაპარაკი უნდა ამას...

— შენთვის კი არა, საერთოდ...

— მე რამ გამყო სხვასთან... წყალი ისე მოდის, უბრალოდ, ღვინოს კი რამდენი შრომა უნდა, თუ იცი... მერე, რაც არ უნდა იყოს, — განაგრძო შეგულიანებულმა პარმენამ, — ღვინო ფული ღირს, წყალი — უფასოა... ფასიანს და უფასოს ადარებთ ერთმანეთს, ბატონო?

— სალამი და გამარჯვება. მომიხსენებია! — ომახიანად შესძახა აივანზე ამოსულმა, შეფუთვნილმა ოსიკომ. ცალ ხელში დოქი ეკავა, იღლიაში კი კოხტად გახვეული პურ-მარილი ამოეჩარა.

არავინ გაეპასუხა — ყველანი პატარა კაცს შესცქეროდნენ. იმან გვიარ-გამოიარა, კაველაძესთან მივიდა, მხარზე დაადო ხელი და, თვალმოჭუტული, ალაპარაკდა.

8

პატარა კაცი, ბუჭუტა ჰყვებოდა, რომ ყველაფერი, რაც მართლა კარგია, უფასოდა გვაქვს, ესაა ჰაერი... წყალი... ნიადაგი... მზე. ისე მრავლად გვაქვს, რომ შევეჩვიეთ ამ ჩუმ სიკეთეთ და აღარც გვახსოვს, აგერ, კაველაძემ ისიც კი თქვა, რომ არაფერი აბადია, ცდება გიორგი... რომ მზე მხოლოდ მაშინ გვენატრება, თუკი გვცივა და ვეძებთ, გათოშილ სახეს მივუშვერთ ხოლმე, ხელებსაც ვიფშვნეტთ, და რომ გავთბებით, ეჰ, ვიღას გვახსოვს... წყალიც მრავლად გვაქვს, ეს უფასო სიკეთე, ამ დალოცვილ ჰარალეთშიც და ახლო-მახლოსაც, მდინარედ მოგვიდის, წვიმად ჩამოგვდის, ჭი-

დან ვიღებთ და თოვლიც ხომ დნება... ჰაერი კი, ჰაერი მართლაც რომ უხვად გვაქვს ბოძებული, ისე უხვად რომ ველარც ვამჩნევთ, ის კი, უხილავი, უძლეველი, სულ სხვადასხვაა, მუდამ იცვლება — სხვაა ჰაერი სისხამი დილით, ქორფა, ხასხასა და გამჭვირვალე, სხვაა ჰაერი შუადღის ხვატში, შედედებული, დაგუბებული და მძიმედ მოლივლივე, სხვაა დიდთოვლობისას, ღრმა-ღრმად სასუნთქი, დამატყვევებელი, და სულ სხვაა საღამოს, გატრუნული, გამუქებული, გაიისფერებული, ლურჯდება და მერე. შავად რომ იღებება და მძიმდება, ბებერივით ისვენებს და ჩვენც ვისვენებთ. ბალიშზე თავმიდებულებს, გვძინავს, და დილით, ჯერ კიდევ მთას ამოფარებული მზის შუქით გაღვიძებულნი, სახედაბუქებულნი, ახალგაზრდა ჰაერით ვსუნთქავთ, მაგრამ ვის გვახსოვს... ბუჭუტა ლაპარაკობდა და ეზოში გროვდებოდა ხალხი, აგერ, ეფრემი და ტიტიკო ღლონტები ოდნავი ბარბაცით შემოვიდნენ ეზოში, ორთავეს დოქი ეკავა, ტიტიკოს იღლიიდან პრასის კუდი მოუჩანდა, ბუჭუტა კი ჰყვებოდა, რომ შეუძლებელია არავის უყვარდე, თუკი გაბადია ეს შეჩვეული ბედნიერებანი — ჰაერი... წყალი... ნიადაგი... მზე... ხოლო ეს მიწა, სადაც ჩვენ ვდგავართ, ჰარალეთია... იცის, იცის, ყველანი რომ ვშრომობთ, ყველანი ვთოხნით, ვსხლავთ, ვკრეფთ, ვწურავთ, ყველა ეგენი იცის, ყველანი. ეს ჩვენი მიწა ბარაქიანია, დალოცვილი და, მისი აზრით, ცოტათი გაგვაარხეინა, და სულაც არ უკვირს, რომ სწორედ ჰარალეთში მსოფლიოში პირველად გაუჩარეს შემწვარ გოჭს... რა?

— პირში ბოლოკი! — იყვირა პარმენამ.

...და რომ ის, ბუჭუტა, პატარა კაცი, მოვიდა აქ, ჰარალეთში, რომ ჩვენთან ერთად გაიხედოს, გამოიხედოს, გვესაუბროს და გვისმინოს, და, პარმენამ რომ იცოდეს, ყველაზე მეტად მასთან მოვიდა, რადგან ის, ყველაზე მეტად ჰარალეთელი, — მერყეევია...

— რამ შემარყია, ბატონო?!. — ეწყინა პარმენას.

— კვირაში შვიდი პარასკევი გაქვს. ერთს რომ იტყვი, მეორეს ფიქრობ, მესამეს აკეთებ, მეოთხე გამოგდის, სხვაზე მაღლა დადგომას ცდილობ, კეთილი გული გაქვს.

— კეთილიდან დაგეწყო, ბატონო, მლანძღავდით მეგონა...

არა, არ ლანძღავს... მაგრამ შეხედოს თავის ხალხს, ვისაც თამადობს, რომელიც უსმენს, ვინც უცინის, თავის ხალხს შეხედოს კარგად. ყველანი ჰარალეთელები არიან, მაღლები, დაბლები, საშ-

უალონი, გამხდარნი და ძალიან მსუქანნი, მასავით ტანმორჩილნი...

— ტერეზასავით მაღლები! — შესძახა ტიტიკომ.

...არა, ტერეზა მაღალი არაა, უბრალოდ, გრძელია. აგერ ეს, პაპიოკო, იდაყვამდე ძლივს მისწვდება, მაგრამ მაინც უფრო მაღალია.

არდალიონ ჭედიამ კი, როგორც ჩანს, ვერაფერი გაიგო სიგრძისა და სიმაღლისა, რადგან საქმიანად აღნიშნა:

— ყველა დროის ყველაზე უფრო მაღალი ადამიანი იყო ამერიკელი რ. უოდლოუ, — ასე აღნიშნა არდალიონ ჭედიამ, — მისი სიმაღლე 2, 71 მეტრს და წონა 222,7 კგ უდრიდა.

ბუჭუტა კი პარმენასაკენ გაემართა; ყველანი მის ზურგს ვხედავდით, მხოლოდ კედელს აკრული პარმენა მისჩერებოდა სახეში, შიშისაგან თვალები გაფართოვებოდა. ბუჭუტამ კი საყელოში ხელი ჩაავლო, ფეხისწვერებზე აიწია, ახლოს მიუტანა სახე და უთხრა:

— ბუნებისაგან ისწავლეთ, პარმენ, ეს ყოველივე, — და ზურგს უკან გაიშვირა ცერი, — ამოუცნობია. ზოგ-ზოგები კი ვიცით, მაგრამ ბოლომდე, ამომწურავად, არაფერი ვიცით, პარმენ. მზე როგორ დადის, წვიმა რომ მოდის, თოვლი თუ დნება, ზღვა როგორ ღელავს...

— კი მაგრამ, — საწყლად თქვა პარმენამ, — მე რა დავაშავე, სხვებსაც უთხარით, სხვებმაც გაიგონ...

ბუჭუტამ თავი შემოაბრუნა. თითქმის მთელი ჰარალეთი მოგროვილიყო, ფუჩეჩით დაცული დოქები უხერხულად ეკავათ ხელში. ძაძაკაცებიდან ოთხნი გვაკლდნენ — კაკოია გაგნიძე, ჩვენი ტერეზა, ტიტვინიძე-ბოქაული და ერთიც მწოლიარე ბერიკაცი, იმახ არ იცნობთ თქვენ.

— ჰარალეთელნო, — თქვა ბუჭუტამ და კიბის თავში დადგა, — ამ მთებს შეხედეთ.

მთები, რა გასაკვირია და, ძალიან მაღალი იყო. მწვანედ აგოროზებულიყვნენ მაღლა, წიფელა, მუხა, ცოტათი ზემოთ ფიჭვები იდგა. მერე ხეები აღარ იყო, გლუვ ტალღებად დაკლაკნილი თხემი ბალახს დაეფარა, მხოლოდ ერთგან, გამხმარი, ჩაშავებული ხე გაჩაჩხულიყო და იქვე მუჭისოდენა, კისერდახრილი ცხენი ბალახსა სძოვდა, ბუჭუტა კი გვეუბნებოდა, რომ ყოველი ხე, ყოველი

ბუჩქი — სასწაულია... რომ უხერხულიცაა, ასე უბრალოდ, ასე მარტივად ილაპარაკოს ამ სასწაულზე, მაგრამ სხვა რა დარჩენია — ჩვენთვის გასაგები ენით გვესაუბრება:

— დააკვირდით მათ ქერქს, მათ ფოთლებს, მიწიდან ამოზნექილი ფესვები იხილეთ, უთვალთვალეთ მათ სიმწვანეს, ჩუმ გაყვითლებას, მათი ნაყოფი ფიქრიანად იგემეთ, თვალი ადევნეთ ხეთა ჩუმ გარდაცვალებას შემოდგომობით, მათ გახევებას ზამთრის გრძელ ღამეებში, გაზაფხულობით მათი კვირტებად აფეთქება იხილეთ, ზაფხულობით უთვალთვალეთ ფოთოლთა შეუმჩნეველ ზრდას, მათ ბზინვას მზეზე, წვიმისას გლუვად აკრიალებას, და ისიც ნახეთ, ხორბალი როგორ ამოდის, როგორ იკეთებს თავთავს, ქარზე როგორ ბიბინებს, წელამდე ბალახში იარეთ და გველზე დაბიჯებისა ნუ შეგეშინდებათ — მაღლა აიხედეთ, შეხედეთ უწყინარ, ფუმფულა და საავდრო, ელვებითა და ჭექა-ქუხილით დატვინილ ღრუბლებს, ლურჯ ღამეებში ფიფქთა ცვენას უყურეთ, თვალი დევნეთ სიმინდის პაწია მარცვლებიდან ამოსულ ყანას, შემოდგომობით სამ თქვენსიგრძეს, ეს ყოველივე — სასწაულია და მაპატიეთ, ასე უბრალოდ რომ ვლაპარაკობ... ბუნებისაგან ისწავლეთ წელიწადის დროთა ფერადოვანი ერთგულება, დინჯად, დამარცვლით გაიმეორეთ, ისინი ოთხია — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, ხომ ყველას გახსოვთ? მეტი არაა ჩემი მტერი... ისწავლეთ დღეთაგან მათი ცვალებადი მუდმივობა, ისიც ოთხია — დილა, დღე, საღამო, ღამე... გაიხედეთ ოთხსავე მხარეს, და თუ გწადიათ, ყველგან შენიშნავთ საინტერესოს, ლამაზსა და ამოუხსნელს; წვეთისაგან ისწავლეთ ის სიჯიუტე, საუკუნეთა განმავლობაში ლოდებს რომ ბურღავს, ველზე დაგდებულ ლოდთაგან შეითვისეთ ამტანობა, ხეებისაგან — იმ მიწისადმი ერთგულება, სადაც რომ იშვნენ... ქარისაგან ისწავლეთ სილაღე, მიწისაგან — ჩუმი გულუხვობა, გველშიაც კი უნდა შენიშნოთ სილამაზე, და ამ უსაზღვრო, უკიდეგანო, ამ სასწაულებრივ სილამაზეში, შენ, შაშია ჟუტუბიძევ, დაგიღერია თავი და ყუთიდან შაურიანებს ღუნავ — შეგირცხვა ნამუსი!!

შენ კი, გიორგი ჩემო, ამბობ, რომ არაფერი გაბადია, — განაგრძო მცირე ხნის შემდეგ დამშვიდებულმა ბუჭუტამ, — და ყოველივე ამის გარდა ყველაზე დიდი სასწაული ეს მაინც ჩვენ ვართ, ადამიანები, ეფრემ, მოდი ერთი აქ და...

— რა იცი შენ შაურიანებს ვღუნავ თუ ორშაურიანებს! — შეჰხრიალა შაშიამ.

— სუ! — შეუტია ბუჭუტამ და თავი ჩაქინდრა, — არ მოგიყვანო მანდ. ჰოდა, ეფრემ, გაშალე აბა მკლავი...

— ასე?

— ჰო, — და შეგვათვალიერა, — თუ იცით, რა მოხდა?..

— მე ვიცი, — წამოიძახა არდალიონ ჭედიამ, — ასი ათასზე მეტი კუნთოვანი ბოჭკო მონაწილეობს ადამიანის მიერ უბრალო მკლავის მოხრაში.

— სწორია, — დაეთანხმა ბუჭუტა, — თუმცა გამართული ენით ვერ იყო ნათქვამი. ეს ის ასი ათასზე მეტი ბოჭკოა, რომლებიც ვიცით, თორემ ისე, რაც არ ვიცით, ჰეე... ეფრემ, თუ არა გცივა, დაიკაპიწე მკლავი, და ყველამ რომ დაგინახოს, აგერ, სკამზე ადი, აბა, ისევ მოხარე, ახლა თითები აათამაშე, შეხედეთ ამ მოქნილ, მორჩილ თითებს, ხომ არა გცივა, ეფრემ, აბა ერთი პერანგიც გადაიძვრე თავზე, ყოველნაირი ტანაცმელი — ბითურობაა, ასე, ხომ არ გცივა, ოო, ყოჩაღ, ღრმად შეისუნთქე, ეფრემ, ღრმად, უფრო ღრმად, ეგრე, პატარა ხანს შეიკავე სუნთქვა, ახლა ამოისუნთქე, — და მოგვიბრუნდა, — იცით, ახლა რა მოხდა? რა ურთულესი, როგორი უდიადესი, და რა მარტივად... ჰარალეთელნო, შეხედეთ ამ კაცს, იგი ჩვენია, ჩვენნაირია, შეხედეთ მას, წელსზემოთ შიშველს, დაუკვირდით მის მკერდს, ბეჭებს, ლავიწის ძვალს, მაღალ, ძლიერ ყელს, მის სახეს შეხედეთ, სახეზედაც შეხედეთ და დაუკვირდით მის ყურებს, რომლებითაც ისმენს, მის თვალებს, რომლებითაც გვხედავს, ცხვირს, რომლითაც ჰაერს ისრუტავს, უხვ, დალოცვილ, უხილავ ჰაერს, შეხეთ, რა ამაყად დგას, ამ დიდებული სხეულის პატრონი, ამ ურთულესი მოწყობილობის მბრძანებელი, როგორ თუ არაფერი გაბადია, გიორგი, აბა, ფეხი მოხარე, ეფრემ, შარვალსაც იხდი? არა უშავს, გაიხადე, გაიხადე, არაფერი გვაქვს დასამალი, ყველანი ერთნაირები ვართ...

ჩვენ დროს გრძელი ტრუსები იყო მოდაში, და საკუთარ თავში ერთბაშად შეყვარებულმა ეფრემამ ტრუსების გრძელი ტოტები დაიკაპიწა.

— აბა, ფეხი მოხარე, ეფრემ, ახლა გაშალე, ჰეე, იცით? როდესმე მიხვდებით? მაჯაზე დაიხედე, ეფრემ, ცისფერ ძარღვებს

შეხედე, ოდნავ რომ ფეთქავს, დაიხედე ხელთან, კოჭთან, აგერ, მკერდზედაც გემჩნევა მკრთალად — ეს შენი სხეულის ცისფერი ბილიკებია, მათში სისხლი მიედინება, ჩვენი სხეულის მაცოცხლებელი, აბორგებული წითელი მდინარე, ჩვენი მუჭისოდენა გულიდან გამომავალი, და ეს მფეთქავი გული გვაცოცხლებს, ჩვენი სხეულის სითბო, ჩვენი სხეულის მზე, ეს რა გიქნია, ეფრემ, თუმცა, ყოჩაღ, თავი შეაბრუნეთ, ქალებო...

ეფრემა ღლონტი დედიშობილა იდგა სკამზე და სარცხვინო ადგილებს ფართო ხელისგულით იფარავდა და ქალებმა პირი რომ იბრუნეს, ყველას მოგვინდა საკუთარი სხეულის ახლებურად ხილვა, მაგრამ ვერა ვბედავდით, ეფრემა ღლონტმა კი რამდენჯერმე ჩაიმუხლა, ხელები გაშალა, ადგილზევე შეხტა, ხელი ღონივრად მოხარა და დიდი კუნთი დაებურცა, მადიანად სუნთქავდა, თვალებით იხედებოდა, ყურებით გვისმენდა, ნერწყვს ძალუმად ყლაპავდა, ღონივრად აუდ-ჩაუდიოდა მკერდი, და ჩვენც, ჰარალეთელები, ჩუმ-ჩუმად ვათამაშებდით თითებს, დავცქეროდით ჩვენს კანს — ბაც წერტილებსა და მათ შემაერთებელ ხაზებს, მერე ვიხილეთ ოღრო-ჩოღრო ბილიკებით გადაჯერილი ხელისგულები, კუნთები დავძაბეთ, კისრები ავიტაცეთ, ვგრძნობდით როგორ გვიცემდა გული, როგორ აგვიდ-ჩაგვიდიოდა მკერდი, ვგრძნობდით, რომ ყველაფერს, ყოველივეს თავისი დანიშნულება ჰქონდა, და როცა ერთის შეხედვით თითქოსდა ზედმეტი რამ — წარბი გამახსენდა, პაპიკომ მაშინვე შემომხედა და მითხრა: „ეგ სილამაზისთვისაა...“

— ჰარალეთელნო, — შესძახა ბუჭუტამ, — აბა ახლა შუბლზე მიიდეთ ხელი, გესმით რამე? აჰ, არაფერი, არა? მაგის გაგება ისე ძნელია...

— რა კარგად ვყოფილვართ მოწყობილნი, — აღფრთოვანდა პარმენა დვალი, — აღარც მახსოვდა...

— ჯერ სადა ხართ, მე რაც გითხარით, ზღვაში წვეთია, — თქვა ბუჭუტამ, — რამდენი რამ საერთოდ არ მიხსენებია და ახლა იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ჩვენს სხეულში რა არ ირევა, ათასნაირი ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, სახამებლები, სტაფილოკოკები, ბირთვები და პროტოპლაზმები და...

— ქალი ჩამევიდაა კიბეზე!! — მოისმა უცებ შორიდან, — ქიიშმიში მქონდაა ჯიბეზე!!!

— მოდი და ენდე ამას იქით ქალი ამისთანას! — გაცხარდა კაკალა მამიდა, — არ გაყიდა თხასავით?

— ჩუ... — თქვა ბუჰუტამ და თითი მიიდო ტუჩებზე, — შეხედეთ, ღამდება...

საღამოვდებოდა.

საღამოვდებოდა, ამჩატებული ჰაერი დადგა, გაიტრუნა, ჩვენი ჰარალეთი გახევდა — ყველანი მორჩილად, წყნარად, მაინც დაძაბულნი, დაღამებას ველოდით. ხეებზე მიძვრებოდნენ კისერწაწვდილი ქათმები, ჰაერი მძიმდებოდა, მოიისფრო ნამცეცები გაერია, ნახირი ბრუნდებოდა სოფლად ყრუ გუგუნით, დაბალ მტვერში; ჭიშკრები აჭრიალდა, რძე აჩხრიალდა კასრში, ჰარალეთელი მარჯვე ქალები ყოჩაღად წველიდნენ ძროხებს, ხბოების გაბმული ბღავილი ისმოდა, თეთრი ღრუბელი გამუქდა, მაგრამ ჯერ მაინც მკრთალად გამოირჩეოდა ჩაშავებული მთის თავზე, ლურჯად დაბუჟებულ ჰაერში სადღაც სანთელი აკიაფდა, პირველი ვარსკვლავიც გამოკრთა ცაზე, სუსტი და თეთრი. მთები იხევდნენ, გეშორდებოდნენ და მუქდებოდნენ, ვიღაცა ვიღაცას ეძახდა სერიდან სერზე, ის ღრუბელიც სიშავედ იქცა და მთა აამაღლა, დაღამება იყო, სანთლის წვასავით ჩუმი, ოდნავ ტკარცალებდნენ ნაღვლიანი ხმები. ჩვენი თვალი კი, ეს ჯიუტი მაძებარა, ყველგან სინათლის ნამცეცს ეძებდა, ვათვალიერებდ ით სიბნელით ძალამოცემულ ვარსკვლავებს, მკრთალ ციაგს ფანჯრებში, და ჩვენს პატარა მდინარეშიც, ქვაზე გარდამავალ, დამსხვრეულ ზვირთებზე, ნაპირზე ანთებული კოცონის სხივი მტკივნეულად იწელებოდა. უმთვარო ღამე იყო, და კუპრადქცეულ, შედედებული ღრუბლების ნაპრალებში ალაგ-ალაგ ვარსკვლავები ჯგროდ ბდღვრიალებდნენ, შემცივნებულ ეფრემას შიშველ სხეულზე გადაეჯვარედინებინა ხელები და თითები ნეკნებში ჩაესვა, საბრალობლად ძიგძიგებდა და ბუჰუტამ თქვა: „მამაკაცებმა მაშხალები გამოიტანეთ და ტყეში წავიდეთ“.

— ჩვენც, ქალები? — იკითხა კაკალა მამიდამ.

— არა, — თავი გაიქნია ბუჰუტამ, — ქალები არა, — ქალს რა უნდა ღამით ტყეში. ჩაიცვი, ეფრემ.

არასოდეს მინახავს ღამით ისე განათებული ჰარალეთი. მაღლა აშვერილ ხელებში მაშხალები გვეკავა, გვერდიგვერდ მივდიოდით, და დარწეული სინათლეები დაპოტინებდნენ მიწაზე, სახლებზე, მძიმედ ტორტმანებდა ჰარალეთი, საცა კი ჩვენ, ბევრნი ერთად,

ხელმაშხლიანები, ჩავივლიდით. ჩვენს ნაბიჯს დიდი სიმტკიცე ჰქონდა, სათითაოდ გადავედით ხიდად გადებულ მორზე, ქალაქი უკან მოვიტოვეთ, გადავიარეთ პატარა ბორცვი, სინათლეებად ჩამწკრივებულებმა, დიდი ველი მხნედ გადავჭერით და შევჩერდით — აქ ტყე იწყებოდა, იქვე, ჩვენს ფერხთით იკარგებოდა ბილიკი, ტყეში ველარ შევძლებდით ასე გაბედულად, გვერდიგვერდ სიარულს, ბუჭუტას კი არაფერი უთქვამს, მაშხალა შეათამაშა და უზარმაზარი, ახტუნავებული ცაცხვის ჩრდილი ისევ თავის ადგილზე რომ დაბარბაცდა, თამამად შევიდა ტყეში. იმას პაპიკო მიჰყვა, მერე კაველაძე, მერე ღლონტები, არდალიონ ჭედია, მალხაზ კაკაბაძე, პაპიკოს ეზოში შეკრებილ მამაკაცთაგან მხოლოდ ბუხუტი ქვაჭარავა, შაშია კუტუბიძე და ოსიკო გვაკლდნენ; ერთი ქალაქის თავის მოადგილესთან — კაკოია გაგნიძესთან გაიქცა ამბის მისატანად, მეორე გულჩოსული იყო, მესამეს ყელის გაციებისა ეშინოდა და, საერთოდაც, ეშინოდა, ჩვენ კი, გაბედული ჰარალეთელები ცოტათი ფრთხილად კი მივაბიჯებდით, და წინ მიმავალი კაცის ზურგს იმედიანად შევცქეროდით, მხოლოდ ბუჭუტა იყურებოდა სიბნელეში და მაინც ისე მხნედ, ისე ლაღად მიდიოდა. ჩვენ მივდიოდით და დარწეულ ალზე სადღაც შორს მკაფიოდ ჩნდებოდა შემჭკნარი ფოთოლი და ისევ იძირებოდა ტყის მდუმარე სიშავეში, აჩრდილების ტალღა უძლურ ქარად გადადიოდა გახევებულ ტოტებსა და ფოთლებზე, ტიტიკო ღლონტმა მიწიდან ამოჩრილ ფესვს წამოჰკრა ფეხი და დიდი ჩრდილები გვეძგერა და გახტა, გვეძგერა და უკუიქცა, გულები შეგვიქანდა, მაგრამ ბევრნი ვიყავით, და ხელთ მაშხალები გვეპყრა. ჩვენ — მივდიოდით...

— რაო, რა თქვა იმ პატარა კაცმა?

— უჰ, უჰ, რაც იმან სისულელეები იბოდიალა, ბატონო, — ხელი ასწია ბუხუტიმ, — ჰაერი — კაიაო, წყალი — კიდო უკეთესიო, მზე ცხელიაო და სასწაულია პირდაპირ გვიმრა, მუხა და რეჰანიო. აბა?!

— ჰოჰო, — ჩაიცინა კაკოია გაგნიძემ, — აბა მზე ცხელიაო?

— კი, როდის დაადო ნეტავ ხელი...

— შენ რა გითხარი, ბუხუტი! — ახითხითდა კაკოია გაგნიძე, — ახლა სად არიან, თუ იცი?..

— ტყეში წავიდნენ, ბატონო.

— რაიო?!

— ტყეში წავიდნენ და...

— რა უნდა ხალხს ღამით ტყეში! — გაცხარდა კაკოია გაგნიძე, — შაშიას დამიძახე ერთი...

ჩვენ — მივდიოდით. ჩვენ მივდიოდით დაბურულ ტყეში, რომელიც დღისით, გაგიხარია, ლამაზია, მაგრამ ახლა, ამ შუაღამით, როცა განზე ვერაფერს ხედავ და იქიდან კი, იცოცხლე, მრავლად მოგჩერებია უკან ჩამოტოვებული, მძიმედ ჩაცურებული ამაზრზენი თვალები... და პატარა კაცი, ბუჭუტა, მაინცდამაინც მდინარისაკენ დაეშვა, და სხვა რა გზა გვქონდა, გაუბედავად ჩავუყევით ბილიკს ავად აშრიალებული მდინარისაკენ, რომელიც დღისით, რასაკვირველია ლამაზია, მაგრამ სულ სხვაა ღამით და, ამასთანავე, სხვა ქვეყნებში არ ვიცი, რითი აშინებენ ბავშვებს, ჩვენ კი, საღამოობით, სწორედ მდინარესა და იქ მცხოვრებ ლამაზ, ოქროსფრად თმაგაშლილ ქალებზე გვიამბობდნენ იდუმალი ჩურჩულით მხრებაწურული ჰარალეთელი ბერიკაცები და ლამაზ ქალს კიდევ რა უშავს, სხვადასხვა ეე... აღარც ვიცი, ვუწოდო თუ არა ის საზარელი სახელები, ერთი სიტყვით, სხვადასხვანაირებზედაც გვიამბობდნენ და სწორედ ამ მდინარის პირას შევდექით შეცბუნებულნი და, კიდევ კარგი, ხელში ანთებული მაშხალები რომ გვეჭირა და ამ დროს ბუჭუტამაც თქვა:

— გთხოვთ, ჩააქროთ მაშხალები.

კი, კი... არსებობენ, როგორ გითხრათ... ეე... მომენტები.

— ჰა?! — წვრილი ხმით იკითხა ტიტიკო ღლონტმა.

— ჩავაქროთ, ჩავაქროთ, — თქვა ბუჭუტამ და უცებ ძალიან განათდა ფსკერზე კენჭები, მერე კი შიშინი მოგვესმა, — აი, ასე.

— რას გვიშლის, ენთოს, — საბრალობლად ითხოვა ეფრემამ.

პაპიკომ კი ორიოდ ნაბიჯი გადადგა მდინარისაკენ და იმანაც წყალში ჩააყოფინა თავის მაშხალას თავი.

— სინათლე სრულებითაც არაა სირცხვილი! — ნერვიულად განაცხადა არდალიონ ჭედიამ.

მერე კაველაძემ ჩააქრო მაშხალა, ჩვენმა ურიადნიკმა, იმას უმძრახმა სამსონა არჯევანიძემ მიბაძა, მერე მალხაზ კაკაბაძემ შორიდან ისროლა წყალში მაშხალა ფრიად თეატრალური ჟესტით და ჩვენ, დანარჩენები, მივხვდით, რომ ისევ სხვისი სინათლის შუქზე სჯობდა საკუთარი სინათლის მოცილება და საჩქაროდ მოვიცარი-

ელეთ ხელები, და, მოგეხსენებათ, ღამით, ტყეში, უსინათლოდ, ბნელა.

ჰოჰო, რა ბნელოდა, ბიჭო... კიდევ ეს მოგუდული ხმაური, ავი მდინარის, ცისკენ ტოტებაჩაჩხული, სიოზე მკაცრად აშრიალებული ხეები, სადღაც ფიჩხის გატკაცუნება, ამაზრზენი წივილი ხან შორს, ხან ახლოს, და ყველაზე საზარელი მაინც ის გახლდათ, მრგვალი თვალები ახლა ზემოდან რომ დაგვცქეროდნენ და ბუჭუტამ თქვა:

— ვისაც არ მოგწონთ, შეგიძლიათ წაბრძანდეთ.

ჰე! ვინ წავიდოდა... ვინ ოხერი... წავიდოდით კი არა, ფეხზე დგომაც აღარ შეგვეძლო, და ჩვენ, ჰარალეთელებმა, ჩავიმუხლეთ, ერთ წრედ შევიკარით, და კიდევ კარგი, მხრით რომ ვგრძნობდით ერთმანეთის მხარს, ზოგიერთებმა ლოყაც კი მივადეთ მეზობელს ლოყაზე და ასე, ჩაცუცქულნი, შეყვარებულებივით ვიყავით იმ სიბნელეში ჩვენ, ჰარალეთელები, ერთმანეთზე მოჭორავე ხალხი. ახლა ვეღარ ვგრძნობდით ვერც შესანიშნავად მოწყობილ ფეხებს, ხელებს, სუნთქვასაც აღარ ჰქონდა გემო, რადგან ფრთხილად ვსუნთქავდით, თვალებიც აღარ გვინდოდა — საოცრებანი გვეზმანებოდა, ყურებიც ნეტავ არ გვქონოდა — საშინელებანი მოგვესმოდა, წარბის სილამაზისა ხომ ვიღას გვახსოვდა და გული, ერთადერთი გული გვიცემდა და მთელს შესანიშნავად აწყობილ სხეულებზე ერთადერთი შიში დაბოდიალებდა, ავად შარიშურობდა და დრო თითქოს გაიყინა და აღარც გადიოდა, მაგრამ სიმართლე — სიმართლედ და — მაინც გადიოდა.

— ყველანი აქ ხართ? — ჩუმად იკითხა ბუჭუტამ.

— ჰო... ჰო...

— შენც აქ ხარ, არდალიონ?

— აქა ვარ... კი...

— ჭიანჭველებზე რაიმე თუ გსმენია.

— ვისზე? არა, არაფერი.

— გსმენია, — თქვა პაპიკომ.

იმ სიბნელეში ტყუილზე წავასწარით არდალიონ ჭედიას.

— კი, კი, — თქვა არდალიონმა და აჩურჩულდა,—დიდ წვიმებამდე ათი დღით ადრე... თურმე ჯერ ხეებზე ადი-ჩადიან... მერე მოგროვდებიან სხვადასხვა ტომის ჭიანჭველები... თავკაცები ერთმანეთს მიუსხდებიან... თავებს მიადებენ ერთმანეთს... რაღაცას

თათბირობენ... მერე დაეწყობიან მწყობრად... ჯერ მეომარი ჭიანჭველები მიდიან, მერე მუშები, მერე სხვადასხვანაირები, რა ვიცი... და ბოლოს დაბანაკდებიან იქ, სადაც წყალდიდობა ვერ მისწვდებათ...

— რას ამბობ, კაცო... — ჩურჩულითვე გაიკვირვა პარმენამ.

— ასეა... თურმე იმათ ხალხიც, ადამიანები მიჰყვებიან და ისინიც მოგებულში რჩებიან.

— ჰაი გიდი, — ჩუმად შეიცხადა მალხაზმა, — საკვირველია სწორედ...

— კი მაგრამ, — ხმას აუწია პარმენამ, და, შემკრთალი, ისევ ჩურჩულზე გადავიდა, — რა იციან იმათ... ათი დღით ადრე... წვიმა სად მოვა და სად არა...

— ეგ არ გვიკვირს ჩვენ?

— ახსნით მაგას, არდალიონ? — ჰკითხა ბუჭუტამ.

— აჰ, ვერა... კი შემიძლია ვთქვა ინსტინქტია-მეთქი, მაგრამ ეგ ვერაფერიშვილი ახსნა ვერ იქნება.

— ახლა ყვავებზე გვიამბეთ.

— უჰ! — საკვირველია ნამდვილად.

— გვიამბე ჩვენც...

— რა და, ტიტიკო, ყვავი რამეს თუ დააშავებს, იმათი წესებით... შეიკრიბებიან გუნდების წარმომადგენლები და იმსჯელებენ თავისებურად, რა ვიცით ჩვენ ყვავების ენა... და თურმე ან სიკვდილს გადაუწყვეტენ, ანდა გაძევებას.

— რას ამბობ... ისე, ბხოლოდ თავისი გუნდი რატომ არ სწყვეტს საქმეს, ვერ მოერევიან თუ რა... რატომ უმეღავნებენ სხვას თავის გლახას და სამარცხვინოს... ერთხელ გაამეღავნებენ, ორჯერ და შეურცხვებათ სახელი...

— აბა რა, ვიცი, პარმენ... ალბათ, ის გაძევებული სხვა გუნდმა რომ არ მიიღოს, იმიტომ...

— ხო?.. ეგრე კი.

— თან ყვავი, — ფიქრებში ჩაეფლო მალხაზ კაკაბაძე, — თან მარტოხელა...

— ფუტკრებზე თუ გსმენიათ რაიმე?..

და იმ სიბნელეში პატარა ხნით ყველანი გამოვცოცხლდით:

— ოჰ, როგორ არა... სკები გვიდგას ეზოში... ფუტკარი საკვირველია სწორედ... ფუტკარი კი ვიცით...

— პატრონი რომ ცხრა მთას იქით კვდება, — ჩუმად თქვა ეფრემამ, — შინ ძაღლი ყმუის.

ისევ შეგვეშინდა.

— რა იცის ძაღლმა... ჰა...

— ახსნით ამას, არდალიონ?

— აჰ, ვერა... ახლა, რომ ვთქვა, ტანი უგრძნობსო, რანაირი ახსნა იქნება... მით უმეტეს, თქვენთვის...

— უცნაურია, უცნაური...

— დიდი უცნაური...

მე მგონი, დიდხანს ვისხედით ჩუმად. დრო — გადიოდა.

— ცხოველი გვჯობნის ზოგიერთ საკითხში, — პირველად ამოიღო ხმა საბსონა არჯევანიძემ.

— ძაღლი და ღორი, გინდაც ზოგზოგებში, რატომ უნდა მჯობდეს მე... — თქვა ჩაცუცქულმა ეფრემამ და დაჯდა.

— ერთხელ, ორ დღეს არ მომიწია დალევამ, წვეთი ღვინო და არაყი არ ჩამსვლია პირში, — ძალიან ხმადაბლა თქვა პარმენამ, — და დაკიხედე ძირს და რას ვხედავ — ჭიანჭველების ბუდეა... ფაციფუცობენ, გარბიან, გამორბიან, ეზიდებიან, აგროვებენ რაღაცას და ასე, ზემოდან რომ დავცქეროდი, მე, იმათთან შედარებით დიდი და ღონიერი, უცებ შევკრთი და მაღლა ავიხედე, ეგებ მე და ჩემებურებსაც კიდევ უფრო დიდი და ღონიერი დაგვცქერის-მეთქი...

— მერე, დაინახე რამე? — დაინტერესდა არდალიონ ჭედია.

— აჰ, არაფერი.

— ისინი თუ გხედავდნენ?

— ვინ, ჭიანჭველები?

— ჰო.

— არ ვიცი... ისე, ზოგიერთი კი ამაღოღდა ფეხზე.

— ჰარალეთელნო!!! — უცებ ისე დასჭექა ბუჭუტამ, რომ უნებურად ყველანი ჩავჯექით და ლოყა სასწრაფოდ მივადეთ ერთმანეთს ლოყაზე, — ყური დამიგდეთ...

9

და, ღამით, ტყეში, ერთ წრედ შეკრულებს, ბუჭუტა დიდხანს გველაპარაკა.

იდგა, გვიამბობდა...

ის გვიამბობდა იმ უცნაურ, საოცრად ტევად, უძირო ჭაზე, რო-

მელსაც სახელად „ადამიანის მახსოვრობა“ ჰქვია. ბუჭუტა იდგა წრის შუაგულში და ხმამაღლა, ყვირილით გვეუბნებოდა, რომ ჩვენ ვიცით ათასი ნაცნობის სახელი, გვარი, ყველას ვანსხვავებთ, და განა მხოლოდ სახით, არა, სიარულზედაც ვცნობთ, რომ კიდევ ვიცით აუარება ნივთის სახელი, მათი დანიშნულება, გამოყენება, რომ გვაქვს ათასნაირი დამოკიდებულება ყველასთან, ყოველივესთან, და მაინც ჰარალეთელები ვართ. მერე იყო და, შეგვახსენა, რომ ყველასა გვაქვს ჭკუა, გონება, ზოგს უხვად, ზოგს შედარებით მცირედ ბოძებული, და იმის ნაცვლად, რომ ადამიანის გონება, მისი უმდიდრესი, ზღაპრული შესაძლებლობანი გამოვიყენოთ ისე, როგორც საჭიროა, ამის ნაცვლად ჩვენ, ჰარალეთელებს, დრო, ჭკუა და ენა იმაზე მიგვდის, რომ ერთმანეთს გავეჯიბროთ, ეუთვალთვალოთ, ერთურთს დავცინოთ, ხელი არ გავუწოდოთ დასახმარებლად, სანამ ძალიან არ გაუჭირდება და ლხინისას კი ურთიერთს ყალბად შევცინოთ და — თუთ! პარმენა დვალო — შენ გაჩვენებენ სეირს, თუ არ გამოსწორდები და ცოტათი უფრო დაკვირვებით არ მიმოიხედავ... და ისიც გვითხრა, რომ ზომაზე მეტად ვლაპარაკობთ, რომ თუმცა სამსონა არჯევანიძესავით დღენიადაგ ხმაგაკმენდილნი არ უნდა ვიყოთ, მაგრამ ზედმეტი ლაპარაკი? — აჰ, არა, არა... გულის მოფხანაა, გულის მოფხანამ კი დამშვიდება იცის, დამშვიდებამ — გაარხეინება, არხეინობამ—ჰეე, არხეინობამ დაღუპა ბევრი და ასე რომ, პარმენა დვალო... არსებობს ერთი კარგი გამოთქმა — ენას კბილი... გასაგებია, ხომ?.. რა თქმა უნდა, ბატონო... მოკლე პასუხი!.. კი ბატონო... მოკლე-მეთქი!!. კი... ასე. ეგ უმძრახობა კი, სამსონ, ბოღმით აგავსებს, ბოღმით გაგბერავს, და თქვი შენც ხანდახან ორიოდე სიტყვა, ხმა გააგონე მეზობელს, მაგ დაგუბულმა ბრაზმა გიყო, ერთი შვილი ხეპრე და რეგვენი რომ გამოგივიდა, მეორე კი თვალმილულული მომღერალი და მაღალფარდოვნად მოსაუბრე — როგორა ჰქვია, არდალიონ? ჰოო, რომანტიკოსი — ბუნებაში ყოველივე წონასწორდება... ნუ გშურთ ნურავისი ნურაფერი, მხოლოდ გონებას დაატანეთ ძალა და გონების სარკმლით — თვალებით დაკვირვებით უთვალთვალეთ ყველაფერს, ყველას, თვალით ყველაფრის შეძენა შეიძლება, აგერ, მდიდარი კაცი ცხოვრობდა ერთი და ეზოში ერთი რამ უცხო ბუჩქი ედგა, მაგრამ ის ბუჩქი იმ კაცის კი არ იყო, მეზობლის ბავშვისა გახლდათ — ისე უყურებდა... და, დაიჯერეთ, რომ ყველაფერი, საცა კი თვალი მიგიწ-

ვდებათ, თქვენია, თქვენი, საჯმელ-სასმელის გარდა, მაგრამ სურ-
სათ-სანოვაგე თქვენ არ გაკლიათ და... სწორი ხარ, კაველაძე, ვი-
ცი, რაც გიტრიალებს გუნებაში — შიშველი მკლავი, შიშველი მხა-
რი, ქათქათა ფეხი... მაგრამ ბუნებაში ყოველივე წონასწორდება,
სამაგიეროდ, თამამი სიზმრები გაქვს და ცხოველი ფანტაზია, და
როცა იქნება და შენც რომ გეშველება, როგორაა არდალიონ? ჰო,
ყოველ ალხანას თავისი ჩალხანა ჰყავსო, ხუმრობით გეუბნები,
გოგი, არ გეწყინოს, და შენც რომ დამშვიდდები, კაველაძე, და რომ
მოგწყინდება, შენი გაწვრთნილი, წანწალს შეჩვეული ოცნება ახ-
ლა სხვა ამბებს, სხვა ცას გადასწვდება და რა უნდა იყოს ფიქრსა
და ოცნებაზე კარგი, არაფერი, არა, მაგრამ თქვენ, ჰარალეთელებს,
ნურას უკაცრავად — ნაღდი გინდაბ, არა? ჯიბეში ან ხელში, არა?
გულისჯიბეში, ღრმად, ხომ? შეგირცხვათ... ანდა ის, ის ნაგავი
შაშია კუტუბიძე, ლოთი და შაურიანების ქურდი, ეგ ჯიბგირი ეგ,
მაბეზღარა... მაბეზღარა არ უნდა იყოს?.. გახდება... გახდება, არა?
სწორი ხარ, პაპიკო, შენთვისაც მოველ... შენ მარტო იყავ, პაპიკო
ჩემო, მარტო იყავ და მხოლოდ შენ არჩევდი მზეს მთვარისაგან,
შვიდნაირ წვიმას... და როგორ გასძელ, ძალიან მიკვირს — ასე,
სხვების შემხედვარემ და საკუთარ თავში შეეჭვებულმა... და სვამ-
დი, არა?.. ძალიან ვსვამდი... რას იზამ, ხდება — და თუნდაც ბუხუ-
ტი ავიღოთ, თქვენი, ქვაჭარავა, კაცია ეეგ? ყურის ნაცვლად თვა-
ლით ისმენს — იმ ხვითო კაკოია გაგნიძეს მისჩერებია პირში...
რანაირი სიარული იცის მაინც, განგან რო ადგამს ფეხს, ძველი
მეზღვაურივით — ასეა, ბარბაცებს ხანდახან მიწა... ისე კი, ტრია-
ლებს, არა, არდალიონ? ჰო, ბრუნავს, ბრუნავს... უცნაურია არა? —
ის, რაც ყველაზე მყარად, ყველაზე საიმედოდ დგას, თურმე ბრუ-
ნავს და ბრუნავს, ჰეე... ანდა ის გლახაკი ტიტვინიძე — მძვინვარეა
ვითომ... ჰარალეთელნო, ამ ტყეს შეხედეთ... სუუ, ჩუმად ვიყოთ,
პატარა ხანს ჩუმად ვიყოთ... აგერ, ე... გესმით, არა... აი კიდევ, კი-
დევ... და სულ ასეა, დღითა და ღამით, დღისით და ღამით მუდამ
მოისმის რაღაც იდუმალი, შორეული, რომელსაც მიწვდომა უნდა,
რომელიც უნდა გაიზარდოთ, რომელსაც უნდა დაუდარაჯდე, ზერე
მიაგნოთ და მიხვდეთ, ჩასწვდეთ, ახსნათ, და თუნდაც ვერ ახსნათ,
მაინც უნდა იპოვოთ ეს იდუმალი ხმები, მაგრამ ჯერ, უპირველეს
ყოვლისა, იდუმალს გაგონება უნდა და რას გაიგებთ, სიცილ-ხარ-
ხარსა და სადღეგრძელოებში, ფრთხილად, თორემ პარმენა დვალო...

აი, კიდევ... სულ მუდამ ისმის, ისმის... გესმით, ჰარალეთელნო?

ჰოი, გვესმოდა...

...მაგრამ ყველაზე უცნაური ისაა, ხანდახან ქვეყნის მოწესრიგებას რომ აპირებთ, ვის არ გადასწვდებით ლაპარაკში, ვიღას არ გაჰკრავთ კბილს. მთელი კაცობრიობის გამოსწორებას აპირებთ ხოლმე, გარდა ერთადერთი ადამიანისა — საკუთარ თავს არ ათვლით იმ ლეგიონში. კეთილი ინებეთ და, უფრო სწორი იქნება, ჯერ საკუთარ თავებს რომ მიხედოთ, ჰარალეთელნო, მაგ თქვენს დიდ, პატარა, ხოტორა, ხუჭუჭა, ჯაგარა, შავტუხა, ალისფერ თავებს, — და მერე ინებეთ ქვეყანაზე ფიქრი... ციც! — პა-არმენა დვალო... გულით კეთილებს, გულუბრყვილოებს, მიმნდობებსა და რა ვიცი, კიდევ რა, საიდანა გაქვთ ხანდახან იმოდენა ეშმაკობა და ბოღმა, ვიღაც სხვას თამაშობთ, და რომ იტყვიან, როგორ იტყვიან, მალხაზ-ბატონო?.. როლში შევდივართ... და მერე... მერე ველარ გამოვდივართ, ბატონო!.. მერე, კარგია?.. არა, რას ბრძანებთ, სულ თეატრი არ გამიგია მე... მხოლოდ საღამოობით, არა?.. საღამოობით, დიახ... ჰეე, საღამო ისეთია, საღამოობით ყველაფერი შეიძლება... ყური დამიგდეთ! ყველაფერი წონასწორდება, დაიმახსოვრეთ, სუყველაფერი — ან ადრე, ან გვიან, ან... მერე! როდის მერე... სულსწრაფი ხარ, პარმენ, „მერე“ რთულია, დღეს ვერ მოვასწრებთ... შენ რომ იცოდე, როგორი რთული... მერმეზე მერე ვილაპარაკოთ, პარმენ... ბატონი ხარ... ეეჰ, რამდენი რამ კიდევ უნდა მეთქვა, მაგრამ... თქვით ბარეღამ, ბატონო, აგერ არა ვართ... შეხედეთ, თენდება...

მართლაც, თენდებოდა.

და გაბზარული ოდნავ სიბნელე რომ დავინახეთ, ჩვენ, მოკუნტულებს, გული მოგვეცა. მაშინვე მოვაშორეთ ლოყას ლოყა, მხარს მხარი, ღამე — ლღვებოდა. ჯერ იყო და, ლურჯად დანამცეცდა ჰაერი, უხმო ზმუილით იწელებოდა ღამე, გათხელდა, გაბაცდა, და სიბნელიდან მკვეთრად გამოაბიჯეს ხეებმა, მერე კენწეროზე ფოთლები მოისხეს, და შორს, ტოტებშუა, რაღაცა გაწითლდა, აქაფებული ღელეც დავინახეთ და ჩქარა კენჭებიც გამოჩნდა ფსკერზე, ფეხზე წამოვდექით ჩვენ, გულმოცემული ჰარალეთელები, მუხლი გავშალეთ, გავიარ-გამოვიარეთ, ჩიტები ახმაურდნენ, სად იყვნენ შაინც განაბულნი, და მზეც რომ ამოგორდა და სინათლის სვეტში

ტყის სუფთა ნამცეცები აბრჭყვიალდა, ტიტიკო ღლონტმა კეფაზე შემოიკვდო ხელისგულები, თავი უკან გადასწია და ე-ე-ეპხო, მადიანად გაიზმორა. ის ავი მდინარე პატარა ღელედ იქცა, პარმენამ უშიშრად შეაბიჯა შიგ, პეშვებით შეიასხა წყალი სახეზე და აფრუტუნდა — რა ქალი, რის ქალი, რომელი ალქაჯი, სადაური ჭინკა, გაგიგონიათ?! — უშიშრად იბანდა ცხვირპირს, თმაზედაც გადაისვა ხელი, გაკოხტავდა, ეფრემა ღლონტმა ჩაიმუხლა და ადგა, ჩაიმუხლა და ადგა, მერე ძალიან გაიჯგიმა და ამაყად მოგვავლო თვალი. „რა იმუშავებს დღეს,—წყენით თქვა ტიტიკომ,—საქმე მქონდა ყანაში, ქეიფში მაინც გამეტეხა ღამე". „ჰე,—ჩაიცინა პარმენა დვალმა,— გუშინწინ ამ დროს სუფრაზე ვიჯექით". „სუფრაზე კი არა, სუფრასთან",—შეუსწორა არდალხონ ჭედიამ. „სულ ერთი არაა, მოგცლია შენც..." სამსონა არჯევანიძე მაინც ყველაზე გაბოროტებული გამოიყურებოდა, ქალამანი წაიძრო, გაბრაზებულმა დაიქნია და იქიდან გამოვარდნილი კენჭი წკარუნით რომ ახტა ქვაზე, მაშინვე პარმენამაც წაიქირქილა: „რა იდუმალი ხმა იყო, ბიჭო?" „მეც არ ამიყოლიეს, ხნიერი კაცი?" — იკითხა მალხაზ კაკაბაძემ და თავში შემოირტყა ხელი, ხოლო არდალიონ ჭედიამ თქვა: „ტყუილა ავიშენეთ სახლ-კარი? მგლის და ვეფხვის გარდა ვის რა უნდა ღამით ტყეში..." და ბუჭუტას შეხედა, ის კი, უეცრად მობუზული, მოწყენილი, სუყველას თვალს გვარიდებდა, პაპიკოსაც კი, რომელიც თანაგრძნობით შესცქეროდა სახეში. „რას ჩხრიალებდა ღამით?" — აგდებულად დახედა ღელეს ეფრემა ღლონტმა და პარმენას შეაცქერდა. „ჩხრიალებდა თორემ, ეგეც ოქროს თუმნიანები იყო... — ხელი ჩაიქნია პარმენამ, — ახლა მაინც წავიდეთ სახლში".

ჰოჰო, რა გულით მივაბიჯებდით? „მაშხალა დაგრჩა, ტიტიკო!" — შეუძახა ეფრემამ. „გადი, გადააშენე იქით... ამის მეტი მე ის აღარ დამჭირდეს..."

პარმენამ ერთი-ორჯერ ეშმაკურად მიმოიხედა, ჩაეცინა, რაღაც აწონ-დაწონა გუნებაში და მერე თავჩაქინდრულ, მწკრივის კუდში ხევდიანად მომავალ ბუჭუტას მიუბრუნდა:

— თქვენ ხომ თქვით, არაა კარგი ბევრი ლაპარაკიო...

— ვთქვი.

— მერე, შე ოჯახაშენებულო, თქვენხელა ვინმეს ელაპარაკოს, არც გამიგია მე.

— უკიდურესობაში ჩავარდა, — აღნიშნა არდალიონ ჭედიამ.

— ეჰ, — თქვა ბუჭუტამ.

პატარა იყო, ტანმორჩილი, და ახლა, დღის სინათლეზე, ახლად გათენებულზე, კიდევ უფრო პატარა ჩანდა.

— ჰოდა, ის „მერე“ თუ რაღაცაა თუ უფრო რთულია და მეტი გაქვთ სალაპარაკო, — შეგვცინა პარმენამ და ბარძაყზე დაირტყა ხელი, — დავსახლდეთ ბარეღამ ტყეში და ილაპარაკეთ, ბატონო.

მწკრივში აქა-იქ სიცილი გაისმა და კმაყოფილი პარმენა უცებ გადიდკაცდა:

— მართლა, სიდაური ხარ, ბიჭო, შენ?

ბუჭუტა, თავჩაქინდრული, ხმას არ იღებდა.

— ენა ხომ არ ჩაყლაპე, ბიჭო, შენ?!. — გაიკვირვა პარმენამ, — მშვენიერი კარგად ლაპარაკობდი ტყეში... თუ ხვალისათვის იზიგავ?!

— ხვალ აღარ ვიქნები...

— აუჰ? კვდები თუ...

— არა, დღეს წავალ.

— რა გეჩქარებოდათ, ბატონო, — თვალები აუციმციმდა პარმენას, — შეგეწიათ კიდევ ორიოდ სიტყვა...

— რაც ვილაპარაკე, ისიც არამი ყოფილა შენზე, — თქვა ბუჭუტამ, — მაგრამ ჯერ კიდევ გამოგასწორებ.

— აუჰ, რა მჭირს შენი გამოსასწორებელი... ვინაა ეს! — უცებ შეკრთა პარმენა, — არა, ეგ კი არა, აიი ის, სერზე რომ მოჩანს... იქით, იქით, უჰ, უჰ, ტერეზაა, მგონი, ბიჭო...

—ისაა, — თქვა პაპიკომ.

— რაღაც გაბრაზებულივით გამოიყურება, ისე დგას. ის ვიღაა, გვერდით რომ უდგას?..

— შაშიაა, კუტუბიძე.

— ბიჭოს, რაშია ნეტავი საქმე?..

ახლა ისევ შეგვეშინდა, მაგრამ ეს უკვე სხვანაირი შიში იყო — თვალხილული ძალის. ტერეზა თუ ვინმეზე გაბრაზდებოდა, ეშხში შესული, სხვებსაც თითქოსდა თამაშ-თამაშით დაგვრევდა ხელს, მაგრამ ჩვენი ნეკნებისთვისაც გეკითხათ, რანაირი თამაში იყო ეს... ახლა კი ისე მრისხანედ აბრიალებდა თვალებს, ისეთ უზარმაზარ მუშტებად შეეკრა თითები, ყველანი ადგილზე გავქვავდით და რომ გამოვერკვიეთ და გასაქცევად გავემზადეთ, ტერეზამ დი-

დი ნაბიჯი გადმოდგა, ერთი, მეორე, მესამე, პირდაპირ ბუჭუტასაკენ გაეშურა (ტერეზაღა აკლდა საწყალს), თავზე დაადგა ერთი ბეწო კაცს და ამ ბეხლეწმა, ამ საშინელებამ, მუქარით ჰკითხა:

— მე არ ვარ მაღალი... აბა?!

— არა, — მოგვესმა ხმა, ბუჭუტა აღარ ჩანდა, ტერეზა ეფარებოდა, — მაღალი არ ხარ.

— აბა, რა ვარ! აბა...

— უბრალოდ, გრძელი ხარ, — მოგვესმა ისევ.

— ეს რეებს ბედავს, გიჟი ყოფილა, — ჩაილაპარაკა პარმენამ, — ვაი, ჩემი ბრალი, თურმე ვის ვუგდებდით ყურს...

— ყველა სულელმა და გიჟმა ჩვენში უნდა მოიყაროს თავი?! — იწყინა ტიტიკო ღლონტმა.

— შეურაცხყოფაა, ტერეზა, ეგ! — შეჰხრიალა ტერეზას ზურგიდან შაშია კუტუბიძემ.

— ასეა?! — მრისხანედ დაეკითხა ტერეზა პატარა კაცს და უკიდეგანო მხრები შეათამაშა.

— სიმართლე კია და... — მოგვესმა.

— რა თქვა, აბა, გესმით, აბა?! — შემოგვხედა გაოცებულმა ტერეზამ, — ახლა, ამას რო დავარტყა ხელი, აბა, ხო გავაცხებიებ სულს, და ხო გამაციმბირებენ მაგისთვის და ციმბირი მინდა მე? გადი დაიკარგე იქით, შე გლახა, შენ... — და გაუკვირდა, — აბა?!

სასწაული ხდებოდა — ტერეზა პირველად გაანაწყენეს, და თავზეხელაღებულს არ უსწორდებოდა, როგორც ჩანს, იმისმა ტანმორჩილობამ დააბნია, და თვითონვე აპირებდა წასვლას, მაგრამ...

— არსადაც არ წავალ, — მოგვესმა უცებ.

— რაო? — ყურებს არ დაუჯერა ტერეზამ, — არ წავალო? აბა...

— ვთქვი და გავათავე.

— გაგათავებ ახლა მე შენ! — დაემუქრა ტერეზა და მხრები აიწურა, — რო მოგკიდებ ხელს, სულ დაგფშვნი, სულ, შე...

— კრუხის პალოვ — შეაშველა შაშიამ.

— შე კრუხის პალო, შენ, რო მოგკიდებ ხელს, სულ ქვებზე დაგიჩეჩქვავ მაგ თავს, შენ!

— ახლა ვნახავთ, ახლა, — ჩაიხრიალა შაშია კუტუბიძემ, —

მე ვლუნავ შაურიანებს, თუ შენ გაგლუნავენ შაურიანივით, ახლა ვნახავთ, აბა ჰე, ტერეზა, ტერეზიკო!

— რო მოგკიდებ ხელს, არა? კვახივით გაგიპობ თავს... აბა!

— გაჩუმდი, ბიჭო! — შეუძახა საბისონამ.

— შენ გაჩუმდი, თორემ მამა და ბიძა არ ვიცი მე!

— მართალია ეს კაცი! — დაიყვირა შაშიამ.

— ხოდა, შენ და მამაჩემს რო ჩაგავლებთ ქეჩოში ხელს, ხომ, სულ ცხვირ-პირს გარტყმევინებთ ერთმანეთს, ხომ? და შენი ცხვირი იმისი გახდება და იმისი კიდევ შენი და მამა და ბიძა არ ვიცი მე!

— როგორ ბრძანდებით, ტერეზა ბატონო? — ფეხი წინ წადგა პარმენა დვალმა, მაგრამ მაშინვე გააწყვეტინეს:

— ჩაიგდე ენა! გაბრაზებული ვარ...

— ხოდა, მიდი მერე, რაღას უცდი, შე კაცო, — შეაგულიანა შაშია კუტუბიძემ.

და ტერეზა რომ ჩაფიქრდა, სწორედ მაშინ, იმ დღეს მივხვდი, რატომ იყო ასეთი ღონიერი, — ფიქრისას კუნთები ეძაბებოდა.

ჰოდა, იფიქრა, იფიქრა და თქვა:

— კაცს რო ჰგავდეს, კიდევ ხო, მაგრამ ამას როგორ გავარტყა ხელი, მერე, ციმბირში რომ გამიშვან, შენ მომიტან მოსაკითხს? აბა?! — თქვა და შემობრუნდა, მაგრამ უცებ, ყურებს არ დავუჯერეთ, მკაფიოდ მოგვესმა:

— შესდექ, ლაჩარო!

ბუჭუტას ხმა იყო.

ლაჩაროო — ტერეზას უთხრეს!

10

— რაო? რა თქვი? რა თქვა...

— შესდექი, ხეპრევ!

— რაიო?! — კინაღამ გადაირია ტერეზა, — რო მოგკიდებ ახლა ერთ ფეხში ხელს და მეორეს მეორეში ახლა, ხომ? შუაზე გაგხლიჩავ, აბა?!

— ყური დამიგდე, — უთხრა ბუჭუტამ, — კარგად დამიგდე ყური — რომ გაგისწორდე, ჯერ რაიმე უნდა დააშავო და თუ არ დააშავებ, მაშინ ბოდიშს მოიხდი მამის წინაშე და ყველაფერს გაპატიებ. მამას მოუბოდიშე, მე არაფერს გემართლები, ისე მოიქეცი, როგორც გიჯობდეს...

— იი.. — განცვიფრდა ტერეზა, — ბოდიშს მოგცემ მე შენ ყურისძირში!.. — და ხელი შემართა.

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, ესე იგი, ბოდიშს არ მოიხდი არა?

— იი...

— არა, — არა?

— არა. აბა?!

— მაშინ, თუ ბიჭი ხარ, რამე დააშავე.

— დავაშავო? — მიმოიხედა ტერეზამ და ყველაზე ახლოს მდგარ კაცს, ესე იგი შაშიას, უცებ ისე დაჰკრა მხარზე ხელი, რომ იქვე მიაწვინა. — აჰა!

— ეგ სისულელე იყო, — შეიჭმუხნა ბუჭუტა, — შაშია შენს მხარესაა, და იმას რომ გაარტყი, აშკარად სისულელით მოგივიდა. სულელობისათვის კი პირადად მე არავის დავსჯი.

— შენი მომხრე ვინაა აბა?..

— პაპიკოა, აგერ...

— ეგაა? — იკითხა ტერეზამ და სახე დაემანჭა, — ფუჰ, მაგას როგორ მოვკიდებ ხელს, ფუჰ, მაგ გლახაკს, ფუჰ...

— ოო, ეს კი ნამდვილად ბოროტება იყო და შეურაცხყოფა, — თქვა ბუჭუტამ, ორიოდ ნაბიჯი გადადგა, შეხტა და ტერეზას უცებ — ბიჭო, რა მოხდა?! — ლოყაზე სტკიცა.

— იი... — ხელი მიიდო ტერეზამ, — მართლა გამარტყა?

— კი, — უთხრა შაშიამ და ძლივს აითრია წელი, — ნამდვილად.

— იი, — დაიბნა ტერეზა, — იიე...

— ყური დამიგდეთ, — უთხრა ბუჭუტამ, — კარგად დამიგდეთ ყური. თქვენ შეგიძლიათ დუელში გამომიწვიოთ, და თუმცა ძალიან ზუსტად ვისვრი, მაინც არა მსურს დამბაჩებით შერკინება—ტყვიაა მაინც, შეიძლება რომელიმეს გვიმუხთლოს.

— იი... — აღმოხდა ტერეზას, — ვის გაარტყეს, ა? აბა?!

— და ამიტომ თანაბარი იარაღით — ესე იგი ჩვენ-ჩვენი მკლავების წყალობით გავსწორდეთ. გნებავთ?

ისე ლაპარაკობდა, თითქოს ტყვიას ტყვიაში აჯენდა.

— იიე... ხელებით?

— ხელებით, დიახ.

— არ გინდა, შვილო ბუჭუტა, — წამოიძახა თვით სამსონა არჯევანიძემ, — მოგკლავს, ნამდვილად მოგკლავს... ჩემს თვალწინაა გაზრდილი და ვიცი, რაც გელის, არ გინდა, შვილო...

— აი, თქვენც კეთილი გული გქონიათ, სამსონ. ხოლო ეს — კარგია.

— არ გინდა, ბუჭუტა, ბიჭო, — პარმენამაც გამოიდო თავი.

— თუთ, პარმენ!.. — ღიმილით დაემუქრა ბუჭუტა.

— გაგხეთქავს მართლა შუაზე! — უთხრა ტიტიკო ღლონტმა.

— წესიერად ილაპარაკეთ, — მკაცრად უთხრა ბუჭუტამ და მოიქუფრა, — სიტყვებს შერჩევა უნდა.

— არ გინდა, ბუჭუტა, ბიჭო, — ურჩია არდალიონ ჭედიამაც, — დავითი რომ გოლიათს მოერია, შურდული მაინც ჰქონდა ხელში და რისი იმედი გაქვს შენ?!

ბუჭუტამ კი თქვა:

— ყველას ჩვენ-ჩვენი მუღამი გვაქვს.

და ტერეზას მიუბრუნდა:

— აბა, დავიწყოთ...

ჰოიი, ბიჭო... ჰარალეთში ამბავი მოხდა, მტრისას. ორი ტიტანი—ერთი ძალ-ღონით, მეორე კი თავდაჯერებულობით, ერთმანეთს შეერკინა და ხომ უნდა დამარცხებულიყო რომელიღაც, რაც ჩვენთვის, ჰარალეთელთათვის და, რაც მთავარია, ორივესათვის წარმოუდგენელი იყო, და მაინც, ტერეზამ ხალათი რომ გადაიძრო თავზე, ბუჭუტას მტკიცე სიტყვებით ერთხანს შეფიქრიანებულებს, ყოველგვარი იმედი გადაგვიწყდა — რა დავინახეთ? — ტერეზას ტანი — გორაკები, ბილიკები, ბორცვები, ლურჯად დაძარღვული ნაკადულები, არხები, ღარები, რა ვიცი, რაღა არ დავინახეთ და ბუჭუტამ კი ფრთხილად შეიხსნა საათი და პირველივეს, ვინც თვალში მოხვდა, იგი კი სწორედ მე გახლდით, ჩხუბის დამთავრებამდე შენახვა სთხოვა, და ის-ის იყო, პარმენა დვალმაც ნიშანი მისცა, რომ შორიდან შეძახილი გავიგეთ:

— რატომ პაექრობთ? ნუ პაექრობთ!!

— გადი, შენი...—ჩაილაპარაკა ტერეზამ და მძლეთამძლე მკლავი მოიქნია.

ქვეყანა რომ დაინგრეს, აქ მაინც არ გავწყვეტ თხრობას: ეს აღელვებული ოკეანის უზარმაზარ, მეცხრე ტალღას ჰგავდა, და მსხვერპლს თავზე რომ გადაუარა, ბუჭუტამ ამოჰყო თავი და წონასწორობადაკარგულ ტერეზას შიგ ყბაში მოკლე წკაპუნით — „წკაპ!“ — სტკიცა. მაგრამ ტერეზას არა გაუგია რა, ისევ შემართა თავისი მკლავი და მოუქნია, ბუჭუტამ კი დროზე ჩაყვინთა და ისევ

რომ ამოტივტივდა, შიგ ყურში გაუქანა პატარა მუშტი და როგორც ჩანს, ტერეზას ყური მოუწეწკა, რადგან იმან ისე დაიღრიალა, ყველას დაგვბურძგლა და იმ უშველებელი მუშტების კორიანტელში პატარა კაცს ვეღარც ვხედავდით, მერე კი, თვით ტერეზაც რომ დაინტერესდა, ნეტავ სადააო, უცებ, აქაო და ვითომც არაფერიო, საღ-სალამათმა ბუჭუტამ ამოჰყო თავი და მზერად გადაქცეულ ტერეზას შიგ ცხვირში სდრუზა. აუუჰ... გაგიჟდა კაცი! — ახლა მართლაც სეტყვასავით წამოვიდა ფუთიანი მუშტები და რომ დაბზრიალდნენ, და პარმენა დვალს უცაბედად კინაღამ რომ არ მოხვდა მუშტი, ყველანი ხეებზე ავძვერით და იქიდან ვუმზერდით და იქიდანვე ვისმენდით ტერეზას მკლავების შხუილს და, ტერეზა ისევ რომ შეჩერდა, კვლავ უვნებელი ბუჭუტა დავინახეთ, რომელმაც ისევ და ისევ ცხვირში სდრუზა.

— შესანიშნავი ტექნიკა აქვს, — შენიშნა ტოტიდან ოსიკომ, — ნამდვილად დახვეწილი ტექნიკაა.

ბუჭუტამ ჩაიცინა და განზე გახტა, იქ კი, სადაც თვალის დახამხამების წინ მისი თავი იყო, უზარმაზარი მუშტი ჩაესო ჰაერში. ტერეზა საშინელი შესახედი იყო — კბილებდაღრჭენილი, თმააშლილი, გაოფლიანებული, თვალებგადმოკარკლული, აქოშინებული — ვაი იმას, ვისაც იმისი მუშტი მოხვდებოდა, მაგრამ ბუჭუტა გამოზომილი, დახვეწილი მოძრაობებით იცდენდა დარტყმებს და ტერეზამ ფეხიც რომ მოუქნია, ბუჭუტამ მარჯვედ აიცდინა, ესე არ უნდაო და მუხლი რომ ამოარტყა მუცელში, მერე, ამხტარმა, ცხვირ-პირში თავიც კი ხეთქა.

— უზადო ტექნიკა აქვს, — შენიშნა ტოტიდან ოსიკომ, — ფაღრესად დახვეწილი ტექნიკაა.

ბუჭუტას ისევ გაუკრთა სუსტი ღიმილი სახეზე და ტერეზას გამანადგურებელი მკლავი რომ აიცდინა, წონასწორობადაკარგულს, მოკლედ მოქნეული მუშტი დაახვედრა და ტერეზა მთელი თავისი სიმძიმით წამოეგო დარტყმას. რომ გაიმართა, ყველამ დავინახეთ, ტუჩი გახეთქილი ჰქონდა. გაკვირვებულმა მოისვა ხელის ზურგი და სისხლს რომ დახედა, ავად აემღვრა თვალები, ბუჭუტას საშინელი ძალით მოუქნია, მაგრამ იმან ისევ აიცდინა, რასაკვირველია, და საპასუხოდ რომ გაიქნია ხელი, ტერეზამ ტუჩებზე აიფარა თითები და სწორედ ამ დროს მეორე ხელის პაწია, მკვრივი მუშტი ნეკნებშუა ლურსმანივით ჩაეჭედა. სუნთქვა შეეკრა და შეუმუხვნილ-

მა ძლივს შეისუნთქა ჰაერი — ტერეზასაც კი უნდოდა სუნთქვა, მე კი მომცრო, ბრტყელი, სიფრიფანა საათი მეკავა ხელთ და წიკწიკი მესმოდა — დრო, დრო გადიოდა.

და სანამ ტერეზა სულს მოითქვამდა, ბუჭუტა მშვიდად იცდიდა, ოსიკომ კი კიდევ ერთხელ აღნიშნა:

— განსაცვიფრებელი ტექნიკა აქვს... ასეთი რაფინირებული ტექნიკის წყალობით ყველაფერს მიაღწევ კაცი.

და თუმცა ბუჭუტას ამჯერად წარბიც არ შეუხრია, მაინც რაღაცნაირად შევამჩნიეთ, რომ გაბრაზდა, ტერეზამ კი, სული რომ მოითქვა, ისევ დააპირა ხელის მოქნევა, მაგრამ გადაიფიქრა და უცებ შეეხვეწა:

— დამარტყმევინე ერთი, რა იქნება...

— მოდი, — უთხრა ბუჭუტამ, — სანამ ერთ-ერთი არ წავიქცევით, ფეხს არ მოვიცვლი.

— მართლა? — უნდოდ იკითხა ტერეზამ და ენის წვერი გახეთქილ ტუჩზე მსუნაგად მოისვა — აბა, მართლა, აბა?!

— კი.

— რისი იმედი გაქვს? — დაეკითხა ტოტიდან ოსიკო, — სანიმუშო ტექნიკას თუ არ გამოიყენებ, რისი იმედით რჩები?

ბუჭუტას კი თავი არ აუწევია, ისე მიუგო:

— ყველას ჩვენ-ჩვენი მუღამი გვაქვს.

და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო — ჰარალეთის ორი ტიტანი — ახლა უკვე ბუჭუტაც ტიტანი იყო ჩვენს თვალში — ორი ძლევამოსილი ადამიანი ერთმანეთს დაეტაკა და ცოტ-ცოტათი კი ინაცვლებდნენ ფეხს, მაგრამ მაინც ადგილზე იდგნენ და მთელი ძალღონით მოქნეული მუშტების საზარელი ბაგაბუგი გვესმოდა, დაუნდობლად ურტყამდნენ ერთმანეთს სახეში, მკერდზე, მუცელში და ყველაფერზე საოცარი მაინც ის იყო, რომ ბუჭუტა თითქოს გადიდდა, გაიზარდა, თითქმის ტერეზას სიმაღლე გახდა და არასოდეს მინახავს ასეთი თვალნათლივი ზრდა, ბუჭუტა ჭეშმარიტი მამაკაცივით გამაგრდა ადგილზე და რა ტექნიკა, რის ტექნიკა, ქუჩური ჩხუბით ცდილობდნენ ერთმანეთის გატეხას, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე, თვალდახუჭულნი ჰგვემდნენ ერთმანეთს და უცებ გადამწყვეტი დარტყმისათვის ორივემ ერთდროულად ძალუმად მოიქნია ხელი და საზარელი რამ ხმა გავიგეთ — რომელიღაცამ დაასწრო და ორივე მცირე ხნით შედგა, იმ სამარისებურ დუმილში

მხოლოდ საათის მოკლე წიკწიკი გაისმა, ტერეზა კი უკან გადაქანდა და მოჭრილ ხესავით დაეცა მოლზე.

წაქცეული, ახლა უფრო გრძელი ჩანდა.

— მოდი აქ, დაეტოლე, პაპიკო, — მშვიდად თქვა ბუჭუტამ, პატარა კაცმა, — რომელი ხართ უფრო მაღალი...

და ტოტებზე განაბულ ხალხს უცებ სამსონა არჯევანიძე გამოეყო — შლეგივით ჩამოხტა ხიდან და ბუჭუტას მივარდა:

— არ მომიკლა, შე წყეულო, შენ... — შეუტია და მერე ტერეზას გულზე დაადო ყური, გაიღიმა, თმაზე ალერსით გადაუსვა ხელი და, დარცხვენილმა, თავი ჩაქინდრა, — რა ვქნა, შვილია მაინც...

— დიდ ბოდიშს ვიხდი, — და ბუჭუტამაც თავი ჩაღუნა, — რა ვქნა, არც ვაპირებდი ხელის ხლებას, სამსონ...

ტერეზა გულაღმა იწვა და ჩაფიქრებული იყურებოდა ცაში. არა უშავს რა, ჩვეულებრივი დღე იყო. მერე თვალები აახამხამა.

ბუჭუტა მშვიდად, ნაღვლიანად დასცქეროდა. ტერეზა კრუსუნით წამოჯდა და ყბაზე მოისვა ხელი.

— კიდევ ხომ არ გნებავთ, ტერეზა? — წყნარად დაეკითხა ბუჭუტა, — გნებავთ?

ხოლო ტერეზამ თქვა:

— არა.

— ასეთ დიდებულ სანახაობას, — თქვა უცებ ოსიკო არჯევანიძემ, — არასოდეს გადაეფარება დავიწყების მტვრიანი, მონაცრისფრო ფარდა.

— ყველანი ასე ფიქრობთ, ჰარალეთელნო? — იკითხა ბუჭუტამ და ხელი აიშვირა — საათი გამომართვა.

— კი, კი... ეგრე ვფიქრობთ... ნამდვილად...

— შეგირცხვათ ნამუსი, — ეწყინა ბუჭუტას და პაპიკოს მიუბრუნდა, — ეს რა ხალხში მაქვს საქმე...

დაბნეულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. მერე ბუჭუტამ შუბლი მოისრისა: — რაღაც სხვა იყო საჭირო, პაპიკო, რაღაცა სხვა...

და ისიც ჩუმად დაეთანხმა:

— კი, კი... რაღაცა სხვა.

— რისთვის მოვედი და... რითი მივდივარ, — დანაღვლიანდა ბუჭუტა, — ახლა რომ ვუკვირდები, ყბედი გამოვედი და სხვა არაფერი...

— ესენი ვის არ აიყოლიებენ, ბატონო, — მწუხარედ ანუგეშა პაპიკომ.

— ამიტომ იყავი ჩუმად?

— დიახ.

— ისე, რა უნდა მექნა, — ჩაფიქრდა ბუჭუტა, — რთულად მესაუბრა — ვერაფერს გაიგებდნენ, ასე ვილაპარაკე და ყბედი გამოვედი... ეეჰ, ჯანდაბას, — და ჩვენ მოგვმართა, — ერთ წამს მაცალეთ, ორიოდ სიტყვა კიდევ მაქვს თქვენთან...

ჩვენ, გასუსულნი, ტოტებზე ვისხედით, ბუჭუტა კი მინდვრად ბოლთას სცემდა და ლაპარაკობდა.

დამწუხრებულმა, ასე მოგვმართა:

— რა არ გითხარით, რას არ გადავწვდი... და რა ვიცოდი, ჰაერს რომ ვატანდი სიტყვებს, და მხოლოდ ის მანუგეშებს, ერთადერთმა კაცმა მაინც რომ გამიგო, თუმცა იმან უჩემოდაც მშვენივრად იცოდა ყველაფერი. რა არ გიამბეთ, ჰარალეთელებო... მე გირჩევდით, როგორ უნდა დაკვირვებოდით ყოველივეს, ბუნებისაგან რეები გესწავლათ; მე დაგანახეთ თქვენი სხეული, ისეთი უბრალო, ჩვეულებრივი და ჭეშმარიტად გასაოცარი; ჩვენ ვისაუბრეთ წელიწადის დროთა ფერადოვან მუდმივობაზე, ბევრჯერ ვახსენეთ ჰაერი... წყალი... ნიადაგი... მზე. მე მიგანიშნეთ თქვენს ნაკლოვანებებზეც და ღამით, ტყეში, სადაც სიტყვებს მეტი ფასი აქვთ, მე დაგანახეთ ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობანი, და თითქოს შეფიქრიანდით კიდეც, მაგრამ რომ გათენდა, გული მოგეცათ და შენ კი, პარმენ, მასხრადაც ამიგდე... შენი ჭკუით. და მაინც თქვენს თვალში სწორედ იმან ამამაღლა, ტერეზა რომ გავლახე — ეეჰ, უცნაურია, უცნაური... ნუთუ ჩხუბზე უკეთესად არ ვიცოდი ლაპარაკი? ვაი ჩემი ბრალი... — და თვალი მოგვავლო, — მაგრამ თქვენ, ჰარალეთელებს, ნაღდი გინდათ... და ფიზიკურად მორევისაც დიდადა გწამთ... შეგირცხვათ ნამუსი! რა არ გიამბეთ და მხოლოდ ახლა მომჩერებიხართ ჭეშმარიტი პატივისცემით, ჰეე... მაგრამ ტყუილ-უბრალოდ მაინც არ მისაუბრია — გინდაც სულ გადამივწყოთ, და ასეც იქნება, რაღაცა მაინც რჩება — ყოველთვის რჩება სადღაც, პატარა, რაღაც... ყოველთვის რჩება. ახლა კი წავალ, — და ნაღვლიანად მოგვავლო თვალი, — ძალიან კი მსურდა იმ „მერეზე“ საუბარი, მაგრამ ვინმეს თუ გავლახავ, იქ აღარ დამედგომება, ასე მაქვს წესად...

— როგორ გალახეთ მაინც, ბატონო? — აღტაცებით დაეკითხა პარმენა.

— მესამედაც ვახსენო არაქართული სიტყვა „მუღამი?“ — იკითხა ბუჭუტამ და შეიჭმუხნა, — თუ არაა საჭირო...

— არა, არა, რა საჭიროა... — დაიძახა პარმენამ.

— აბა, წავედი ჰარალეთელნო, — გვითხრა ბუჭუტამ და, ხეებზე ჩამომსხდარნი, დაკვირვებით შეგვათვალიერა, — კარგად იყავი, გიორგი, გულს ნუ გაიტეხ, შენც გეშველება... აბა, პაპიკო, შენი იმედი მაქვს, ნურასოდეს შეეჭვდები საკუთარ თავში და ძალიან თუ გაგიჭირდა, დალიე ხანდახან, მაგის რჯულიც არ იყოს... თუმცა, რა ჭკუას გარიგებ, შენ ჩემზე უკეთ გცოდნია ყველაფერი... აბა, კარგად იყავით, სამსონ, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რა მექნა... კარგად იყავი!

— რამდენი წლის ხარ შენ! — გაისმა უცებ.

მიმოვიხედეთ, ტერეზა იყო.

— ოცდაათზე მეტისა ვარ, რატომ მკითხეთ...

— მერე, მე ოცდაექვსის არა ვარ ჯერ და პატარას მოერიე, ხომ, პატარას, ხომ?

მაგრამ ბუჭუტას ყური აღარ უთხოვებია, ნაღვლიანად განაგრძო:

— კარგად იყავი, პარმენ... მაინც საყვარელი კაცი ხარ. აჰა, ეს გამომართვი და საღამოობით, თუ ფხიზლად იქნები, საღამოობით, როცა პირველი ძროხა მოაბღავლებს სოფელს, ამით შეხედეცას, გაიხედე, გამოიხედე, რა გენაღვლება...

ჭოგრიტი იყო.

— კარგად იყავი, ოსიკო ჩემო, და მაგ მაღალფარდოვანი გამოთქმებით მაინცდამაინც ნუ დაიხარჯები...

— ახლა, როგორ არ აღვნიშნო, — გააწყვეტინა ოსიკომ, — რომ დროთა უწყალო დაღმა-დინება ვერასოდეს წაშლის ამ უმაგალითო შერკინების ამბავს?

— ისე წაშლის, კოხტად... — სევდიანად გვაუწყა ბუჭუტამ, — ეგეთები წაუშლია? კარგად ბრძანდებოდეთ, არდალიონ, აღარც კი ვიცი, რა გირჩიოთ, ძველებურად ყოფნა თუ შეცვლა, თუ რა ვიცი, თქვენ დამაბნიეთ ნამდვილად... კარგად იყავით, ჰარალეთელნო... და კიდევ ერთი კაცია თქვენში, ვისთვისაც მოველ... რომელიც არ მიხსენებია...

ყველას ჩვენ-ჩვენი თავი გვეგონა. რა თქმა უნდა, მეც.
— აბა, კარგად, ჰარალეთელნო, ეეჰ...
და წავიდა.
ცხენით მოვიდა, ფეხით წავიდა.
და, თვალს რომ მიეფარა, დახუნძლული ხეებიდან ჩამოვედით.

11

ჩემი ჰარალეთი...

ჩემი ქალაქი, მიხვეული, მოხვეული, მთებშუა ზვავად ჩავარდნილი, თავისთვის იდგა, ვის უშავებდა რამეს. ჯერ იყო და, უბრალო, მომცრო სახლებით იწყებოდა, ეზოებში ვარდი, გეორგინი იდგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგი ხასხასა მოლიც გვიბიბინებდა ეზოებში, ხეები იდგა მწვანედ გატიკინებული და ჩრდილი ზაფხულში კი იყო და ზამთრობით არ იყო, მაგრამ არც გვინდოდა, სახლს უკან ვენახები გვქონდა, ვუვლიდით, ვრწყავდით, ჭურები გვედგა მარანში, ღვინო ორშიმოთი სულ ლიკლიკით ამოგვქონდა, შეჭამანდს ხის კოვზებით შევექცეოდით, თაღიანი ბუხრები გვედგა სახლებში, ზამთარ-ზაფხულ კვამლი ასდიოდა ჰარალეთს, ნაკვერჩხლებზე ჭყინტ სიმინდს ვწვავდით, კვამლი თვალებში გვხვდებოდა და ცრემლი გვდიოდა, ხოლო დრო, მოგეხსენებათ, გადი-.ოდა.

დრო — გადიოდა. მეორე დღეს შიშით აღარ ვიყავით — გამოვარდება ახლა ეს ჩვენი ტერეზა, იმ გალახვისა გამო გაგულისებული დაგვერევა ყველას-თქო, ასე ვფიქრობდით, მაგრამ არ ჩანდა, ჩვენ კი ჩვენი გვაწუხებდა, ვეღარ მოვითმინეთ და სულ ფორთხვა-ფორთხვით მივუახლოვდით არჯევანიძეების სახლს, რომ გაგვეგო, რაში იყო საქმე, მერე ვენახშიაც გადავიხედეთ და რა დავინახეთ, გავშრით — ტერეზა თოხნიდა.

ბედნიერი სამსონა თავაზიანად გვესალმებოდა მეზობლებს და იქნებოდა კარგ გუნებაზე, აბა რა — ისეთი მუშახელი? აჰ, არა, არა, არც გაგვიგია... ტერეზა ხანდახან თუ გამოვიდოდა სასყიდლებზე ქალაქში და კალათით ხელში მორცხვად მიაბიჯებდა. განსაკუთრებით დაბლებისა ეშინოდა, მაღლებისა—უფრო, ხოლო ეპოლეტებიანი, ხმლიან-მაუზერიანი და ჩინმენდლებიანი ტიტვინიძე ხომ სულ შიშის ზარსა სცემდა:

— მოდი აქ შენ!

ტერეზა ნაზად, ფეხისწვერებზე შემდგარი მიუახლოვდებოდა.

— რა დღეა დღეს?

— ოთხშაბათი...

— ლაპარიკი! — ჰქუხდა ტიტვინიძე, — კაველაძე! სადა ხარ?!

საღამოობით, გამოწყობილნი, თეატრში ვიკრიბებოდით. ჩავაგდებდით კაკალა მამიდას რკინის ყუთში შაურიანს, შევიდოდით პარტერში, ოდეკოლონ „ფანტაზიის“ სუნი იდგა, ფარნები ბჟუტავდნენ სცენაზე, კაკალა მამიდა, რკინის ყუთით იღლიაში, განზე გასწევდა მავთულზე ჩამოკიდებულ ყვითელი ატლასის ფარდას, აგერ გამოვიდოდა ჩვენი ტიტიკო ღლონტი, ინგლისელი გრაფი იყო ვითამ, აიღებდა ხის ხმალს და გაურჭობდა შიგ გულში ჰერცოგს ფრანგთა — თავის ბიძაშვილ ეფრემა ღლონტს და მწარედ აქვითინდებოდა ესპანელთა პრინცესა — ვერიკო თიროშვილი...

თეატრი ბევრს გვიყვარდა ძალიან.

ატყობთ, ხომ, ჩქარა რომ გათავდება ეს ჩვენი ამბავი — დუნდება, რაღაცნაირად, თხრობა.

ქალაქის თავის მოადგილე კაკოია გაგნიძე და იმისი თანაშეწე ბუხუტი ქვაჭარავა ისევ პირველ რიგში ისხდნენ და მთელი მტვერი იმათ ეყრებოდათ თავზე. ხანდახან შაშიას ეუბნებოდნენ — ცოტათი გააჩერე ეს ტიტიკო, ნამეტანს ყვირისო და ტიტიკო ხმას რომ დაუდაბლებდა, ახლა ქანდარიდან იწყებოდა ძველი თეატრალის — მალხაზ კაკაბაძის სამართლიანი მოთხოვნა — ცოტა ხმამაღლა, არაფერი მესმის, თეატრია ეს, გენაცვალე, თუ ბალეტიო...

და, თუკი ამას კალაპოტი ჰქვია, ისევ კალაპოტში ჩადგა ჩვენი ჰარალეთი.

მაგრამ, ერთი კაცისა არ იყოს, სადღაც, პატარა, რაღაც, ყოველთვის რჩება.

სხვისა რა მოგახსენოთ და, პარმენა დვალს ნამდვილად ახსოვდა. აღარ თამადობდა ხოლმე და საღამოობით, პირველი ძროხა რომ მოაბღავლებდა ჰარალეთს, ჭოგრიტს აიღებდა და პირველ ხანებში თვალის ნაცვლად პირზე კი იყუდებდა ხანდახან უცაბედად, მაგრამ მერე შეეჩვია და სწორად ხმარობდა. პაპიკოსაც ახსოვდა, ალბათ — უწინდებურად მოწყენილი, გვიმრიანში იმალებოდა და ლურჯად ამღვრეული თვალებით იცქირებოდა — მე რა ვიცი, სად— ქვეყანა დიდია.

და კიდევ ერთ კაცს ახსოვდა ბუჭუტა. კი უნდა მიხვდეთ წესით, ვის—ვის და მე—აბა ტყუილ-უბრალოდ მივაკალი ამ ამბის აღწერას თავი? ეეჰ, მომიდუნდა თხრობა, და ასე ნაღვლიანად რომ არ დავ-ცილდეთ ერთმანეთს, ნება მიბოძეთ ეს პატარა ამბავი იმ ჰარალე-თელის რიხიანი ლექსით დავამთავრო, რომელმაც წერა-კითხვაც კი არ იცოდა:

ვარი და ვარალე,
ჰარი და ჰარალე,
ჰარალეთი დაილოცოს,
ჰარალეთელების მხარე!

ხოლო, დრო, მოგეხსენებათ, გადის.

1971—72 წწ.

ვატერ(პო)ლოო ანუ

აღდგენითი სამუშაოები

(ფანტასტიკური მოთხრობა)

ქვემორე მოყვანილი ამბის ავტორმა, აფრედერიკ მემ, გაითვალისწინა რა ეროვნულ ლიტერატურაში ფანტასტიკური ჟანრის გამოვლენათა რეალური ნაკლებობა, გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, შეექმნა ძნელად მიმოსავლელ გზებზე დაფუძნებული ამა მიმართულების ნაწარმოები (იგივე: ქმნილება, ნიმუში, შედევრი, სისულელე) და აღაფრთოვანა იმ გარემოების გახსენებამ, ნებისმიერი ნაშრომის დასურათბატებას მხოლოდ სამი უბრალო რამ რომ სჭირდება—ქაღალდი, მელანი და შვინდისფერი კალამ-კალმისტარი. ამ შემეცნებით გამხნევებულმა, გააპიპინა რა ლურჯი მელნით (შავი ვერ იშოვა) ზემორენახსენები ფერის კალამ-კალმისტარი, მაგიდას მიუჯდა, და იქავ აღმოაჩინა, რომ ამ უკანასკნელ ავეჯის სახეობასთან ერთად ამბის ხორცშესხმისათვის საჭიროა სკამიც და სინათლეცა და მხედველობაც, აგრეთვე მარჯვენა ხელი, და სხეულის სხვა ათასი წვრილმანიც, დაწყებული თავით და დამთავრებული იმით, რითაც სკამზე უნდა დაჯდე, მაგრამ აფრედერიკ მეს ამბზე დიდად არ უნაღვლია — ახლომხედველი გახლდათ.

1

მიუხედავად იმისა, რომ იქაურებს ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდათ ხარებთან ბრძოლისა, ესე ამბავი ძირითადად ესპანელების კუთვნილ ტერიტორიაზე და ესპანელებში მოხდა.

ბესამე კარო ჯერ ფლეიტაზე, მერე კი სულ სხვა რამეზედ უკრავდა.

2

ბესამე კარო დაიბადა ანდალუზიაში, ღარიბი მწყემსის ოჯახში და ჩვილბავშვობისას, აბაჯბაჯებული, ფეხებში ედებოდა ხბოებსა და ცხვრებს. ეჰ, კარგი იყო ანდალუზია დღისით, დიდმანათობლით გაშუქებული, მწვანედ ელვარებდა მინდორი და ტყე, ვიწრო ბილიკზე მიიგრიხებოდა სოფლის პატარა, უსახელო მდინარე, და თან, გზადაგზა, ურჩი, ჯიუტი, სხივებს ისხლეტდა, თბებოდა მაინც; კარგივე იყო მცირე ჩანჩქერი — გალიპულ კლდეთა ჩამოშლილი თმა, აწოწილ ძნათა მწყალობელი სუნი, დილდილაობით, კამეჩის ძნელად საღეჭი მაწვნით დანაყრებული, გარე-გარე დატანტალებდა ფეხშიშველა ბესამე კარო, ხოლო იგი კი, ყვითლად შეფერილი გველი, განზე ხოხავდა. ჰეჰ, რა იცოდა მაშინ ბესამემ, რაღას არ ასცდა, და ზამთრობითაც, ცხვრის ტყაპუჭში გამოხვეული, სულ ვერ ამჩნევდა შორეული ტყიდან გამონაკვერჩხლებულ, დამშეულ მზერას — საჭმლად უნდოდათ. მაგრამ ბესამეს ამაეების დარდი არ ჰქონდა, შემოდგომობით, მოუთმენელი სულისშებერვით აგრილებდა ლეღვისა და ყურძნის შეზავებულ სიტკბოთი გაწებილ მცირე ხელისგულებზე მოგორავე, ცეცხლისპირას შერუჯულ სიმინდს, თან— ღიღინებდა, ხოლო დღის ბოლოს, გრძნეული შებინდებით ქოხში შედენილი, ხის დიდი კოვზით რომ შეხვრეპდა ხისავე ჯამში მოოორთქლე სქელ, მჟავე წვნიანს, ბუხრით შემოსულ, მოალერსე თხევად სითბოში, თითქოსდა რული ეძალებოდა, და მამამისიც, გოროზად ჩაკირული მწყემსი, ბესამეს დედას — სოფლის მეორე ქალს სოლამაზით, ერთ-ორს სულსწრაფად გამოხედავდა და დედის ნატიფად უხეში, თბილი ხელებით იშლებოდა ბესამეს მოკლე, მარტივი ლოგინი, და მოუთმენლად ელოდა მის დაძინებას ცალქოხიანი მამამისი, ხოლო ბესამე დაჭყეტილი თვალებით იყურებოდა ჭერში. „თვალი დახუჭოს“, — მოკლედ დასძენდა ბესამეს მამა, დედა კი, ქალი: „ჯერ მაინც საქმე მაქვს“. ასე ამბოდა, „ახლავე დახუჭოს-მეთქი“, ჩახლეჩილი ხმა უმკაცრდებოდა მამას, და — „იქით გადაბრუნდი, შვილო“, — იტყოდა დედა. მაგრამ ხის კედლისკენ პირმიქცეული ბესამე მაინც უფრო და უფრო ფაციცდებოდა,

რადგან ესმოდა, როგორ ფრთხილ ბოლთას სცემდა ფეხისწვერებზე შემდგარი მამა, ხოლო როდესაც დედის ხმადაბალ შეკითხვაზე — გძინავს, ბესამე? — მორჩილად ამბობდა: „კი“, და მცირე ხნის შემდეგ კვლავ რომ პასუხობდა: „კი“, გაბრაზებული მამამისი მუხლზე ირტყამდა ხელს და წყვეტილად სცრიდა — რრა არრის, ქალო, ბავშვს ვერ აძინებ? თუ სხვა ქალი ვინმე გავიჩინო, ა!..—შვილს მკაცრად აიყვანდა ქმარზე დაბოღმილი დედა, ცხვრის ტყავის ლოგინს შემოახვევდა, მუხლებზე დაისვამდა, და მკვეთრად არწევდა, დაჰლილინებდა თან: „დაიძინე, ნანაა, ნანნაა. ცხენი წავიდა, ძაღლი მოვიდა..“ „რომელი ძაღლი...“ — ეკითხებოდა მთლად გამოფხიზლებული ბესამე კარო. „არაა ეგ შენი საქმე! ნანაა, ნანნააა...“ „რატომ არაა?..“ „იმიტომ! — ისეთი რისხვით აქანავებდა დედა, ხაშხაშნაჭამსაც კი გააღვიძებდა, — შენ ჩემი შვილი არა ხარ, არრა, დედაშენი ბოშაა, იმან ჩვენი სახლის კართან მოგაგდოოო...“ „ჰა! — შეკრთებოდა ხოლმე ბესამე, თავს წამოსწევდა, შეშინებული მიჩერებოდა. — ჰა...“ მაგრამ ისეთი სიყვარულით დააცქერდებოდა სწორედ მაშინ, შეშფოთებულს, დამფრთხალი და დამნაშავე, გაქვავებული დედა... ბესამე საწყლად ამოჰყურებდა, მონანიებად ქცეული დედა კი გრძნობდა ქოხის სიდუხჭირეს, სოხანეს მარადიულ ნესტს, ყოველ იმ ნაპრალს, დაბზარულ ხის ჭურჭელს რომ ჰქონდა, გახევებული დაჰყურებდა და მერე გულზე უცებ იკრავდა ბესამეს ნედლ საფეთქელს, ალერსითა და ცრემლებით ხმაში, აჰ, მოფერებით. თანაუგრძნობდა: „შენ ღარიბი ხარ, როგორც იესო...“ „მე... ღარიბი ვარ როგორც ვინ, დედა?“ — ცალი თვალითღა ამოჰყურებდა ბესამე, მეორე თვალი დედის მკერდზე ჰქონდა, „შენ ღარიბი ხაარ, როგორც იესო...“ — ნაზად არწევდა, უმღერდა დედა. ხოლო თვით მამა. შრომით ხელებგადაყვლეფილი, სად არ წანწალით ბირკებმოდებული, უნებური დამნაშავე. გორგალგაჩრილი ყელში, ზურგს შეაქცევდა. ერთადერთ ცოლს და ერთადერთ შვილს და, ტირილი რადგან ვერ შეეძლო, ნელინელ, დინჯად, სივდებოდა გულზე.

ღარიბები იყვნენ.

აქ აფრედერიკ მეს ცოტათი მოგვიშივდა და გაახსენდა, ფანტასტიკურ ნაწარმოებში ფანტასტიკური მოვლენებიც საჭირო როა, ხოლო დანიშნულება ესე დააკისრა ისეთ მარტივ და ამ შემთხვევა-

ში უწყინარ საგანს, როგორიცაა სიგარეტი და, მაშინვე თამბაქოს ნაწარმი „კარმენ“ (ნამდვილი კარმენიც აკი თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა ერთხანს, სანამ მოლიპულ გზას საბოლოოდ დაადგებოდა) გახსნა, ამოიღო ორი ღერი სიგარეტი, სამკუთხა ტაფაზე დადო, კარაქით შესწვა და მიირთვა კიდეც, რადგან ზემორემოტანილი ამბავი ცოტათი მწარე, ღვარძნილი გახლდათ.

3

აჰ, მაინც კარგი რამ იყო ანდალუზია, მაგრამ განგებამ, ყველაზე დიდმა, უზენაესმა ფანტასტმა, რომელსაც, ამხდარს, უბრალოდ წარსულს ეძახიან, ისე ინება, რომ თორმეტიოდე წლის შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ბესამე კარო პროვინცია მურსიის ქალაქ ალკარასში თეთრი კონსერვატორიის სტუდენტი გახდა.

ახლა როგორია, აფრედერიკ მემ ამისა არა უწყის რა, მაშინ კი ალკარასი პატარა, მშვენიერი ქალაქი გახლდათ, აგურით ნაგებ კოხტა, დამრეცსახურავებიან შენობებზე კრამიტი იყო დაფენილი, და კასერესას ბორცვიდან თუ დავხედავდით, მთელი ალკარასი რბილად, თიხურად ბზინავდა მაშინ. ამის დანახვას მოზრდილ შეღმართზე ასვლა უნდოდა, თორემ ქვემოდან მთელი ქალაქი სავსებით არა სჩანდა. პატარა იყო აქ ყოველივე: რუხი მარმარილოს აუზები, მცირეპავლიანნი, ზანტად მოციმციმე პაწია ოქროს თევზებით, ფაქიზად მოკირწყლულ ქუჩებში ახტუნავებული კოხტა ურიკით დააგორებდნენ სევილიურ ფორთოხლებს ცქვიტი ბიჭები, კოპწია სახლის ვიწრო სარკმელში იდუმალებით მოსილი რომელიმე დონნას პირბადიანი სახება აბჟუტდებოდა წამით, უჩინარდებოდა მერე, მომცრო ლანდოებს კაკუნ-კაკუნით დაარონინებდნენ შუახნის სახედრები, გრილ სარდაფებში პაწა თაგვები თავისას ღრღნიდნენ; პატარა იყო პატარა კოშკი, მოკლე და ვიწრო — რიკარდოს ქუჩა, რომლის ბოლოშიც, ქალაქის განაპირას, იდგა პატარა საროსკიპო, პატარა მოწყენილი ტანმორჩილი როსკიპებით; აქეთ, ქალაქში, ციცქნა ფანჯრებიდან შემწვარ წაბლსა და ზეთისხილს პეშვობით ჰყიდდნენ; უქმეებს გარდა, ისე-დღეებშიც, შებინდებისას, საკუთარ სულში ჩაღრმავებულნი, ერთმანეთს აინუნშიც არ აგდებდნენ და ისე, შუა ქუჩაში კოცონის ირგვლივ ჩაფიქრებულნი აცეკვდებოდ-

ნენ რიგითი ალკარასელები, ყველგან ისმოდა მაშინ ბოლერო. ბნელი ქუჩის კუთხეში კი, მოსასხამში ჩვილივით გახვეული, მიჯნურწაგვრილი ავაზაკი იდგა, ამა ქალაქის გამონაკლისი, და ყოველ ჩქამზე დანიანი ხელი უთრთოდა.

აქ, ამ ქალაქში მოიყვანეს დაობლებული ბესამე კარო, ხოლო აფრედერიკ მემ სიგარეტი „კარმენ" მოგვიმარჯვა, იქიდან ჩვენც დაგვისხა და თავისთვისაც, აიღო და შესვა (ალბათ ნამდვილი კარმენიც წრუპავდა .ცოტ-ცოტას, რაკიღა მოლიპულ გზაზე შედგა ლაგაზი ფეხი), ოღონდ აფრედერიკ მეს ჩვენდა გასახარად უბრალო „გაგვიმარჯოს"-აც კი არ უთქვამს, ფიჰიჰ, უზრდელი...

4

იმ ცვალებად დღეს ბესამე კარო, როგორც ყოველთვის, სხვის ფარას მწყემსავდა.

თხუთმეტისა იყო, ობოლი გახლდათ — დედა მოუკვდა, მერე იმის დარდს წყნარად გადაჰყვა უთქმელი მამა. ნათესავთაგან, არავინ შერჩა; დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, საწყალ ბესამეს, უბრალო პაპა ხიშტით მოუკლეს ცნობილ პირუტყვის, ნაპოლეონის ესპანეთში შემოჭრილმა ჯარისკაცებმა თურმე, მთლად ახალგაზრდა დიდედამისს კი, ქმრის ნედლ საფლავზე ჯერ დამხობილსა და ცისკენ ხელებაპყრობილს მერე, იმ ბონაპარტეს ხმამაღლად მაწყევარს, გრილ, ლამაზ ყელზე ჩამოაცვეს უგრძნობი ყულფი, თურმე.

ჩვენი ბესამეც, მამამისივით, სამისა იყო, როცა დაობლდა. ჩვენს ბესამესაც, მამამისივით, სამადლოდ ცხვრის რძეს ასმევდნენ სოფლად და, რძით მადლიერებს, ცხვარი უყვარდათ. ეჰ, ჩვენი კარო, ჰეჰ... ადრე გაიგო დაუმსახურებელი როზგის ბევრმაგი სუსხი, და ხელ-კეთილით გამოწვდილი ხმიადის სითბო... ბესამე კაროს ორადორი მეგობარი — ტბა და სალამური — ჰყავდა. ცოცხლები იყვნენ — ციმციმა ტბაში თავფეხიანა გადაშვებული, უცხოდ ნაზ ალერსს გრძნობდა ბესამე, დიდად ობოლი; ვრცელი იყო ტბა, მიმტევებელი — აფართქალებულ ბესამესგან წამით მრავალგან დამსხვრეული, აჰ, რა ლამაზად, უმტკივნეულოდ, როგორ ადვილად კოწიწდებოდა მერე... სალამურზე კი, ჰოიი, იცოცხლეთ, ბესამე კარომ იცოდა დაკვრა. გალუმპულისთვის ცეცხლიც კი იყო იმისი შემწე, მაგრამ ძალიან ახლოს, მეგობრებამდე თავკერძა ცეცხლი არ მი-

უშვებდა. სულ სხვა იყო ტბა... და მაგრამ, მაინც, ბესამე კაროს ის უწყინარი სალამური ქვეყანას ერჩია — არ არსებობდა მთელს ციისქვეშეთში ისეთი ცხენი, ამ უბოროტო საკრავივით ძნელად გასახედნი რომ ყოფილიყო, მაგრამ ბესამეს თხელ თითებსა და მოთბო ჩაბერვას დაყოლილი, სუყოველივეს უსრულებდა ძალიან ობოლს, აღაზევებდა.

ვითომ, კმაროდა?..

თანაც, ზამთრობით, აჰ, ისე ცივად ებუტებოდა ბესამე კაროს გაყინული ტბა, უცეცხლო ქოხში ტლანქ მეპატრონედ ჩამოწოლილიყო სრულიად ღამე, ბუხრიდან სუსხი შემოდიოდა, კუთხეში მიყუჟულ, დაგლეჯილ ფარდაგში გამოხვეულ ბესამეს თხელი ნესტოებიდან ორთქლი სდიოდა, ციცქნა პურიც არ მოეძევებოდა და, მისი სიდუხჭირით განაწყენებულნი, მთლად გადაიკარგნენ ბესამეზე ხელჩაქნეული თაგვები, დამზრალ თითებით სალამურზეც ვეღარ უკრავდა, უბეში უქმად, ყინულოვან ლოლუად ედო, და სწორედ პატრონივით კანკალებდა ისიც, მაინც მეგობარი, ეჰეე, ბესამეე, მეტისმეტად ობოლო, მობუზულ მხრებით აგიტანია მერამდენე ასეთი ღამე, საბრალოს, ბეჩავს, როგორ გიჭირდა, მაგრამ განგება, უზენაესი ფანტასტი, ვისთანაც შედარებით ზემორენახსენები აფრედერიკ მე ზღვაში წვეთია, თანაც, უთავბოლოდ აორთქლებული, ობლის კვერს ნელა აცხობდა თურმე.

იმ ცვალებად დღეს ბესამე კარო, როგორც ყოველთვის, სხვის ფარას მწყემსავდა, ზაფხული იყო და ტბაში... — მაგრამ აქ აფრედერიკ მემ შეკრთომამდე იგრძნო, რომ მთლად გადაავიწყდა ჟანრი და, გვარიანა შეშფოთებულმა, გამოსავალი იმაში ჰპოვა, მხსნელად მოვლენილ სიგარეტ „კარმენ"-ს ხელზედ აკოცა, რადგან ნამდვილ კარმენს, რომელიც კარგად ხმარობდა ბებუთის ტიპის დანას, ხელი რომ არ ჰქონოდა, დაუშვებელია. აქ აფრედერიკ მე დაგვიმშვიდდა და კვლავ შეგვიძლია, ბესამე კაროს მივუბრუნდეთ, რომელიც ტბაში იმყოფებოდა, ხოლო განგებამ, უზენაესმა ფანტასტმა, ისე ინება, რომ შორიახლო მიმავალ ეტლს სულერთია რომელი, მაგრამ მაინც, სიზუსტისათვის, მარცხენა წინა თვალი დაუზიანა.

— რა მოხდა, სოტო? — მშვიდად იკითხა ეტლში მჯდარმა პირქუში გარეგნობის მოხუცმა; არ შეეფერებოდა რბილი, დაბალი, ლამაზად ხავსმოდებული ხმა.

— ოციოდ წუთში ყოველივე წესრიგში იქნება, სენიორ.

მოხუცი შეფიქრიანდა, ტყეს გახედა, შეჯოჯმანდა, თქვა:

— მაშინ, ცოტას გავივლი.

— თქვენი ნებაა, სენიორ, — უთხრა მეეტლემ, ჩაქუჩი და პატარა ხერხი უკვე მოემარჯვებინა.

მეეტლემ მოკლე ტოტი შეარჩია, დიდი ხნის უსაქმობით მოწყენილი, კბილებდაკრეჭილი ხერხი აამოქმედა და პატარა ხანში ჩაქუჩის ყრუდ წერტილოვანი ხმაც მისწვდა ტყედ მიმავალ მოხუცს, ვისი გრძელი მოსასხამიც შარშანდელ და შარშანწინდელ ფოთლებს ზურგს უკან აშარიშურებდა. პირქუში მოხუცი მიდიოდა ტყედ და მაღალყელიანი ჩექმის რბილი ძირები ნედლ მიწას გრძნობდნენ, მოხუცი ისუნთქავდა ტყის დალოცვილად ნოტიო ჰაერს, თვალს უჭრელებდა სად და სად არ გამომსხლტარი მზე, ჩიტები თავთავიანთ უწყინრად მარადიულ ენაზე სტვენდნენ, გრძლად დაშვებული ხელები მღელვარების არტახებით სხეულზე მიჰკრობოდა მოხუცს — აჰ, ტყე უყვარდა, სულში ბავშვობა ემძაფრებოდა, ეჰ, საკუთარი; მისი ფეხდადგმის წყალობით წამით გაცოცხლებული ფოთლები კვლავ უილაჯოდ ებღაუჭებოდნენ მოსასხამზე, და საიდანღაც სახეზე მოდებული ბაცი აბლაბუდაც უღონოდ ცდილობდა მის შეჩერებას თითქოს, მაგრამ მოხუცი ჯიუტი იყო როგორც განგება, მიაბიჯებდა.

და უცებ, შედგა: ველი რამ იყო ტყით გარემოსილი, შუა ველზე კი ტბა ბრჭყვიალებდა, ტყის პირას ფარა ბალახობდა, ტბაში კი ბიჭი ხვანჩალაობდა, ჩვენი ბესამე, და მისი ანცობით ყელში გორგლად ბავშვობამოწოლილი მოხუცი შედგა, ამოეფარა ხეს, ბესამემ კი იჭყუმპალავა, მერე მშვენივრად იცურავა, ლაღად მიაპობდა წყალს; შემდგომ, ნაპირზე ამომხტარი, შემციენებული მიმორბოდა და გათბობაზე დრო რომ გაეყვანა, სიტყვების ფასი არც იცოდა და ისე, ვილაცისაგან გაგონილ სიმღერას ისე რა, ყასიდად ახმიანებდა:

ფარაში დამიდიოდა
ერთი ციკანი,
მოფერებამ გადამიქცია
გარეულ მხეცად.

ავაზაკივით სუნთქვაშეკრული, ავაზაკივითვე ამოფარებოდა სისასტიკეგამლხვარი მოხუცი ხეს, და ქვის სახეზე რაღაცა რბილად ნატიფი ნაპრალები ებზარებოდა თითქოს, რადგან ბესამემ ობლის

დაუკემსავი, ტანსაცმელი ეთქმოდა თუ რა, მხრებზე მოირგო, თავი შემართა, თვალდახუჭულმა უბეში მოიძია სალამური და, და რომ ჩაბერა, აჰ, ისევ კუშტად ჩამოეძერწა იმ მოხუცს სახე, რადგან ვინ ვინ და, მოხუცმა იცოდა დაკვრის ფასი, ხოლო ესოდენ პირქუში სახე მხოლოდ ჭეშმარიტ, მრავალტანჯულ მუსიკოსებსა აქვთ.

ჯერ კიდევ გრილი ბესამე კი, ახლად შემშრალი, ნამდვილს, თავისას, ობლურს უკრავდა; სიფრიფანა ხმით იმსჭვალებოდა მახლობელი ტყე, იმ ტყის ერთ-ერთი ხის უკან კი ავაზაკივით ამომდგარიყო დიდი ბებერი მუსიკოსი, და, მრავლისმნახველს, თვალები მაინც გაოცებოდა — თავად ბესამე წააგავდა ახლა მცენარეს, ერთი პატარა, გრძნეული ტოტით, რომლიდანაც რომ უცხო ფოთლებად ამოდიოდა თვით ის: — უფსკერო, განუზომელი, თვით ის — მაღალი, უხვი, მდიდარი, თვით ის — უზომოდ მწყალობელი, — ლაღი, ფარფატა ღონიერება, სიბედნიერე თვალთუხილველი, ყოვლისმომცველი ჩვენი მეუფის, თავად ჰაერის, ჰაერის მეფე უზენაესი, დიდალზევების მასუნთქებელი თვით იის — მუსიკა!

რისხვამდექცეულ სიყვარულით, ღონივრად, მკაცრად მიაბიჯებდა დიდი მოხუცი ბესამესაკენ. დაკვრა შეწყვიტა პატარა მწყემსმა, გაოგნებული მიჩერებოდა მრისხანე ბებერს, ყვრიმალებდაბერილი რომ უახლოვდებოდა, ბესამეს მიეტმასნენ იმა ბებერით დამფრთხალი ცხვრები, სალამურიანი ხელი ზურგს უკან დაემალა ბესამეს, დანაშაულის მიხვედრას ამაოდ ცდილობდა, მოხუცებული მუსიკოსი კი მუხლამდე ფარას მიარღვევდა, ურჩმა, თავნებამ, მოურიდებლად გაარღვია ეს თოვლისფერი, ცოცხალი გზა და, შემკრთალს, დაბნეულს, აჲასე ჰკითხა:

— მწყემსო, რა გქვია?

— მე... ბესამე ვარ.

— მშობლები თუ გყავს...

და რადგან პასუხით სხვისა გული უნდა ეტკინა, უნებურად სხვაც უნდა შეეწუხებინა, ბესამემ თავი ჩაღუნა და თქვა:

— არა, სენიორ.

— ძალიან კარგი, — უთხრა მოხუცმა, — ფარა შენია?

გაოცებული ამოჰყურებდა ბესამე კარო.

— შენია-მეთქი? აი ეს ფარა.

— არა, სულ სხვისი...

— ჩემთან, წამოხვალ?
— როგორ სენიორ?
— წამოხვალ ჩემთან?
ვინ კაცი იყო...
— რატომ, სენიორ...
— მუსიკოსობა გინდა, ბესამე?
— ძალიან დიახ.
— მაშინ, წამოდი.
გაოგნებული შესცქეროდა ყოფილი მწყემსი.
— ფარას რა ვუყო...
— პატრონს მიჰგვარე.
ფარას დახედა ბესამე კარომ. ენანებოდა...
— შინაც შეივილი.
— ჰო. ტანსაცმელი წამოიღე.
— არაფერი მაქვს წამოსაღები, — ისევ ჩაღუნა თავი ბესამემ, და, გაახსენდა და, მცირე სიამაყით ხმაში, მაგრამ თავდახრილმა, უთხრა: — მე ღარიბი ვარ, როგორც იესო.
მოხუცი ერთხანს დაჰყურებდა და ბზარშეპარულმა რბილ, დაბალ ხმაში, წყნარად ჩაჰკითხა:
— შინ რაღა გინდა?
— კარ-ფანჯარა უნდა ავაჭედო, სენიორ, წესია ასეთი.
მოხუცი წყნარად დასცქეროდა. მერე კი, უთხრა:
— გზაზე ეტლი დგას, ეტლში დაგიცდი.

5

ნაწილობრივ ზემორემოყვანილი და ძირითადად ქვემორემოსახსენებელი ამბის ავტორი, აფრედერიკ მე, ყოვლად ფანტასტი, შეუმჩნევლად აახტა უკანიდან ეტლს და ზურგითა სარკმელს სუნთქვაშეკრული მიეწება, თუმცა არა, არა, აჰჰ, ეს რა წამომცდა მაინცდამაინც ეს, „შეუმჩნევლად“-მეთქი — აფრედერიკ მეს ძალიანაც რომ ეღრიალა და ეეიშვიშა, მაინც ვერავინ შეამჩნევდა — ავტორი გახლდათ.
მა

შემხვედრი პაწია ორმოების წყალობით მსუბუქად აფრიალდებოდა, ან შეხტებოდა და სწორედ მაშინ ჩვენს აფრედერიკს თვალსაწიერი ემატებოდა. რას ჰხედავდა მე? შეშმუხვნილსა და ღრმად დაფიქრებულ, თეთრად გრძელთმიან მუსიკოსს, — მოხუცს, რომელიც მისკენ სახით-პირქუშით, იჯდა, და პატარა მწყემსის მომრგვალო კეფას, მთელი სახიდან მხოლოდ ფანჯრისკენ მიქცეული ცხვირის ნამიანი ბოლო რომ უჩნდა, ეგებ, ტიროდა ბესამე კარო? რიგით მაწანწალასავით ეტლზე ამხტარი აფრედერიკ მე შეჰყურებდა თოვლოვნად სპეტაკ თეთრი ხავერდით შემოსილ მოხუცს და ჩვენს ბესამეს, რომლის ჩამოკონკილ ძონძებს რაგინდარა აღარ აჩნდა: ნაძვის დიდ ხეზე ჩამოღვენთილი ფისი, უბეში ჩაყრილი და იქიდან გარეთ გამოჟონილი მწიფე შვინდის ნატყვიარივით ლაქა, ძველ ნახანძრალზე წამოწოლის კვალი, გულზე მიხუტებული კრავის ბეწვები, თმაში გაბლანდული თივის ნამცეცები, აოქროვილნი სხივზე, ხელებსა და ტუჩებზე აბეზარა წენგო, მთელს ძონძეულზე — ბალახის წვენი, ალაგ-ალაგ კი — ჯიუტი ბირკა, ყოველივე ეს — მზითა და წვიმით გახუნებული, მტვერდადებული, ტალახაკრული, მაგრამ ბესამე, ძალიან ობოლი, როგორღაც უცოდველად ჭუჭყიანი იყო.

აფრედერიკ მე სარკმელს მოსცილდა, რაღაც შვერილზე ჩამოჯდა და, ეტლის ზურგს ზურგით რომ მიეყრდნო, ჩაგვიფიქრდა და შემდეგნაირი შესახედავები იყვნენ: სულ წინ — სამი ცხენი, სამივ კისერმოღერებული, ფაფარაშლილნი, მდინარე ხენილზე გადებული ხიდის ფიცრების ამადგრიალებელნი, მემრე — ნაცნობი ჩვენი შვეტლე. მოყოჩაღო-მოშტერო სოტო, შემაღლებულ კოფოზე არხეინად მჯდარი, ხელშოლტიანი, იმასა და ეტლის რბილ სავარძელში ჩაფლულ თეთრ მოხუცს ზურგი შეეშვირათ ერთმანეთისთვის, ჩავლილ, ბუნდოვან, მტვერადენილ გზას გასცქეროდა კუშტი მუსიკოსი, იმის პირდაპირ კი ჩამოძენძილი მწყემსი ბიჭუნა, — ბესამე კარო სავარძლის კიდეზე ფრთხილად იჯდა და მდინარე ხენილისპირა რბილ, დილით დანაწვიმარ ფაფუკ ჭალას იმედით უმზერდა, და ზურგი შეექცია თავის მხრივაც ზურგშემოქცეულ, ზემორენახსენებ აფრედერიკ მესთვის, ვინაც რომ დიდად დაფიქრებული, ღრმად მოჭოჭმანე. სიგარეტ „კარმენ“-ს ერთობ აზრწამოშლილი დასცქეროდა — კი, კი, შორიახლოდან სწორედ ასეთი სანახავები იყვნენ, ეტლით არწეულ-დარწეულნი, აფრედერიკ მეს კი

უცნაური რამ არჩევანი თითის წვერებზეღა ეკიდა — დანიშნულებისამებრ გამოეყენებინა თუ არა, ამჟამად, ბოლოს და ბოლოს, სიგარეტი „კარმენ“.

ეტლი ბაენას ცნობილ დაბლობზე მიდიოდა რბილად, ნარნარად, ეჟვნების თანაბარი წკარუნით, სილაღეს გრძნობდნენ თვალმიშვებული ეტლშიგა მგზავრები, ბესამე კაროს ამსიშორეზე პირველად წაუვიდა გამოუცდელი მზერა; წანწალში გამობრძმედილ სოტოს ლანდშაფტ-რელიეფების დარდი არა ჰქონდა რა, ხანდახან ჩათვლემდა კიდეც, ოღონდ შედარებით ფრთხილად, აფრედერიკ მე კი დროდადრო ასანთიანი ჯიბისკენ აპარებდა მოუთმენელ ხელს, მაგრამ ციცქნა ალის დანთებაც ძლიერ უჭირდა. ნამდვილ კარმენს კი, აკი ცნობილია, ძლიერ უყვარდა ცეცხლთან თამაში როგორცვე ᲂᲡᲝᲤᲚᲐᲓ, ასევ — ქალაქში, რაკიღა მოლიპულ გზაზე შედგა ისედაც მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარი ტერფი, და თოფ-დანებიან უარყოფით ადამიანებს, როგორც იტყვიან, აედევნა იგი, ისედაც კონტრაბანდააკიდებულებს, აეკიდა იგი, და თავისი წვლილიც ბლომად შეიტანა იმათ შავ-ბნელ საქმეში, როგორც იტყვიან, იგი. ასე ჰფიქრობდა. აფრედერიკ მე, ეტლმა კი აიარა ესიხას ბორცვი და თავდაღმართში ნელა დაეშვა, ფრთხილობდა სოტო: შებინდებისას, ბესამე კაროს ფარეხში შესადენ ცხვრებთან ისე მოუნდა, აეწვა კიდეც პატარა გული, ბნელში მალულად შეიმშრალა ორიოდ ცრემლი, აᲐᲡᲐᲡᲔᲗ ეტლში, აᲐᲡᲐᲡ მშიერს, თვლემა და რული ეძალებოდა, მერე, ჩაყვინთა და ვერც გაიგო, გვადალკვივირზე გადებული ოთხბურჯა ხიდი გადაიარეს როგორ, ბოლოს კი შეკრთა, რადგან მოხუცმა თავზე დაადო უხეში ხელი; გაიხედა და ვრცელი სიშავე დაინახა, აუარება ლბილი ციაგით მრავალგან მცირედ გაბზარული, „ესეეც, კორდოვაᲐᲐ“, აღნიშნა სოტომ; ბესამე კარო, თვალდაᲬყეტილი, პირველად ხედავდა ქალაქს, თანაც დიდს ასე, სადღაც მღეროდნენ მშობლიურ კანტეს, ცეკვავდნენ იქვე, ხელმაშხალიანთა იდუმალ წრეში; ბესამე კაროს თავბრუ დაეხვა და, მერე იყო და, გაბრუებული, რაღაც დიდ ლამაზ აგურის სახლში შეიყვანეს და, სოტო კანაფით უზომავდა ხელს, ფეხს, თავს, სხეულს, თვლემამოგვრილი, იდგა და იდგა, მერე კი ვიღაცა ორად მოხრილმა დედაბერმა ჩასᲬიდა ხელი, სადღაც გვირაბით წაიყვანა, მერე. მოკაკვულს, ხვეულ კიბეზე ჩაᲰყავდა ბიᲬი. და. გაოგნებულს მორჩილად ჩამყოლს, დროდადრო ცერად გამოხედავდა, და შავი

სახით ამოსცინებდა!, ძალიან დაბალ კართან შედგნენ. სწორედ დედაბრის სიმაღლისა თუ იქნებოდა, გამოუღეს და, იქიდან ორთქლი მოტივტივებდა. ახლა ბესამეც ორად მოხრილი, დაბალი გვირაბით ზურგმორკალული, მიბარბაცებდა სადღაც, სახეზე რასმე წებოვანს გრძნობდა, რომ გაიმართა გვირაბის ბოლოს, შედგა, გახევდა — შრგვალი ოთახი იყო აორთქლებული, ჩახუთული, თითქმისდა ბნელი, ბევრს ვერაფერს შველოდა სანთლებჩამდგარი ფარნების წრიატა შუქი... ბურუსი მრუმედ დატრიალებდა, მძიმედ შეოფლილ მუქ, რუხ კედლებს ღვარჭნილი, მქისე ღვარი სდიოდა... უცხო, ტლანქ ბურუსს თვალს აჩვევდა ბესამე კარო, და ისე შეკრთა! — შედედებულ ნისლს მოჩვენებად გამოეყო და მისკენ დაიძრა მაღალი, შავი, აღზევებულად მუქი სახება, არ მოდიოდა — მოცურავდა, სულაც არ ჩანდა ფეხს თუ ადგამდა, ისეთი გრძელი სამოსი ეცვა, ნატიფ რხევაზე მხოლოდღა ის ეტყობოდა, ქალი რომ იყო, უახლოვდებოდა თავდახრილს. ბეჩავს და რომ შეჩერდა, ორთქლოვან სიჩუმეში მის ამოხედვას კი, რომ უცდიდნენ, მიხვდა ბესამე, და თანაც, ზურგზე, შავი დედაბრის მოუთმენელ მუჯლუგუნს გრძნობდა და, როგორც იქნა და, გაბედა და ნელა, შიშით, ძლივს აღაპყრო და მიაბჯინა ორთავე თვალი.

მაღალ სახებას ძალიან გრძელი სამოსი ეცვა, უბრალო, თალხი, სახეშებურვილს, ორთქლში ზმანებასავით ასვეტილს, თითი რა არის, გრძელ სახელოდან ისიც არ უჩნდა; პირაკრულს, შავადს, შუბლზე ქათქათა თეთრი ნაჭერი გადატკეცოდა, თავსაბურიდან ძლივს გამომძვრალი, — და მხოლოდ თვალები უჭვიოდა, მაგრამ ისე ირიბად ახლეჩილი, ისე მეტყველი, ისეთი მწვანე!

მომნუსხველ მზერას მინებებული, თავაპყრობილი იდგა ბესამე, და რაღაც უხმო ბრძანებას, უცხო თვალებში აკიაფებულს, გრძნობდა. რა იყო მაინც ამდენი ორთქლი... მაგრამ იმ არეულ ბინდში გამონაშუქ, წყვილად მბრძანებლურ ციაგს დაყოლილი, მორჩილად იდგა, შეჰყურებდა და, მცირედ შეჩვეულს, ემატებოდა მუხლებში ძალა, მოღონივრებულს, ეზიდებოდა მომწვანო ხიბლი, თითქოს ნაბიჯიც კი გადადგა, და ისე შეკრა!.. თვალები იყო? — იმათ მიხედვით თავით ფეხამდე შიშველი ჩანდა თითქოს ზმანება, ქალისა და ამისთანაების ბესამემ, უბრალომ, აბა რა იცოდა, მაგრამ დამხვდურის უხეში ტანსაცმლის მიღმა უცხო ბორცვები ამოეგულა, მაღალი ყელი, ლავიწის ძვალი, დრეკადი წელი, სიზმრისმიერი თეძო,

იმისი რბილად ამოხაზული მუცელიც კი წარმოიდგინა და, ყოველივე ეს, სასტიკი იყო! — სალუქად საშიშ ქალის ცხელ სხეულს შეძრწუნებული აღიქვამდა მთელი ბესამე, თავრეტდასხმული, ძლივას შებრუნდა — იმა თვალების ნაყოფის ხილვას, ისევ დედაბრის ყურება სჯობდა, მაგრამ გამქრალიყო ის... ბურუსის ქალმა კი ნელა გამოაძვრინა სახელოდან ნატიფი ხელი, მხარზე დაადო, ხურგშექცეული, შემოაბრუნა, აუჩქარებლად გახადა ტანთ, იქვე კუთხეში მიჰყარა დაკონკილი ტანსაცმელი, მერე ყელამდე აუზში ჩაიყვანა, თავადაც ჩაჰყვა, კვლავაც მხოლოდ თვალებშიშველი, ბესამე კი, ტიტლიკანა ობოლი, სირცხვილითა და ორთქლით სახეალანძული, მწარედ ითმენდა სუყოველივეს, იმან კი, უცნაურმა მონაზონმა, დაი ტერეზა ერქვა, იმ წყალშიაც კი ძალიან მშრალი ხელისგულით, ყველგან დაბანა, ოღონდ ისე რომ, მთელ ამ საქმეში ბიწიერების ნამცეციც კი სულ არ ერია, მხოლოდ და მხოლოდ, სისუფთავისა იყო. სხვა, გრილ ოთახში გაიყვანა შიშველი მერე, ნათელში უფრო, დიდი ზეწარი შემოახვია, ძალიან უცებ გაშრა ბესამე, რადგან — შველოდნენ, მერე კი ქალმა სუფთა, ახალი შესამოსი, მოხუცებულის მიერ სოტოს ხელით ნაყიდი, მოარგო, ჩააცვა, უყურა ერთხანს, თან ტანსაცმლიდან სულ თბილი წყალი ჩამოსდიოდა, მერე თვალები ოდნავ სხვაგვარად, წვრილი ციმციმით აუბჟუტდა, ჩაეღიმა თუ რა, და ბესამესკენ, ხელები წელს უკან წაიღო და ისე, გადაიხარა, პირბადე წამით მოიცილა, სავსე ტუჩებით შუბლზე აკოცა, და გაკვირვებულმა ბესამემ იქვე აღმოაჩინა, რომ სისუფთავესაც ჰქონია თავისი სუნი, ვრცელი, და სიფრიფანა, შემდგომ გაიგო, ესე სუნი ქაღალდისასაც ძალიან ჰგავდა — რაღაც სიმძიმე მაინც ერია, ახლა კი მარტივად მოჩუქურთმებულ კარზე მიუთითეს, და იმ ოთახში გავიდა, სადაც მაგიდას მოხუცებული მუსიკოსი და სოტო უსხდნენ; რაღაც ცხელი და გემრიელი დაალევინეს, სულ სხვა ქვეყნების უცხო კერძებით ავახშმეს კარგად და, მერე, მაგიდაზე ლოყადადებულს, მადლიერად მიძინებულს, მხარში შეუდგნენ, ეტლში ჩასვეს; მთელ ღამეს მიჰენაობდნენ, — ჯერ უბედაში, მერე ესტეში და კიდევ სადღაც, აქაფებული ცხენები ახლებით შესცვალეს, გამოცდილი ხელებით საქმიანობდა სოტო, მოკუნტულ ბესამეს სავარძელზე ეძინა, მოხუცი თვლემდა, აფრედერიკ მეც სადღაც იქავე დაყიალობდა და, გათენებისპირს ზემოაღწერილ ქალაქ ალკარასს, შესაძლოა დაგამახსოვრდათ კიდეც,

კასერესას ბორცვის ჩავლით მიადგნენ, და ეგებ ისიც გახსოვთ, იმა ქალაქში ყოველივე რომ პატარა იყო, ერთი რამ მკვიდრი შენობის გარდა, რომელიც ქალაქის აღწერისას აფრედერიკ მემ ახირებულობისა გამო შეგნებულად გამოტოვა — თეთრი, ნათელი, გათენებისას მძიმედ მოტივტივე, მრავალხმიერი კონსერვატორიის გარდა.

6

ჯერ ეგონა რომ, მზე დაადგა თავთ, რადგან ლოყაზე სითბოსა გრძნობდა, და ძილ-ბურანში დუნედ გაკვირდა, რადგან მზეს მუდამ ასწრებდა ხოლმე, მაგრამ თვალი რომ გაახილა, ძალიან შეკრთა — დიდი მოხუცი ჩამოსცქეროდა. ახლად ნამწყემსარი იყო და, მცირე რამ ძილი ჰკმაროდა ხოლმე, მაგრამ ახლა კი, უხვად სათუთ ლოგინში გამოძინებულს, მოხუცზე მეტად ჯერ წამოზრდილი დილა ეუცხოვა, მერე დილაზე მეტად — წელანდელი მოხუცი, შეშფოთებულმა წამოიწია, მაგრამ აქ მკრთალად გაუღიმეს და, სუყოველივე გაახსენდა, გულზე მოეშვა.

— საუზმე აქ გაქვს, მაგიდაზე, — უთხრა მოხუცმა, — მერე კი, ქუჩაში გახვალ, მიმოიხედავ და ყველაზე მაღალ სახლს მიაშურე.

— დიახ, — თავი დაუქნია ბესამე კარომ, და იმ ქათქათა თეთრეულში ყოფნისა შერცხვა, მაგრამ არა, არა, აჰ — თავადაც სუფთა იყო.

— ხელ-პირი აგერ, იქ დაიბანე.

— იმ მაღალ სახლში... რომ არ შემიშვან?

— შეგიშვებენ.

— იმ მაღალ სახლში, სენიორ, რაა...

— იმ მაღალ სახლში მუსიკოსი უნდა დადგე, ბესამე. გინდა?

— ძალიან დიახ.

მოხუცი კუშტად ჩამოაცქერდა, ჰკითხა:

— მერედა, შესძლებ?

— ცდას არ დავაკლებ, სენიორ.

— ბევრნი იქნებით, — შელხვა მოხუცი, — უნდა გამოირჩე.

— ბევრი ვინ?

— შენისთანები, დამწყებები, — უცხო ალერსი შეერია იდუმალ ხმაში, — ჯერ ბატკნებივით მუსიკოსები.

— იმ სახლის ბევრებს... — აირია ცოტა ბესამე, — მთავარი მწყემსი თუ გააჩნიათ....

— კი.
— რა და რა ჰქვია... [1]
მოხუცს აქ განზე ჩაეღიმა, მიიხედა, თქვა:
— ქრისტობალდ როხასი. დაიმახსოვრებ?
— დიახ. ადვილი გვარი და სახელია.
— ის იკითხე და, გაგატარებენ.
— მერე, რა ვუთხრა?
— იქ გამოჩნდება. წავალ.

ხელ-პირი ნასაუზმევს დაიბანა და, მერეღა, მცირედ შეეჭვებულმა, თეფშის ამობეუტებულ ფსკერზე ოდნავ გასვარა დანა-ჩანგალი.

გუმბათისებური ოთახი გახლდათ, ოთხგან სარკმელდატანებული, და აივანზე გამავალი კარიცა ჰქონდა. მაგრამ ბესამეს, საერთოდ უმყოფს არანაირ აივანზე, იქით გასვლისა მოერიდა და სხვა კარს ჩასჭიდა ჯერაც წენგოიანი თითები, გამოაღო. ხვეული კიბით ჩადიოდა და, ქვემო სართულზე, ქოთნის ლიმონთან, თეთრი მოხუცის შვილიშვილი იდგა — ოთახის რამონა.

ცამეტი წლის გოგო და, თხუთმეტი წლის ბიჭი.

გაწითლებულები, გაწითლებულები რომ, მეტი აღარ იქნება... რა დააშავეს, თორემ კი, ამაოდ დამშვრალი აფრედერიკ მეც, ყოვლად ფანტასტი, ვერაფერს მიხვდა, ბესამემ თავი უშნოდ ჩაკინკლა, გოგონამ მოკლედ ჩაიმუხლა, ბესამემ ჯიბეში უმიზეზოდ ჩაიყო ხელი, გოგონამ განზე დაიხედა და გრძელი კაბიდან წინ გამოაჩოჩა ლამაზი ფეხსაცმლის წვერი, ბესამეს წენგოიანი თითები გაახსენდა და მეორე ხელიც ჯიბეში იტაცა, მაგრამ ამასობაში თურმე ეზოში იყო.

სულგანაბულმა გამოაღო რომელიღაც ფერის ჭიშკარი.

ჩვენი პატარა, მომცრო ალკარასი, აფრედერიკ მეს სატახტო ქალაქი.

პატარა იყო პატარა კოშკი... მოკლე და ვიწრო — რიკარდოს ქუ-

---

[1] ესპანეთში ხანდახან ორი, სამი, ხუთი და გაცილებით მეტი სახელიც კი ჰქვიათ (აფრედერიკ მე).

ჩა... მაგრამ ბესამე, ჩვენ-ჩვენი კარო, ვერას ამჩნევდა, თეთრი შენობისკენ მონუსხული მიადგამდა ფეხს, იგი კი, იის, თეთრად ნაგები, ადგილზე მძიმედ, თეთრულად იდგა, მერე შემჩატდა თითქოსდა ოდნავ, რადგან ბესამეს სწორედ იქიდან რაღაც გამჭოლი ხმა შემოესმა, კლარნეტისა იყო, მერე სულ სხვა ხმა, ვიოლინოსი, მოთბოდ დამზრზენი, და შემსუბუქდა შენობა უფრო, ხმები კი, ბესამეს მცირე ნაბიჯთა წყალობით, ძალას იკრეფდნენ, დიადდებოდნენ, ხევერდოვანი რაღაც საკრავიც გამოერიათ, საკუთარ თავთან გულჩახვეულად მობაასე, მერე — კიდევ სხვა, ალმა და დალმა მოარულ ხმებით, გასიფრიფანდა შენობა უფრო, სადღაც აიჭრა მაღალი ბგერა, სულ სხვებიც აჰყვნენ, და გუნდი და გუნდი საკრავთა, გამქღავნებული და ნებამიშვებული, ამა თეთრ სკაში აჰ, ზუზუნებდა, და ყოველგვარი ჰარმონიის წინააღმდეგ ამხედრებული, უზენაესი თავყრილობა — სრულიად ორკესტრი, მოვარჯიშე და ათქვეფილი, აჭრილ-დაჭრილი, და შეშლილივით ოკრო-ბოკროდ აღზევებული, დიდ შენობაში უთავ-უბოლოდ ხმიანებდა და, თავად სახლი კი, ატორტმანებული, ზევით აწევას ლამობდა თითქოს — ამა თეთრ სკაში, ყოვლისმომცველში, თუმც არეული და აწეწილი, მაინც მუსიკა, თავად მუსიკა, ჯანყოვანი მუსიკა ენთო!

თავაწეული იდგა ბესამე, ობოლი ბიჭი, უცხო საკრავთა უცნაურ ჯირითს ყურს მიუგდებდა კი არა, გაჟღენთილიყო, ოღონდაც შიშით, და ხელი უბეში ჩაეყო, სალამური იმედად ჩაებღუჯა, მცირე საკრავი, და გაუდიდდა — დუმდა შენობა. დამუნჯებულიყო ყოვლად, მერე მოჩუქურთმებული კარის მიღმიდან ნაჯირითევი მუსიკოსები ისე უწყინრად გამოდიოდნენ, ვითომც — არაფერი, აჰ, თვალთმაქცები თუ იყვნენ ნეტავ, ქუდიც სხვადასხვანაირი ეხურათ: ფრთაგარჭობილი ზოგს, მრგვალად მაღალი და ძაან ლაპლაპა — მეორეთ, მესამეთ — ჩაჩი, ზოგსაც წოწოლა... ვიღაც კაცმა კი ზემო ფანჯრიდან გადმოიხედა, ჰკითხა: „შენ ბესამე ხარ?“, მოისმინა: „კი“, და ჰაერი ხელით მოიხვეტა: „მოდით, დიდი მაესტრო ქრისტობალდ დე როხასი გიცდით“.

გადააბიჯა ზღურბლს!

ვერას ამჩნევდა, დაადო თავი და მიდიოდა, და ის-ის იყო, მარმარილოს კიბეზე უნდა შეედგა უცოდველი ფეხი, მკაცრად, მრისხანედ ჩამოესმა:

— მანდ დაიცადე!

მყისვე შედგა და, შეშფოთებული, მაინც მორჩილად იცდიდა.

— შემოტრიალდი.

დიდად საკვირველ დარბაზში ყოფილა თურმე, ზურგმაღალ სკამებზე, ჰოი, რაღარანაირი, სულ მთლად უცნობი საკრავები იდო... გაკვირვებული, იდგა და იდგა, ვიდრემდე ისევ არ ჩამოესმა:

— მიმოიარე და ყოველ მათგანს დაადე ხელი.

ბოლოსდაბოლოს, რაა ამდენი, ბოლოს და ბოლოს, აქ აფრედერიკ მემ მეტის დათმენა ვეღარ შესძლო და, ფანტასტიკაა ეს თუ ფიჰ, რაა, სუყოველივე ჩვეულებრივ მიმდინარეობს, არა, ბატონო, ახლა თავისა მასაც უსმინეთ — ეჰ, სიგარეტი, აჰ, კარმენტისავ, კონტრაბანდული მინდვრის ღიღილოო, როგორ და როგორ სულ სხვადასხვაფრივ უყვარდი ყველას, მაინც რა ნახეს შენში ისეთი, გზასაცდენილი, უკაცრაოდ კი პასუხია, ქალი იყავი, და შენ-შენი მშობლების და დედმამიშვილების შემარცხვენელი, არც ვიცი, გყავდა? იქ, ფაბრიკაში დროებითად გზაზე დამდგარმა, იმის ნაცვლად რომ შრომითი მაჩვენებლებით გესახელა თავი, სისხლის სამართლის დანაშაული ცივი იარაღით ჩაიდინე, შრომითი გზიდან სადღაც ჯაგნარში გადაუხვიე რად, რა გინდოდა იქ, სხვა რომ არაფერი, ეგ აბრეშუმის ძალიან გრძელი შენი თავსაფარი ეკლებს წამდაუწუმ კი ედებოდა, ხომ ედებოდა, აკი ედებოდა, დიახაც რომ ედებოდა მაგრამ შეგაჩერებდა რა, მოლიპულ გზაზე დაგორებულს, თუმცა მოლიპულზე ჯაგნარს რა უნდა, მოკლედ, გზას ასცდი და, უარყოფითად დაგორებულს, შეგაჩერებდა-მეთქი რა, ხოლო კარგად აღზრდილი სანაქებო მანდილოსნები, რომელთაც გრძელ კაბაში ფეხსაცმელიც არ მოუჩანდათ, შენ კი წვივებშიშველი მდინარის პირას დატანტალობდი, არც კი გესალმებოდნენ, დიახ. აუგი იყო შენთან ცნობანა, თუ არა გჯერა, აფრედერიკ მეს, აგერ არაა? — პირში მთქმელს, ვკითხოთ. აი, რას ამბობს იგი: მე რომ გულის რჩეული სატრფო მყოლოდა, შენთან მუსაიფს ავუკრძალავდი, თუ არ მოიშლიდა, მივუთითებდი, მაინც თუ არ მოიშლიდა, დავტუქსავდი და მაინც თუკი აღარ მოიშლიდა, გავროზგავდი და კიდევ თუ მაინც არ მოიშლიდა, სამმაგ ბოქლომზე ჩავკეტავდი და მერე კი პირდაპირ შენთან გამოვიქცეოდი, რადგან მიყვარხარ. ეიფ, ეს რა თქვა, რა გქონდა მაინც საყვარელი, აჰ, კარმენსიტა, ბოდიშით— კარმენ, რა გქონდა მაინც შესაყვარელი, ვერ გამიგია, აუუქუნებდი თუმცა მაგ თვალებს, შავ თვალებს, დიდრონ თვალებში ცეცხლი

გიხტუნავდა, სიგარეტთათვის ალის მომდები, ხოლო სიგარეტად ახლა პირიქით, აფრედერიკ მეც კი გამოდის, ჩვენი, სიფრთხილე ჰმართებს, არ აგედევნოს შენ, დიდად საშიშს, ვისთვისაც რომ იმისობისას სულერთი იყო თავსასთუმლად ბუმბულოვანი მუთაქა თუ შემთხვევითი ბალახი, რომელი ცხენი შენა გვყავდი, აღვირახსნილი რომ დაქენაობდი მოლიბულ გზებზე, ვის რად უყვარდი, ვერ გამიგია, თუმცა ერთი რამ მაინცა გქონდა, მცირედი რაღაც მაინც გაგაჩნდა ძლივს ღირებული — თუმც უწესრიგოდ, მაგრამაც, მგონი, სადღაც მაინც ცოტათი ოდნავ თითქოს და იქნებ თავისუფალი იყავი, არა? ამით გვხიბლავდი?, რა ვიცი, ეგებ; თუკი ასეა, თქვენ ბრძანდებოდით თავად საკრავი, თანაც საკრავი უზენაესი, რადგან თუმცაღა მხოლოდ ორი, მაგრამ უნეტარესი ყოველად სიმები შ�ველ სხეულზე, ტან-ტატანზე გადაგჭიმვოდათ — თავისუფლება და სიყვარული, და რადგან ყოველ საკრავში ეს ორი მცნება, აკი ვიძახი: უზენაესი, —ტანჯვით საწვდომი თავისუფლება და სიყვარული, ეს ორად ორი უუმაღლესი ამაღზევება, საიდუმლოდ ძევს, ჩვენი ბესამე, პატარა კარო, საკრავთა შორის მიმოდიოდა და ყოველს ადებდა წენგოიან ხელს, იქითიდან კი გამაბრუებლად ამოესმოდა ხის, ლითონისა და ცხენის ძუის ეს უმთავრესი დანიშნულება, საკრავთმიერი, რაღაცა უგრძნო ობლურმა გულმა, რაღაც უნამუსოდ ძლიერი, და რომ გახევდა, თავრეტდასხმული, რბილად ჩამოესმა:

— ახლა, ამოდი.

ატორტმანებულ, მარმარილოს საფეხურებზე თან გასუსული ადიოდა და, რომ აიარა, გაოცდა როგორ!:

შემაღლებულზე, სქლად ჩამომშვარი ლურჯი ფარდის წინ, დიდ სავარძელში მძიმედ ჩაფლული, სახელურებზე ჯაფით დაოსებულ დიდრონ ხელებდალაგებული, თვით ის მოხუცი, სოფლიდან მისი წამომყვანი, დიდი მაესტრო ქრისტობალდ დე როხასი ბრძანდებოდა, იჯდა. კვლავაც ეს ჰკითხა:

— მუსიკოსობა გინდა, ბესამე?

კვლავაც მიუგეს:

— ძალიან დიახ.

— ძალიან კარგი, — უთხრა მოხუცმა, — მომიახლოვდი.

რაღაც დამდგარი წყლისა ფერი, უილაჯოდ მონაცრისფრო და ფესვგადგმულად მწვანე, თვალები ჰქონდა.

— ორთავე მუხლზე დაიჩოქე, — უთხრა მოხუცმა, და აღუსრულეს ნება.

გამხდარ ღაწვებზე შემოაჭდო ნაძვის ხისა თუ ფიქვის ხელისგულები, ლითონის თითებს საფეთქლამდე გრძნობდა ბესამე, და ცხენის ძუიანი ხემით დაძაბულ სულში ჩამოუსვეს; ისე ახლოდან ჩაჰყურებდა მოხუცი, რომ მის თვალებზე ვერც შეაზუსტა ბესამემ მზერა, და ბუნდოვნად გაშლილ ფერადოვან რასმე, სივრცეს ხედავდა აშრელებულს, რადგანაც მოხუცს ასე ახლოდან მრავალი ფერის ნამცეცი ერია თვალში, თურმე, ათასფერნაირი, რის ცისარტყელა, და გაშეშებულად აწრიალებულმა ბესამემ, როგორც იქნა და ამოიცნო ის სხვადასხვა ერთმანეთში ათქვეფილი და მაინც ზეუცნაური წესრიგით განზავებული ესე ფერები — წეღანნანახი ორკესტრისა გახლდათ.

— ახლა წადი და კუთხეში დადექ, — უთხრა მოხუცმა, — შებრუნდი კიდეც.

ნეტავი რატომ, დასჯილივით იდგა. თანაც, ესმოდა:

— მუსიკოსობა თუ გსურს, ბესამე, დიდ უღელში უნდა გაჰყო მორჩილი თავი, და მაგ სიფრიფანა მხრებზე უზარმაზარი ტვირთი დაიდო. შესძლებ?

— არ ვიცი, დიახ.

— კარგად იცოდე, ბევრნაირ სიამოვნებაზე უნდა აიღო ხელი, რადგან ადამიანს მხოლოდ გარკვეული სიამის მოპოვება შეუძლია, ხოლო მუსიკოსისთვის მუსიკის ხარჯზე სხვა არაფერი არ უნდა მოხდეს, ბესამე — ერთადერთი შენი შვება, მხოლოდ და მხოლოდ შენი საკრავიდან უნდა გამოისმოდეს.

— მე სიამოვნება არ მქონია, სენიორ, — თქვა უცებ ბესამემ, — არც ბევრნაირი და არც ცოტა.

შეპასუხებით მოკუნტული, შიშიანად იდგა, იცდიდა. დუმდა მოხუცი.

— მე სულ ძალიან ვშიმშილობდი, სენიორ, — კვლავაც გაბედა ბესამე კარომ, პირმიქცეული, კუთხეში იდგა, — და ყინვებისას ძლიერ მციოდა. და აქვე უნდა გამოგიტყდეთ, ჩემი ახალი ტანსაცმელი რომ მსიამოვნებს და, გთხოვთ ისევ ძველი დამიბრუნოთ.

— მოდი, ბესამე, — მოესმა უცებ მთლად გამლხვარი ხმა, მიახლოებულს, მხარზე დაადო მოხუცმა ხელი, — არა გქონია სიამოვნება, მაგრამ მერე და მერე, რაღაცებს რომ მიაღწევ, გამოგიჩნდება

და მუდამ პირქუში უნდა იყო, ყოველნაირი ლხენის მიმართ, ახალ ტანსაცმელს კი რაც შეეხება, გქონდეს — ჯერ ერთი რომ, შეჩვევა იცის, და მეორეც ის, გარეგნულადაც სხვებისგან არ უნდა გამოირჩე — არც სიმდიდრით და არც სიდუხჭირით. უნდა ეცადო, რომ ყურადღება არაფრით მიიქციო. მერე მიხვდები, რატომ.

და აქ მოხუცმა რაღაცა შავად მოგრძო და თხელი ყუთი გაუწოდა.

— რაა, სენიორ... — შეკრთა ბესამე.

— აქ ფლეიტა დევს, სალამურთაგან უპირველესი, და ეს ერთადერთი საკრავია, რომლის ახმიანებაც ამბორით იწყება.

— რაა ასეთი...

— გაიგებ მალე. შენ ჩემს ოჯახში დაბინავდები, ბესამე, და საჭმელ-სასმელზეც აღარ იზრუნებ. ამიერიდან, ერთადერთ სადარდებლადღა მხოლოდ მუსიკა გექნება, შვილო. ყოველ ორშაბათს თორმეტ პესოსაც მიიღებ.

— გმადლობთ, არ მინდა.

— როგორ არ გინდა, შემწარი წაბლისა და სანთლების ფულიჰა, გამომართვი.

მაგრამ ბესამემ ვერ გამოართვა, სირცხვილისაგან, თვალებიც დახუჭა და მოხუცმა თავად ჩაუჩხრიალა ჯიბეში ფული.

— და მე რომ... თქვენთვის... არც ერთი ცხვარი არ მომიმწყემსავს...

— აეს იქნება ჩემი ცხვარი, — უთხრა მოხუცმა, — შენი ფლეიტა. ხოლო მუსიკა ის ჰაერია, რომლითაც უნდა ასაზრდოო.

— სად ვასაზრდოო...

— იმ შენს ოთახში.

— და... ცუდად.რომ დავუკრა, ხომ შეგაწუხებთ...

— ჰაერი მაინც საჭიროა. ცალ მუხლზე დადექ.

შავი ხავერდის გრილი ნაჭერი შუბლზე, კეფაზე შემოახვია, საფეთქელთან გაუკვანძა და მხრამდე გვერდულად დაქანებული, მორჩილი ბაბთა შეუსწორა, უთხრა:

— ჩვენთან, ბესამე, ყოველნაირი საკრავის პატრონს განსხვავებული ქუდი ახურავს, ფლეიტაზე დამკვრელებს კი ასეთნაირი თავსამკაული გაქვთ მოგწონს?

ბესამე უცებ დიდებულად ჩამოტორილ მის მრავალტანჯულ ხელს

მოკუმული ტუჩებით დასწვდა და ისე ფრთხილად ეამბორა, ფლეიტაზე დაკვრას იწყებდა თითქოს, და სინაზით მწარედ სულმობჯენილი ყელში დიდი მაესტრო ქრისტობალდ დე როხასი მთელ ხელის ზურგზე გრძნობდა მის ძალიან ცხელ, ძალიან ობლურ ცრემლებს და, თავზე დაედო შეგირდისთვის მეორე ხელი. ამ ხელს, ამ დიდ ხელს, გამსრეს მუსიკას გრძნობდა კვლავაც, ქუჩაში ეულად მიმავალი, თვალებშესიებული ჩვენი ბესამე, პატარა კარო, მაგრამ ფლეიტა ფრთხილ იღლიაში იმედად ჰქონდა, მის ოდნავღა თამამ ფეხისხმაზე იდუმალებით მოსილი რომელიღაც დონნას სახება გამოჩნდა ვიწრო სარკმელში წამით, და მიიმალა — რადგანაც სულ სხვა, ოქრო-ვერცხლ-დაშნით მოჩუქურთმებულ მუსიკის უვიც კაბალიეროს სულ ტუჩმოკვნეტით ელოდებოდა დაკოცნილი ქალი, ხოლო ბესამემ იგი კი არა, ვერც ნაცნობ სახლთან შეამჩნია დიდი მოხუცის შვილიშვილი, ეზოგადმოვლილი და მის დანახვაზე ღობესთან მკვეთრად შეჩერებული, ჭიშკრის რამონა, რომელსაც ახლა, მის დანახვაზე, რაღაც ძლიერად პატარქალური უკვე ჩაედო ნაზ, წელად გულში, ეს ბესამე კი, ჩვენი, აქეთურა, მიაბიჯებდა სამართლიანად მკაცრი სახლისკენ, რომლის შიგნითაც რბილი სურნელი და მოწიწება თანაბრად იდგა, მრავალ ფერთაგან აქ ის სილურჯე უფრო, კი სუფევდა, და ჩვენმა მწირმა ფეხსაცმელები გაიხადა, მეორე, უფლეიტო იღლიაში ამოიჩარა, და ასე, გამხდარ ფერდებზე იდაყვებმიწებებულმა, ძლივს ამოიღო ორიოდ ფული, სანთელი მისცეს... ბესამე კარო, ორთავ მუხლზე დაჩოქილი, ციცქნად აალებული სანთლით ისედაც გამჭვირვალე თითებში, ცალ იღლიაში ჯერაც უნახავ ფლეიტითა და ფეხსაცმელებით — მეორეში, იმ გამჭოლსა და გამამყღავნებელ ბინდში უცნაურ ფერებს თვალებადქმნილი შესცქეროდა, იქ კი, კედელზე, თან ნაგვემი და თანაც ჯვარცმული, თანაც ღარიბი, იესო ეხატა, ცოტა იქით კი მკრთალად მოჩანდა იმისი დედა, ძაან ნატიფად მგლოვიარე, ვისაც ბესამე, მუხლმოყრილი და სანთლით ხელში, ჩურჩულით ასე ეუბნებოდა:

— ძალიან დიდო ქალბატონო მარიამ, ყველაზედ მოწყალეო სენიორა, აქ, ამ ქალაქში რომ ჩამომიყვანეთ, ძლიერად გმადლობთ.

როგორც ბევრგან ვთქვით, თავად განგებასთან შედარებით, აფრედერიკ მე ზღვაში წვეთი იყო.

აქ არ გეგონოთ, თითქოს ამბავი სრულიად მორჩა — აჰ, ნახევრამდეც არა ვართ, მგონი. არადა, ისე, თითქოს მორჩაო, არა? — სხვა რაღა გვინდა, ობოლი ბიჭი კარმენსიტასგან განსხვავებით, სწორ გზაზე დადგა, დაფასებასაც მიაღწია, რაკიღა ქვეყნიერების ყოველ კუთხეში ყოველ რაგინდარანაირ გარეწარსაც უყვარს მუსიკა, ოღონდაც — სხვისი, თავისა არ აქვს, რა ადვილია აქ დამთავრება, მოკლედ რომ მოვჭრათ: „ბესამე კარომ მუყაითი მეცადინეობით თავი გამოიჩინა, გახდა ცნობილი მუსიკოსი, წამოზრდილ რამონაზე ჯვარი დაიწერა, მოხუცმა სიკვდილის წინ მას გადააბარა დიდი თეთრი კონსერვატორია და დირიჟორის სპილოს ძვლისა პატარა ჯოხი, ბესამეს მუსიკალური გამოსვლებისას დარბაზი ტაშით ინგრეოდა, შინ ჰყავდა შესანიშნავი შვილები ორი ბიჭი და ერთი გოგო, ხოლო ჩიტები სტვენდნენ“. მაგრამ არ იყო, ძვირფასნო, ასე და აფრედერიკ მემ რომ მოგატყუოთ, სირცხვილისაგან სარკეში ვეღარ ჩაიხედება, და თუ ეს ვერ ჰქმნა, აღარაფერი გამოუვა — სხვის ხელყოფამდე, ჯერ ხომ კარგად და წამდაუწუმ უნდა ვიცოდეთ ჩვენივე თავი, ხოლო ბესამეს პატარა ქალაქ ალკარასში დიდი ამბები გარდეელინა თავს, როგორც იტყვიან.

დიდი მოხუცის ვრცელ, ნათელ სახლში, გრძელ მაგიდასთან შორიშორ მსხდარნი, წყნარად, მსუბუქად საუზმობდნენ დიდი მოხუცი, სუნთქვაშეკრული ბესამე და დილის რამონა, მერე ბესამე ხავერდის ნაჭერს საფეთქელთან გაიკვანძავდა და მორიდებით მიაბიჯებდა დიადი თეთრი შენობისაკენ, სადაც ბესამეს მკაცრად ილებდა გამოჩენილი მიმოფლეიტე, თავისი საქმის კეთილად მცოდნე მაესტრო კარლოს სეგოვია, ირიბად სახენაიარევი. ბესამეს მოწიწებულ ბაგეებთან მიჰქონდა ჯერაც ღრმად მიძინებულ ჯადოქრიანი საკრავი და თავის სუნთქვას ამბორიდან გადასცემდა მას, მაესტრო კარლოს სეგოვიას რჩევებითა და მითითებით იმა ჯადოქრის გაღვიძებას შეძლებისდაგვარ მონდომებით თუმცა ძალიან კი ცდილობდა, მაგრამ ეჰ, ვერა, ერთხელაც ვერ უნაცვლა გვერდი — მისი ფლეიტა ჩახრინწულსა და ხეშეშ, მთლად ხიწვებიან ხმას გამოსცემდა, და დაფარულად მგრძნობიარე მაესტრო კარლოსს მთელი შიგანი თითქოს შუშისა უხდებოდა, მაგრამ ალესილ დანას მოურიდებლად უსვამდნენ ზედ და თვით სეგოვიას თუმცა კანი ებურძგლებოდა,

კუშტად ითმენდა ყველაფერს მაინც, და, ასწავლიდა. რას და მესიკას...

საღამოობით ჩაფიქრებული შეექცეოდა ბესამე ვახშამს, იქვე ციცქნიდა ლამაზ ნამცხვარს ბინდის რამონა, მეხუთე დღეს კი, დიდი ქრისტობალდ დე როხასი სასადილო ოთახიდან ვიღაც სტუმარს ნაჩქარევად რომ გაეგება, გოგონამ ჩანგლით პურს უკირკიტა, გაბედა მერე:

— შენა... რა გქვია?

— ბესამე... და თქვენ?

— მე კიდევ რამონა.

აჩქროლება, აჰ... მაესტროთაგან, თითქმის ყველანი კარგები იყვნენ: თეორიისა—წვერმოშვებული თამამი კაცი, სოლფეჯიოსი—შზე რანათელი, კანონებივით მკაცრი თითებით კლავესინზე დაბჯენილი, მწყობრ, ფაქიზ ხმათა მეშვეობით მთლად გამჭვირვალე, თითქოს, ბერიკაცი; ღრმად იდუმალი მეჰარმონიე — უცნაურმზერადაბინდული, ამაღლებულად ღვარჭნილი და რაღაცნაირი მიუწვდომლობით სწორი მაესტრო; მუსიკალური ლიტერატურის ტკბილმოუბარი მასწავლებელი, ვისი წყალობით ბესამემ მცირედ შეისწავლა დიდთა და დიდთა მუსიკოსთა ძნელი სიცოცხლე... გუნდურად მღერის ოცდარვაყურა მასწავლებელი—სხვადასხვანაირ ქუდიანნი, გუნდში ოცდარვა შეგირდი იყო... ერთადერთს, ვისაც ვერ შეეჩვია, მეპისტორიეს კარტუზო ბაბილონია გახლდათ, მშობლიური ესპანეთის დამაქცევლის — ნაპოლეონ ბონაპარტეს ფარული თაყვანისმცემელი. იმას საძილე ოთახში, ყოვლად მიღებული საერთო წინაპრის — ჰერცოგ ალბას დიდი პორტრეტის უკანა მხარეს ნაპოლეონის სურათი ეგულებოდა და ძილის წინ მეპისტორიე იგი სწორუპოვრად მზირალ ჰერცოგს პირს კედლისაკენ აქცევინებდა და ბლანტედ ამხედრებული ნაპოლეონის ცქერით სტკბებოდა, თუმც ბონაპარტე, უნდა აღინიშნოს, სულ არა ჰგავდა ჯიგიტს. დილაადრიან კი, ყოველნაირ საქმიანობამდე, ფარულ-კარტუზო საჩქაროდ გადმოაბრუნებდა სურათს, ხოლო უკმაყოფილოდ გამომზირალ ჰერცოგს ტუჩებზე ყვითლად შეღებილი კედლის ნაფშხვენები ეცხო.

ასე მშფოთვარედ იღვიძებდა ბაბილონია, ბესამე კაროს კი, დიდი მაესტროს მადლიან ოთახში, სიხარულით ეღვიძებოდა, რადგან აის საკრავი, საამბორალი, ტახტზე უცდიდა — გრძელი და მშრალი მისი ფლეიტა, რომელშიაც რომ ერთხელ. თითქოსდა, ძლივს

შეიშმუშნა ყოვლად მძინარე ჯადოქარი, და თუმც ბესამეს თავის ოთახში ყოველთვის ჰქონდა ნაწყალობევი დაკვრის უფლება, გარიჟრაჟისას, ფლეიტას ფრთხილად დაავლებდა ხელს და ჯერ ალკარასის გარეუბნისკენ სასუნთქ ჰაერში მიაბიჯებდა, და ამა ქალაქში ცისკრის მადლით გულმოცემულნი, აქ, ამ ქალაქში გადმოხვეწილი, მაინც სოფლელი ჩიტები სტვენდნენ — თამამად ისეე, მერე კი მოზრდილ, დაკლაკნილ შელმართს აუყვებოდა, ჩანჩქეროვანი ღელე დიოდა, მიადგებოდა რიჟრაჟით მთრთოლავ, ცოცხალ, კი, ჭალას, აქ ყოველივე ეზიდებოდა, დარჩენას სთხოვდა ხეებში გაზრდილს, მაგრამ ბესამე თავისი მყუდრო და უჩვეულო სამყოფლისაკენ მიიჩქაროდა; იქ, ჭალის მიღმა, კასერესას სევდიან ბორცვზე, საიდანაც რომ კარგად მოჩანდა მისი მიმღები, შემკედლებელი ალკარასი, ისედაც მომცრო, ახლა კი, ზემოდან, სულმთლად პატარა, ციცქნა ქალაქი, კლდე იყო ერთი, ოდნავ კენწეროჩაღრმავებული, და იქ ჯდებოდა. უფსკრულისაკენ ჩამოჰკიდნოდა ჩვენს ბესამეს აქ ორთავე ფეხი, და ის სიფრთხილე, აის სიმაღლე, აიძულებდა რაც შეიძლება ფრთხილი, ნაზი ამბორით დაეწყო დაკვრა, და მადლცხებული, სულარაფრისა არადამკარგავი ჯადოქარი, ვინც დიახაც რომ კარგად უწყოდა მისადმი შედგომილთა სინაზისა და ერთგულების ფასი, ახლა აშკარად იშმუშნებოდა — კასერესას კლდეზე... ხოლო ბესამეს, ტუჩფლეიტიანს, ქალაქისადმი მადლობის თქმა საკრავით სურდა, ქალაქისადმი, სადაც დიდი ნათელი კონსერვატორია იმედად ედგა, აქედანაც კი, ზემოდანაც, პირველ შეცთომილ ვარსკვლავამდე თეთრად მაღალი... ფლეიტიანი, ფრთხილად სუნთქავდა ბესამე კარო, მცირე ქალაქი კი იღვიძებდა და აფრედერიკ მეს ვერ გაეგო, გათენებისას რატომაა მომხიარულო იდუმალება ყველგან, ყველაზე, ვერც ის გაეგო, მდინარის ხმა რატომ იკლებდა, არც ის იცოდა, თუ ვინ იყო ესპანელთათვის უფრორე მტერი — ტომით უცხო ბონაპარტე თუ გულბოყვიანად ღვიძლი ალბა, ძლიერ აბნევდა მეჰისტორიის თუმცა ფარული, მაგრამ ცნობილი მაინც ყველასთვის მიდრეკილება და სიყვარული იმ განსვენებულ კაცისადმი, ვინაც სამშობლო გადაუბუგა და ჭრილობები ყოვლად უწყინარ თვით ამ ქალაქსაც, პაწა ალკარასს. ახლაც კი აჩნდა, მაგრამ აფრედერიკ მემ ის კი იცოდა, თეთრი შენობის მთლად ნაცრისფერებში გამოწყობილ მეჰისტორიეს ამა სიყვარულს იმიტომ პატიობდნენ, რამეთუ კარტუზო ბაბილონია და პროვინცია მურსიის მთავარმმართველი.

ჰერცოგი ლოპეს დე მორალესი, მეგობრები იყვნენ, რადგან კარტუზოს ცოლი, სახელგავარდნილი მერგრეტ ბოსკანა, ჩინმენდლებიანი ლოპეს მორალესის ნახევრადარაოფიციალური საყვარელი გახლდათ. მერგრეტ ბოსკანას მისახმობად ამ რჩეულ სამთა უსმენო ტრიოს უცნაური რამ, და ყოვლად უცხო, ხერხი გააჩნდა — ალკარასში დროდადრო დავანებული ლოპეს მორალესის ჭრელსა მიმინოს რომ აუშვებდნენ და ის ჩიტი კი მეჰისტორიეს სახლის შეჩვეულ ბანზე საგანგებოდ დაბმულ კაკაბს რომ დააცხრებოდა და თავს ამოჰკორტნიდა, მყისვე აცნობებდა ამა ამბავს მსახური პატრონს და თავად კარტუზო საკუთარ ხელით, რძეზომიერადნარევი წყლით შეუდგებოდა სახელგავარდნილი მეუღლის ტანის ბანას და, არიგებდა თან: „ასე უთხარი, რომ მთლად დაბერდა ქრისტობალდ დე როხასი და ანტრაქტისას ისიც უთხარი, რომ აუცილებელი არაა. კონსერვატორიის მთავარ მაესტროდ მუსიკოსი იყოს“.

ადამ კარტუზო ბაბილონიამ, აფრედერიკ მეს მსგავსად, ძალიან ამოიჩემა ბესამე კარო, ოღონდ სხვაგვარად — სიძულვილით, რადგან ბესამე იმ ბონაპარტეს სულაც არ სცემდა პატივს კი არა, მის ხსენებაზე — აჟრიალებდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

— ნაპოლეონზე ვის რა გსმენიათ, ახალგაზრდებო, მართალია, მას ჰქონდა დიდი შეცდომა რომ ჩვენს ტკბილად მშობლიურ ესპანეთს გაუფრთხილებლად თავს დაესხა, მაგრამ თავის ძალიან ცუდ საქმეში გენიოსი იყო იგი ჭეშმარიტი, დიახ, თანაც შეცდომა ვის არ მოგვსვლია, დიახ... ვის რა გსმენიათ?

ბესამეს მკაცრად მიაბჯინა მექისის თითი.

— პაპაჩემის ახალგაზრდობის დროს, — ფეხზე წამოდგა ბესამე კარო, — თურმე ჩვენს სოფლად დამპყრობლების მთვრალმა გუშაგმა უნებურად ცეცხლი წაუკიდა მინდობილ საწყობს და ეს ამბავი სოფლის კაცებს გადააბრალა...

— რა შუაშია აქ ბონაპარტე? — შეაწყვეტინა ბაბილონიამ.

— ნაპოლეონმა გზად ჩაიარა, გუშაგის ახსნა-განმარტება მოისმინა და მთელი სოფლის მამაკაცები ჩაამწკრივებინა და ყოველი მესამეს ხიშტზე აგება ბრძანა, სენიორ კარტუზო.

— კი მაგრამ, შენ რა?

— პაპაჩემი ოცდამეოთხე კაცად იდგა, ჰერ[1] კარტუზო.

---

[1] რადგან შეგირდები მეჰისტორიეს „მაესტრო“-ს ვერ უწოდებდნენ, კარტუზო ბაბილონია შეგირდთაგან სხვადასხვა ქვეყნებში განვრცობილ აღმატებით მიმართვებს დაჟინებით ითხოვდა.

— კი მაგრამ, აკი ყოველი მესამეო?

— ყოველი მესამე — ოცდამეოთხეზედაც მოდის, სერ.

— არა. — მკაცრად თქვა მეჰისტორიემ, — ოცდაოთხი — ეს რვაზე იყოფა.

— სამზედაც იყოფა, სენსეი.

— რვა არ შეიძლება გაიყოს სამზე.

— მაგრამ სამი შეიძლება გამრავლდეს რვაზე, კარტუზო ფედოტიჩ.

მეჰისტორიე რაღაცას სწონიდა გონებაში; მერე იკითხა:

— ეგ მათემატიკა სადღა ისწავლე?

— მწყემსად ვიდექი, მილორდ.

— ასეა თუ ისე, — აღელდა კარტუზო ბაბილონია,—ჩვენ აქ მათემატიკის გამოცდა არ გვაქვს, ხოლო ჰისტორიაში — არადამაკმაყოფილებელს გიწერთ.

— რატომ, ბატონო?

— მაგი არაა შენი საქმე. აბა, შემდეგი...

კარმენსიტავ, აჰ! ნეტა რამდენჯერ გამოგაგდებდნენ გიმნაზიიდან, სასწავლებლად რომ მიებარებინეთ... ხელს ჩაგჭიდებდნენ დედა და მამა, დახვეწილი ცოდნის მისაღებად წაგიყვანდნენ, საუზმედ პურს, ყველს, ფორთოხალსა და ატამს კოხტად დაწნულ კალათაში ჩაგილაგებდნენ შენი მშობლები, არც ვიცი, გყავდა? პეპლებდაქარგულ წინსაფრისა ორთავ ჯიბეში ორთავე ცელქ ხელს ჩაიწყობდი, დასვენებისას ფილაქანზე აუტეხავდი კაკუნს ფეხსაცმლებს, რა ვიცი, გქონდა? აჰ, მეფანტასტე აფრედერიკი — ფილაქნის ნაცვლად ფეხსაცმელი ააკაკუნა, ეგ კიდევ რაა, ჩვენ სიგარეტი ხემის ნაცვლადაც კი შეგვიძლია დავუსვათ სიმებს, თუმცა რა გამოვა, არავინ იცის, გესწავლათ, კარმენ, რა იქნებოდა რა? გამოხვიდოდით პატივსაცემი ყველასთვის ქალი, საწერ მაგიდაზე დიდრონ თვალებდახრილს, სულ მეცნიერნი გეყოლებოდათ თაყვანისმცემელნი, სასიქადულოდ გამართული წინადადებებით მოისმენდით სიყვარულის ახსნას, სადაც სიყვარულზე მეტად გრამატიკა იჭარბებდა, თუმცა გრამატიკას რა სჯობს, ფიზიკ-ქიმია-მათემატიკის გარდა, ვიცი კია რომ, იყვნენ?.. ცოტათი ავცდი მგონია ჩემს დარგს, თუმც არა, არა, მიმოფანტასტეს სუყველაფერი ეპატიება, რაღა თქმა უნდა, უცენზურო სიტყვების გარდა, იმ სიტყვებისა, შენ რომ მრავლად მოგისმენია, გრამატიკულად გაუმართავი — თანაც. რომ მეცნიერი

გამოსულიყავ, მანდილოსანი იქნებოდი ბოშებისათვის საამაყო. თუმც, იქნებოდი? და მაინც, კარმენ, რა ძალიან კარგი რამე იქნებოდა, სასახელო ცოდნით რომ გესახელა თავი, მაგრამ შენ სულ სხვა რამით ისახელე თავი, ანდაა, სულაც, გამრჯე დიასახლისი გამოსულიყავ, მაშინ ხომ ქუჩურ შეხლა-შემოხლაში ნაუცბათევად არვინ გიბწკენდა, დამდგარიყავი დიასახლისი, ვინ დაგიშლიდა ბულიონის კარგად მოხარშვას, და მხოლოდ ხახვის დაჭრა თუღა აგიტირებდა მაგ ლამაზ თვალებს, დაამატებდი თუხთუხა კერძს საგულდაგულოდ გარეცხილ ქინძსა და რეჰანს, მერე, სულ ბოლოს — აღზევნის მარილს პირის გემოთი, თეფშებს ვერცხლისა დანა-ჩანგალს აქეთ-იქიდან შემოუწყობდი, მაგრამ სხვაგვარი დანა დაგქონდა კაბის საიდუმლო ჯიბით შენ, რეციდივისტს, მაგრამ მიყვარხარ.

მე რავი, რატომ.

ხის ძირას კიდევ — გოგო იდგა, შეკრთა ბესამე...

8

დიდი ფიჭვის ქვეშ გოგონა იდგა, ჭალის რამონა, ცისფერ კაბაზე თეთრად მაქმანებგაწყობილი, შეკრთა ბესამე:

— აი ეს... თქვენე?

— კი.

ცამეტი წლის გოგონა, თხუთმეტი წლის ბიჭი.

— ნახვამდის, — თქვა აქ ბესამე კარომ.

— დიახ.

— როგორ ბრძანდებით...

— გიყვართ მუსიკა?

— კი! — ცოტა ხმამაღლა მოუვიდა ჩვენს ბესამეს და, და, დაიმორცხვა უფრო...

თვალმოჭუტული იდგა რამონა, რადგან სახეში ჩამავალი მზის ნათელი სცემდა, ეჰ, საიდან სად მოსული შუქი...

— აქ უკრავთ ხოლმე?

— რას ვშვრები? — შეკრთა ბესამე კარო.

— თურმე აქ უკრავთ, — უთხრა გოგონამ და გაინაბა აქ ჩვენი ბიჭი.

ძილშივე წყნარად ჩაეღიმა აიმ ჯადოქარს.

— დიდი მაესტრო როგორ ბრძანდება...

— თქვენს მოსაძებნად სწორედ ბაბუმ გამომაგზავნა.

— ვინ?.. ჰო. ჩემთან? თუ რატომ... — დაიბნა მესამე.

— კონცერტია დღეს. სარაგოსელი მუსიკოსები ჩამოგვივიდნენ. იქით მოდიხართ?

დაღმართი ფრთხილად ჩაათავეს და ბესამე კარომ მერელა იკითხა:

— თუ იცით, სენიორიტა, რას ასრულებენ?

— მხოლოდ ბეთჰოვენს...

მხოლოდ ბეთჰოვენს! ნაკონცენტრალზე, უჩუმარ ღამით, გასრესილი და გადათელილი, თავის ლოგინზე ეგდო ბესამე, რა, ის რა იყო — დაგორებული მთებიდან ძალა? ამბოხებული გამოქვაბული? მიწისძვრა, ეგებ... ოკეანიდან ამოზრდილი დიდი ლურჯი მთა, ოკეანისა შესაფერი, გრძნობიერებით აღმომავალი... მაინც რა იყო — უდიადეს ხელს ვულკანიდან ამოჰქონდა გრძნეული ფიჭა, რა იყო ეს და — ბეთჰოვენის მუსიკა იყო, ჰერ კარტუზო კი — „ძალიან ცუდი ყველაზე კარგი ადამიანის მძაფრი პატივისცემით და თანდათანობით ხაზგასასმელი წერტილებია აუსტერლიცი და ვატერლოო — მონბლანი და ჭა...“, კარტუზო, თავზე დაგასხი ლაფი, შე... — ყოველნაირად შეგიძლიათ დაამთავროთ მიმართვა ესე, აფრედერიკი ნებართვას გაძლევთ, ვინ ეკითხება თორემ კი, თავის დროზე ხომ სერ ბაბილონია აკი დაფასებული გახლდათ კი, კაცი, რადგან თვით დიდად გამოჩენილ ლოპეს მორალესს და კარტუზოს იმასთან უშუალო ცოლს ხანდახან, ასე, თვეში ერთ-ორხელ, ერთმანეთში რაღაცა ჰქონდათ, რაღაც კი არა, ყველამ იცოდა იგი ამბავი, ბესამეს გარდა; იმან, ბესამემ, შეურყვნელმა ბითურმა, ბევრი რამისა საერთოდ არა უწყოდა რა, ასე მაგალითად, ერთხელ, წოწოლაქუდიანმა მეკლარნეტემ, ძალიან ნაადრევი წვერ-ულვაშით შემკულმა ტახომ ცხელი ამბავი რომ მოიტანა კონსერვატორიაში: „თურმე ჩვენმა კამუჩომ, აი, იმან რა, თერძმა, თურმე ლორთქო ბალახივით ცოლი ითხოვა და ის კი, ჰაჰა, თურმე ქალიშვილი არ აღმოჩნდა, ჰაჰა“, ჩვენმა ბესამემ ასე იკითხა: „ბებერი ყოფილა?“, ახლა კი, ახლა, ნაკონცენტრალზე, უმოწყალოდ გადაქელილი და გასაცოდავებული, მომცრო ქვეყანას მაინც იმა მუსიკის რბილად აჩაჩხულ მწვერვალებიდან დასცქეროდა და, აჰ, კაცთ ხედავდა მიმომავალთ, ვით ჯინჭველთ, ისე, ყველაზე მეტად მიწად დასრესილს კი — თავის თავს, ბეჩავს — სული ეწვოდა!, რა იყო მაინც.. რა და

ეს იმავ ბეთჰოვენის აგორაზებულად სპეტაკი დანაორთქლი იყო, ბიჭუნავ, ესე ტკივილი — ბეთჰოვენია, ბეთჰოვენი, პატარა მუსიკოსო, რამ მიგალურსმა აიმაგ საწოლზე, ბგერებზედ მცირე მონადირევ, რა იცოდი რომ, თუ რა გელოდა, რაო, გაგსრისა? დაგჭმუჭნა, კარო? დაგწვა ხომ, ბიჭი?.. ძლიერ, ძალიან, ფრიად აჰ, დასწვა, ბამბას პენტავდნენ, და გრილი კეტის ყოველი დარტყმა ცხელ ტვინს უწეწდა, განრისხებული მზე ჩასდგომოდა დანისლულ თვალებში, ულმობლად დამარცხებული, გულაღმა იწვა, ციმციმა ოფლი ამოჟღენთოდა შუბლზე, ყურებში ცუდი წივილი ედგა, ხელფეხს ჯიუტად. უნამუსო სიფრთხილით ტეხდნენ, განუკითხავი ტკივილი ღრღნიდა, და უილაჯოდ კვნესოდა ბიჭი, ჩვენი ობოლი ბესამე კარო სხვისა ქალაქში, სხვისავ ოთახში, სულ სხვის ლოგინზე, სრულიად უცხოდ, სხვაფრივ ეგდო და ალმოდებული სულიდან ბეჩავ სხეულზეც ცეცხლგადადებული, ავარვარებული, ხელისგულებატკიებული, იხვეწებოდა: „რას მერჩით, ნეტა... მე ღარიბი ვარ, როგორც იესო“, ხოლო სასთუმლით დიდი მოხუცი — ქრისტობალდ დე როხასი ეჯდა, და გაფითრებით ატუზულიყო იქვე, კედელთან, შიშის რამონა.

ალკარასელმა მკურნალებმა სულ რომ ვერ გაუგეს ვერაფერი, ცნობილ ტერუელელ აქიმთან აფრინეს სოტო, მაგრამ იმანაც ნამგზავრი მხრები აიჩეჩა... ორ ძალიან გრძელ დღეს სადღაცას, სადღაც ცხელიანში ეგდო ბესამე კარო; ალმურიანი, სუსტად გმინავდა, გაჩახჩახებულ უდაბნოვან წყვდიადებში უგზოდაუკვლოდ დაეხეტებოდა და, კუშტი კლდე აწვა, და არ ესმოდა მკურნალთა მშრალი: „ბიჭიკო, ბიჭი... გამოიხედე, რაა?!“ დახეთქილ ტუჩებზე ყინულს ადებდნენ, გამლხვარი სითხე დანაყრებული ხვლიკივით ნელა და გრილად უცოცდებოდა ლავიწთან, დაბლა, ალი რაც უფრო ედებოდა, უფრო ქრებოდა საბრალო კარო და ბეთჰოვენით აიასე მწარედ, ასე სასტიკად ინათლებოდა. მესამე დღეს კი დიდმა მოხუცმა იმ ოთახიდან ყველანი დაითხოვა, თანაგრძნობის რამონაც, და ბესამეს შუბლზე მძიმედ დაადო მრავალნაცადი ხელი. სწორედ ის ხელი, რომლიდანაც რომ ხშირი აღზევების ჟამს ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, და ჰენდელი გამოდიოდა, და იმა ტორით სულში შუსიკაჩაწვეთებული, შეკრთა, გაფხიზლდა ბესამე კარო.

სიჩუმედ იდგა საღამოს პირი, სასტიკ თვლემებთან ნაომარი, და ზმანებებით მრავალჭრილობაგამოყოლილი, უარაქათოდ იწვა ლო-

გინზე ბესამე კარო, გულგრილ ჰერს დუნედ ასცქეროდა, ესლა იკითხა:

— იმას... რა ერქვა...

— მესამე სიმფონია.

ბესამემ თვალი მოარიდა, თქვა:

— სოფელში მინდა... დამაბრუნეთ, გთხოვთ.

მოხუცი კუშტად დასცქეროდა ერთხანს, მძიმედ წამოდგა მერე:

— დილამდე, მოიცდი?

— დიახ. რა თქმა უნდა...

ღია ფანჯრიდან მთვარე მოჩანდა, სავსე და მქრქალი... ყოველივეს თუ შავად ნაფერი იდუმალება ემატებოდა, ის — ერთადერთი, სრულიად ღამის ცალი გუშაგი, ბნელით კვებული, მთვარე, მსუყდებოდა და, შორეული სევდით სახეზე რაღაცას კრძალვით ელოდებოდა მოკეცილ იდაყვებზე წამოწეული ბესამე კარო, ქვედა სართულზე კი მოხუცი აფრად სახურავახდილ როიალს მიუჯდა, მანაც გახედა იგივე მთვარეს და აის სონატა, სონატა მთვარის, სამად და სამად დაბზარული, მოედო მთელ სახლს, გაუჯდა კედლებს, მთვარის ნატიფად უილაჯო, და მშრალად ლბილი თითები დაპოტინებდნენ ღამეულ სხვენში, და მიგდებული ნივთების უღონოდ მაწანწალა, დამტვერილი სულები ბესამეს ირგვლივ დაფათურობდნენ, და იდუმალი ნეტარებისგან რაღაც მთავარი ძლიერ ტკიოდა წეღან მორჩენილ ბესამე კაროს, ხოლო როდესაც დაკვრა მოწყვეტით, უდროოდ მოსპეს, და ჰაერში რომ მკვეთრად გაიყინა მიმოციაგე თრთოლვით ბგერები, რაღაცა სურდა ლოგინიდან თურმე წამომდგარს, მომცრო აივანს მოშიებული გადაეყუდა და, ეზოდ გამოსული, თეთრი ლივლივით გახევებული დიდი მოხუცის დანახვაზე, ღამეულ ბნელსა და სიჩუმეში, კვლავაც ჩურჩულით, ისევ, იკითხა:

— რა... ეს რა იყო... ეს ვიღა იყო?

— ესეც ბეთჰოვენი იყო, ბესამე, — ჩურჩულითვე ზეამოესმა, — ის, ვინც გენიალობამდე აიყვანა თვით სიმარტივეც.

გაბრუებული ბესამე კარო ოთახისაკენ დუნედ შებრუნდა, და უცებ — მიხვდა!

... ის მიდიოდა დიდი ტახტისკენ; ბესამე კარო, სუნთქვაშეკრული, მიაბიჯებდა დიდი ტახტისკენ, რომელზედაც რომ მისი კუთვნილი, ჯერაც გემო და გულვერჩატანებული, მოგრძო საკრავი, ხაერ-

დის ნაჭრით შემოხვეული, იდო, და ეს ბესამეც გზადაგზა, იმ მცირე, მაგრამ ისე საოცრად აღმომჩენად ექვსნაბიჯოვან გზაში, ბევრს რასმე უფიქრელად და უგანსჯოდ მიხვდა, იმ ნაჭერს სასოებით დასწვდა, გამოანთავისუფლა საკრავი და ხავერდი შუბლზე შემოიხვია, ირიბად გაინასკვა საფეთქელთან, ფრთხილად ასწია ახლადშობილი თითქოს ფლეიტა, უყურა ერთხანს, აევსო სული, მერე ტუჩებთან მიიტანა და, მაშინვე მიხვდა, რომ აქ პირველად, სულ პირველად, კი, კი, პირველად, რომ ეამბორა, და ავსებული სულიც შთაბერა... და ყოველივე — ლტოლვაც, სინაზეც, იდუმალება, მაშინვე, მყისვე, გადაუხადეს, ამოუბოძეს: იმა გრძნეულმა ჯადოქარმა თავისი უცხო, სევდის ლაშქარი ბგერებად დასძრა, გამჭოლ სირბილედ მოედო ჰაერს ყველაზე მეტად კეთილშობილი ლითონი — ვერცხლი, მართლა უკრავდა ახლა ბესამე, სუყოველივე გაეძღინთა იდუმალ წუხილს, უცხო ხილვები ჩაეღვარა სიზმრის რამონას, ხოლო ეზოში დიდი მოხუცი გრილ ხესთან იდგა, ხისათვის მძლავრად მოეხვია ნაცადი ხელი, ხოლო სათუთად მიმომსუნთქველი, თვალმილულული ბესამე კარო სალუქ ღამესთან მთლიანობას და ერთობას გრძნობდა, რადგან ფლეიტას მთვარის მჭვირვალად ჩამომწვდომადი სული ედგა, მთვარე კი — ფლეიტის ბაცი კუნძული იყო.

— სოფელში, მაინც წახვალ? — მცირე ალერსით დაეკითხა დილით, დაქანცულს, სავსეს, ტანჯულს, ბედნიერს, ქრისტობალდ დე როხასი.

— არა, აჰ, არა... გთხოვთ, მაპატიოთ.

ხომ გესმის, კარმენ?! იმას შენსავით რომ დაეწყო აღმა და დაღმა უთავბოლო ტანტალი, ვერ მიაღწევდა ვერაფერს, კარგო, რა იქნებოდა, მოხვედრილიყავ ალკარასში და თეთრ შენობასთან ჯადოსნური ხმები გესმინა, თუმც, რად გინდოდა, თავად იყავი ჯადოქარი, ოღონდ სხვა რამის, ცეკვისას სხეულს როგორ იგრეხდი?! აფრედერიკმა რომ იშოვა ბოლოს და ბოლოს შავი მელანი, შენი თვალები ახსენდებოდა, და შენივე ცეცხლს სტრიქონებში ისე ნატრობდა? — აჰ... აფრედერიკის ბესამემ, კარმენ, წერა-კითხვაც კი შეისწავლა, გამოჩენილ კომპოზიტორ ბეთჰოვენის ამბები რომ წიგნად ეკითხა, თუ არ უკრავდა; შენსავით კი არ აბდღვრიალებდა შაბებარ თვალებს — თავაუღებლივ კითხულობდა. შენ კი, გენაცვა, ხეირიანად წერა, ან კითხვა, ანდა ციფრები მაინც გესწავლა, თუმც, რა ჯანდაბად გინდოდა, თორემ კი, ისეც მშვენივრად მოგეხსენე-

ბოდა. შენ-შენი უარყოფითი, მზაკვრული საქმე, და ძლიერ მიკვირს, ბნელით მოსილი, ისე ძალიან როგორ ჩახჩახებდი; დიადმა ხელმა ვრცელი მოთხრობა დაწერა შენზე, მაშინ როდესაც რამდენ უბიწო ქალთა სქესის წარმომადგენელს შეცდომითი დეპეშაც კი არ ღირსებია, ის კი არა და, გადასარევი ოპერაც კი შეგვითხზეს შენზე, მაშინ, როდესაც რამდენ დადებით კარგ ოჯახიშვილს აბღავლებული გლახა სიმღერაც კი არ სმენია, რა ნახეს მაინც შენში ისეთი, მაგრამ მიყვარხარ. მტკივიხარ, კარმენ, იმაზედაც კი შევკრთები ხოლმე, ფეხშიშველა რომ თავისუფლად დაშტრიგინებდი, არ შეგსობოდა ბოროტი ხიწვი.

ის ბოლო დანა, ძაან გეტკინა?..

9

ხოლო კარტუზო ბაბილონია:

— აბა ვინ იყო ძალიან ცუდი, მაგრამ ყველაზე დიდი ადამიანი? თქვენ მიპასუხეთ...

— ნაპოლეონი, სერ.

— სწორია. აბა ახლა თქვენ მიპასუხეთ!

— ნაპოლეონი, მილორდ.

— სავსებით სწორია. ოღონდ სრული პასუხი მინდა.

— ძალან ცუდი, მაგრამ ყველაზე დიდი ადამიანი იყო მისი კეთილშობილება იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე, მონსენიორ.

— კარგია, ყოჩაღ, ფრიადოვანს გიწერთ. აბა ახლა თქვენ!

— ყველაზე კარგი ყველაზე დიდი ადამიანი, — ფეხზე წამოდგა ბესამე კარო, უკვე თექვსმეტისა იყო, — დიდი ბეთჰოვენი გახლდათ, ჰერ.

გაბრაზებისას კარტუზო ბაბილონიას მარჯვენა მხარე რაღაცნაირად უფრო მეტად ეშმუშნებოდა, განრისხებისას კი — მარცხენა. ახლა ჯერ მხოლოდ მარჯვენა ნახევარკვადრატზე იყო მიმდგარი საქმე:

— მე სახელმწიფოებრივ მოღვაწეებზე გეკითხებით, და არა თქვენებრ მუსიკოსებზე, ყმაწვილო.

(„თქვენებრ მუსიკოსებზეო, ე!" — გადანცვიფრდა აქ აფრედერიკი, მაგრამ ბესამე წამოროშილს ვერ ჩახვდა).

— მე ადამიანი მომესმა თქვენს პირველ შეკითხვაში, სენსეი.

— და მერე განა ნაპოლეონი ადამიანი არ იყო?

— ვინ იცის, ბვანა.

ის ერთადერთი ალკარასელი, რომელსაც რომ ჩვენი ბესამე — წყნარი, მორჩილი, წესიერი, ნაადრევად ობოლი, გამომწვევად ესიტყვებოდა, მეჰისტორიე კარტუზო გახლდათ, ხოლო ამჟამად ამ უკანასკნელის დაჭმუჭვნილობამ მარცხენა მხარეს გადაინაცვლა:

— შენ, ღლაპო, დამიგდე ყური! — შენ და შენნაირმა ტუტუცოვანმა მუსიკოსებმა ვთქვათ და ცხოვრებაში რაგინდ ბევრ ტაშს მიაღწიონ, კარგად იცოდე, მაინც სახელმწიფო მოღვაწის მძლავრ მარწუხებში ხართ გამომწყვდეული და როცა მოუნდება, მაშინ დაგლეწავთ, ხოლო ამჟამად ადგილობრივ ეს დიადი პიროვნება დიადი დე ლოპეს დე-დე მორალესია, ჭეშმარიტი მამაკაცი, და მუჭში აიი, ასე, სწორედ ასე ჰყავხართ, იგი კი ჩვენი კეთილდღეობისათვის ზრუნვაში დღეს და ღამეს ასწორებს, უძლიერესია იგი, მოუნდება და? — აღგგვის, გაგაქრობს... შენი ბენტერა ბეთხოვენიც სწორედ ასეთი იქნებოდა, ფიჰ, უსუსური.

— თქვენ შესაძლოა ერთის მხრივ სწორს ბრძანებდეთ, მაგრამ მეორეს მხრივ, ქუჩაში რომ გავაჩეროთ ვინმე გამვლელი და ვკითხოთ, თუ ვინ იყო ბეთჰოვენის დროს ყველაზე მძლავრი კურფიურსტი, ასე მგონია ვერ გიპასუხებთ, ხოლო თუ ვინ იყო ბეთჰოვენი, ძლიერ ნაკლებად მოსალოდნელია რომ არ იცოდეს, კარტუზო ფედოტის-ძევ.

— რაებსა ჩმახავ?

— მე ჩემი აზრი მოგახსენეთ, კარტუზო-სან.

— შენ შენი აზრი, — მთლად მობრეცოდა გადაჭყლეტილი მარცხენა მხარე ბაბილონიას, — ვირებისათვის შეინახე, ხოლო ჰისტორიაში — არადამაკმაყოფილებელს გიწერთ.

— რა შუაშია აქ ისტორია, პან კარტუზო?

— იმ შუაშია რომ!, სწორედ ისტორიაში არადამაკმაყოფილებელს რომ გიწერ!, იმ შუაშია!

— რატომ, ბატონო?

— არაა მაგი შენი საქმე! დატოვე ახლავე აუდიტორიის კუთვნილი ტერიტორია! — მზერა მრისხანედ გაადევნა, — ლაწირაკი ეს...

ხოლო როდესაც ბესამემ კარი არცთუ ძალიან ფრთხილად მიიხურა, ცალფლანგმოშლილმა მეჰისტორიემ დაქადნებით ასე წარმოთქვა:

— შენ თუ აღდგენით სამუშაოებს არ მიგამაგრო, კაცი არ ვიყო...

* * *

ოკეანეში მიმობნეულ კუნძულებთაგან ყოველზე იჯდა თითო მფლობელი, თავის მიწაზე — მარტოკანი იყვნენ. წვითა და დაგვით, და ალმაფრენით, და ნეტარებით, და ვრცელი ტანჯვით თავის კუნძულზე უცნაური და ფერადოვანი, ჰაერშივე გამოკიდულად მთრთოლავფესვება, მცენარეები გამოეზარდათ უნდა. იყვნენ კონსერვატორიაში ისეთები, თავთავიანთ კუნძულს ბრძნულად მოქნილი თითებით რომ განაგებდნენ, ანდა, ჩაბერვით გადასცემდნენ უკვე მიმხვდარ სულს, და მცენარეებს ძალა და ხიბლი ემატებოდათ, ხოლო შორეულ და უხილავ ფესვთა ბრჭყალები გადასაკარგავ იმ მარადიულ მატერიკებში ჩაზრდომოდათ, რომელთაც ბახი, ჰენდელი, მოცარტი, ან როგორც ახლა, ბეთჰოვენი დიადად ერქვათ.

ჩვენი ბესამე ჯერ მხოლოდ მცირე მეჩიჩზე იჯდა, თუ ეძინა და — მაინც, რადგანაც ყოველ დღე-ცისმარეს სიზმარშიაც კი შიშნეული გახარებით უცდიდა, რამეთუ თავთით ძნელი საკრავი, ფლეიტა, ედო. საკრავი ყველა ძნელი იყო, მაგრამ ბესამე შედარებით იოლად შესცქეროდა კლარნეტსა თუ ალტს, დილდილაობით თვალახელილი კი, მუდამდღე ისე იღვიძებდა, როგორც პირველად— სასთუმალთანვე მოგრძო და მშრალი, აწ გაფაციცებულ ჯადოქრიანი, მოთბო ჩაბერვით გასაცოცხლებელი მთელი ერთი ქვეყანა, გესმით, ქვეყანა, ქვეყანა ედო, და ყოველ წამიწამს ახსენდებოდა მიმოფლეიტე კეთილმაესტროს — კარლოს სეგოვიას სიტყვა: „შენი კუნძული ფლეიტაა, ჩემო ბესამე, ხოლო ფლეიტა ჩაფიქრებული ანგელოსის სუნთქვას წააგავს“.

ბესამე კიდევ — მხოლოდ მცირე მეჩიჩზე იჯდა, მაგრამ დაკვრისას შორი ქვეყნიდან სულ მუჭა-მუჭად ჩამოჰქონდა მშობლიურად ღორღიანი მიწა, ქვებიც ერია — რადგან ბესამე დაკვრისას ხშირად ბორძიკობდა და, ეკაწრებოდა რაღაც-რუღაცას უკვე ჩამხვდარი სმენა და სული. ოთახად იყო, ამოღრმავებულ კლდეზე მოკალათებულიყო თუ რა, გულგრილად ვეღარ ჩერდებოდა ფლეიტის ურჩი ჯადოქარი, ხან გაურბოდა, ხანაც ნელა მზარდ მეჩიჩზე ფეხს გაჭირვებით იკიდებდა, და სულ სხვადასხვა იერს იღებდა, ოღონდ — მოწყენილს, იმას ვერავინ გააცინებდა, ეჰ, დარდიანი, იდუმალი საკრავია იგი ფლეიტა, გაყუჩებული, ამბორს ითხოვდა, და ბესამე რომ ძლიერ ფაქიზად დაადებდა დარცხვენილ ბაგეს, სულო ცოდ-

ვილო — ჭალის რამონა ხანდისხანობით ახსენდებოდა კიდევაც, აქ...

შენ კიდევ, კარმენ, გიტარა და კასტანეტები და იმისი ჯანი... აჰ, რა ხმამაღლა გაიცინებდი, იმათი სისულელემდე მოგულუბრყვილო საუბრები რომ მოგესმინა. ასეთი, თუნდაც:

— მე არასოდეს ფეხს არ შევდგამ რიკარდოს ქუჩის დასაწყისშიაც კი, — უეცრივ ასე წამოიწყო ბინდის რამონამ, ყვითელკოპლება თეთრი კაბა გვირილებივით ტანს მოსდებოდა, ბორცვიდან ფრთხილად ჩამოდიოდნენ და პასუხისმგებლობით სუნთქვაშეკრულ ბესამეს ხელზე მსუბუქად დაყრდნობოდა ნდობის რამონა, — რადგან რიკარდოს ქუჩის ბოლოში ცუდი სახლი დგას. შენ ეს იცოდი?

— კი.

თექვსმეტი წლის ბესამე, თოთხმეტი წლის გოგო...

— საიდან იცი? — შეჩერდა კიდეც წყრომის რამონა, და მოაცილა საკრავით ფაქიზი და ძნელი ერთდროულად, ხელი.

— ტახომ თქვა ასე, ერთი ბიჭია... — შეკრთა ბესამე.

— სად თქვა.

— კონსერვატორიაში, შესვენებაზე.

— მუსიკის თეთრად ამაღლებულ სახლში, ღვთაებრივი ბგერების ტაძარში, — ძლიერ გამკაცრდა მაღალფარდოვნების რამონა, — ამისთანეებს გეუბნებიან?

— არა, მე კი არ მითხრა, სხვას უთხრა და მე გავიგონე.

მართალს ამბობდა.

— ეს შეიძლება, — მყის აპატია დიდსულოვნების რამონამ, დაძაბულს, ისევ დააყრდნო ხელი და მაშინვე რომ მოაცილა, შეშფოთდა ბესამე, მაგრამ რამონამ ასე მიმართა:

— იმ ყვავილს ხედავ?, მომიტანე, მინდა.

კარტუზო-აღა ბაბილონია კი დიდი ჰერცოგის მისაღებში ატუზულიყო. ძლიერ ღელავდა, მნიშვნელოვანი რამ სათქმელი აგერ უკვე ექვსი დღე იყო, პირის ღრუში ედო. ნოხებიანი კედლის იქით კი დიადი ჰერცოგი ლოპეს დე მორალესიც გვარიანა ღელავდა; დიდად თუ გლახად გამოჩენილ ბონაპარტესი არ იყოს, ორი საქმე ერთდროულად ეკეთებინა, მასაც შეეძლო — აწრიალებული ბოლთას რომ სცემდა ეს ჯერ ერთი და, ფიქრობდა თანაც: „ნეტა რა უნდა... კანონიერი ქმარია, რაც არ უნდა იყოს, მაინც... ეგებ აღევ-

სო მოთმინება... და შურისგება გადასწყვიტა..“ და საეჭვო სტუმრის გრძელ სახელოში შემალული უუბასრესი დანის შიშით, ჯანღონით სავსე მოდღლეზილ კაც-მდივანს კარტუზოსათვის აი ასეთი რამ ათქმევინა: „დიად ლოპესთან შესვლა თუ გნებავთ, ჯერ მექისემ ყოვლად უფასოდ საგულდაგულოდ გაგხეხოთ უნდა...“ „რატომ?“ „იმიტომ. ქვემოთ წამოდი, იქ აბანოა“. აქ შეიშმუშნა ბაბილონია, რადგან ცოლს თვისას, სახელგავარდნილ მერგრეტ ბოსკანას, ასეთივე წესით — საგულდაგულოდ გახეხილ-დაბანილს უშვებდა იგივ ჰერცოგთან, და პატარა ხანში მარმარილოს გულგრილ ტახტზე ბრტყლად გაშოტილი, ზურგზე დასმული მექისეთი, უსიამოვნო ეჭვით ფიქრობდა: „ამ უშვერებმა... რამე არ მიყონ...“, მაგრამ ცდებოდა — გვერდით ოთახში მის საგარეოდ ძვირფას ტანსაცმელსა და საბუთებს საგულდაგულოდ ჩითავდნენ სამნი, ეს იყო და ეს.

— უდიადესად დიდო ჰერცოგო, სახელოვანი ვრცელ-პროვინცია თქვენის წყალობით განათებული მურსიის ჟანგბადოვანად მანათობელო მზევ, ხომ ძალიანი კარგად ლამაზად ბრძანდებით, ჰაა? — ასე იკითხა ნააბანოვარმა მეჰისტორიემ, აკრიალებულ პირისახეზე ჯერ კიდევ არ გამოჟონვოდა სხეულისმიერი ზეთი.

— გისმენთ, კარტუზო.

— ძალიან ფრიად მახარებს მე, კარგად და ჯანმრთელად რომ ბრძანდებით, ორასი ბუღის ჯანი მოგცესთ...

— მე გისმენთ-მეთქი.

— საიდუმლოა, თქვენო საბედნიეროდ კეთილადნაშობშობილებავ, — მიმოიხედა საუკუნეთა წიაღის მჩხრეკმა, — და ხოლო თუკი აეს მხლებლები ორიოდ წუთით დასტოვებენ თქვენს ღრმასამუშაოიან ნათელ დარბაზს, მსწრაფლ მოგახსენებთ.

— ეგ არაფერი, სამთავე ყრუა, — თქვა ჰერცოგმა და შუბლზე მოსმული მყის გაქონილი ცხვირსახოცი ბროლის ურნაში რომ მოისროლა, ახალ განსაწირ ცხვირსახოცს დასწვდა, — თქვი, რა გაწუხებს, ოღონდ დროულად ამოღერღე.

— დიდო ჰერცოგო, უმორჩილესად მინდა გთხოვოთ, რომ პროვინციის მთელ მუსიკოსებს ერთ სანაქებოდ გაშლილ სუფრაზე მოუყაროთ თავი და...

— ხელფასი ხომ აქვთ? — წყნარად იკითხა ლოპეს მორალესმა და ოდნავ განზე იქცია ყური.

— კი, როგორ არა, — ყოჩაღად უპასუხა მესამე მხლებელმა.

— აბა ჩემგან რა ჭამა-ყლაპა უნდათ, — კარტუზოს მკაცრად შეხედა იმისი ცოლის თვეში ერთ-ორხელ ამხანაგმა.

— ხელფასი კი აქვთ თქვენის შეწევნით, დიდო ჰერცოგო, მაგრამ იმათი კვება-გაძღომა კი არ მინდა მე...

— აბა რა გინდა, არ ამოშაქრავ?

— მე მინდა, რომ ყველა დავწამლოთ.

— რაო?

— მოვწამლოთ კარგად. რომ დაიხოცონ.

მცირეოდენი გასაკვირვალი პროვინციათა მთავარმმართებლებს როგორ არ ხვდებათ, კი, კი, მაგრამ ლოპესი თანამდებობისას მხოლოდღა სამჯერ გადანცვიფრებულა ძლიერად—ერთხელ, როდესაც ვალენსია-ალდაბადაკრა-მადრიდის [1] გზაზე უმშვენიერეს, არაბეთიდან ახლად ჩამოყვანილ ბედაურზე იჯდა, ცხენი რატომღაც უხალისოდ მიადგამდა ფეხს, ხოლო ჰერცოგმა მბზინავ კისერზე ხელი რომ მოუთათუნა და ესპანურად ჰკითხა: „რა იყო, რატომ მოგიწყენია?“, პირუტყვმა ოდნავ იბრუნა თავი, ალმაცერად გამოხედა და ესპანურადვე რომ უპასუხა: „აბა, შე ვირიშვილო, ჩემნაირ ცხენზე უნდა იჯდე შენ?“ — აი, პირველად მაშინ გადაგვინცვიფრდა ლოპესი — იმ არაბულ ცხენს ესპანური! აბა საიდან უნდა სცოდნოდა? მეორედ მაშინ, ჰერცოგ ალბას დაბადებიდან ოთხმოცდამეთოთხმეტე წლისთავის აღსანიშნავ, ხეხილის შსხმოიარე ბაღში სიმბოლურად გამართულ მეჯლისზე ეროვნული გმირის ნათელ ხსოვნასა და სადიდებელს ორთავ ფეხზე მდგარი რომ ამბობდა და მის შინაარსიან ლაპარაკისას ხიდან ორი ალუბალი სწორედ მის სავარძელზე მხლებელთათვის შეუმჩნევლად რომ დავარდა და სააღლუმოდ თეთრშარვლიანი ლოპესი ტაშისცემის გრიალში იმ ალუბლებზე რომ დაჯდა, შემდეგ კი გაჭიმულ-გასუსულ გარნიზონს ამაყად რომ ჩამოუარა და თანმხლებნი ვერც ამქლავნებდნენ მარცხს, ზოგსაც კიდევ აის მრგვლად მყვირალა ლაქები რაღაც ახალი ჯილდო თუ წოდება ეგონა, და აი მეორედ სწორედ იმ საღამოს გაშრა, პირშიმთქმელმა ცოლმა შინ მიბრუნებულს ეს ყოველივე ზედ შიგ პირში რომ უთხრა და სარკეებიან დარბაზში კარგად დაინახა ზურგითა ტანი. ეეს — მეორედ, მესამედ კი ახლა განცვიფრდა:

---

[1] მადრიდი — ქალაქია ესპანეთში.

— კი მაგრამ, რატომ?

— საჭირო არის.

— კი მაგრამ და, რატომ?

— საჭიროა და რა ვქნა, თქვენო კეთილშობილებავ.

— ჰა, აღარ იტყვი, შე შობელძაღლო? სამთავე გადით...,... გისმენთ, სენიორ.

— შთამომავლობაში თქვენი კეთილდღეობისათვის, დიდად მოწყალეო ხელმწიფევ, სწორედ ასეა ზუსტად საჭირო.

— მუსიკოსები რომ დაიხოცონ?

— აუცილებლად, — მკვირცხლად მიუგო ბაბილონიამ, ძალიან ცუდი ხარისხის ზეთი უკვე მოსდებოდა შუბლ-ცხვირ-ღაწვებზე, — წრუწუნებივით გავქლიტოთ უნდა. მაინც ისედაც აწრუწუნებენ შტერულ საკრავებს.

— კი მაგრამ, რატომ? მუსიკოსები ძირითადად უწყინარი ხალხია.

— თქვენ უწყინარი ეძახეთ და, — ჰერცოგისაკენ გადაიხარა კარგა შორს მდგარი ბაბილონია, — მაგრამ სამასი წლის შემდეგ მსოფლიოს ხალხებს შესაძლოა ზედმიწევნით არც ეცოდინოთ ღვაწლი თქვენი და არსი თქვენთა დიად საქმეთა, ეს იმიტომ რომ, ბახთხოვენისებრ მუსიკალურ ვიგინდარებზე ექნებათ გადატანილი მთელი ძირითადი ფუჭი ყურადღება.

— მურსიის ბრიყვი მუსიკოსები რაღა შუაშია?

— ვინმე ცნობილი არ გამოვიდეს!..

ფეხზე წამოდგა წოდებ-ლოპესი, ვრცელ კაბინეტში გაიარ-შედგა-გამოიარა.

ძლიერ ფიქრობდა პასუხ-არჩევანს, სხვადასხვანაირ აწონ-დაწონილებებში ისე ჩაეფლო, მძიმე სიჩუმის შესავსებად დროდადრო მეტისმეტად დაუდევარ შეკითხვებსა სვამდა:

— თქვენ ცოლი თუ გყავთ?

აქ პან კარტუზოც ძლიერ დაიბნა:

— ოღონდ, არც ისე...

— რა ქვია?

— ვის, ცოლს? — მთლად აირია მილორდ კარტუზო.

— არა, მუსიკოსს.

— ბახთხოვენიო, მაგრამ მგონი ეს გვარი არის. დაგიზუსტოთ თუ?

— არც საჭიროა... აი, სიერა-ნევადის მმართველს... მუსიკოსები ძალიან ბლომად... მცირე ნალექი... რაზე დავჯექი... გაქნილიცაა..— ფიქრთა ნაწყვეტებს აქა-იქ მდორედ ამოთქვამდა ადგილობრივად აღიარებული მმართველი, — სტუმრიანობა... მუსიკა უნდათ... სტუმრები დამიდიან... ის რომ თქვან?.. ჭაღი...

და ლოპეს მორალესმა ნაღდი პასუხი რომ მოიფიქრა, დაუდევრობა მყისვე უარჰყო და — კვლავ გაჰერცოგდა — სავარძელზე ამაყად დაჯდა, მუშტები მკაცრად დააყრდნო მოჩუქურთმებულ ძვირფას მაგიდას, ნიკაპი მძლავრად დააბჯინა ჩახუჭუჭებულ წრიულ საყელოს, თვალში ძალუმად შეაცქერდა და, სთქვა:

— სამასი წლის შემდეგ, ბაბილონიავ, ესე იგი ჩემს მერე, ქვა ქვაზეც ნუღარ დარჩენილა, მე კი — ახლანდელ, დღევანდელ ჰერცოგს, მოსამსახურე და სათავისგამომჩენო პერსონალი — ანუ მხლებელნი, მზარეულნი, მუსიკოსები, მექისეები, უნდა მყავდეს. — და ცბიერებით ერთობ აღვსილმა, თავი დახარა, ძაან ქვემოდან ამოხედა და, ჰკითხა: — მე რა, რითი ვარ სხვა ჰერცოგებზე ბევრად ნაკლები?

— ნაკლები კი არა, დიადო მეფევ, სხვა თქვენისთანა არც მეგულვის ქვეყნად თქვენებრი.

— ახლა კი მიბრძანდი. ხოლო ძილისას ნუ წკმუი ხოლმე, არაა კარგი.

10

ხოლო ფლეიტის მთვარის სალუქი, ვერცხლად თხიერი სული ედგა და მთვარის ხილულად იდუმალ შუქზე, ღამის ციაგა სასოებაში, მჭრქალ წუხილისას უფრო ეღერდა და, აიმ ფლეიტას შედგომილი ჩვენი ბესამე, უიმნატიფხმოდ ღამღამობითაც კი ვეღარ სძლებდა, და იმ განაბულჯადოქრიანი საკრავით ხელში, მიძინებული ქალაქის ჭრელა-ჭრელა და ამოუცნობი, მომასწავებელი მრავლის—ტლანქად უწონო სიზმრები რომ არ შეეწუხებინა, სუნთქვაშეკრული ადიოდა კასერესას აღქმულ ბორცვზე და ღამის პეშვში ფრთხილად ჯდებოდა, რათა დაეკრა იქ.

ქვემოთ კი ცოტა მისი და ცოტათი ჩვენი მცირე ქალაქი რამ ალკარასი ჩაბუდებულიყო შავად, მხოლოდ ფარნებით წრიატებდა და, მისავათებულს, მიგდებულს თითქოს, სასოება რამ ეფინებოდა — ღრმად მოერთგულე სულის ჩაბერვით, მჭვირვალ თანხმოვ-

ნებს გამოსცემდა მჩატე საკრავი, მერე — ხმოვნებად იწელებოდა, მფშვინავი სუნთქვით იმ კუნაპეტში უჩუმარ ბზინვით იჩეკებოდა ვერცხლის ყლორტები, რადგან ფლეიტა — მთავარი შტო იყო.

ის სიფრიფანად ღონიერი ჯადოქარი კი რაებს აღარა სჩადიოდა — მელნისფერ ბნელში, მთვარით იისფრად მოვარაყებული, მიმოძინებულ მცირე ქალაქზე დიდ ხელისგულებს გამასწორებლად უსვამდა თითქოს, სინაზით ოღონდ, და ნათლისაკენ ფილაქნიანა აიყვანდა კიდევაც, მაგრამ, თითები არ ჰქონდა. ვინ იფიქრებდა, მინამ უწვრთნელი ბესამეს ხელში იმოდენა ხანს თუ ძილად ეგდო — ნაამბორალი, ფაქიზად სულშთაბერილი, შთაგონებული ახლა, კუმშვად სურვილად იწელებოდა, ღამეულ მფლობელს, რაღა არ ჰქონდა მოსაფერები — იქაური ტყე, იმსიდიდო ცა, ისეთი ბორცვი... ჯადოქრულ სუნთქვას აყოლილი ჩვენი ბესამეც, ღრმაღამეული სიგრილით ჟრჟოლადავლილი, ღამის ლებანში კენტად იჯდა და, სათუთი ხმებით გარემოსილი, იმ ტკივილიან სიხარულს გრძნობდა, ხანდახან შვებას რომ ეძახიან, მაგრამ ერთ ისე-რა დღეს, ჩვეულებრივი ამინდი გახლდათ, პან კარტუზომ თქვა:

— ყველაზე დიდი ძალიან ცუდი ადამიანებიც კი მარცხდებიან ბედის სიმუხთლით ბოლოს ხოლმე და, აბა, მითხარით, თუ რომელია ყველაზე დიდი ძალიან ცუდი უდიადესი ადამიანის ყველაზე დიდი დამარცხება?

— ვატერლოო, სერ, — ფეხზედ წამოდგა თმახშირი ტახო.

— კარგია, ყოჩაღ, ფრიადოვანს გიწერთ.

— გმადლობთ, ეფენდი.

ჩვეულებრივი ტაროსი იდგა.

— ხოლო რას იტყვით აი-აი თქვენ?

— ყველაზე დიდი ადამიანის უდიადესი დამარცხება ის იქნებოდა, — წამოიმართა ბესამე კარო, — მესამე სიმფონიის თავფურცელზე წარწერილი მიძღვნა ნაკუწებად რო არ ექცია, ბვანა.

მილორდ კარტუზო შეიშმუხნა და:

— მაინც ისეთი რა დიდი უბედურება ეწერა შავით თეთრზე ზედ?

— გულუბრყვილობით, ჯერ ბონაპარტეს მიუძღვნა ესე ქმნილება, სენსეი.

კარტუზოს ფერმა გადაუარა, ცნობისწადილმა აცთუნა მაინც:

— რა ქმნილებაა?

— მესამე სიმფონია.

— რაის მესამე...

— ბეთჰოვენის, ჰერ.

ცოტა ხნის მერე კარტუზო-აღამ თქვა:

— მე აქ მუსლიტერატურის სულელური გაკვეთილები არ მაქვს, ჯერ ეს ერთი და, დაა, მეეორეც, ცუდოვანის დაწერის გარდა, აღდგენით სამუშაოებზე გამწესებულად შეგიძლიათ ჩათვალოთ თავი.

— ფედოტიჩ, რატომ?

— ეს იმიტომ რომ, — ყურიც კი ოდნავ უცახცახებდა თავშეკავებულ მეჰისტორიეს, — მე სხვას გეკითხებით და თქვენ სულ სხვა რამეს მპასუხობთ თვით მე.

— ეგ აღდგენითი სამუშაოები რაღა შუაშია, დონ.

— იმ შუაშია, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული წევს.

ბესამემ ერთხანს უყურა და მერე იკითხა:

— იმ გარდასული კაცთამკვლელისთვის ჭეშმარიტ საქმეს რად უნდა მომაცდინოთ, ბეი?

— ვინ მოგახსენათ, ჯერ ეს ერთი რომ, კაცისმკვლელი იყო? ისტორიაში აკი ცნობილია, რომ უშუალოდ ნაპოლეონის დიად ხელიდან არც ერთი კაცი არ დახვრეტილა, ბიეო.

— ეგ ხომ არაფერს ნიშნავს, ო, მაჰარაჯავ.

— რატომ არ ნიშნავს მაინც არაფერს, რატომ, ჰა!

— იმიტომ რომ, სენიორ, ნაპოლეონს ალბათ არც ადამიანის ხორცი უგემნია, მაგრამ მაინც კორსიკელ კაციჭამიას ეძახდნენ, მონსენიორ.

აქ მისტერ კარტუზომ მუშტები აღმართა, თვალები დახუჭა, მაგრად შეისუნთქა, თავი გადასწია და აიძახა:

— ახლავე დატოვე აეს დარბაზიი!!

აღდგენითი სამუშაოები ალკარასს გარეთ, დიდფანჯრებიან — რაღაც — მორუხფროდ შეღებილ დარბაზში რომ ტარდებოდა, ეს კი იცოდა ბესამე კარომ, მაგრამ შიგნი-შიგან თუ რა ხდებოდა, ამისა არა უწყოდა რა.

— ბაბუს არ უყვარს ეგ შენობა, — თქვა ბინდის რამონამ, ძლიერ ყვითელი სამოსი ეცვა, ლურჯი მაქმანით კოხტად გაწყობილი. და ბესამესაც აღარ უკითხავს — „რატომ“ — რიკარდოს ქუჩის ბოლოში მდგარ დაწესებულებასაც რომ არ გადასწვდენოდა სიტყვა. ნოემბერი იდგა, ზამთრისპირა თვე, აღარ იბანავებოდა მცირე მდი-

ნარეში, ქალაქის საპატივცემულოდ ალკარასულა რომ ერქვა. იმ მდინარიდან კი მცირე რამ არხი გამოიყოფოდა, რომელშიც, ასე, თვეში ორხელ, მცირე ხნით გადააგდებდნენ წყალს და არხის ბოლო კი იმა იდუმალ დარბაზში უჩინარდებოდა; მერე შენობის ქვეშ, მცირედ ჩაღრმავებულ ორმოებში, დიდ ცეცხლს აჩაღებდნენ ვიღაც ჯანმრთელი მამაკაცები, კვლავ დარბაზში შერბოდნენ და პატარა ხანში წყლის დგაფუნი და შეუვირებანი რამ ძლიერი და მოკლე, გაისმოდა. „საწამებელია, თუ რა...“ — გაიფიქრა ბესამემ, და ვერც გაიგო რამონას თქმული:

— განა შეიძლება, ერთ ადამიანს რომ მეორე არ უყვარდეს და მაინც აკოცოს?

— როგორ?..

— განა შეიძლება-მეთქი, ერთ ადამიანს რომ მეორე სულაც არ უყვარდეს და მაინც აკოცოს? და კიდევ უფრო უარესი...

— არა, ეს როგორ შეიძლება, — შორს დაიჭირა ბესამემ.

— მაგრამ რომ ხდება? თურმე.

ბესამემ ღონე მოიკრიფა და თქვა:

— ძალიანაც ცუდი.

ჩვიდმეტი წლის ბიჭი და, თხუთმეტი წლის, რაღაცნაირად უფრო უფროსი, გოგო.

და აქ ბესამემ ნამეტანი თქვა:

— მე მგონი, რამონა, ორ ადამიანს ერთმანეთი თუ უყვართ, მაინც არ უნდა აკოცონ ერთმანეთს, მგონი.

— ბესამე, რატომ? — იკითხა გაკვირვების რამონამ.

მაგრამ ის დარბაზი მთლად საწამებელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან იქიდან ღონივრად აროხროხებული, თმასველი, ჯანიანი ყმაწვილკაცები მხიარული ყაყანით გამოდიოდნენ, და რკინისმკვნეტელი დიდი კბილებით იღეჭებოდნენ ხორცს.

წაბლს — კანიანა ჭამდნენ ხოლმე.

ხოლო ფლეიტას გავსილი მთვარის ბაცად კამკამა, მიმოწყენილი რამ სული ედგა და, თავად თუ სულმთლად მთვარისა გახლდათ, მთვარეც — ფლეიტის სათნოდ ერთგული, დუნეეჟვნება კუნძული იყო. ჩვენი ბესამეც, შეყვარებულ ბაგესთან მიტანილი ღამისღამინდელ შტოთი ხელში, შორეულ კვირტებს მჭვირვალ სუნთქვას აფენდა ხოლმე. ზრდიდა. კასერესაში ფესვჩამდგარ ნაძვნარს, იქოვან ჰაერს, მათრობლად მჩხვლეტავს, იქით ათრობდა და თავის ოთახ-

შიც, ბრიალა შუქზე, გაფაციცებულ თვალს ადევნებდა მზის ირიბად შემოჭრილ სხივში მტვრის გაბრუებული ნამცეცების უთავუბოლო, დაბნეულ ტივტივს — ფლეიტის ხმაზე.

— ბესამე, თითქოს არა გიშავს რა, — ხანდახან ასეც ეუბნებოდა კეთილ-მაესტრო კარლოს სეგოვია, ვარგოდა ბიჭი.

დიდი მოხუცი, ქრისტობალდ დე როხასი კი დროდადრო ზურგზე მიაპყრობდა თვალს.

ჯადოქარს რაღა-რა არ შეეძლო — მაღალ ბგერებზე, მოზეციოთურო ნაყოფისაკენ ჩამოსაწყვეტად ხტებოდა თითქოს, დაბალ ხმაზე კი — სიოში თოვდა. ნისლი ეფინათ შორეულ ბაღებს, რაღაც ხატება ღრმა ჭაში ჩანდა, გუბეზე წვრილად, მეჩხრულად წვიმდა, და ზღვათა ფსკერზე გატრუნულიყო უცხო ბუჩქნარი, მისჯილად სველი; რაღაცა იყო ფლეიტის ხმაში, მძინარე ბავშვის ნიკაპზე მძიმედ ჩამოღვენთილი ნერწყვივით წმინდა, მაგრამ ფლეიტა იმ დაბინდულ ჰაერს ჰმონებდა, შორეულ გზაზე სავალად რომ ციაგით ედო, რადგანაც მთვარე — ფლეიტის სათნო კუნძული იყო. კარმენ, ავოეეე... რად მოენატრე აქ აფრედერიკს, შენ ხომ კუნძულად სისხლის სამართლის დანაშაულო, როგორც იტყვიან, გედო. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ცუღლუტო, კარმენ, იმ უკაცრიელ საღ კუნძულზე დაგასახლებდი, მხოლოდ ცხვრები და ხარ-კამეჩი რომ... — აჰ, საიდან სად გადაგვიხტნა აფრედერიკი, აფრედერიკ მე, რომელსაც სხვა რამ ჰქონდა მოსაყოლად ჩაფიქრებული, ეუუჰ, სულ სხვა რამ, გამიზნულ-მწარედ, და სუსულსუსხვა კი გამოუვიდა, ჰყვება: იმისი ნება რომ ყოფილიყო, გაგამწესებდა ვერაგო, კარმენ, ველურ კუნძულზე, ბესამესავით ფარას მომწყემსდი, ნახირს — ნებაზედ მიუშვებდი, რადგან არც მგელი და არც არაფერი იქ არ დაძრწოდა იქნებოდა, სხვა პირმეტყველი შენს გარდა არა, არავინ მეყოლებოდა, დრო რომ გქონოდა საფიქრალი, და იქ რაღას-ღა ჩაიდენდი, ველარანაირ დანაშაულს — ვინმეს დასჭრიდი, მე შენ გეტყვი?!. მესხვადასხვიევ! — ემაგ თვალებით წააბამდი ვინმე ქალისმნდომ პოლკოვნიკს თუ რა... აიმ კუნძულზე, შენ ტანსაცმელიც არ უნდა გცმოდა, და ისე უნდა ნელის ნაბიჯით ჭალებში გევლო, იქ ზამთარ-ზაფხულ იდგომებოდა შუა ივნისი, მძიმე ხეები ყოვლად უსასყიდლოდ ჩამოგაწვდიდნენ დალოცვილ ნაყოფს, ხანდისხანობით ტბას უბოძებდი დასაგვემ სხეულს, მზის გულზე მერე პირქვე შრებოდი, და ტიტლიკანა იფიქრებდი ქვეყნის ავ-კარგზე, და, რა-

ღაც სითბოს მონატრებული, წამომართული, აიყვანდი კრავს, და მართლაც ნეტარ, ორნაყოფიან მკერდზე მაგრად მიიხუტებდი, და ცოტა მეტად შეგითბებოდა იმ ნაყოფთაგან ეგ შენი ოდნავ უფრო სავსე მარჯვენა ძუძუ... ეჰ, ნეტავი თუ იმა უცნობ თავისუფლებასაცა აქვს თავისი სევდა? მიმოწყენილი, ლეღვობისას ხარს გადაჰხვევდი მკლავს დამნაშავეს, კამეჩს თვალებში შეუმჩნევდი კამეჩურ ნაღველს; შიშვლად დაღვრემილს, ოქროს დიდი საყურეებიც კი ვერ დაგამახინჯებდა, და ღამღამობით ააცქერდებოდი ალბათ ხოლმე ვერცხლთა ღმერთს — მთვარეს, და მაშინ აღარ იქნებოდი სრულიად მარტო, რადგანაც მთვარეს სულ სხვანაირ კუნძულებიდანაც უმზერენ ხოლმე, თრთოლვენ, ბნდებიან; მაგრამ დონდლო კაპრალმა კი არ იკითხა, თქვა:

— რომელი — არის — თქვენში — ეე... ბესამე კარო.

— მე.

აქ იმ კაპრალმა კი არა ბრძანა, არამედ იკითხა:

— დღესვე საღამოს აღდგენით სამუშაოებზე თუ არ გამოცხადებით, ოცდაოთხ საათში უნდა დატოვოთ ქალაქი?

11

— ჩემი ნამდვილი სახელწოდება რიხობერტო დანიელ ჟუსტინიო რექსაჩი გახლავთ, მეგობრებო, მაგრამ ამ შენობაში უბრალოდ ჩიტუნელა უნდა დამიძახოთ, მერე გაიგებთ, რატომც. სალუტ!

— გაუ! — ყოჩაღად შესძახა ტახომ, იგი აღდგენით სამუშაოებზე სოლფეჯიოს უცოდინარობისა გამო მოხვდა, საერთოდ კი თეფშებზე უკრავდა.

— გაუს მოგცემ შენ, შე ვირიშვილო, — თქვა ჩიტუნელამ, ბაზალტოვან უშველებელ ნიკაპზე თითქოს ნაჯახით ამოჭკვეთნოდა დიდად შთამბეჭდავი ღარი, — რაც შეიძლება ნაზად უნდა ილაპარაკო, მერე გაიგებ, რატომც. აბა, თავიდან — გამარჯობა, გეთაყვანე. ა?

— ჰამარ-ჩობათ... — ძლივსა თქვა ტახომ, ფერწასულ ღაწვებზე ახლა უფრო მკაფიოდ გამოჰყოფოდა ნაადრევი წვერი.

— ასე. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული წევს, — გამოთქვა ჩიტუნელამ, უცნობი კარი წამით გამოაღო, რაღაც დგაფუნში მძლავრად გასძახა: „ჩაძირე, ჩაახრჩვეე!“, და კვლავ ახალწვეულებს მი-

უბრუნდა, — ხოლო ის დარგი, რომელსაც მე უნდა გაზიაროთ თქვენ, ჩამორჩენილები, საუკეთესოა.

— ბოლთასა სცემდა, და უეცრივ კი — გახევდებოდა, და თითს დამბაჩად მიაშვერდა ვინმეს:

— არ გამოგკითხავთ, თუ ვინ რაში მოიკოჭლებდით, ჩემთან თუ რატომ გამოგაგზავნეს, — განაგრძობდა სვლას — ტაქტიანი და მგრძნობიარე ვარ. მაგრამ ვიცი რომ, აღდგენითი სამუშაოები გჭირდებათ და, ამისათვის, — ჩია მუსიკოსს მიაშვირა თითი, გახევდა, — ქვეტექსტოვანი ჩემი დარგი — გამკაჟებელი, დამკაცებელი, საუკეთესოა-მეთქი, აკი ვამბობ.

იატაკი ხისა იყო, ჭრაჭუნებდა.

— ვინმემ რომ გკითხოთ, თუ რაშია თქვენი ამბავი, უნდა მიუგოთ, რომ აღდგენით სამუშაოებშია, ახალი ხანა გეწყებათ, ბიჭნო. ხოლო ჩვენი მეცადინეობა, ჩემო გვრიტებო, დიად დატვირთვას რადგან მოითხოვს, განტვირთვისათვის ერთმანეთს მოფერებითად უნდა მივმართოთ და თუნდაც აი შენ, ბრიყვო, რა სიტყვა გქვია?

— ტახო.

— ტახო... — ჩაფიქრდა ძვალმსხვილა კაცი, — არა უშავს რა, მოფერებითად ეღერს, და მაგრამ, ეე, და მაინც, ეე, თაჰოს გიწოდებთ. ცურვა თუ იცი, თაჰო?

— დიახ, სენიორ.

— რა�ო, რაო?

— დიახ, ჩიტუნელა ბიძია.

— ძალიან კარგი, — და მეყვსეულად სტყორცნა შემდეგს: — შენი-ღ ამბავი?

— მე თანამედროვე ბიბლიაში ჩავიჭერი, ჰერ.

— ჰერს მოგცემ მე შენ მაგ ცხვირპირში, სულ ძმარ-მდოგვს გადენ! — ძლიერ განრისხდა რიხობერტო დანიელ ჟუსტინიო რეკსაჩი, — ჯერ ეს ერთი რომ, აკი აღვნიშნე, ჩაჭრა-მაჭრაებს არ გეკითხებით და მეორეც ის, მოფერებითი სახელი მქვიან.

— ჩემი ამბავი აღდგენით სამუშაოებშია და მეც ვიცი ცურვა, ჩიტუნელა ბიძია.

— ამას ზეგ ვნახავთ. დიიახ, ზეგვე, დღეს კი მხოლოდ ჩემს მიერ თქვენი საგასაცნობო დათვალიერების გაკვეთილია. შენ რაღა გქვია?

— ბესამე მქვია.

— და... რა გვარის ხარ?

— ბესამე კარო.

— როგორო?

— კარო...

— რას ამბობ!? — გაოცებისგან დაჯდა კიდევაც რ.დ.ჟ. რექსა-ჩი, — როგორ?

— გვარად ვარ, კარო.

— აჰ, ეს ხომ, ბიჭოვ, შესანიშნავია, შესანიშნავი, — მოკლე ფეხებზე წამოიმართა აღმადგენელი, — რადგანაც კარო იტალიურად — ძვირფასსა ნიშნავს. შენ ყოჩაღ, ყოჩაღ...

პატარა ხნის შემდეგ კი, თქვა:

— ზეგ ამ დროს მოხვალთ. ქვედა საცვალი ყველას უნდა ზედ-ვე გქონდეთ. დიახ. ახლა კი ამ ბურთს მაღლა ავაგდებ და სანამ უკანვე დაეცემა, გარეთ გავარდნას თუ ვერ მოასწრებთ, ხელ-ფეხს დაგამტვრევთ. აბაა, ჰაჲ!

* * *

მშვიდი საღამო ფართოვდებოდა ჩვენს ალკარასში, ვიღაც სულ-სწრაფმა ჭრაქიც აანთო, და მაწანწალა სულით ყოვლად, აფრე-დერიკი, მიმოფანტასტედ უხილავი აფრედერიკ მე, ერთი, ორი და, კირ-კირ-მოკირწყლულ აიღო და ქუჩას გაუყვა, დიახ.

ის მიდიოდა ცოტათი მისი, ცოტათიც ჩვენი ბესამე კაროს მი-საგებებლად, რაღა თქმა უნდა; — ბესამე ჰყავდა ამოჩემებული. ვიღაც ძალიან ფხიზელი ქალი თავისი თეთრი ჭიშკარის წინ მთლად მარტოკინა, ჩაფიქრებული ცეკვავდა ბოლეროს — ეჰ, ყველასა აქვს თავისი დარდი, თავისი დარდი, აჰ... ჩვენს ბესამეს ხომ, ჰქონ-და და ჰქონდა... გაბრუებული მოაბიჯებდა ჩიტუნელადან, და აფრედერიკი გინდაც ხილული რომ ყოფილიყო, ეს ჩვენი ბიჭი ვე-რასდიდებით ვერ შენიშნავდა გზაზე გადამდგარ მიმოფანტასტეს, სხეულში ისე გაუარა, ვერც შეამჩნია, რაღა თქმა უნდა, აფრედე-რიკი კი, ჰოპ — აედევნა ქუჩა-ქუჩად, რა ძალა ადგა, მაინც ვინ ჰყავდა გვარში ჯაშუში, გვარში ჯაშუში, ჰეჰ...

რა ცოტა გინდა ზოგ ადამიანს...

მაინც რა ცოტა გინდა ხოლმე ზოგ ადამიანს — ბესამემ როცა წაბლი იყიდა, სულ სამი პეშვი, თითქოს გაერთო, ესიამოვნა, და რომ მოსწყურდა და იგემა ღამისწინობით გამუქებული შადრევნის წყა-

ლი, სულ ორი ყლუპი, უგუნებობამ გადაუარა თითქოსდა, ვითომ: წყალთან ჩამოჯდა... და იმ შხეფებში, რომ არა ჩანდნენ, ღამობით დიდად გულმოცემულ და მორიდებულ მაინც შივილში, ღრუბლების მიღმა, დაუნახავში, შორით სვვიოდა რაღაც ვარსკვლავი, ბესამემ თავი ასწია მაღლა, ბნელ ცას ახედა, შავობდა როგორ, და უცებ მტრული, მოურიდები, ვერგასაქცევი, ადრე თუ გვიან რომ ეწვევა თუ ეძგერება ადამიანებს, მასაც ეტაკა: „რატომ ვარ...“

მთლად მოკუნტული იჯდა ბესამე, როგორი ობლად დადიოდა ამ დედამიწის ამ ტევად ზურგზე როგორ წვალობდა, როგორ შიოდა და სციოდა, ეწამა როგორ, და როგორც იქნა და ჯადოქარი ძლივს რომ ეწვია, ესღა უნდოდა? — და რ. და დ. და ჟ. რექსაჩით მთლად დათრგუნვილი, სიმწრით ფიქრობდა, რომ ამა ქვეყნად, აჰაჰ, რამდენი რამ სჭირდება ადამიანს და თუნდაც მას, ობოლს, რაოდენი რამ — თავი და თავი ან მზე არის, ანდა ჰაერი, ალბათ... უჰ, წყალი და მიწა დაგვავიწყდა თავსა და თავში, წყაალი და მიწა, სრულიად მიწა, ეჰ, რაოდენი რამის მომცემი, მრავალფეროვან და უხვ ნაყოფთა მარადიულად მეძუძური და დაუყვედრებელი, დაოკებულად უხმო ალერსით, ეს დიადი და მაღალი დედა—მიწა, გამღები. და ბესამე კი სიმწრით ფიქრობდა, ეს ყოველივე მისთვის, ობლისთვის რომ — არამი იყო; ბეშინებული, ვერც სხმარტალებდა — მცირე ქალაქის უხვთითა ღამე ზედ საყელოში ჩაფრენოდა და შავი ხელებით, ჩაებღუჯნა და, ნახევრად მიმხრჩვალს, ბნელი ფოსოთი ჩაჩერებოდა, და შავი ხახა ჩამოჰყურებდა: „რისთვის ხარ, რატომ...“ ჰეე, სადღა იყო დედამიწის სიკეთეები, და ბესამეც კი თავად იქცა სრულიად ღამედ — ყურებზე ხელი მიიჭირა, თვალი დახუჭა, მუქად გატვრინდა, მაგრამ სხვა ხელი იგრძნო დამზრალ კეფაზე, მსუბუქი, ამო, შემკრთალმა, თვალი გაახილა და ის დაინახა — გადარჩენის და შვების რამონა.

— დაგალევინეს? — ჰკითხა იმან და ცოტათი ფრთხილად შეაცქერდა.

დაალევინეს, კი, როგორ არა — ზაფრა და შხამი. აქ, ალკარასში, სულ მთლად პირველად გაეღიმა ძალიან ობოლს.

ხოლო რამონამ რომ იკითხა: „დაგალევინეს?“ — ბოლო ხმოვანზე, „ე“-ზე ოდნავ ღიადღა დარჩა შემკრთალი ბაგე, და მოხიბლული შესცქეროდა იმ სიბნელეში ბესამე, კარო. —

რამდენი ხანი იყო, უყვარდა.

■ ■ ■

ჩიტუნელამ კი, სთქო:

— არა უშავს რა, ფისუნიებო, ცურვა გცოდნიათ, განსაკუთრებით შენ, ჩემო კარო. ხოლო ეს სიტყვა. ეს ტკბილი კარო, აქ, ამ ნათელ კედლებში, შენი გვარი კი არა, ამიერიდან სახელწოდება იქნება. შენ რაღა გქვია?

— აკიო თაჰო. ჩიტუნელა ბიძიავ.

— ძალიან კარგი. შენ, გენაცვალე?

— მე კარლო მქვიან.

— ლ ზედმეტია. მაგრამ ისედაც, ორი კარო გუნდში არ გვინდა. ჯანკარლოს გარქმევ. შენ, ცავატანემ?

— ხუანი.

— აბა ხუანი რა სახელია, დუშენკა? ჰუანი იქნები. შენ, მაი დარლინგ?

გრძლად ოოკუთხედი აუზის პირას ისხდნენ გვრიტები, შორით შოსული ალკარასულას ამღვრეულსა და შემთბარ წყალში წვივები ჩაეყოთ; ჯერ კიდევ სველნი, ოდნავ ძიგძიგებდნენ, მისჯილი ჰქონდათ ასე ყოფნა — აბტანობისთვის, იმათ ზურგს უკან კი რიხობერტო დანიელ ჟუსტინიო რექსაჩი მიმოდაადიჯებდა; უზარმაზარი, ნეყუჟულგუგულიანი საათი თავდაყირად და ოდნავ გვერდულად ჩამოეკიდებინა გულ-ბოყვ-ჯიგრამდე, გრძელი სასტვენი შინაურულად, ყურს ზემოთ ღაემაგრებინა, და ვისაც რაიმეს ჩაჰკითხავდა, ალერსიანად წაჰკრავდა ხოლმე ფეხს.

— მე შეგასწავლით ქვეყნად არსებულ მრავალ თამაშთა შორის უდიადესსა და უნეტარესს — აჰჰ! — ვატერპოლოს. ხომ გინდა, თაჰო?

— დიახ...

— შენ, მონ შერ ჰუან?

— დიახ...

— ვატერპოლო კი, ჯანკარლო ჩემო, თვით ცხოვრებაა, ხოლო თუ რატომ, მომდევნო შაბათს აგიხსნით ამას. რა არი. ბიჭო, არაფერს არ გაჭმევდნენ სახლში? — ჩიპ მუსიკოსს ამოჰკრა ფეხი, — შენ ვიოლინოს აწრუწმაწუნებ? ხომ?

— დიახ, — ისევ წამოჯდა ხრტილივით ბიჭი.

— რაღაცით გამოგიყენებ მაინც. რადგან დიადი ვატერპოლო —

თვით ცხოვრებაა. ცხოვრებაში კი, ხომ არა გცივათ, რამ გაგალურ-ჯათ, მინდვრის იებო, ცხოვრებაში კი რაღა არ ხდება? მაგრამ მთავარი მაინც ისაა, ის, რომ... აბა, რა არის, ძვირფასო თაჰო?

— აბა მე რავი...

— ამ ცხოვრებაში, სულიკოებო, იცით რა არის ყველაზე ნაღდი?

სიჩუმე დადგა.

აქ ჩიტუნელამ თავი შემართა, სთქო:

— რა დ, — გამარჯვება.

სიჩუმე გლახა ჯორიევით იდგა. სანამ რ. და დ. და ე. რექსაჩმა ბრძანა:

— აუზის პირას ორ-ორნიი დადექ!.. სამ-სამ ნაბიჯზე-ე!.. პირის-პირობით!.. ჰათ, ბურთები და, სანამ გუგული ჩემს წუთმზომიდან სულ გუგუგუთი გამოხტნებოდეს, ერთმანეთს სტყორცნეთ. ოღონდ ისე რომ, ძლიერ ატკინოთ. ხოლო თუ ვინმე თავის მეწყვილეს მძლავრი ტყორცნისგან აუზში ჩააგდებთ, ეს ხომ — თლათ კარგი.

12

ერთი ბესამე არ ეყოფოდა ჩვენს აფრედერიკს? — სამი გაუჩნდა: გასამდა ჩვენი საბრალო ბიჭი, აითქვიფა და, გზაარეული მიმოდიოდა ამ ტევადზურგა დედამიწის მცირე ნაკვეთზე, სხეული ისე — დამძიმებოდა, მაგრამაც მიწა — ამტანი იყო, ამტანობაში ძხოლოდ ქაღალდი თუ შეედრებოდა, კაროსთანები უტარებია? — იმასაც, ობოლს, უყვედრებლივ დაატარებდა.

ერთი ბესამე, ეგებ, მთავარი, თან — იმ ჯადოქარს მონად ედგა და, ამასთანავე იმასაც, წელადს, დამყოლ მოციქულს, შეყვარებული ჩაბერვით მორჩილს, ფსკერთა ეყვნებით აშიკრიკებდა; თან ვის, მერე-დ სად — თავად მთვაარისკენ. იმა ჯადოქრის მიმოფანტული, მოტივტივე და, შემობურვილი სულის მმართველი, კასერესაზე ბნელი ღამობით იჯდა და იჯდა, კასერესაზე ღამით ყოფილხართ? არც მე, გეთაყვათ, და მხოლოდ კიდევ აფრედერიკი ჩინდრიკობდა იქ, ჩვენში ის ერთი ყოფილა იქა...

ხოლო მეორე ბესამე კარო ბინდბუნდიანი რამონასი გახლავდათ ბიჭი...

საღამოობით, მიყუჩებისას, შებინდების ჟამს, როცა სულდგმუ-

ლებს — მწერს, პირუტყვსაცა და ადამიანს სხვანაირი რამ თავშესაფარი უნდებათ ხოლმე, ოთახის კარო ტახტზე იწვა და ბაცი გოგონა ახსენდებოდა — მინდვრის რამონა. უცნაურიაჰ — ქოლგისტოლა იებით ხელში... მაღალ ბალახში იდგა და იდგა, დაიძვრებოდა ბესამესკენ ნელინელ მერე, მწვანე გზას წელით მიაპობდა და, საკვირველიაჰ — ღაწვზე ხალად გვირილა ედო, შუბლზე საამოდ შემოხლართოდა ტირიფის წნული, თითზე ბეჭედად ყაყაჩო ჰქონდა, ყოველივე ეს — ძალიან კარგი, მაგრამ სუსტ ყელზე ნაიარევს დაედო ბინა, საიდან, როგორ — გადასარევი!

იწვა, ზმანობდა... ზმანობდა, იწვა.

ხოლო მესამე ბესამე... — აჰ, რითმა-ღ გვაკლდა—ხოლო შემდეგი, უკანასკნელი ბესამე კარო ჩიტუნელა ბიძიასი გახლდათ და მის შეგონებებს გულშეკუმშული უსმენდა ხოლმე. რ., დ., ე. რექსაჩს ჭკუის სწავლება აღსადგენლების ქანცგასაწყვეტი ცურვის შემდეგ სჩვეოდა ხოლმე: „ყური დამიგდეთ, ფისუნიებო, ვატერპოლოსთვის ცურვაც აკი უნდა იცოდეთ, რაკი ვატერ ხომ წყალსა ნიშნავს სხვათა ენაზე და წყალში უცურველად კი — წარმოუდგენელია“.

ჩია მუსიკოსს თვალმოჭუტულმა უცქირა ერთხანს, მერე დაბინდულ მზერაში ჭავლმა გაჰკრა და თქვა:

— მომდევნო სამუშაოებზე შენი საკრავით მოდი, გენაცვა.

— ხომ არ გამიტეხავთ? — შეშინდა ბიჭი, რაც ფერი ჰქონდა, ისიც დაჰკარგა.

— არა, რას ამბობ, მონ შერ მაი დარლინგ, — თქვა ჩიტუნელამ, — ოთახს მიგიჩენ და მზადყოფნა რომ არ დაკარგო, ჯერჯეროობით უშინაარსო სავარჯიშოები უკარი ხოლმე. ხოლო თუ რატომ, შემდგომ გაიგებ, რადგან დიადი ვატერპოლოსთვის შენისთანა მთხლეც კი უნდა გამოვიყენო, გენაცვალე.

რამონას კიდევ — ძალიან თეთრი კაბა ეცვა და ფეხისწვერებზე შიჰყვებოდა შემკრთალი ბიჭი. აეფ, რა ჰკითხეს:

— შენ ცოლს მოიყვან როდესმე, კარო?

ბესამემ თავი ჩაღუნა აქა, რატომღაც შედგნენ, ბესამე ჭვინტით შიწას ჩიჩქნიდა.

— მოიყვან-მეთქი?

— ვინ წამომყვება... — თქვა ბესამემ და გაწითლდა, შერცხვა, — შე ღარიბი ვარ.

— როგორც იესო?

— შენ ეს რა იცი.. — დაფრთხა ბესამე, თავი ასწია.

— აბოდებდი და...

— აი ეს, მაშინ?

— ჰო.

დაიძრნენ ნელა...

— ბაბუმ მითხრა რომ, აღდგომისათვის ტერუელელი მუსიკოსები ჩამოვლენ ჩვენთან და თავად მოცარტს შეასრულებენ.

ბესამე იქვე გახევდა და სუნთქვა შეეკრა:

— როგორ, თვით მოცარტს?..

— ჰო. ვთქვათ, დიდობაში, მე რომ წამოგყვე, წამიყვან, კარო?

— კიი!

დღე — სასწაული.

იმა საკრავის ჯადოქარი კი — რა იყო მაინც, ეჭვიანობა ეთქმოდა თუ რა, ისერიგ აღარ მორჩილებდა, ზლაზვნით ფშვიოდა და შიგადაშიგ ხრინწიან ბგერებს გამოსცემდა კიდევაც, ურჩი; ბურთის ტყორცნისგან შესიებული და დაკლანჭული თანაც თითები საკრავს ადრინდებურად ვეღარა ფლობდნენ, და ბაგეებსაც სხვა საზრუნავი გასჩენოდათ:

— და თუ ოდესმე ჩემი ცოლი მართლა გახდები, რამონა, — ამბობდა კარო, ღილს იწვალებდა, იყურებოდა განზე, — თუკი გახდები... აი, შენ თუკი ჩემი ცოლი გახდები, მაშინ?!.

— რა მაშინ... — ბესამესფერი გადაედო, წითლად აღვივდა მინამდე თეთრი, თოვლის რამონა.

— აი იქ, მაშინ.. — მთლად აირია ბესამე, ღილი ჯიბეში ჩაიდო და თქვა: — იქ, სარეცელზე....

— რა, სარეცელზე... — ისევ გათოვლდა ღეელფის რამონა.

— იქ, სარეცელზე, ხომ მაკოცნინებ ხელზე?

რამონამ შვებით ამოისუნთქა, უთხრა:

— შენ შეგიძლია ახლაც მაკოცო, ოღონდაც ხელზე.

— მაშინ, რამონა, — აღფრთოვანდა ბესამე კარო, — მე აღდგომა-დღეს გაკოცებ ხელზე, კარგი?

— რატომ, ბესამე?

— ეს იმიტომ რომ... რამონა, აი, აღდგომა-დღემდე ბედნიერი ვიქნები, რადგან... რადგანაც იქამდე სულ მეხსომება, ხელზე რომ უნდა გაკოცო და, რამონა, თანაც...

— რა თანაც, ბესამევ... — გამკაცრდა გოგო.

— და თვით მოცარტიც უნდა რომ მოვისმინო.

— ძალიან მოგწონს? — შემშვიდდა რამონა.

— ძალიან, დიახ.

რაღაც ბედნიერ ქორწინებასავით იყო მოცარტი, ოღონდ — დიადი რამეების... რა რამეების — ჯერ არ იცოდა, ვერ ჩამხვდარიყო, ნატიფად კეთილ სიდიადეს კი — აჰ, ძლიერ გრძნობდა.

— კარგი ბიჭი ხარ,—ისე შეაქეს, გინდაც უმცროსი ყოფილიყო.

და, საკმაოდ რომ ისწავლეს ცურვა, და ხმელეთზე კი — ბურთის ტყორცნანი, რდჟრექსაჩმა ქვედა საცვლისამარა აღსადგენლები ჯერაც არნახულ რკინის კართან მიიყვანა და აღნიშნა:

— პირველი მონაკვეთი, ჩემო ბარტყებო, ჩამოვიტოვეთ, რადგან ასე თუ ისე, წყალში არც ერთი არ იძირებით, ჰა-ჰა. ახლა კი, ჩემო შოშიებო, აი ეს კარი გამოაღეთ და ყველანი შედით.

ტახომ რონ კარი გამოაღო, ცოტათი შეკრთა:

— იქ რაა, ძიავ? რამე სანთელი ხომ არ გექნებათ, ვერაფერს ვხედავ.

— კი, კი, ჭაღს მოგართმევ, დიახ...შეეთრიეთ-მეთქი!

ტახომ ზღურბლი რომ გადაიარა, ოთხნიც შეჰყვნენ და, მოისმა მერე:

— აქ ხუთზე მეტნი ვერ დავეტევით...

— ხმა, ლაპარაკი! — გაბრისხდა რ-დ-ჟ-რ-აჩი, — თოთხმეტივენი შეიჭუჭყენით! შენ არა, ბიჭო, — მიუგდო ჩიას, — შენ სხვა საქმისთვის გამოგიყენებ, თქვენ კი, ახლავე შეიტმასნეთ თორემ, სანამ ხელ-ფეხი დამიმტვრევია! — აქ ორი თითიც კი წაიწვეტა: — თვალებს ამოგთხრით!

და წვალებით რომ მიხურა კარი, ჩაეღიმილა, — თქვენისთანები დამიტევია?

შენ ვერ გაძლებდი იმ საკანში, აშარო, კარმენ. შენ რექსაჩს დიდრონ თვალებს მთელის სიმძლავრით აუჟუჟუნებდი იქნებოდა და, წაბამდი კიდევაც, ოხერს, გაგიჭირდებოდა ეს მე შენ გეტყვი თუ რა. აღსადგენლიდან სულ დაპირ-დაპირებებით და ჰაეროვანი კოცნების ტყორცნით რომ გამოშპებოდი, იმავ საღამოს დანიშნულ ადგილას არა, არასვზით, არაფრისდიდებით მიუვიდოდი დიდ აღმდგენელს, რადგან დაბლები, გრძელხელება და ქვისნიკაპანი სულაც

არ მოგწონდა. კარგად ხელ-პირ კი დაბანილი ჩვენ რდჟ შუაღამემდე იმა ადგილის გარეშემო დასცემდა ჯერ ძლიერ ამაყ და აპ, მერე კი — წრიალა ბოლთას, შემდგომ კი, ბოლოს, ნამეტნავად გაცურებული, მოკლე ფეხს დიდის გაწბილებით დაჰკრავდა მიწას, და შენისთანა ქალის ტუჩ-არამცოდნეს მოიკვნეტდა. შენ ამას — კი, ჰო, ძალიან, დიახ, დიახაც, ოღონდაც რომ შესძლებდი, კარმენ, თავისუფლად იქმოდი ამას, მაგრამ რა ეღონა იმ თოთხმეტ აღსადგენელს, რომელთაც რთული თამაშის — ვატერპოლოს შემასწავლელი იგივ რექსაჩი ჭერის სარკმლიდან კბილებდაძრობილ ვირთხებს აყრიდა, ჩასძახოდათ თან: „გვრიტუნიებო, ეს ვირთხებია, თქვენი სტუმრები, აი, ახლა კი გეტირებათ უმწიკვლო ყოფა, რას იკლაკნებით, მაგოდენა ვირგლა ბიჭები ვირთხებმა როგორ დაგაშინათ, ჰაამ?!. თავზარდაცემულ აღსადგენლებს კი წამიწამ სადმე ედებოდათ ნაცრის სხმარტალა სისოვლე — ყურზე, ლავიწზე, ნემსჩაუგდებში, ტანი უთრთოდათ, ერთმანეთს მძლავრად ებჯინებოდნენ, იატაკისკენ ძნელ გზას ეძებდნენ ჭროღა ვირთხები და აღსადგენლებს რაღაც მორუხოდ შეკრული ლორწო სხეულებშუა უსავსავებდათ. „გვრიტუნიებო, ახლა გაიგებთ, თუ როგორ უნდა სხეულს დაძაბვა, მანდედან ღონიერები გამოხვალთ, გვრიტნო, ვატერპოლოსთვის გამოგადგებათ!, — დასძახოდათ რიხობერტო დანიელ ჟუსტინიო რექსაჩი, — ხომ კი გრძნობთ ძალას?... აი ვარჯიში, მესმის!“ კუნთებადქმნილი აღსადგენლები კი ერთმანეთს დაუნდობლად აწვებოდნენ, სიცივე იდგა, სასოწარკვეთილ ღრიალებდა ნორჩი ჯანკარლო, ვიღაც ერთი კი მთლად მოიმჩვარა, თავი ჩაჰკიდა, მაგრამ რექსაჩმა ზედ კეფაზე რომ დაახალა სლიპინა ტვირთი, კვლავ გონს მოეგო, გამწარებულმა, რკინის ფრჩხილებით ჩამოახოკა ვიღაცას ლოყა. „კარგნი ხართ. ყოჩაღ“, — ჩასძახოდათ მძლავრად რექსაჩი.

... და მერე თუმცა ბესამემ აგურით დიდხანს იხეხა შერყვნილი ტანი, იარებამდე იწმინდებოდა, მაინცღა შერჩა საშინელი აის სისოვლე, შინ მიბრუნებულს კი რამონა სახლთან როცა დახვდა, ჭიშკრისა იყო, და რომ უთხრა: „ჩქარა, ბესამე, კონცერტზე არ დაგვაგვიანდეს“, ესღა იკითხა: „რა კონცერტია...“ „რა, აღარ გახსოვს? — და საზეიმოდ გამოუცხადა: — უკრავენ მოცარტს!“ ბესამემ კი თქვა: „ერთი მაგისი...“

რაღაც უცხო ხმა, ბოროტი, ჰქონდა.

რაც გინდა იყვე, თუნდაც — ფანტასტი, ადამიანი მაინც გინდა და, კასერესაზე მიმოწყენილ აფრედერიკ მეს შუაღამობით იქ აღარავინ ეგულებოდა, დაგვირჩა მარტო.

ბორცვიდან ქვემოთ ქალაქი ჩანდა, ცოტათიც ჩვენი... სრულიად ღამე გადაჰფარვოდა, მხოლოდ აქა-იქ თუ მოსჩანდა წრიატა შუქი, ქუჩებში თვლემდნენ ბაცი ფარნები, მთელ ქალაქს გულის ძილით ეძინა, და ერთადერთილა მიჯნურწაგვრილი ავაზაკი იდგა კუთხეში, გრძელ მოსასხამში ჩვილივით გახვეული, და ყოველ ჩქამზე დანიანი ხელი უთრთოდა.

მაგრამ ჩქამიც რომ რაა, არრაა, აი ისიც კი არ გაისმოდა, თუმც უთვალავი სიმოძრავე რამ ძალიან ფრთხილად ეფრქვეოდა ყუჩად მდგარ ქალაქს — თოვდა, კი, თოვდა...

უხმო ზმუილით დასწოლოდნენ შედედებულად მქისე ღრუბლები ალკარასს თავზე, სუყოველივეს განურჩეველი სევდით ათოვდა, იმ ადრიანად ჩამოწოლილ საღამოთივე ფანჯრებთან გასუსულად მიმდგარიყვნენ რიგითი ალკარასელები, თოვას უმზერდნენ, ხოლო ფარნების სუსტ, უსულგულო სინათლეზეც კი ღონივრად ფეთქდებოდნენ სიბნელიდან ჩამოშუქებული ფიფქები და, იმ რუხად ცივი ღამის ბრალი თუ იყო ალბათ, გარეთ არავინ გამოდიოდა, მიმოფანტასტესი და ავაზაკის გარდა, ეჰ, დანაჩაბღუჯულმა იკითხოს, თორემ აფრედერიკს რა — უჩინარი გახლავდათ რაკი, ფიფქები სულაც არ ეყრებოდა, ჩასაფრებულს კი მხრებზე, თავზე, ბორცვებად ედო თოვლი — ქათქათა, შინიდან ამოდ და იისფერად საცქერალი, სინამდვილეში — თეთრზე უფრო თეთრი, ცივზე მეტად ცივი... გარეთ არავინ გამორბოდა — ბავშვებს ეძინათ, გუზგუზა ცეცხლთან კი გოგო იჯდა, ბუხრის რამონა, და აუარება მუქარიანად ხტუნია ჩრდილი, მრავლად ტეხადი, დასთამაშებდა მას.

ასე განსაჯეთ, ვისზეც ფიქრობდა სითბოს რამონა თუმცა ყელამდე წყალში იყო, არა სციოდა — ძალუმი ცურვით გახურებული აღსადგენლები აუზის კიდეს ორთავ ხელით ჩასჭიდებოდნენ და ისვენებდნენ, მათი რექსაჩი კი იგივ აუზის იგივ კიდეზე მიმოდიოდა, და ტლანქლანჩება მძიმე ჩექმებით მუსიკოსების თითებზე მძლავრად დააბიჯებდა — თან ამტანობას უვარჯიშებდა აღსადგენლებს და, არიგებდა თან:

— თვით ცხოვრებაა ვატერპოლო, თვითონ ცხოვრება, და ყოველი მოქალაქის მთავარი მიზანი რადგან ისაა, ცხოვრებაში რომ გამარჯვებული გამოვიდეს, გამარჯვებული კი ისე ვერ გამოხვალ, სხვას თუ არ დაამარცხებ და სხვა რომ დაამარცხო, ათასნაირი ხერხი და ხრიკია საჭირო და ამეებს კი ვატერპოლოზე უკეთესად სხვა ვერაფერი შეგასწავლით, გვრიტნო.

მიმოდიოდა, ვისმე თითებზე შედგებოდა, შეჩერდებოდა; მიმოდიოდა.

— დაუნდობლები უნდა იყვნეთ, ჩემო კარგებო, სხვას თუ დაინდობ, ის არ დაგინდობს და ის არ სჯობია შენ არ დაინდო, შოშიებო, ჰა?!

ცეცხლისპირს ეჯდა გაღვივებული, მშრალი რამონა, მაგრამ რაღაცა ზედმეტად ავი უცოებდა გულს — ცუდი რამ საქმე თუ ხდებოდა სადღაცას, სადმე...

— აჲშენ, გენაცვა, და კიდევ შენ, შენ ჩემო თაჰო, შუაგულისკენ გასცურეთ... ასე, ახლა კი, ჩემო ტკბილო ჯანკარლო, შაქარყინულოვ, წყალში რამდენადაც კი ამას შესძლებ, განზე მძლავრად გაიქნიე ფეხი და სანუკვარ თაჰოს მუცელში წიხლი ჩააჭედე. ქუსლით აჯობებს.

— ჰა... ძიავ, რატომ?

— ქუსლით უფრო მტკივნეულია.

— არა, ბიძიავ, ქუსლი რატომ უნდა ჩავაჭედო-მეთქი?

— და რატომ არ უნდა ჩააჭედო, ვთქვათ? — წყნარად კი იკითხა აღმადგენელმა, მაგრამ ახლო-მახლონი მშვენივრად მიხვდნენ, შიგნი-შიგან რომ ფრიად დაძაბული გახლდათ, ხოლო ჯანკარლო ცოტათი შორს დატივტივებდა, თქვა:

— ამხანაგია.

— ამხანაგს მოგცემ შე უზრდელ-ბრიყვო, ისეთ ამხანაგს!, ვირიშვილო შენ! — აქ კი იფეთქა რდეერ-აჩმა, — ვატერპოლოში ამხანაგობა ვის გაუგია! დაუნდობელი უნდა იყვნეთ, ამდენს ტყუილად ვქადაგებდი? არ მოგეწონა, ხომ, ერთის თქმით ეს ჩემი მოწოდება, ჯანკარლო, ტკბილოვ?.. მაშინ, ჩემო ერთგულო და სათნოვ, თაჰო, შენ ჩააჭედე მაგ ტუტუცს ქუსლი, თანაც ისე რომ, ტკივილისაგან გორგალად იქცეს. ხოლო თუ, თაჰო, ამას ვერ შესძლებ, — ჭროღა მუქარა გამოერია ჩახლეჩილ ხმაში, — აიმ ოთახში მარტო შეგაგდებ, ხელ-ფეხს შეგიკრავ, მთელ ტანზე ქონებს მიგისვ-მოგისვამ და

იმ მოშიებულ ცუგრუმელებს მრავლად დაგაყრი, ძალიან მრავლად, გამიგე, თაჰო?, ჩემო ძვირფასო, ო, ალმა მია?.

ჯანკარლოს მოკლე გმინვა აღმოხდა, პირი დაეღო, სუნთქვა უჭირდა, მერე კი წყალში სახე ჩარგო და გამწარებული იკრუნჩხებოდა, და როგორც იქნა და აღაღო თავი, მოითქვა სული, ბესამეს თითებზე შემდგარმა რექსაჩმა ცბიერად ჰკითხა:

— ხომ ამხანაგი ყოფილა? თუ — არა?.

— არა, —თქვა ჯანკარლომ, თვალები ცუდად უელავდა.

— არაო, თაჰო, ხომ გესმის, ბრიყვო? ერთიც მიართვი...

და მეორედაც სანახევროდ ცნობაწართმეულ ჯანკარლოს, შურისძიებით ავარვარებულსა და გამწარებულს ისე, მუცელს იხოკდა, კვლავ დაეკითხა:

— ამხანაგიო, ამხანაგი... ჩიტო, ყოფილა?

— არა.

— სრული პასუხი და, დაგაჯილდოვებ.

— არა ყოფილა, ჩიტუნელა ბიძიავ!

— კარგია, ყოჩაღ... ახლა, ძვირფასო, შენი რიგია — ამ ჩვენს ხაზ თაჰოს, ყოფილ ამხანაგს, ერთი ლამაზი კარგი წიხლი უნდა უბოძო. — და ყურის უკან მიიდო პეშვი: — რითი აჯობებს?

— ქუსლით, სენიორ.

ჩასაცმელში კი, ვიდრე თაჰო საბოლოოდ მოვიდოდა გონს, საცვლისამარა აღსადგენლებში ჩიტუნელა-ძიო დინჯის ნაბიჯით მიმოდიოდა, ირიგებოდა თან:

— აჰ, ცხოვრებაში რაღა არ ხდება, მძლავრი ოჯახის მახინჯი შვილი ცოლად დამისვამს და — არ მყვარებია. ფულებს ვცინცლავდი, ამისთვის კი აი, იმისი გამხიარულება იყო საჭირო, ალმა მიებო და, მუხლებზე ნაზად დავისვამდი, ვუღიტინებდი, აი ესეც კი ცხოვრებაა საგამარჯვებო, გაცრეცილ ტუჩებში თვალდახუჭული მაგრად ვკოცნიდი და იმასაც, სულელს, თვალები ვნებით დაეხუჭა, ფისუნიასებრ კრუტუნებდა და. იმისი ფული კი იმის ჯიბიდან ჩემსაში კოხტად გადმოდიოდა, გავაგდე მერე.

ააი, ასე ირიგებოდა აღსადგენლებში რიხობერტო დანიელ ჟუსტინიო რექსაჩი, გარეთ კი — თოვდა... შენ მატყლის მსხვილი ხელთათმანებით გიტარზე თუ დაგიკრავს, კარმენ? აჰ — ალბათ ვერა... შენ აგვისტოსი შვილი მგონიხარ, რაღაც ყავისფრად ჩახურებული და მესაწნეხლესავით ფეხშიშველი, მკერდმოღლეტილი —

თან... ფლიდო, აშარო, ძვირფასო, კარმენ, რაღაცა გქონდა ისეთი რომ, ძრიალ უყვარდით. რაღაცა გქონდათ, აკი ვამბობ, ოღონდ — თვალებში... დაუდეგარო, მზაკვარო, ანცო, შენი გულისთვის ვინმე პოლკოვნიკს დაბანილ ყელს რომ გამოსჭრიდნენ, აბა მითხარი, იმავ საღამოს კოცონთან რაღა გეცეკვებოდა, ჰა? ის, ესე იგი დაწინაურ-აწინარეულ-ჩინმენდლებიანი პოლკოვნიკი მავან რიგითი ჯარისკაცივით უბრალოდ ეგდო, შენ კი, ორპირო, ცრუვ, გაიძვერა, ისე ცეკვავდი, ვითომც და აქა არაფერი. მერე, რა კარგად... რაღაცა გქონდა ემაგ თვალებში, რაღაც კი არა, მოთ, ყურში გეტყვით: თა... მიხვდით?.. თა-ვი... ვერა?... თავის... მაინც ვერ მიხვდით? თავისუფლება ედგა კარმენს დიდრონ თვალებში, ამხანაგებო! აი, ისეთი, ანდალუზელნო და საერთოდაც ყველანო, ძმებო, ცუდს და მიშვებულს რომ ეძახიან, ვთქვი მეც კი, რაღა, მიშვებული-თქო, თავისუფლება მიშვებული გახლავთყე ყველა, და აი ისეთიც, კარმენისებრი. მაინც კარგია... შეუზღუდველი იყავი, კარმენ. თავისუფლება თვალებში გედო, და არასოდეს წვეთწვეთობით არა გცვიოდა, შეუზღუდველი იყავ-მეთქი და განა შესძლებდი მატყლის მსხვილი ხელთათმანებით იმა ნატყვიარ გიტარაზე ნებაზედ დაკვრას? აჰ, არა, ვერა — ერთ სიმს რომ ნეკას ამოჰკრავდი, მეორეზედაც უნებურად წამოგდებოდა, შეგეჭმუხნებოდა ვერაგად თლილი სატყვიე შუბლი, აჰ, რა წამომცდა რახან მიყვარხარ, ისევ სცდიდი და გაბრაზებული გაიქნევდი თავს, ცალი საყურე აგიხტებოდა, მერე კი, ბოლოს, განრისხებული წაიძრობდი რეგვენ ხელთათმანს და იმ ბუჩქებში მოისროდი, ხანდახან შენც რომ ემალებოდი ფხიზელ მესაზღვრეთ და არხეინად შესძლებდი დაკვრას, მაგრამ რა ექნა ერთ საბრალო ბიჭს, ბესამე კაროს, გაუხეშებული თითებითა და მძლავრი ფილტვებით მკრთალ ფლეიტაში მიძინებულ ვერცხლა-ჯადოქარს რომ ვეღარ სწვდებოდა? ურითი ჰაერს ვინ გამოსჭედდა? მთვარისმიერი ყმაწვილის მეტი... მაგრამ ბესამე მთვარის კი არა, ჩიტუნელა-ძიოსი და წყალქვეშა ფარულად შეხლა-შემოხლის მებრძოლი იყო — აჰ, ვატერპოლო, იმდროინდელი, ალკარასულას განუწმენდელ, მუქმღვრიე ბნელში... აღსადგენლებს აუზის მცირე მონაკვეთში განათავსებდა ლოდკაც რექსაჩი, ირიგებოდა, თან:

— აბა, ჯანკარლო, ბესამესკენ ზურგით შებრუნდი, ძლიერ უწყინრად იტივტივე, ახლა კი უკან ღონივრად გაუქანე ფეხი, რომ არ შეგეტყოს, ისე, გაუქანე, ხომ? ბესამევ, ტკბილო, ფეხი დაუჭი

და ისე სავსებით მაგრა უჩქმიტე, გულ-ბოყვი ჩასწყდეს, მერე კი, მაგის შეყვირებაზე ძალიან გაკვირვებით მიმოიხედე, დაბნეული ღიმილი აღიბეჭდე, ეგრე კი არა, შემხედე, კარო, აი, ასე... ცოტათი კიდევ გაიკვირვე... აიი, ასე. კარგია, ყოჩაღ. შეისვენევით.

გამოგონების დიდი ნიჭი და მარიფათი ჰქონდა ჩიტუნელაძიოს:

— გვრიტუკავ, თაჰო, ო მაი დარლინგ, აბა კარგად დამიგდე ეგ ვირის ყური. იცოდე, ფისოვ, სახეზე უმწიკვლოება გეხატოს უნდა, შენ კი, სისკო [1], დროებით დაუთმე კანჭი. ძვირფასო, თაჰო, აბა ახლავ შემოაჭდე ემაგის კანჭს ორთავე ფეხი და გულით ეცადე, გადაუმტვრიო... კარგია, კარგი, გეტყობა, რომ პატიოსნად ცდილობ, მაგრამ ეს არ უნდა გემჩნეოდეს, არადა, სხვაფრივ თითქოს შეუძლებელია და, ამისთვის თუ იცით, ო, ალმა მია, რაა საჭირო?

თუ არ ჩავთვლიდით ფრანსისკოს ღრიალს „აიღე ფეხიი!“, სიჩუმე იდგა.

— ვერ იცით, არა? შოშიებო, ვერ ხვდებით, არა? ვერც შენ, მონ ჰუან? რა ბრიყვებია... რა და, თაჰუნავ, ოთხგზის რეგვენო, ვითომცდა წყალი ჩაგეყლაპა და ხველა ასტეხე ისეთი რომ, მსაჯულებს ეგონოთ, ვითომ მართლა იხრჩობი ხველებისგან და თან გამწარებულმა იყეფე და ჰამაც აკეთე ეგ შენი საქმე.

აჰ, ისე კოხტად, ისე მშვენივრად იხველებოდა თმახშირი ტახო, მაგრამ სხვა კიდევ აღსადგენელი რადგან ყვიროდა: „ვაიმეეე, დედააა!!, მიშველეე, დედააა!!“, აღმადგენელს ისე უკვირდა, სრულიად აუზს მოავლებდა თვალს: „ფრანცსკავ, ძვირფასო, სადაა აბა მე შენი დედა?“

„უჰჰუუ, კარტუზო...“ — გამწარებული გაიფიქრებდა ბესამე კარო, კარტუზო ეგებ თქვენც კი გახსოვთ, ბაბილონია, ჰისტორიისა მიმომასწავლე, ძველებურადვე მირიკრიკებდა მისი ცხოვრება, მაგრამ ერთხელ კი უსიამოვნება რამ შეემთხვა, თანაც დამლაგებელი ქალის, წარმოგიდგენიათ? — გამო. ადასე მოხდა: კარტუზო შესვენებაზე გასულ მოწაფეთა ჯიბეებს ათვალიერებდა, ამ დროს კი დამლაგებელი შემოვიდა და იკითხა: „შეიძლება, აქაურობა დავხვეტო?“ მსუქანი, ჯანსაღი ქალი ჩანდა. მოხუცი არ იყო. მახინჯი არ

---

[1] ერთ-ერთი მოფერებითი ფორმაა ერთ-ერთი მოწაფის სახელისა „ფრანსისკო“.

იყო. კარგა გემრიელი ქალი იყო. თანაც გულისპირი შეკრული არა ჰქონდა, არამედ ძალიან გაღეღილი ჰქონდა. „კი, როგორ არა, — ჰსთქვა კარტუზომ და ხელისგულით ჰაერი გულზე შეიფრქვია, — რამდენიც გნებავთ“. „რამდენიც მნებავს, სენიორ?“ „დიახ, — ყოჩაღად მიუგო კარტუზომ, ძალიან კარგად ეჭირა თავი, არც დაუსლოკინებია და არც არაფერი, — და რამდენსაც უფრო მეტს დაგვით, მით უკეთესი“. „რატომ, სენიორ?“ — იკითხა ქალმა, გაღეღილ საინტერესო ადგილას ოთხი თითი მიიდო, ცერი შემალული ჰქონდა, ცელქი აღმოჩნდა ისიც. „იმიტომ რომ... — წამოიწყო დასაბუთება კარტუზომ, — რაც დიდხანს დარჩებით, მით უკეთესი“. „ოოჰ, სენიორ, თქვენ ეს რანაირი ყოფილხართ, ჰაა?!“—წამოიძახა ნასიამოვნებმა ქალმა. კარტუზოც ნასიამოვნები იყო ამ მომცრო-არშიყულ შეხლა-შემოხლით, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, დიდი იმდენი არაფრის თავი არა ჰქონდა, მაგრამ მაინც — კარგია, მსუქან ქალთან, ხანდახან, სამ-ოთხ-ხუთ სიტყვა... გაღიმებულმა მიმოიხედა და აქ კი შეცბა: ზედ შუა ზღურბლზე აღმართულიყო მერგრეტ ბოსკანა, ჰერცოგიდან რატომღაც ნაადრევად გამოშვებული, ძლიერ მრისხანედ შესცქეროდა და კარტუზო დაფრთხა: „რა იყო, მერგრეტ, ხომ მშვიდობაა?“ „ეს ცოცხიანი ჯერ მსწრაფლ გავიდეს!..“ „გათახსირებულო, — პირში უთხრა მერგრეტმა შემდგომ, — რომ დაგიყვლეპია ეგ თვალები და ვიღაც უბორშჩიცას შესციცინებ და თანაც დნები, ხომ არ დაგავიწყდა, ვისი რჩეულის ქმარიცა ხარ, ვიგინდარა შენ!“ „კარგი რა, მერგრეტ, ეს მაინც რამ გაფიქრებინა, აბა რას ამბობ? — და აქ კარტუზომ გულზე მიიდო ხელი, — მე და... ასეთი რამეები?“ „კაცები ერთი ოხრები ხართ ყველა! — კვლავ მძვინვარებდა მ. ბოსკანა, — თქვენ ოღონდ ქალი დაგანახათ და...“ აიი, ეს კი გულს მოეფონა ჩვენსა კარტუზოს, კაცად ჩასთვალეს, და გამხნევებულმა მიმართა მერგრეტს: „კარგი რა, ჩემო ყვავილო, ამ ტყუილ-უბრალო გაბრაზებას და ქიშპ-პაექრობას ის არა სჯობიან, — დაითაფლა ხმა, — ლოგინში დავწვეთ და ვითამაშოთ?“ „კი, როგორ არა, ამ ახალ დაბანილზე მეტი საქმე არა მაქვს, დიახ! — ფრიად ფიცხობდა მერგრეტ ბოსკანა, — საცა კი გინდა, იქ ჩაწექი და შენით მარტოკამ ითამაშე“.

— კარგი რა, მერგრეტ...“ — კვლავ წამოიწყო ბაბილონიამ, მაგრამ სათქმელს ვეღარ მოაბა თავი, ფანტაზიისა ნიჟი არ მოეძევებოდა, იგი ხომ მკვეთრად განსხვავდებოდა რექსაჩისაგან, ვისაც რომ,

დიახაც რომ, როგორც ზემორეთ უკვე აღვნიშნეთ, ლაზათიანი გამოგონების შნო, უნარი და მოწოდება ისე-უბრალოდ კი არა და, არამედ ნიჭიერულად გააჩნდა, ჰქონდა:

მთელი დღის მშივრებს, კვლავ წყალში ჰყრიდა, აუზის პირას მაყალს კოხტად ჩაახურებდა, ზედ გააწყობდა ცვრიანი ხორცით დამძიმებულ შამფურებს, ველურად ამო ქონნარევი კვამლი მზაკვრად ცურავდა სააღმადგენლოში და მევატერპოლნეთ შემპარავად სთავაზობდა მასწავლებელი: „შოშიებო, ჰეე, ვინც თუ რომელი სხვას ყოფას უტირებთ და სახეზე კი ეს არ შეგეტყობათ, მწვადისა ლუკმას მიიღებთ პირში, გვრიტუნიებო, ხომ გაწყობთ, ჰაა?“

და იმა კვამლის გამოისობით წყალში სურვილით მთლად ბუსუსდაყრილ აღსადგენლებს, მზერაარეულთ, ნერწყვდადენილთ, ერთმანეთისა ბრაზი აღრჩობდათ, ავაზაკურად მიცურავდნენ ერთმანეთისკენ, „ავაიუუ!“, ღრიალებდა სუსტი ფრანსისკო, ხუანი კი გაკვირვებით იხედებოდა ირგვლივ, და ჩიტუნელაც არ ახანებდა: „შენ ყოჩაღ, ჰუან, მომიცურდი აქ“, და მწვადის ნაჭერს მაგრად დაფჩენილ პირში უგდებდა. ამასობაში ჯანკარლო სიმწრით აფართხალდებოდა, ტახო კიდევ — ძალიან მშვიდად ისწორებდა თმას, და იმასაც ხუთიოდ წამში ყოფილი ბურვაკის მცირე ნაწილი პირის მოშიებულ ღრუში ცხელ მალამოდ ეგულებოდა, „შენ ყოჩაღ, თაჰო...“, და ასე შემდეგ.

მისავათებულ, აუზის პირას მიმოყრილ აღსადგენლებში ლოდად ჩამდგარიყო ქვაკაც რექსაჩი, და შორეულსა არცთუ ისე, ყმაწვილკაცობას იხსენებდა: „მე ჩემი გუნდის კაპრალი [1] ვიყავი მაშინ, ხოლო მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი გუნდის კაპრალი იყო? — აჰ, მტრისას, მტრისას... რაიმე უნდა მეღონა, თორემ ყველას თავფეხიანა ჩაგვახრჩობდა გვადალკვივირის ნესტიან წყალში. შეხვედრისწინა მთელი ღამე რძისფრად ვათიე, მერე კი, გვრიტნო, გათენებისას, როდესაც ჩვენ, ადამიანებს, დიადი აზრები მოგვდის ხოლმე, ძვირფას რამეს მივხედი, და იმავ დღესვე აღვასრულე: წესია ასეთი, ნიბლიებო, პაექრობის წინ, სანამ წყალში გადახტებიან, კაპრალებმა მსაჯულთა წინაშე ერთმანეთს მეგობრულად უნდა ჩა-

---

[1] ადრე ვატერპოლისტთა გუნდის თავკაცს კაპიტანი კი არა, არამედ კაპრალი ერქვა.

მოართვან ხელი და, ძმური ღიმილით მივუახლოვდი იმ პირქუშ კაპ-
რალს, და როგორც კი ხელში ჩავუდე ძვირფასი ხელი, უცებ შევ-
ჰყვირე, ისე ძლიერ რომ, მაყურებლები ადგილზე შეხტნენ, იმ გაკ-
ვირვებულ ჯანსაღ კაპრალს მარწუხებივით ვუჭერდი თითებს, და
თანაც, ვითომ, ჩემი ხელის გამოსაგლეჯად გამწარებულ რამ მოძ-
რაობებს დამაჯერებლად ვასრულებდი, მთლად ვფართხალებდი,
მერე კი, ვითომც იმან შემიშვა ხელი, მსაჯულთა ფერხთით გულ-
წასული განვერთხე ვითომ და გონსმოსული, აღშფოთებული დამ-
სწრე საზოგადოების მრისხანე შეძახილები ატყდა: „სადამდე მი-
ვიდნენ, წყალში ჩასვლამდეც კი ვეღარ ითმენენ!“ მე კი, თავი ვი-
თომცდა ძლივას რომ წამოვწიე, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა
და მთავარ მსაჯულს გულდაწყვეტილად, სუსტად, მაგრამ ყველას
რომ მაინც გაეგო, ისე მივმართე: „რა ჩემი ბრალია, დონ მსაჯულო,
ვიოლონჩელზე მაგაზე უკეთ რომ ვუკრავ, ძია სენიორ?“ და კვლავ
განრისხდა მთელი დამსწრე საზოგადოება, ხალხი, და მსაჯულებმა
აის კაპრალი თამაშის დაწყებამდე მკაცრად გააძევეს, მე — სააქიმო
დახმარება გამიწიეს, კოხტად ვკვნესოდი, ყოფილი ხარის ძარღვებით
გადამიხვიეს ვითომცგვემული, ძლიერი ხელი, და თამაში უკვე გა-
ხურებული იყო, როდესაც მე, როგორც რომ ტკივილთდამძლეები
გმირი, ისე ჩავეშვი გვადალკვივირის ნესტიან წყალში და დამსწრე
საზოგადოება, ნაღები მთელი ვალენსიისა, ხალხი, ამტანობისთვის
ტაშის გრიალით მაჯილდოებდა, მე კი, კვლავ დაჩაგრულის უმწეო
ღიმილით კეთილ სახეზე, აჰ, ისე მკვეთრად გავიქნევდი ფეხს, შიგ
მუცელსა და უარესში! — ერთი და ორი, მთელი იმათი გუნდი
ბღაოდა, მე კი წყლის ზემოთ განცვიფრებით მეკავა ჩემი ერთი
ვითომც მომჩვარული ხელი მეორეთი, მთელი დარბაზი აღშფოთე-
ბისგან ჰქუხდა და ჰქუხდა: „რაა, მსაჯულნო, რას გადაეკიდნენ ყვე-
ლანი ამ ბეჩავს, რეებს აღარა უგონებენ, მსაჯულნო, უუ! მსაჯულ-
ნოო, მეხაშეე!“[1] — და მოხსნეს კიდეც შეჯიბრებიდან იმათი გუნდი.
მე, წყლიდან ვითომც ტანჯვით ამოსულს მთელი დარბაზი მამხნე-
ვებდა, სულ ჰაეროვან კოცნებს მტყორცნიდა და მეფერებოდა,
ყველაზე უფრო ლამაზმა დონნამ უძვირფასესი თავსაბურით გადა-
მიხვია რკინისა ხელი, და კიდევ უფრო გამახარა იმავ ღამით, ასეა
გერიტნო, რომელი დიდი მოსაზრება დარჩენილა უჯილდოოდ და

[1] მეხაშე ხაშის დამაშაზადებელსა ნიშნავს, ხაში კი — საკმელია ერთგვარი.

დაუფასებლად, უნდა ეცადოთ ათასნაირ ხრიკს, ხომ ხედავთ, როგორ კარგად მაცვია, რა ბეჭდები მაქვს, ის ნაკაპრალარი კი, ახლა ალბათ სადმე თხრილში გდია, რადგან გალოთდა“.

ერთ-ორ-სამ-ოთხ — გადიოდა დრო.

14

უი ჰო, მართლა, აფრედერიკს სულ დააავიწყდა — აუზის ახლოს, მინდვრად გაშლილ მწვანე კარვებში ჭამდნენ. ¹ვამდნენ და იძინებდნენ აღსადგენლები: ცხოვრობდნენ, რაღა. ქვაკაც რექსაჩმაც იქვე დასცა ლურჯი კარავი, შესამოწმებლად მოდიოდა ხანდისხანობით, ღამესაც იქვე ათევდა ხშირად, რადგანაც დიდად ქოფაკი სიმამრი ჰყავდა, ხოლო მას, რექსაჩს, დაბალი და ჩასქელებული, წვიეებმრგვალი ქალები უყვარდა და ჰყვანდა.

და გამორჩეულ ღამღამობით, რომ მიწყდებოდა ლოდკაცის ოხვრა, ქშენა და წამოკვნესანი, თავზარდაცემულ, უფრო მეტიც — თავზე ხორცდასხმულ აღსადგენლებს, ჰოი, რაღა არ უტრიალებდათ ამღვრეულსა და აპრილ რძისმაგვარ ფიქრებსა და მოძალებებში და, სულგაკმენდილნი ყურს უგდებდნენ შორეულ ტახოს, რომელსაც რომ ვიღაცა გოგო რაღაც-რაღაცებს აბეჟვინებდა:

— მერე მე იმას... — ჩურჩულებდა ბნელეთში ტახო, — მერე მე იმას ზემო ფეხებში ვსტაცე ხელი...

სიჩუმე, იდგა!

და ბოლო-ბოლო, ძლივს ახერხებდა დაგუდულად შეკითხვას ჯანკარლო:

— ხოლო იმან რა თქვა...

— იმან არაფერიც არ თქვა, იმან მარტო თქვა — „აჰ!“

—და არ გაგარტყა? — შეცბა ფრანსისკო.

— არა. პირიქით.

კარვებთან შორიახლოს, ჩაჟამებული გომური იდგა, მორუხო ხავსით გამოპმული. მოქმედი იყო — იდუმალ ხმოვნად ედებოდა გასაბზარ ღამეს დათვდასიზმრული ძროხის ბღავილი, სიოს კი, ვითომც სუსტსა და ფაქიზს, მორცხვულად უკმეხს, იქითა მხრიდან ღროდაღრო ნაკელისა და შმორის წელადი. უხამ̇ოდ მოტკბო სუნი მოჰქონდა.

სხვა რამ სურნელი ტრიალებდა კასერესას მადლიან ბორცვზე, მაგრამ ბესამე იქ აღარ იყო, აღსადგენლებს ნასამხრალზე თუ გაატარებდა ალკარასის გარეუბნებში რკინკაც რექსაჩი. პაწაპუწოებს, მორჩილ-დამყოლთ, წინ ამაყად გაირეკავდა, დინჯის ნაბიჯით მიჰყვებოდა მოწაფეთ ფარას, იმათ რცხვენოდათ, ხოლო რექსაჩი გზადაგზა ნაცნობთ თავს უკრავდა, ზოგს — ღირსეულად, ჩავლილ ქალებს კი ერთ ადგილას მიადევნ-მიაწებებდა თვალს — ჩამაკალი მზის ირიბ სხივებში, სეირნობდნემ, აჰ... მაგრამაც ერთხელ, წაბლის ყიდვისას, ფრიად უცნაური სანახაობის მოწმენი გახდნენ — ამაზრზენი რამ ღრენა მოესმათ, მიიხედეს და, ადამიანი იყო, ოღონდ ზედმეტად კუნთოვანი, თუჯკაც რექსაჩიც მთლად აიწურა, საღი კბილები გამოაჩინა, მოიხარა და დაუნდობელი ნახტომისათვის განემზადა, ისიც, უცნობი ორფეხი, მორკალული და თმა-წარბ აშლილი, ძალიან ავად იღრინებოდა, და აი ასე შესცქერდნენ ერთურთს, მაგრამ რექსაჩმა მაინც იმარჯვა, ძალუმი თვალით მაინც გატეხა იმისი მზერა, და შედარებით სუსტი ღრენით სულ უკან-უკან ნელა გაბობღდა აის უცნობი, ქუჩის კუთხეც და — მიეფარა თვალს, ბალღებმა შვებით ამოისუნთქეს, ხოლო ფრანსისკომ, მთლად წამხდარმა, როცა ხავილით ძლივს იკითხა: „ვინ იყო, ძიოვ...“, რექსაჩმა დიდის თავმოწონებითა თქვა:

— აი ეს ჩემი საუკეთესო მოწაფე იყო.

სეირნობა რა, — თავი და თავი, ვარჯიში გახლდათ. ფიტულებიან ოთახებში ყოფნას უმატეს, თოკზე ჩამოკიდებული, მიმოქანავე აღსადგენლები ფიტულს როგორც კი გაუსწორდებოდნენ, სათუო მკერდში, ყელსა თუ მუცელში უნდა ეგლიჯათ მონდომებული ფეხი. „კარგია, ჰუან, ცხოვრებაში არ დაიკარგები... ასე განაგრძე, ჩემო თაჰო და, ცხოვრებაში კაცი გამოხვალ... ჯანკარლოვ, ტკბილო, დღეს არაფერი გიჭამია, ჩვენ შენი დედა?.. ფრანცსკავ, ძვირფასო, დღეს ვირთხებიან სენაკში შეხვალ... ასე, ჯანკარლო, ჰოო, სწორედ ასე... ახლა პირდაპირ აუზში ჩახტით“.

„აბა ჰე, თაჰო, ფრანცსკას მუცელში წიხლი ხეთქე, თანაც კი თავზე უწყინრად გადაისვი ორივე ხელი, ვითომ თმას ისწორებ, არა გაქვს თუ რა... კარგია, ასე. ჰუან, ძვირფასო, ფრანცსკას ერთი ისეთი ლეწე ყელში. ღრიალი წამსვე რომ შესწყვიტოს... ჰოო. ახლა კი, არხეინად მოიხოცე ეგ ღორის ცხვირი, ვითომც მსაჯულის გაფაციცებას სულაც არ ელი, კარგია, ჩიტო... კაროვ. ძვირფასო. ჩაყ-

ვინთე და ფრანცსკა მოძებნე... კარგია, ასე, ამოიყვანე, ცოტა ხანს ეგდოს. ვირი კოჭლობით არ მოკვდება“.

„ახლა ტყორცნები, გვრიტუნიებო. თაჰოვ, შოშიავ, შე დამპალო, აბა სად ისვრი, ემაგ ბურთში ხარ გასატარები [1], მე შენი დედა და დეიდები! ჰუან, შენ ყოჩაღ...“

ხოლო ერთხელ კი სასომიხდილმა ფრანსისკომ, რომელიც რომ შეძლებული ოჯახიდან იყო, რ. დ. ე. რექსაჩს გიშრისთვლოვანი ბეჭედი და ლარნაკი რამ უცხოდ მოხატული, მიუტანა და გაუწოდა.

— აბა ეს როგორ შეიძლება, უხერხულია, — აღნიშნა ჩიტუნელა ძიომ და ბეჭედი თითზე გაიკეთა, ლარნაკს კი გულის ჯიბეში ჩადებამდე დააკვირდა, ატრიალა, — სადაურია, შვედურია?

— იაპონურია.

— მაინც კარგია, საღოლ.

მერე, სხვებს უთხრა:

— ფრანსისკიტოს დღეის ამას იქით რომ ვინმემ ფეხი ახლოს, თავს ძირში მოვჭრი.

„ჰუან, შე ვირო, ჩემო ნიბლიავ, როგორ წაგართვა ჯანკარლომ ბურთი, ფრანსისკოვ, მიდი, ჩემი ბიჭი და, ჯიგარში ლეწე. კარგი ყოფილა ფრანსისკოს წიხლი, ჰჰუანიტო? ჰა?“

„ჯანკარლოვ, ბნელო, ვარსკვლავბიჭუნავ, საით მიცურავ, რომ დაგიდია ეგ ქათმის ტვინით გამოტენილი ფუტურო თავი, ახლავ ამოდი აუზიდან და წყლის პირას წაკუზული დადექ. მოდი შენც, ჩემო ტკბილო ფრანსისკო და პანღური უთავაზე კოხტა-ისეთი ერთი, პირიდან ენა გამოვარდეს. კარგია, ასე“.

— აეს რაღაა? — იკითხა რ. დ. ე. რექსაჩმა და უცნაურად მსუბუქ ლამბაქსა და ფინჯანს ისე დაადგა მახვილი თვალი, კიღამ გაბზარა, — უხერხულია. იაპონურია?

— ჩინურია, — უთხრა ჯანკარლომ, — დედამ თქვენთან გამომატანა. და ესეც, ქოლგა.

— ესეც ჩინური?

— დიახ, ბიძიო.

— უხერხულია, ძალიან კარგი. რაღა დღეს არ წვიმს.

„ჰუან, დამპალო, ეგ რანაირი გაუშვი ბურთი, ააბათ, ჩემი ბიჭე-

XIX საუკუნის 50-იან წლებში ვატერპოლოური ბურთი ღორის ფაშვისგან კეთდებოდა.

ბი, ფრანსისკო და ჯანკარლო, ჰუანს აქეთ-იქიდან აუტივტივდით და იმდენი ურტყით, სანამ ფეხები არ დაგცვივდებათ“.

— სადაურია, ჩინურია?

— არა, ბიძიავ, გერმანულია.

— კი მაგრამ, ჰუან, სად იშოვე ასეთი კოხტად ლამაზი სურა?

— გვქონდა, ოჯახში.

— ხომ ვერცხლისაა?

— დიახ, როგორ არა, კი!.. დიახ.

— უხერხულია; სერვანდზე დავდოფ.

„ფუნის ხევ, თაჰო, რამდენჯერ გითხარ, წყლიდან მშრალი ნუ ამოხვალ-მეთქი, აბა, ბიჭებო, ჩემო ფრანსისკო და ჩემო ჯანკარლო და ჩემო ჰუან! ეგ ბანჯგვლოვანი შუაში კოხტად გამოიჭირეთ და...“

ძაან საწყალი მშობლები ჰყავდა, გაფხეკილები იყვნენ, მაგრამ ტახომ თავისით იმარჯვა — ორ სოფელს გასცდა ბნელი ღამით და, გათენებისას, მობრუნებულმა, აიმ გომურში რ. დ. ე. რექსაჩის სამ-მაგოვნად ვრცელ სახელზე დამაკებული ძროხა მიაბა.

... ბესამეს ერთხანს ღაწვის ფხანვით დასცქეროდა აღმადგენელი. მერე ასე თქვა:

— მე კარო-მარო და ძვირფასები სულაც არ ვიცი. აბათ, ბიჭებო, ჩემო ჰუან, და ჩემო თაჰო, და ჩემო...

ოთხ აღსადგენელს მღვრიე წყალში ოთხივ მხრიდან მოემწყვდიათ ბესამე, კარო. და დაგვემილი, იმავე ღამით, ბუჩქებში თავქვე ჩახერგილი, ატირებული, თავისი უნებური დანაშაულის გამოცნობას ამაოდ ცდილობდა:

ქურდობა — ეს ხომ ცუდი გახლდათ; არადა, სად რა ეგულებოდა, ან საიდან რა მოეტანა, ობოლი იყო.

15

აჰ, ფანტასტიკის ნება არ არი?! — ოთხი სამი თვე ისე გავიდა, როგორც რომ ვითომ არაფერი.

ეს აქ, ქაღალდზე, თორემ ისე, სინამდვილეში, ჰეეე, ოო... — საწყალ ბესამეს, უმცროსთა ჯგუფის სხვა დანარჩენი აღსადგენლები რექსაჩის მითითებით თავს კი არა და, თავს ქვემოთ ესხმოდნენ და, იმასაც, ბეჩავს, რა დარჩენოდა — ისედაც სხვებზე სწრაფად ცურავდა, და უკეთესი კიდევ უფრო, მღვრიე წყლისა კვეთა უნდა

ესწავლა. მაგრამ ხანდახან ისეც ხდებოდა, სადმე კუთხეში გამოიჭერდნენ ხოლმე და, მიმწყვდეულს, ოთხი წყვილი ხელი და ფეხი შეძლებულთაგან და მპარავთაგან სასჯელად ჰქონდა. აქ ტირილი და ხვეწნა-კვნესა რომ ვერ გასჭრიდა, ხვდებოდა ბესამე, თვალები ავად უელავდა, ვისიმე წვივს თუ დაიჭერდა, იმ უნდო ხორცის ამოფლეთა სურდა ხოლმე და, იმ აუზის გაწებილ ჰაერს ბესამეს გარდა სხვა რომელიმე აღსადგენლის ყოვლად ძლიერი შებღავლებაც აჯანჯღარებდა.

გრძელ ღამეობით, სხეულში მუდამ ალაგ-ალაგ ჩალეწილსა და დალურჯებულს, უმოწყალოდ ნაგვემს, თავის გატანის მკვეთრი სურვილი არ აძინებდა ბესამეს, ღრღნიდა, ცხოვრება, ვითომ, სწორედ ეს იყო, ეს ვატერპოლო?!. არდანდობა და, გაუტანლობა? ტახოსგან მაინც, იმ ზედმეტად მძლავრ წიხლებს არ მოელოდა — აკი მანამდე ერთ მერხზე ისხდნენ... მერხი არა, ის. და როგორმე რომ გადარჩენილიყო, ნაამხანაგრებს ჩახრჩობამდე რომ არ გადაექელათ, რა, რა ეღონა, რა უშველიდა ნეტავი ობოლს... და არც თუ ისე მოგვიანებით, მიხვდა: რა და, ძალა და, სიმძლავრე და, გამწარება და, რისხვანარევი ღონიერება და, სიბულვილი უხ, და, თანაც, რაც მთავარია, აჰ, სითვალთმაქცე — ისეთი ტკბილი, და გემრიელი, და აკრძალული ცხოვრებაში ვითომცდა, ხილი.

დღითა თუ ღამით, ნაშუადღევს ან საღამოთი, ანდა სამხრობით, გინდაც რიჟრაჟზე, თუკი ეღვიძა, ბესამე მუდამ ღონეს იკრეფდა. რომ შესძლებოდა უფრო მწარედ ვისიმე ჩქმეტა, იმ სამი თითით, რომლებითაც რომ სოფლის პატარა ეკლესიაში კვირ-კვირაობით პირჯვარს იწერდა, ახლა გომურთან, თუკი არავინ უყურებდა, ხის კედელში თითისტოლა ლურსმანს თითქმის ბოლომდე აჭედებდა და, პირმოკუმული, დაძაბული, იმ სამი თითით დიდად ურჩ ლურსმანს უკანვე თრთოლვით ამოაძრობდა ხოლმე; აჭედებდა კვლავ.

მოზრდილთა ჯგუფის ჯერაც უხილავ აღსადგენლების მძლეთა-მძლე გრგვინვა აუზიდან თუ არ ისმოდა, გვიანი ღამით შეიპარებოდა ხოლმე და, რისხვიანად დაცურავდა იქ. დიდ ქვებს ათრევდა აღმართებში; ორად მორკალულს, გაუგონარი სიმძიმე აწვა, და მაინც. მაგრამ, დასაცემად არა დრკებოდა, ლოდს დათქმულ ხესთან აზიდავდა, იქიდან — თავქვეზე დააგორებდა და, უტვირთო, მძლავრი, მხრებგაშლილი, ბორცვზე სუნთქავდა, ისე ღონივრად, ისე ძლიერ...

ერთ დღეს იყო და, მკაფიოდ იგრძნო, სხეულში რაღაც მომცრო

თაგვები რომ ჩაებუდა, განსაკუთრებით, კიდურებში — მუშტს თუ ღონივრად შეკუმშავდა, და მთელ ხელს სიგრძივ დაძაბავდა, მაჯიდან მხრამდე, შიგნით, ხელში, რაღაც თაგვივით რამ მოძრავი, თაგვივით უხმო, ძაან ერთგულად აურბოდა — კუნთები იყო.

მაგრამ ის ოთხი აღსადგენელი, ჯგუფად შეკრული, ჯერხნობით მაინც ერეოდა და, უკანმიხედვით აწყდებოდა აუზის კედლებს ბესამე კარო, ხანდახან კი, მის დევნაში გართული მავანი სხვებს თუ გამოუსწრებდა, მოულოდნელად ბესამე მისკენ მთელი სისწრაფით მიცურავდა, და იმ სამი თითით ვაიდედამდე აყვირებდა. ამიტომ, უფრთხოდნენ, ცდილობდნენ, რომ სულ მუდამ ოთხად ყოფილიყვნენ, ესეეც — კვარტეტი. აქ აფრედერიკს, მიმოფანტასტეს, სწორედ კვარტეტზე გაახსენდა, რომ ერთხელ ჩვენი აღსადგენლები კონსერვატორიაში წაასხეს, იქ გამოცდაზე ურიგოდ შეუშვეს და ეგება გახსოვთ, კარტუზო-აღა, ბაბილონია, იყო ასეთი, ალკარასისა ყველაზე ნათელ შენობაში ბნელ ჰისტორიას ისწავლებოდა იგი, ბესამეს მუშტრის თვალით ახედ-დახედა და, ჰკითხა:

— რომელი არის ადამიანის ყველაზე დიდი დამარცხება?

რა ჟამი დადგა? — ბონაპარტისტი ბონაპარტეზე „დიადის“ თქმას ვეღარ ბედავდა — უხერხულია, რაც გინდა იყოს, სამშობლოს მტერი... მაგრამ კარტუზო შეუპოვარი რადგან იყო, „ადამიანში“ თავისთვის, გულში, ღრმად, „დიადსაც“ აკი გულისხმობდა და, შეუპოვრობა! — კარგია, არა? — ასეთნაირად ახსენებდა. ის კი არა და. ერთხელ ერთი მაღალი თანამდებობის პირი რომ გაიცნო, ისიც კვლავ მერგრეტ ბოსკანას (მის ცოლს ერქვა ასე) წყალობით, და როცა პირმა საკოცნელად უწყალობა ხელი, სენიორ კარტუზო კანის ნაცვლად ბეჭედზე ემთხვია, აი ასეთი გახლავდათ კაცი, სულ სხვაა მაინც, ესპანური ამაყად მიმომჩქეფარე სისხლი. ახლა კი, როცა ბესამეს ადასე ჰკითხა: „რომელი არის ადამიანის ყველაზე დიდი დამარცხება?“, ბესამემ განზე იქცია თავი, ფანჯარაში გაიხედა და ჩაილაპარაკა:

— ვატერპოლო, სერ.

— როგორ? — იკითხა მონსენიორ-კარტუზო ეფენდიმ და ყური ხელისგულით მოიმარჯვა, რადგან სმენასთან ცოტათი მწყრალად ბრძანდებოდა, — როგორა თქვი, ა?

— ვატერპოლოო, სერ, — დაასმინა თანაბაუზელი ტახომ. ისე იყვირა, ააწყდა ღილი.

— რაღა თქმა უნდა, — მთლად გაიბადრა პან კარტუზო, — ვატერლოოა.

და იქავ დასძინა:

— ძალიან კარგი, კარგოვანს გიწერთ. ორივეს. წადით.

— მე ფრიადი მინდა, — თქვა ტახომ.

აღსადგენელთა ნებისმიერ დუეტს უკვე თამამად უსწორდებოდა ბესამე კარო, ერთს რომ მუცელში ჩაასობდა ქუსლს, სხვას ყელში მძლავრად წაუჭერდა, და მეორე ხელით არხეინად ისწორებდა თმას, „კარგი, გეყოფა, ნუ დაახრჩე, შენი გაჩენილი კი არ არი, — დასძახებდა რ. დ. ჟ. რექსაჩი, — შენ რომ ვირი ხარ, ეგ ვირიშვილი კი არ არი, ამოდი, ჰუან, და დაისვენე“.

ტანთ რომ იხდიდა, თვალს გაოცებით უსწორებდა შეორთქლილ სარკეს — ვიღაც ამაყი, მძლავრი, მრისხანე, მძიმედ, გოროზად შემოჰყურებდა; რაღა რა ვიღაც, იეშმაკა რა, აფრედერიკმა, თავისი ჭკუით — ვიღაც კი არა, ბესამე იყო, სარკეში ხომ საკუთარი მოჩანს ხოლმე თავი, მარტოკა და პირდაპირ თუ დგახარ.

„ამოდი, ბიჭო, ეხლავე წყლიდან, არ გესმის, კარო?!! — დროდადრო ასე დასჭექდა ხოლმე გრდემლკაც რექსაჩი, — მე აქ მაგათზე პასუხსაც კი ვაგებ, ისე კი არ არი... ძაან გეტკინა, ფრანცსკავ, ჩიტგვრიტო?“

სიმართლე ითქვას?: ახლა მთელ ტრიოს ბესამე ისე უმკლავდებოდა, კიდეც ზოგავდა — დიდი ტკივილის მოლოდინით თვალდაჭყეტილნი, მოფართხალენი, ეცოდებოდა. თანაც, ბესამეს სხვა აღსადგენლებიდან მოშორებით, აუზის კუთხეში ავარჯიშებდა თუჯკაც რექსაჩი, სუყველას ერთად არიგებდა: „ააბა, გვრიტებო, გაიქნიეთ მძლავრად ფეხი და წამსვე სახეზე უნეტარესი, უსათნოესი ღიმილი მ'წრაფლვე აღიბეჭდეთ, გესმით, ვირებო? ჯანკარლოვ, ტკბილო, აბა, ფეხი მონდომებულად გაიქნიე, თან მთელი შენი ნაბიჭვრული ძალით წყალსაც უჩქმიტე და უცებ სახე მიიღე ისეთი რომ, ვითომც მდელო და ფერად-ფერადი ყვავილები გიდგას თვალწინ, ნაკადულები, ბულბულები, ხავერდოვახი ფარშავანგები, იასამანი, ერთი, მეორე, ნამდვილი თაფლი... ასე, კარგია“. ხოლო ერთ ისერა დღეს, გარეთ ცოტათი მოღრუბლულობა იყო, ჩია მუსიკოსის ჯერიც კი დადგა:

— მოდი აქ, ჩხინკო, დამიგდევი ყური.

აუზის პირას მოკუნტული ბიჭი იდგა, ვიოლინოთი ხელში.

— ხომ დადებითად მოასწარი გავარჯიშება?

— დიახ.

— სრული პასუხი, ღორის ბახალავ!

— მე კარგად მოვასწარი მთელი ამ დროის განმავლობაში გავარჯიშება, ჩიტუნელა ძიავ.

— მაშინ, სხვადასხვა რამეები დამიკარი. ოღონდ კარგი და ძლიერ სათუთი, ჩემს ჯორებს შენს დაკვრაზე სპეტაკოვანი იერი რომ აღებეჭდოთ.

ნისლიან ჰაერს შეეჭღინთა ვიოლინოს ხმა.

— აეგ ვინაა?

— ბახი გახლავთ, ძიოვ.

— არ ვარგა, რაღაც მოსაწყენია, პროზაულია, — აღნიშნა რექსაჩმა, იმასაც აკი ხომ ესმოდა რაღაც-რუღაცები, — სხვა დაუკარი... აეგ ვიღაა?

— ეს ბეთჰოვენი გახლავდათ, ძიოვ.

— არ ვარგა, რაღაც ღონივრულია, მე კი ისეთი ჰანგები მინდა, ჩემს გვრიტუკოებს ვირის სახეზე უწყინარობა რომ აღებეჭდოთ. განაგრძე, შტერო. ეგ ვიღა იყო?

— როსინის ერთი ჰანგი გახლდათ.

— არც ეგა ვარგა. რაღაც ზედმეტად ჩიტირეკულია. აბა, ახალი... ეგ აკი უკვე მოვისმინე.

— ეს ჰენდელია.

— ეგ ხომ პირველად დაუკარი.

— ის ბახი იყო.

— ეგეც იმისი პოლკისა ჩანს, მოსაწყენია. სხვა ვინმე სცადე...

და ამჯერად კი რკინაკაც რექსაჩი ნეტარებისგან ისე შეძრწუნდა, ლამის სულ დადნა და აუზის წყალს ჩაეღვარა, — ოიი, აიი, უუ, გენაცვა, აეს ვიღაა, ნამდვილი ხმეცი?..

— ეს მენდელსონი გახლავდათ, ძიოვ.

— დიდებულია, აეგ რომელი ჰანგიდანაა?

— მენდელსონის სავიოლინო კონცერტის დასაწყისი გახლავთ, სერ.

— სერს მოგცემ მე შენ, ვირიშვილო, ჭირიმე შენი, აეგ დაუკა.

„აბათ, ბიჭებო, ძაღლისთავებო, ხომ გესმით ,ყურში რა ჰანგებია, რა ჯიგრიანი, გაინაზე ფრანცსკ! შენცავ, ჯანკარლო, ნეტარების დაიღე შუქი, ასე როგორი ძალიან კარგი ვიტამინებიანი მუსიკაა.

ორმოცი კვერცხისძალიანი, მწვანილით, რამე... ჰუან, თხის თავო, თვალებს შტერივით ნუ აპაჭუნებ, შე მაი დარლინგ, ო ალმა მია, გენაცვალე შენ, მზერა მინაბე... ბესამე, ბიჭო, ნეტარეული აღმაფრენისგან მაგრად დახუჭე ორთავე თვალი, მაგრად მომუწე საჭყეტელები, გეუბნები შენ! ასე, ძვირფასო, წარმოიდგინე ზეცით მომსკდარი ბედნიერება და უწყინრობა, ეგრე იყავი, იტივტივე, ბარაქალა შენ, ცხოვრებაში არ დაიკარგები, მაგრამ იცოდე, ახლა ცალიც რომ გაახილო, კბილებში გადაგჭრი, ინეტარე და იბედნიერე შენ, მონ შერ მია, აი, კარგი ხარ, აიი, ასე", და აქ ბესამემ უცებ იგრძნო, ვილაცამ მძლავრად რომ შეუბოჭა ორივე ფეხი და მწარე მუშტიც ტუჩებში მოხვდა. იმ აღმაფრენულ ზმანებებში ასე უმოწყალოდ ელდანაკრავი, ჯერ გაოგნებით შეაცქერდა დაღმეჭილ ხუანს, ვინაც რომ თმაში ჩაფრენოდა და სიღრმისაკენ ექაჩებოდა, ხოლო ჯანკარლო და ფრანსისკო სახეში სცემდნენ. ახლა ხელებსღა უნდა ეხსნათ ბესამე კარო, თავდასხმისათვის სად ეცალა, რომ არ ჩაეძირათ, ღონიერ მკლავებს გამწარებით ამოძრავებდა, ტახო არ ჩანდა, რაღა თქმა უნდა, ის უბორკავდა წყალქვეშ ფეხებს, ღრმად შეისუნთქა ჩაყვინთვამდე ალბათ ყმაწვილმა და მერე ფეხებზე მარწუხებივით შემოაჭდო ორთავე ხელი. ახლა, ურტყამდნენ დაუნდობლად, თავ-პირში სცემდნენ, ჩამოაფხოჭნეს შემკრთალი სახე, ყელში უბწკინეს, ხორხში ულმობლად ჩაუზილეს წიხლი, ფერდიდან ხორცი ამოაგლიჯეს, შეძრწუნებულმა, წყალნაყლაპმა, თავზარდაცემულმა რექსაჩისაკენ იმედითა და სასოებით აღაპყრო თვალი, ის კი, თუჯკაცა, თურმე ასე გაიძახოდა: „მიდით, ჩაახრჩეთ, ვინმე გვიჩივლებს მაგაზე თუ რა, უპატრონოა ეგ ვირიშვილი", და აქ სულგაბზარულმა ბესამემ ძალიან იგრძნო, რომ ობოლია, რომ არავინ ჰყავს, მთელი შიგანი ღრიალით გრძნობდა სისაცოდავეს, გარედან — ჰგვემდნენ, თანაც, ესმოდა: „შენ არ შესწყვიტო დაკვრა, ჩხინკო, თორემ დაგამტვრევ, გვრიტუნიებო, თან იცინევით", და ის ფრანსისკო, მინამდე ლაყე, ისე ძალუმად რამ გააცოფა, მხარში კბილებით ჩააფრინდა და სულელს, უვიცს, ძლიერ ზედმეტად მოუვიდა რადგანაც კბენა, განრისხებულმა უცებ ბესამემ მთელი ძალით აიქნია მუხლი და ფეხები წამსვე გაუნთავისუფლდა — წყლიდან ბღავილით ამოყვინთა ტახომ, ფართო ნესტოებიდან სისხლი სდიოდა და ბესამემ ფრანცსკას სულელურ თავზე გამეტებით დაუშვა მუშტი, ჰუანს ხელში სწვდა და ორი თითი გადაუმტვრია, ჯანკარლო

შერჩა ჯერაც დაუსჯელი, ორთავე ყურით ჩაბღუჯა და შიგ ცხვირ-პირში ლეწა თავი, ამაზრზენად ყრუ ხმა გაისმა რაღაც, ჯანკარლოს თვალები აუტრიალდა, თავგადაგდებულს, ყელში მუშტი ჩასცხო ბესამემ, „რას სჩადი, ბიჭოო, — გამწარებული ყვიროდა მშრალზე აღმადგენელი, — აჰა, ფრანცისკოო, და შენც, ჯანკარლო, მაშველი რგოლი!, მხეცოო, რას სჩადი“, ბესამეს კი ყველაზე მეტად თმა-ხშირი ტახოს ჯავრი სჭირდა — ხომ მოგეხსენათ, ოდესღაც რომ ერთ მერხზე ისხდნენ — მძვინვარე ცურვით დაედევნა და, უკვე თითქმის თავდაღწეულს, აუზის კიდეზე აფორთხებულს, კისერზე მოსდო მრისხანე ხელი და ისევ აუზში გაადენინა ზღართანი. ურ-ტყამდა, მაგრამ რანაირად, მერედა როგორ დაუნდობლად, ანდა რა ძალით, ურტყამდა, როგორ... იმ სიმღვრიეეში ღია ვარდისფრად, ამ ნაზი ფერით დამწყებ გველად იკლაკნებოდა ტახოსა და ჯანკარლოს სისხლი, აუზში ყეფით გაისმოდა: „მე შენი აქეთ გამომგზავნიი!“ — გავეშებული თუჯკაც რექსაჩი ფინიასავით მიმორბოდა, მქუხარებ-და, მუეერმეტყველურად იმუქრებოდა, მაგრამ ბესამე აშვებული იყო ზავივით, სისასტიკე რამ გაუგონარი ყოვლად, ხდებოდა, აუზის პირას ამ უჩვეულო დაუნდობლობით მონუ!ხული, ჩია მუსიკოსი იდგა, ამ ჟამისათვის საოცრებამდე ზედმეტი ვიოლინოთი შეყინულ ხელში, ბესამე ახლა ხუანს ძიძგნიდა, რექსაჩის მიერ დიდი ბადით ამოთრეულნი ჯანკარლო, ტახი და ფრანსისკო სამშვიდობოზე პირ-ქვე ეყარნენ, და ჰუანიღა სავსავებდა აუზის პირქუშ, სისხლნარევ წყალში, და ბესამეს აქ თავში უეცრად კეტი მოხვდა. სულ ერთის წამით თვალთ დაუბნელდა, რექსაჩმა ისევ შემართა ხელი, და მო-უნაცვლა, მაგრამ ბესამემ დროზე უტაცა კეტზე თითები, რექსაჩი მკვეთრად დაიძაბა, ფერი დაედო, ვერ გამოგლიჯა მაინც კეტი, და გაკვირვებით დააცქერდა იმ აღსადგენელს, გაუგონარი რამ თავ-ხედობა რომ აგრძნობინა, ერთმანეთს მკაცრად შეჰყურებდნენ ბრა-ზიან თვალში, ხუანმა კიდევ — დრო იხელთა და აუზიდან დამდუღრულივით, ღრიალით რომ ახტა. ზურგზე დაეცა მიძი-ნებულ თითქოს ჯანკარლოს, და ისიც მყისვე ზეწამოიჭრა, შეხები-საგან ძრწოლადავლილი, იმის ბღავილზე ფრანსისკოცა და ტახოც მყისვე წამოფრინდნენ, გარბოდნენ. მაგრამ რას გარბოდნენ. ღა ერთმანეთს თუ შეეხლებოდნენ, კედლებს არყევდა საზარელი მათი ყვირილი, ძალადატეხილთ, რისხვანაგემთ, ძვირფასი ხორცის გა-დარჩენა სასწაულებრივ ამოძრავებდათ. რა სწრაფად მერე. ერთი-

მეორის გადასწრებას დიდად ლამობდნენ, შეფერხებისას ჯიკაობდნენ, ერთურთში ყველას ბესამე კარო ელანდებოდა, აუზის გარეთ როგორმე უნდა გაეტანათ მთლად დაბურძგვნილი სხეულები, ნაგვემი ტანის ყოველი მისხალი ქარიანობის ცაცხვებივით უფრთხიალებდათ, ასე გარბოდნენ ერთ დროს დამწყები მუსიკოსები, მოწყალმობურთნე — მერე, შემდგომ, ახლა კი, შიშის ვოკალისტები, ღრიალებდნენ, აჰ, კვარტეტი იყო? — ხმაშეუწყობი, რა თქმა უნდა, და ტიტლიკნურად, ველურად რომ გაიჭრნენ გარეთ, ღრიალზე მეტად მნიშვნელოვანი, ჰოი, როგორი დაძაბული ასაფეთქებლად სიჩუმე ჩამოწვა მთელ აუზში, რადგან წყლის ბესამეს და ხმელეთის რექსაჩს ერთი კეტისა ცალ-ცალი ბოლო მძლავრად, ღონივრად ჩაებღუჯათ და, მთლად აკრეფილნი, კვლავაც თვალებში შესცქეროდნენ ერთურთს, მერე ბესამემ კეტი თავისკენ ძალიან ნელა, დინჯად, ჩაგუბებული მუქარით მიიზიდა, რექსაჩმა იგრძნო, რომ ცოტაც და — ტანსაცმლიანა, საათიანა აღმოჩნდებოდა იმ მღვრიე წყალში, დამარცხებული თითები გაშალა, ბესამემ კეტი მომსუბუქოდ შეათამაშა ხელში, დახედა, მერე აღმადგენელს ისევ გაუყარა თვალში თვალი და, ცბიერად, ყალბი ზრდილობით ჰკითხა:

— სად მიგიტანოთ აეს წკეპლა, მონსენიორ?

აჰ, მაინც რაა დალოცვილი პროფესიონალიზმი... უთავუბოლო განრისხების, უკიდეგანო სიძულვილის მიუხედავად, რექსაჩი მიხვდა, რომ ჭეშმარიტი ვატერპოლოსთვის ვარგოდა ბიჭი.

ბესამეს კეტი მაღლა ეჭირა, სისველეს თუ არიდებდა ალბათ, და აწეული ხელის იმ მთავარ კუნთში რისი თაგვი, რაის თაგუნა — კარგა მოზრდილი ვირთხა ეჯდა.

აუზის პირას ბოლთა დასცა რიხობერტო დანიელ ჟუსტინიო რექსაჩმა, დაფიქრებული მიმოდიოდა; უთხრა მერე:

— მოზრდილთა ჯგუფში, აღდგენილებში გადაინაცვლებ ხვალიდან, კარო. თვეში სამასი პესო გექნება.

16

აშარო, კარმენ, ხედავ, რარიგად მიავიწყდა ჩვენს აფრედერიკს, აფრედერიკ მეს დაუძალებლად ამორჩეული ჟანრი? ცოტათი უნდა გავასწოროთ ეს ხარვეზი და სისულელეს ვთქომთ, მაგრამ მაინც ერთიოდ წუთით მომაპყარით თავაზიანი ყური — ლოკოკინა ხტის,

სპილო დაფრინავს, ფლეიტას ობი მოსდებია, თევზი ყმუის და მგელი წინდას ქსოვს, ცოტათი, ვგონებ, რაღაც გასწორდა იმაში, არა? — ჟანრსა ვგულისხმობ. საკვირველია მაინც, ცხოვრება, ზედ მიწაზეც და ასოთხმოციოდ სანტიმეტრით ცოტათი მაღლა, იქ, სადაც ჩვენ-ჩვენი საკუთარი და სანუკვარი დაგვაქვს თავი, რაღანაირი ჰოპ-აზრები არ მოგვდის ხოლმე და, ყველაფერ ამას, გენაცვალე, ქაღალდი უნდა — აფრედერიკისათვის მაინც.

ხოლო ბესამეს ქაღალდი სულაც არ სჭირდებოდა — აკი სველდება წყალში. არადა, თვითონ სულ აუზში ეგდო, ღრმა ვატერპოლოს ამოუხაპავ სიბრძნეთა ოთხკუთხა საბადოში, ერთ-ორ, ერთ-ორ: — გადიოდა დრო, ჩვენი ბესამე მოზრდილთა ჯგუფის სხვადასხვანაირ ხელობისა და ჯურის აღდგენილებში დიადი პოლოს მთლად ახალ-ახალ ხვაშიადებს ეზიარა, ადრეულ ხერხთა ის ანა-ბანა არსენალი აქ, ამ ჭეშმარიტ აღდგენილებში, შვიდ-რვასაათა უშესვენებოდ მოლაქლაქე ორატორთან აღუა-ჩვილის ლუღლუღსა ჰგავდა, კბილებით მებრძოლთ, აქ თავიანთი აქიმიც ჰყავდათ, შუბლშეკრულ, გორობ აღდგენილებს ფრთხილად ადებდა ძვირფას მალამოთ, ბესამეს რაღაც ქვურ კმაყოფილებას ჰგვრიდა სხვისა სხეულზე თავისი ნახელავი. ძნელი ის იყო, დაუნდობელი ქიშპის შემდეგ, ხმელეთზე უაღრესი თავაზიანობით რომ უნდა ესაუბრნათ, სულ დაშაქრული გამოთქმებით, მაგრამ ამასაც შეეჩვია, ადამიანი იყო ისიც, ბესამე. ჭამა-სმა, ტახტი, უფასო ჰქონდათ, ყოველი თვის თერთმეტ რიცხვში — სამასი პესო, და ნუგბარეულს თავისი ჯიბით ყიდულობდნენ. ახლა სხვებსავით წაბლს კანიანა ღეჭდა ბესამე, და რაგინდ კერკეტი თხილი კი არა, თუნდაც კაკალი შეხვედროდა, ნებისმიერი ორი თითით ღიმილიანად ტეხდა, თითებში ძალა გააჩნდა? — მტრისას; ერიდებოდნენ. იმ დიად კუნთში ბესამეს ახლა გატრუნული ბაჭია ეჯდა, ადამიანის სიახლოვეს ისე იცოდა იმან დაძაბვა თანააც... განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდაო, როგორც იტყვიან, წყლისა ბესამე კარში ბურთის მძლავრად ტყორცნას უთმობდა, რადგან რექსაჩმა, აქ მას ბიძიკოს ეძახდნენ და ის კი აღდგენილებს ძამიკობით მიმართავდა, ბესამეს მიერ ფიცის მიღებისას გარკვევითა თქვა: „ოფიციალურ შეჯიბრებებში ყოველი სამი გატანილი ბურთის ავტორი ჰონორარად რიკარდოს ქუჩის ბოლოში მდგარ სახლში ყოვლად უფასოდ შეშვებას მიიღებს, ორ ბურთზე — ნახევარს ფასს ვადაიხდის, ერთზე — მთლი-

ანად, ვერც ერთზე — უშემწვარხორცოდ დარჩება ხუთ დღეს. აბაა, ძამიკო“. მაგრამ სახალხოდ შეჯიბრი ჯერ არა ჩანდა. ეჰ...

ბესამეს ხელით ნატყორცნი ბურთი ისე შხუილით მიგრიალებდა, უჰ, ნულარ იტყვით, ჩვენს მტერს და მტრისას... ერთხელ, შემთხვევით, კარში მდგარ რომელიღაც ბეხლეწს მოხვდა და, გონს რომ მოიყვანეს, რვა ნაკერი აღმოიჩინა დაბალ შუბლზე. აიმდროინდელ ვატერპოლოში ვადას წუთობით არ აღნუსხავდნენ — კარის რვაჯერ აღებამდე იყო თამაში. კარგი სიტყვაა თამაში, არა?.. მოვატერპოლნე შეჯიბრებისას რიგრიგობით უნდა მდგარიყვნენ კარში, ყოველი ბურთის გატანისას იცვლებოდნენ, ასე რომ, სანუკვარი გოლების გატანა ყველას შეეძლო, თუ ძალუძდა ეს. გადახტრილ თავზე კუპრიეთით შავი საღებავით სუყველას რომელიმე ციფრი ეხატა — ხუმერი ოთხი, ანდა ხუთი, ექვსი, გინდ — საძი...

ქუჩაში გასულთ, სუყველანი ერიდებოდნენ. ერთხელ, ნაპოლეონის [1] გაყოფვისას, ერთიმეორეში ჩხუბი ქნეს ისეთი რომ, მოშორებით დავანებული მიჯნურწაგვრილი ავაზაკი ისე გარბოდა, კეფაზე ქუსლებს იტყაპუნებდა. იმ აუარება ღონის დახარჯვას, აღდგენა კარგად უნდოდა და — ოდნავ შემწვარი ძროხის ჯიგარი, ანუ ნაზად როგორც ეძახდნენ, ღვიძლი, ყველაფერს ერჩივნათ. თვით ძამიკო ბერნარდოც კი, აღდგენილებში შეუპოვრობით გამორჩეული, მოტივტივეებში ერთ-ერთი მძლეთამძლე და ყოველივესი დროისებრ ამტანი, ერთხელ საწოლზე მოკუნტული ჩამომჯდარიყო და გულამოფსკვნილი სტიროდა. აქ შეგვიშფოთდა ბიძიკო რექსაჩი:

— რა მოხდა, რა იყო...

— დღეს ხორცი არ იყო... — ამოისლუკუნა ძამიკო ბერნარდომ.

— აბა რა იყო...

— მარტო ფხალი იყო...

— როგორ თუ მარტო ფხალი იყო...

— მე რავი, მარტო ფხალი იყო, ჰიკ!

— მერედა, უნდა შეგეწვევინებინა, მზარეული სად იყო...

— აბა მე რავი, სად იყო.

— სად იყო, ვირიშვილი ეგ.

— აბა მე რავი. სად იყო.

— აჰ, ეგ ჩათლახი [2] — აღნიშნა რექსაჩმა.

---

[1] ნამცხვარიცაა.

[2] ცუდი სიტყვაა.

მერე, დასძინა:

— ნუღარ ტირი, ძამიკო. ხვალამდე გასძელ, და სამ ულუფას შოვაცემინებ.

— და ხვალამდე კი რა ვქნა?

— როგორ, მახათი არ გაქვს, ძამიკო?

ხანდისხანობით, თვალებახვეულ ჩია მუსიკოსს შემოიყვახდა ხოლმე რექსაჩი: „გადააბიჯე... ეგრე, კარგია... მიდი, მიდი, — უჯიკავებდა, — ჰოო, აი აქ დადექ და აწრუწმაწუნე". სახვევი რომ არ ჰქონებოდა, ნამდვილად გული შეუღონდებოდა ჩია მუსიკოსს — აღდგენილების ზეჯანსაღ სხეულში ისეთი კატები, ლეკვები, ციყვები, თაგუნიები, კურდღლები, ჭიაღუები, გოჭები ისხდნენ. „აბაათ, ძვირფასო ძამიკოებო, კარგად დაუგდეთ მანდჰელსონს ყური, ხედავთ, როგორი პატრიოტულად კეთილშობილი ჰანგებია? თქვენი სიფათიც შესაფერისი უნდა იყოს, ჯიგრებო..."

დაა, როგორც იქნაა, დი-იდი დღეც დადგაა — ოფიციალური ქიშპისათვის ტერუელელი მევატერპოლნე ეწვევნენ ქალაქს. აჰ, სამი გოლი!.. — რიკარდოს ქუჩა!! იმდროინდელ ვატერპოლოში ხუთ-ხუთი სხეული ერკინებოდა ერთურთს, სათადარიგო მოთამაშედ შეიყვანეს გუნდში ბესამე, ახლად აბიბინებული თავი კვლავ საგულდაგულოდ გადახოტრეს, და აღიარებულ კალიგრაფს ზედ კინკრიხოზე დაახატინეს „ა" — ალკარასის საწყისი ასო და იმის გვერდით — ნუმერი ექვსი. ოვაციებით შეხვდა დარბაზი მოვატერპოლნეთ, ვერცხლით მოოქვილ სავარძელზე თვით დიდი ჰერცოგი, ლოპეს დე მორალესი, ბრძანდებოდ-იჯდა. საზეიმო რამ განწყობილება მძვინვარებდა მთელს აუზეთში, მესაყვირეებმა რაღაცა დიდად შთამბეჭდავი რამ ფილტვების უკიდურესი დაძაბვით დასცხეს. ზედ წყლისა პირას ჩამწკრივდნენ გამზადებული აღდგენილები, მოცუნდრუკე ხალხს რიდით შეავლო თვალი ბესამემ. დარბაზი კი შეძახილებითა და აპლოდისმენტებით შეირყა, როცა რექსაჩის საუკეთესო მოწაფე, გრძელთმიანი ახალგაზრდა ადამიანი შემოვიდა, იქვე გაიხადა, ტანაცმელი ორი მხლებლის გამოწვდილ ხელებზე ჩამოჰკიდა და ალკარასელ რჩეულთა შორის დადგა. იმას თავის გადაპარსვასა და ნუმრის დაწერას აბა რომელი ჭკუათაქყოფელი გაუბედავდა, ტერუელელთა გუნდშიც ერია ერთი ასეთი, ისიც უნომრო და გრძელთმიანი, ოღონდ — მკერდზე რაღაც პეიზაჟი ეხატა. დიდი მსაჯულის გამოჩენაზე საგანგებოდ აყღერებული ჰანგებისა

ხმა ოვაციებმა გადაფარა; მსაჯულს პრიალა ფრაკი ეცვა, ყელზედ — პეპელა უბზინავდა ხელოვნური, თავზედ—მოსამართლისა შთამბეჭდავი ქუდი ეხურა. ქვედა საცვლისამარა აღდგენილების წინ საზეიმოდ წარსდგა და, კეთილი ჩვეულებისამებრ, სახალხოდ ფიცის დადება წამოიწყეს. ჯერ მსაჯული ამბობდა: „დიდი ჰერცოგის სატევარს ვფიცავთ...“, და „ვფიცავთ, ცავთ, ავთ, ვთ...“ — გუგუნებდა აღდგენილების ღონიერი ხმები აუზში, მთელი დარბაზი ჰერცოგიანა ფეხზე იდგა, „რომ ძმურ პაექრობაში ვიქნებით პატიოსანნი...“, „პატიოსანნი, ოსანნი, სანნი...“, „მართებულნი და უმწიკვლონი...“, „და უმწიკვლონი, მწკვლონი, ლონ-წკვლონნი...“ „და ერთმანეთი როგორც წყალზემოთ, ასევე წყალშიც გვეყვარება“. „გვეყვარ, ყვარ, ყვება...“ ტაშისცემამ კვლავ შესძრა დარბაზი, მერე კი იმავ მსაჯულის ნიშანზე მოვატერპოლნენი ერთურთს მიეახლნენ და ძველი ბასკური წესისამებრ, ერთიმეორეს მხარზე ემთხვივნენ, კიღამ შეჰყვირა აქ ბესამემ, რადგან ტერუელელთა სათადარიგომ, ტ-ექვსმა, დამსწრეთათვის შეუმჩნევლად და ამასთანავე კარგა გვარიანად, უკბინა — არ მოელოდა ამას ბესამე, თორემ უბრალო კბენა განაცვიფრებდა? თმოსანებმა კი ერთიმეორისკენ ფეხაკრეფით გასწიეს, შედგნენ, მერე ნელ-ნელა გადაიხარნენ, ხელი წაიშვირეს, საჩვენებელი თითს წვერები ერთმანეთს ისე ფრთხილად დაჰკრეს, უთოს სიცხელეს ამოწმებდნენ თითქოს, და სიმხურვალისგან მყისვე უკუგახტნენ. ყოფილი თოთხმეტფუთიანი ღორის ფაშვი კენჭისყრით ტერუელელებს ერგოთ, სიამისაგან გაიბადრა იმათი მწვრთნელი, აღტაცებულმა, გაურკვეველი მისამართით ასე ჩაილაპარაკა: „შენი ჭირიმე, შენი გვარში გასათხოვარი...“, იქვე რექსაჩაც დაიგინა, ოღონდ სხვაგვარად, და აღდგენილებს უკანასკნელად მიაჩურჩულა: „კარგად გახსოვდეთ მანდჰელსონი“.

ქიშპი დაზვერვით დაიწყო, ხალხნო. ბურთი მეკარეს ჩააბარეს ტერუელელებმა, მეტოქეები ფრთხილად დაწყვილდნენ, ოღონდ ერთიმეორისაგან ფეხმიუწვდენელ მანძილზე ძალიან ფრთხილად ტივტივებდნენ, გაბედულები ხელს წამქეზებლურად გაიშვერდნენ ხანდახან — მტაცეო, აბა, თუ ბიჭი ხარო, თითები, აბა... სულგაკმენდილი დარბაზის დუმილს მხოლოდ შხეფების მცირედი ხმა არღვევდა ზოგჯერ, უჩვეულო დაძაბულობა იკლაკნებოდა მღვრიე წყალზე, და უცებ ალკარასელთა ნუმერმა სამმა დამუშავებული ილეთი იხმარა: ბულბულივით იცოდა სტვენა, ისე ბაძავდა, ხნიერ კა-

ტასაც კი შეაცდენდა, და. მისკენ ზურგით მოტივტივე ტერუელელთა ნუმერმა ოთხმა გაკვირვებით რომ იბრუნა თავი — აუზში ბულბულს რა უნდოდა?! — ალკარასელთა ნუმერმა ოთხმა თავისი ქვედა კიდურებით მარჯვენა ფეხი ფიქრის სისწრაფით გამოუჭირა და, მენდელსონით სახეზე, მეტოქეთა გადაწყვეტილებას ელოდებოდა. აქ ტ-მეოთხეს, დედიმისის შვილი იყო და რამე ეღონა? — წამსვე გადაემტვრეოდა ფეხი, მორჩილად გაყუჩებულიყო უნდა, ხოლო მის ნიშანზე, ნიშნად ენის გამოყოფა ჰქონდათ, მეკარე ბურთს ალკარასელებს თუ არ დაუთმობდა, წასული იყო ჩვენ რომ ვიცით, იმ ფეხის საქმე. ყოფილი ფაშვი ალკარასელთა ნუმერ სამს დამსახურებულად გადაეცა, მაგრამ იმისკენ მოკლედ ჩაილრინა რექსაჩის საუკეთესო ძოწაფემ, მყისვე მიიღო შეშინებული პასი, მეტოქეთა კარისაკენ მძვინვარე ცურვით, დაუბრკოლებლად გაეშურა, თანაც ფაშვს ხელებშუა ანანავებდა, მერე, შემართა მრისხანე ხელი, დაიქნია და აჰ, რარიგ ერთხმად აგუგუნდნენ მაყურებლები, როგორ ერთგულად სკანდირებდნენ: „ალ-კა-რას, კარრას!“, და რექსაჩმაც ნერვიულობით თავიდანვე აქავებული ზურგი მხოლოდ ახლაღა მოიფხანა, ა-მეოთხემ კი ტ-მეოთხეს დაუბრუნა ფეხი.

მეკარეები გამოიცვალნენ, განრისხებისგან მთლად ფერწასულმა ტ-ების თმოსანმა სიმწრით სულ თითზე კბენანი ჩაიტარა — როგორი ამბავია, ფაშვი შენ გქონდეს და, ბურთი კი იმათ გაგიტანონ? სავარაუდო ცენტრიდან განაახლეს ტერუელელებმა თამაში, ბურთი მეკარეს გადააწოდეს. ისევ სიჩუმე და ფრთხილად ტივტივი დადგა, მერე კი ტ-თმოსანმა ჰაერი მოშიებულივით, ძალიან ღრმად შეისუნთქა და, მღვრიე წყალში გაუჩინარდა. აქ რისხვიანად აფართხალდა ა-თა თმოსანი, ხელ-ფეხს წინ, განზე, გამეტებულად იქნევდა, ჩაყვინთულს რომ არ ეტაცნა ხელი, მაგრამ ტერუელელებსაც მოეძევებოდათ ხერხთა არსენალში საუცხოო ილეთი: ტ-თმოსანმა ყვინთვით აუზის შორეულ კუთხეში გასწია, იქ ა-მეხუთეს ფეხი ჩაუბღუჯა და თანამოილეთე ტ-მეხუთეს გადააბარა, თავად კი უკან გამოეშურა, და სწორედ ძველ ადგილას უწყინრად ამოყვინთა, რადგან მღვრიე წყალშიც კი შესანიშნავად ერკვეოდა ორიენტირებაში, და თან იმასაც, ოხერს, სულ ზედმიწევნით სცოდნია მენდელსონი თუ ვიღაც იმგვარი, ხოლო ენაგადმოგდებული ა-მეხუთეს გამო ვერავინ დაესხა ჯერ ტ-მეორეს, რომელმაც მეკარის მიერ გადმოწოდებული ბურთი ტ-მესამეს გადასცა, იმან — თავიანთ ქოჩორა კაპრალს და

კაპრალმა კი ძლიერი ტყორცნით ფაშვი ბადეში მოათავსა. წარმოიდგინეთ, აქა-იქ კანტიკუნტა ტაშიც გაისმა — ისევე, როგორც ყოველ ქალაქში, სხვაგან არსად იყო ალკარასელებისთანა ობიექტური მაყურებელი.

ა-თა ბადეში მეორე და მესამე ფაშვიც რომ გაეხვია, თუმც სულ არ იყო თუჯკაცას ბრალი, ხმელეთზე იდგა იგი, მაყურებლები ერთხმად აყვირდნენ: „რექსააჩ, მეწაღეე!, რექსაჩ, შე ფუნაა!“, ყოველივე კი, სინამდვილეში, ტ-მეორისა გამოისობით გახლდათ — იმან ა-მეორეს ვითომც შეცდომით, დროებითად დაუთმო ფეხი, გახარებულმა ა-მეორემ მაგრად ჩაბღუჯა საჩუქარი, მაგრამ შემწირველს კონტრილეთი სცოდნია რაღაც, და იქვე ენაგადმოგდებულმა ა-მეორემ ბურთი მუდარით მოითხოვა, გადააწოდეს, იმან კი მოწინააღმდეგეს დაუთმო ფაშვი. მესამე ბურთიც, როგორც იტყვიან, ანალოგიურად გავიდა — გაბრაზებულმა ა-მეორემ ისევ მიიღო ცბიერი ფეხი, წინა შეცდომის გამოსწორებას საგულდაგულოდ შეეცადა და ოთხივე კიდურით ისე ჩაბღუჯა, ქვასაც კი ზეთებს გაადენდა, მაგრამ კვნტრილეთის მთელი მადლი იმაში იყო, რაც უფრო მონდომებით ირჯებოდა შეტყუებული, უფრორე სჭრიდა.

აქ ტაქტიკური გადაადგილება მოხდა: ტ-მეორესთან ა-პირველმა გადაინაცვლა, მაგრამ ნუგბარა მისატყუარით ისიც ხაფანგში აღმოჩნდა მალე, ა-თა თმოსანს კი, გავეშებულს, იმისი დარდი სულაც არ ჰქონდა, უსოლიდარო ნაბიჯი გადადგა — ვითომც, აქაოდა, ენაგადმოგდებულს ვერა ვხედავო, ფაშვი არ დათმო, სამი ბურთის გატანით შეპყრობილმა, საკმაოდ შორიდან იკისრა ტყორცნა, და მძლავრად სროლა კი გამოუვიდა, მაგრამ რად გინდა — რომელიღაცა გულშემატკივარს მუცლის ჯიბეში ღრმად ჩამალული ოქროს საათის ბროლისა შუშა გაუტეხა მხოლოდ, ფეხმოტეხილი ა-პირველი კი აქიმთა დასმა გასახდელისკენ გააქანა, საქმიანად და უგულო გენაცვალეობით დაჰფუსფუსებდნენ, კოხტად მოარგეს წინასწარვე გამზადებული ნედლი არტახი, ხოლო ტერუელელებმა ამასობაში მეოთხე ფაშვიც გაიტანეს.

ბატონებო, ეს — ნამეტანი იყო უკვე, მთელი დარბაზი გრანდიოზულ საცივგადასხმულივით იჯდა: როგორ, შენს პროვინციაში თამაშობდე, კუთვნილ ქალაქში, მშობლიური აუზის წიაღსა და ღვიძლ მღვრიე წყალში და, ჯიგრიანი თანაქალაქელების წინაშე, ოთხით ერთს აგებდე? აჰ, ბატონებო, აჰ... და, წამოიჭრნენ, დააღეს

ხახა, რექსაჩს ფუნობაც აღარ აკმარეს, ხოლო ვიღაც ერთი ჭეშმარიტი ინტელიგენტი ასე ყვიროდა: „თქვენ, როგორც მწვრთნელიიი, ორივე ფეხით მოიკოჭლეებთ, სენიორ რექსააჩ“, „გაბზარულ რკინაცს კი ცალკე გაეხმო სათადარიგო მოთამაშე და გამალებული უჩურჩულებდა: „ყური დამიგდე, აბა, შენ იცი, ჩემო ბესამე, ახლა შენზეა დამოკიდებული მთელი ქალაქის ღირსება და სინდის-ნამუსი და, ორ გოლზედაც კი, სიტყვას გაძლევ, რიკარდოს ქუჩის ბოლოში ყოვლად უფასოდ გატარებ ოთხ დღეს, აბა, შეხედე...“ და ქურთუკი ოდნავ გადაიწია, სათადარიგოს საიდუმლოდ დაანახა სარჩულზე მიკრული ზენეტარული ზესაოცრება — ერთი მხატვარის, გვარად რუბენსის, უსაცვლებო ქალის მომცრო რეპროდუქცია, დაჭიმული ქურთუკის შიგანს გაოგნებული თვალების წინ უტრიალებდა, „დღეს თუ ივარგებ, ასეთ ქალთან იკუნტრუშებ ბუმბულზე, კარო...“ და ა-პირველის სანაცვლოდ წყალში თავით გადაეშვა აღგზნებული ჯეელი.

სუნთქვა შაჰკარით, ბატონებო, პატარა ხანიც და — ახალი ერა დაიწყება ვატერპოლოში, ჩვენ სუყველანი ამისა მოწმე ახლავ გავხდებით, და ვიტრაბახებთ მეზობლებსა და უცნობებში ამაყად მერე, რომ სანახაობას დავესწარით ძლიერს და ისეთს, თვით ზვიგენსაც კი გააკვირვებდა, ფანტასტიკურად რომ დავუშვათ და რომ გაგვეშვა იმ მღვრიე წყალში:

ზვერვით იწყება ყველაფერი, ძვირფასოებო, და ეს ზეუცხო სანახაობა გამონაკლისი აბა რად უნდა ყოფილიყო — დაწყვილებულნი, დატივტივებდნენ, — ჯერ. გამოზომილად ამოძრავებდნენ ვირთხაკატოვან კიდურებს წყალში, ათ-ათი ყური გამოებათ, თვალი — კიდევ უფრო მეტი, დაძაბვისაგან სხეულზე სულ ერიალი გადასდიოდათ, ბურძგლი დასხმოდათ, მაგრამ მთავარი — გუმანი იყო... რაღაც დიადის მოლოდინში გაყუჩებულ მაყურებლებს — ვინ თქვა, წინათქმა არ არისო — ტანი უგრძნობდათ რაღაცა დიადს, კისერწაწვდილნი, სანახაობის ერთ გოჯს იგებდნენ, ტუჩმოკუმულნი, დაბერილი ნესტოებით სუნთქავდნენ გულსულშიგანშემატკივარნი და, ვიღაცამ ხველაც რომ დაიოკა, სწორედ აქ, ამ დროს, ბესამემ მუხლთან აიმ ვერაგი მოილეთის ფეხისწვერისა ცაცუნი იგრძნო.

სწვდებოდა, აბა როგორ არ სწვდებოდა, ასეთ საჩუქარს მიიღებდა კი არა, მთელის არსებით ჩაბღუჯავდა, აჰ. ისე ავად ჩაეხუტუ-

ნებოდა, მაგრამ ბესამეს დიდი რამ ნიჭი ამოუმეღავნდა — ქალაქად მოხვედრილი სოფლელის მსხმოიარედ უცნაური ეშმაკობა სჭირდა, და ქიშპს ანგარიშმიუცემლად არ აჰყოლია — აქავებულ ხელ-ფეხს იოკებდა, დიდის წვალებით, მაგრამ მაინც იმორჩილებდა, ტ-მეორე კი კვლავ გულუბრყვილოდ სთავაზობდა მითომ-უბიწო ფეხს, აჰ, რა საჩუქარს, აჰ, მაგრამ ბესამე თუმც უმოქმედოდ დატივტივებდა, დროს არ ჰკარგავდა, გამალებული ფიქრობდა რადგან, თანაც, ტანჯული წინამორბედის გადატეხილი წვივი გამაფრთხილებლად ჩამოჰკიდნოდა ფიქრების ცაზე, და, საუცხოო რამ გადასწყვიტა! — ჯერ ერთი ფეხი შემოაქდო ვერაგ საჩუქარს, ტ-თა მეორეს თვალთა სიღრმეში ღიმილ-ბოროტმა გაჰკრა, ბესამემ ცალი ხელიც შეაშველა ვითომცდა ფეხს და, ვითომც ამისთვის გადაიხარა და, უცებ მეორე, რკინისთითება, შიგ ყრონჭში სტაცა!.. ტ-თა მეორემ აქ კი მართლა გადმოაგდო ენა, ფაშვი ბესამეს მსწრაფლ დაუთმეს ტერუელელებმა, და თუმცა ა-თა მრისხანე კაპრალი უყვიროდა: „გადმომაწოდეე!“, ბესამემ ბურთის ხელთაშუა ნანავით მეტოქეთა კარისკენ ძალუმი ცურვით გასწია, მაგრამ თვალის კუთხით იმასაც მოჰკრა თვალი, ტ-თა კაპრალმა რომ ჩაყვინთა და, სწრაფად იაზრა, განზე გაცურდა, ფაშვიანი ხელი შემართა, იყო, იცდიდა, ტ-თა კაპრალმა კი მღვრიე წყალში ბესამეს ფერხთა უშედეგო ძებნის შემდეგ გაკვირვებულმა რომ ამოყვინთა, ბესამემ შიგ სახეში უსწორა წყლით გაჟღენთილი მძიმე ფაშვი და აჰ, როგორ დაუნდობლად ხეთქა, არეკლილ ბურთს თვითონვე დაეპატრონა, აქ მეორედაც დაიქნია მძვინვარე ხელი და მეკარეს ისღა დარჩენოდა სანუგეშოდ, ბადის ერთ-ერთი გაგლეჯილი ნაწილი რომ არ იყო, „ბესამეე, ხმეცოოო!“ — მოფერებით და აღტაცებით ყვიროდა ხალხი, საზოგადოება, აქიმთა დასი კი ტ-მეორეს და ტ-თა კაპრალს პუნქტისკენ ციმციმ მიაქანებდა, ახლახან ცბიერთ, ახლა — უგონოთ. მძლავრი ხელები ჩამოჰკიდნოდათ, სისხლისგან სხვაფრივ შეღებილიყო ტ-თა კაპრალის მკერდისა პეიზაჟი, „ბესამეეე, ბრავოო, ბესამეეე, საღოლ!“, ჰყვიროდა ხალხი, ხოლო ა-თა კაპრალი წეღანდელი ურჩობისათვის დასასჯელად მიუცურდა და როგორც კი შეჰსისინა: „ფაშვი რატომ არ გადმომაწოდე, შე შობელძაღლო!“, ბესამემ მყისვე გადაუტეხა ნეკა და ცერი — ვატერპოლოსთვის უაღრესად საჭირო ეს ორი მთავარი თითი, ფაშვის ჩასაბღუჯი ალფა და ომეგა.

ტ-თა ფერმიხდილმა მწვრთნელმა კი გაცრეცილი ტუჩი მოიკვნიტა და სულ სხვა ტაქტიკა იხმარა — რადგან წამყვანი და ცბიერა მოთამაშეები წყალ-ხმელეთშუა გამოეცალა, ორ ბრგე, უზომოდ ღონიერ სათადარიგოთ წყალში ჩაზღართანება უბრძანა — ძალისმიერი მებრძოლნი იყვნენ, მაგრამ ბესამე აწყვეტილი იყო შარვლის უბრალო ღილივით კი არა, არამედ ზვავივით, და მინამ სამთა აგრიგალება ჩაწყნარდებოდა, ა-თა ბერნარდომ ისარგებლა და ორი ინდივიდუალური გარღვევის წყალობით ფაშვთა ანგარიში გაათანაბრა, ამასობაში სამთა ორომტრიალიც ჩაცხრა და ესპანურად-ექსპანსიური მაყურებლები უმაგალითო და მბზინავი შხეფების გამო აქამდე ბრძოლას თუ ვერ ხედავდნენ, თვალნათლივი და საუცხოო შედეგი იხილეს აწ — ორთავ ძალისმიერ მებრძოლს ხაოიანი ენა გადმოეგდო, წყალთა ბესამე კი გადაცემას ითხოვდა, რაღა თქმა უნდა, მიიღო კიდეც, ტ-თა კარისკენ სულ ნახტომ-ნახტომ გასწია და ისეთი ძალით სტყორცნა ბურთი, რომ მომდევნო ტყორცნაზე ტ-თა მეკარემ უმალ ჩაყვინთა, ტ-თა მწვრთნელი კი აუზის პირას გონმიხდილი ჩაიკეცა და გულისწასვლა ჰქონდა პირწავარდნილად ღრმა და იგეთი, რომ აქიმთა დასის ყველაზე გონებამახვილმა წევრმა მეყვსეულად იქ სტაცა ხელი; მთელი დარბაზი კი, ალკარასული საზოგადოება, ხალხი, ისეთის ძალით სკანდირებდა: „ბე!, სა!!, მე!!!, ბე!, სა!! მეეე!!!“, — რომ არამცთუ მთავარ მსაჯულს, არამედ ძალიან შორს, თივაში შემძვრალ, მთელ ღამენათევ მიჯნურწაგვრილ ავაზაკსაც კი გაეღვიძა და თვალებს გულდასმით ახამხამებდა, სმენა დაძაბა იდუმალ სარკმელთან მოფარებით მდგარმა დონნამ და ერთხანს ისეც კი მოეჩვენა, თითქოს მის ყოფილ მეტრფეს ხვდებოდა ასეთი დიდის აღფრთოვანებით ხალხი, მაგრამ აჰ, არა — აღფრთოვანება სულმთლად ბესამეს ეკუთვნოდა, რომელიც ახლა, გასახდელ-ჩასაცმელშიაც კი, კვლავაც შეუწყვეტ კეჟლისმილმა ბარაქალოებს კმაყოფილებით გაზიზინებული უსმენდა, იქვე ყურჩამოყრილი იჯდა ა-თა კაპრალი, და ბესამემ, უპირატესობა საბოლოოდ რომ განემტკიცებინა, თქვა: „აეგ ჩემი შარვალი მომაწოდე, ვაქკაც- ეგრე“, ხოლო უმთავრესი რამ აღტაცება მაშინ ელოდა, როცა რექსაჩმა გარეთ, ქუჩაში გაიყვანა, ხელი მსუბუქი მოფერებით უბიძგა, და, უთხრა: „მე ფულიანა უკან მოგყვები, შენ კი, ბესამე, აბაა, სმენა-ა, რიკარდოს ქუჩის ბოლოსკე-ენ... იარ!“

როგორ გადის დრო?!

რა შეუმჩნეველად, ვითომ...

საკვირველია პირდაპირ, მაგრამ, მაშინაც, თურმე, ფული ძალიან კარგი რამე ყოფილა თურმე — საჭმელი გინდა, სასმელი გინდა, ქალი გინდა, ტანსაცმელი გინდა თუ ბრილიანტის ბეჭედი გინდა თუ მოხარშული საზამთრო, პატივისცემა გინდა, მოკლედ, რა გინდა... — ყველაფერი ახლდა.

ოღონდ თუკი გქონდა.

ხოლო თავქოჩორა ბესამეს — ძალიანაც ჰქონდა. სხვა რომ არარა, კაპრალობისთვის — რვაასი პესო. ეს იქით იყოს, ყოველი გოლი ფული არ ღირდა? ესეც რომ არა, გულშემატკივართაგან შეძლებული ხალხი — ჰერცოგები, მემწვანილეები, ქალაქისთავები, ოფიციანტები, მეხეტყეველები, ადმირალები, ჰერცოგთათვის სარგებლიანად მეფილოსოფოსოები, კონტრაბანდისტები თუ სხვა, რჩეულ მევატერპოლეს ყოველი მტკივნეული ილეთის ჩატარებისათვის უხვად აყრიდნენ საჩუქრებს თავზე, დააზიანებდნენ თუ რა — ბესამეს, ამაყს, იმოდენა ქოჩორი ედო. ახლა, გულმფრქვევად დონნებს აღარ იკითხავთ?! სარკმელში ღამით შემოსროლილი ძვირფასთვლოვანი მედალიონი და შიგ თმის კულული და ხოლო ირგვლივ დასუნამოებული გრაგნილი და გრაგნილზე კი: „საიდუმლოდ ატარეთ. კ-ს. ტ., პ.“ ბესამე კეცვად ოქროს გადახსნიდა, კულულს სულისშებერვით გააცლიდა ნივთს, ნივთი ა-თა რომელიმე თავგადახოტრილს მიჰქონდა, გრაგნილი და კულული ბუხარში აღესრულებოდა, ბესამე უგულოდ ამთქნარებდა, ხოლო ამასობაში ა-თა რომელიმეს ფული მოჰქონდა, არა უშავდა-რა ცხოვრებას, თითქოს...

ჰოიი, რა კარგი იყო ქუჩაში გასვლა, ოიი... ისეთი რა წვიმა უნდა მოსულიყო, ბესამეს ორმოციოდ თაყვანისმცემელი მაინც რომ არ ასდევნებოდა. გოროზად ბიმავალს, ყურში თაფლად ეწვეთებოდა აღტაცებულ-მორიდებული: „ეს ბესამეა... ბესამეა ეს, დიდი ბესამე...“ მზიან დღეობით უფრო დიდი რამ კუდი ახლდა, ფერადფერადი, ჭრელა-ჭრელა, თანაც, აზნექილ-ჩაზნექილი — თაყვანისმცემნი სხვადასხვანაირი სიმაღლისანი იყვნენ, სამოსიცა და პირადი ასაკიც განსხვავებული ჰქონდათ, გულშემატკივრები ხომ უცნაური ხალხია... შემოხვედრილნი ჯერ მოწიწებით, პირ-დაბნეულ-გახა-

რებულ-ღიმილიანნი, დაუთმობდნენ გზას, ყოველივესი ამტან კუდს შეერთვოდნენ, მიაბიჯებდა დიდი ბესამე დაპყრობილ ქალაქ ალკარასში, მომცრო სარკმელთან შეჩერდებოდა, გაისუსებოდა წამსვე. კუდიც, ბესამეს წაბლიან პეშვს გამოუწვდიდნენ, ფულს არ ართმევდნენ, მხრებს ვითომცდა გაკვირვებით აიჩეჩავდა ხოლმე ბესამე, და, კიდევ კარგი, წაბლს კანიანა ჭამდა ხოლმე, რადგანაც, სხვაფრივ, ჩენჩო ქვაფენილზე რომ დაეგდო, სუვენირისთვის ერთმანეთს ნაღდად დახოცავდა ალკარასული საზოგადოება, ხალხი. ეს იმიტომ რომ... ეს იმიტომ, რომ დიდმა ბესამემ პატარა ქალაქ ალკარასის ოთხმარცვლოვანი სახელი სრულიად ესპანეთში ღირსეულად და გადასარევად გაიტანა: ვალენსიაში — რვით სამი და, სარაგოსაში — რვით ერთი; ალბასეტეში — რვით ორი და, სეგოვიაში — რვით ხუთი; პენიაროაში — რვით სამი და ტარაგონაში — აღარ მახსოვს; ვალიადოლიდში, ბურგოსსა და პამპლონაში შესაბამისად — რვით ერთი, რვით ნოლი და რვით ნული; ბადახოსში — რვით არცერთი და მადრიდში [1] — რვით მხოლოდ ერთი... ადამ თამაშთა შუალედებში მუდამ მშობლიურ წიაღს უბრუნდებოდნენ, იყო დახვედრა, ერთი, მეორე, ბრავო, ტუში და ყვავილები, „ერთ მერხზე ვისხედით, — ამბობდა ტახო, — თუ ვიტყუებოდე, ფინთი ვიყო...“ — მაგრამ არც ერთი მდედრი არ უჯერებდა. რექსაჩს მგზავრობაში საგანგებოდ მიჰქონდა ბესამესათვის საჭმელ-სანოვაგე-სასმელი, რათა დამხვდურთა თავაზიან მზა-მზარეულებს თამაშის დღეს კერძში კუჭის მოსაფონფმლოვებელი რაიმე ეშმაკობა არ შეერიათ. როცა ბესამე ვარჯიშობდა, ჩაცუცქული რ. დ. ჟ. რექსაჩი სადმე მინდორში ცვრიან მწვადთათვის ქვაზე ხახვსა სჭრიდა, თამაშის შემდეგ კი, სტუმარ-მასპინძლობის წმინდა ადათით. იყო ბანკეტი და ბროლის ჭურჭელიი... ბესამეს მადა კარგი ჰქონდა.

სახელგავარდნილ ა-თა კაპრალს ბევრი რამ ფრიად უნდა სცოდნოდა და ეცოდინებოდა, მა რა: ა-თა მეორეს შაირთა შეთხზვა ემარჯვებოდა, ოღონდ სხვისათვის ცოდვილობდა — ბესამე აქაც გამორჩეული უნდა ყოფილიყო, და ერთხელ, ლებრიხაში, მატჩისწინა პრეს-კონფერენციაზე მოწინააღმდეგეთა კაპრალს საკმაოდ უნიჭო ტაეპზე ასე უპასუხა:

---

[1] მადრიდი—ქალაქია ესპანეთში.

გლადიატორი სპარტაკი
იყო თრაკიელი მონა,
ჩემი გუნდი — ოტელოა,
შენი გუნდი — დეზდემონა,
და-გახ-რჩობთ!,

და ამით ტაში გამოიწვია, რომელს არ გვიყვარს ენამახვილობა, ვიღას ახსოვდა მენდელსონი.

რა გამოლევდა შემოსავალთ... თუნდ კორდოვაში, ვთქვათ: „სენიორიტა მიყვარს ერთი და... — ღელავდა განზე გამომხმობი კო-თა ნუმერი სამი, — გამატანინეთ, რა იქნება, თუ შეიძლება, დიდო ბესამე, ორი ბურთი, რაა...“ „რად გინდა, ბიჭო...“ „თავს შევაყვარებ“. „რამდენს მომცემ რო...“ „სამ ათასს, დიდოვ“. „კარგი,—დიდსულოვნად დასთანხმდა ბესამე, მაგრამ დაამატა: — ოღონდ თითო ფაშვზე“.

ქალაქის თავის განკარგულებით, ძველ სახლებს წუთში აძტვრევინებდნენ, რა გამოლევდა შემოსავალთ. ოღონდაც, ღამით სჩადიოდა ამას ბესამე.

ისე კი, სხვა დროს, ბნელ ღამოობით, როგორ გგონიათ, რაღაცა აკლდა? არაფერი, არა, ნავარჯიშევსა და ბარაქიანა ნავახშმევს, კუნთურის ძილით ღრმად და ღონივრად ეძინა ხოლმე, დილაადრიან გამოღვიძებულს, ეზიდებოდა მღვრიე წყალი, დგაფუნა ტალღა, საღამოობით — რიკარდოს ქუჩის ბოლოსკენ სულ სტვენა-სტვენით, პესოებიან ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მიეშურებოდა ხოლმე, პატარა ხანიც და — იქავ იყო, განლუქულ ოთახში სავარძლის ზურგზე მძლეთამძლურად გადაწოლილს, ხელები თავქვეშ ამოედო, ხოლო თითო მუხლზე ორ-ორი პატარა ცელქი როსკიპი უჯდა. ერთი — მძლავრ მკერდზე ეფერებოდა, მეორე — ფორთოხლისა და ბროწეულის ნარევს ასმევდა, მესამე — ღილებს უპრიალებდა და მეოთხე კიდევ, რაღაც. მერე ერთ-ერთთან ცალკევდებოდა და წყვილდებოდა დიდ-დიდი ბესამე, იმნაიროვან ღამოობით — უფრო ეძიხა, მაგრამ, დაიჯერებთ? — რაღაცა მაინც აკლდა ხორცთ და, კონსერვატორიის ერთმა მასწავლებელმა, გვარ-სახელად ბაბილონია კარტუზომ, იყო ასეთი, შესანიშნავი რამ ურჩია ქალაქის თავს და, აღასრულებინა კიდეც:

ყოველი დილის შვიდის ოც წუთზე სამრეკლოს თავზე მოექცეოდა ხოლმე ბესამე, ფეხებს ზედ მაგრად დააჩაჩხავდა, ქამარში ორ-

ფა სატევარივით გაჩრილ ტრომბონს დააძრობდა, მოიმარჯვებდა, რაღარანაირ, დიდ-პატარა ქალთა მცოდნე ტუჩებზე მრგვალად მიიჭერდა და, ქალაქში სიფრიფანად დაკიდულ დილის ჯერაც ნედლ ჰაერს ჭურვივით მკვეთრად და მრისხანედ მიაპობდა სამხმოვანებით გაწყობილი, მაჟორულ ყაიდაზე აგებული მძლავრი ოქტავა: რეე!, ფადიეზ., ლაა!!, რეეე!!! — და ამა ხმაზე ეღვიძებოდათ ალკარასელებს, შვიდის ოც წუთზე მადრიდის [1] დროით, ზუსტად, და დროის ასეთ მკაცრ წუთიწუთობას მაინცდამაინც ნუ გაიკვირვებთ, რადგანაც სწორედ ამა დროს თავის დროზე დაბადებული იყო პროვინცია მურსიის მთავარმართებელი დიდი ჰერცოგი დიადი ლოპეს დე მორალესი.

ამაშიც კიდეენ — ათასი პესოო. შეჯიბრ-გაცდენა, რაღა თქმა უნდა, საპატიოდ ეთვლებოდა, დიახ.

ახლა კი, მართლა აღარაფერი აკლდა — მოვატერპოლე ხომ იყო და იყო, და მემუსიკეც გახლდათ და გახლდათ, წონას მატებდა, აღაზევებდა ხალხის თვალში ეს — თან, ათლეტი და, თანაც, ჰანგმტყორცნა... ჰოიი, რა კარგი, გადასარევი იყო პირდაპირ ქუჩაში დინჯად სეირნობა, მის დანახვაზე ატეხილი ცხელი ჩურჩული, ცქვიტ ყურებამდის ძირითადად თანხმოვნებად მოღწეული: ეს ბსმ-ა, დდ ბსმ... — სიამოვნებდა ყურს, უხაროდა თვალს, არკი იმჩნევდა, და მოსირმული ტანსაცმელი უბზინავდა ეჰა, იმდენის მომსწრე მზეზე, სუნამოუხვადნაპკურები, აღებულ ქალაქ ალკარასში რიგითი ფეხოსნების წინ მიდიოდა დიდი ბესამე — მევატერპოლე და ჰანგამწევი ერთდროულად, კი... მაგრამ ცხოვრებაში რაღა არ ხდება და, ეს ეხაში კაპრალი დახვდა? — არც დაიჯერებთ: ერთ რაღაცა დროს მუსიკოსი ყოფილა აგრეთვე იგი. და მატჩისწინა, ბუნების წიაღში აუცილებელი დასამეგობრებელი გაბაასებისას, თავიდან რაღაც საერთო ნახეს:

— თქვენ რაზე უკრავდით, სენიორ? — ე-თა კაპრალმა იკითხა ასე.

— მე ახლაც ვუკრავ. ოღონდ ტრომბონზე. და თქვენ, სენიორ? — დიდმა ბესამემ იკითხა ასე.

— მე ვალტორნაში ვბერავდი ჰაერს, დონ ბესამე.

— კარგი საკრავია ვალტორნა, დონ.

ძალზე ციოდა, ოღონდ სხვათათვის, აესენი კი წელზემოთ შიშ-

---

[1] კარგით რა, მერამდენედ უნდა ამახსნევინოთ.

ვლები ისხდნენ მინდორზე და კუნთებს მალულად უთვალიერებდნენ ერთმანეთს, ისე კი, მოწყვეტილ, გაუჭირდებოდათ ეს თუ რა, მოგვიანებულ ბაბუაწვერებს უბერავდნენ სულს, ვითომ.

— თუ შეიძლება, ერთი რამ გკითხოთ, სენიორ?

— ბრძანეთ, სენიორ.

— თქვენ თავის დროზე რა ვერ ჩააბარეთ, დონ?

— მე თავის დროზე ჰისტორია ვერ ჩავაბარე, დონ.

— ჰისტორიაო? — გაოცდა ე-თა კაპრალი, — ისტორიის ჩაბარებას რა უნდა, იგი ხომ შავით თეთრზე სწერია, დონ?

— ხოლო თქვენ, სენიორ? — გაღიზიანდა დიდი ბესამე, — ხოლო თქვენ რაღა ვერ ჩააბარეთ, დონ?

— მე ჰარმონიაში ჩავიჭერი.

ელაპარაკე, ამას!

— ხოლო ჰარმონია, პატივცემულო, ნამდვილ მუსიკოსს სულში უნდა ედგას, პატივცემულო.

ე-თა კაპრალიც აიმრიზა:

— მაშ, თქვენის აზრით, მე ნამდვილი მუსიკოსი ადრეეეც არა ვყოფილვარ, არა?

— არა, — პირშიმთქმელურად უთხრა ბესამემ.

— როგორ თუ — არა?

— ეს თქვენვე ბრძანეთ.

— არა, ასეთი რამ ჩემს ბაგეებს არ დასცდენიათ, — თქვა ე-თა კაპრალმა, ისეთი მსხვილი ტუჩები ჰქონდა, ლაპარაკობდა ძლივს.

— ნამდვილად დასცდათ, მოწყალეო ხელმწიფევ, — ამაყად მიუგო ბესამემ, — ჰარმონიაში ჩავიჭერიო, შენ არა ბრძანე?

— მერედა, ამით რა გინდა რომ თქვა, ბიჭო?

— რა და, ბიჭიკო, ნამდვილი მუსიკოსები ჰარმონიაში რომ არ იჭრებიან, ის.

— ამას ჩვენ წყალქვეშ დავაზუსტებთ, ჯორო, — თქვა ე-თა კაპრალმა. კარგა-ზე მეტად ჯანიანი იყო ის.

— ნამდვილად დავაზუსტებთ, ვირრო, — ქედმაღლურად შეეპასუხა ბესამე, ჯანიანობით აბა რომელი გააკვირვებდა, მძლეთამძლე იყო იგი. თუმცა, გარკვეულ წინააღმდეგობას მაინც გადააწყდა, რადგან ალკარასში დაბრუნებულს, ჰკითხეს:

— თვალზე რა დაგემართა, ბესამე?

— ეგ არაფერი, შენ ის უნდა გენახა. სხვა, როგორა ხარ, რასა იქმ, ჰაა?

ჭალად მიმავალს, გოგო შემოხვდა, ჭალის რამონა.

— რამდენი ხანია, აღარ მინახავხარ, გოგო, — დაურიდებლად ათვალიერებდა ბესამე, — გამოცვლილხარ, აი.

— ორი წელია.

— კარგად გამოცვლილხარ, ძალიან კარგად, — სჭვრეტდა ბესამე, — რაღაც-რუღაცები დაგტყვია ტანზე. ასე უნდა, აბა... არაა დრო თუ?.. რამდენისა ხარ?

— ჩვიდმეტის.

— ძაალიან კარგი, —აღნიშნა ბესამემ, — ეგება ხომ არ გათხოვილხარ, ჰა?

— არა.

— მერედა, ჭალაში არ გეშინია? ასეთი კარგი, მშვენიერი, ქორფა...

ცხრამეტი წლის მუტრუკი და, ჩვიდმეტი წლის გოგო.

— მშვიდობით.. წავალ...

— სად უნდა წახვიდე, აბა რას ამბობ? — თქვა ბესამემ და მაჯაში ჩასჭიდა მხოლოდ ცერა-თითი, მაგრამ ისეთი...—წამოდი, ტყეში წავიდეთ, გოგო.

— ტყეში რა მინდა...

— ტყეში ერთი ძალიან კარგი რამე უნდა გასწავლო, გოგო, წამოდი, წამოდი, შენ განა კარგი გოგო არა ხარ? დამჯერი.

— გამიშვი ხელი!

— წამო, კუდრაჭავ, თორემ წელში გადაგტეხ, ეს კი ცუდია, — ამბოდა ბესამე და მახლობელ ტყისკენ ჯერ მსუბუქად ეზიდებოდა, — რბილად დავწვებით, ბალახი ტყუილა კი არ ამოდის.

— ვაიმე, ხელი!

ცხრამეტი წლის მუტრუკი და, ჩვიდმეტი წლის გოგო.

— შენით წამოდი, ის გირჩევნია, თუ არა და, გვრიტო, იღლიაში ამოგიდებ. ჯერ ხომ არ იცი, რა უნდა გასწავლო, დამიჯერე, მოგეწონება.

— პირუტყვო, მხეცო! ვაიმეე, მიშ...

— აბა, აბა, ყვირილს მოუკვდა პატრონი, — გამკაცრდა ბესამე და ქვის ხელისგული პირზე ააფარა, — თავიდან ყველა კი ინაზება, მერე კი ისე კოხტად კრუტუნებთ. გაინაზე რა, რა მენაღვლება,

პატიოსნებაში ჩაგეთვლება, — ტყისკენ მსუბუქად მიდიოდა, იღლიაში ფართხალა ტვირთით, — მაგრამ აბა მეც მკითხე, მესამე დღეა, უქალოდა ვარ. შენ რომ არ გინდა, მე მინდა, და რატომ უნდა გავიდეს შენი და არა ჩემი? რა, ჩემზე ღონიერი ხარ? — ტყე ახლო იყო, — და გინდაც პატიოსანი იყო, ქალი ერთია ყველა. ქალი კი აი ასე უნდა დაიჭირო და...

— არ შემობრუნდე.

ოხ, ხმა იყო რომ... შედგა ბესამე.

— ეგრე იდექი.

ხმა იყო წყნარი, მშვიდზე მშვიდი. ოღონდაც, თითქოს ხავსლამაზადმოდებული, თრთოდა ბესამე... რამონა უკვე შინისაკენ მაგრად გარბოდა, გახევებული იდგა ბიჭი.

— იდექ, მისმინე.

მხარზე დაედო, ჩამოაწვა მრავალნაცადი, დიდი ქრისტობალდ დე როხასის უუმძიმესი, მუსიკოსის ვეება ხელი. და, როგორც ლომის გამოჩენაზე, კიდურთმიერი ვირთხ-კატები, ძაღლ-კურდღლები, სადღაცას გაქრნენ.

ეს რა ხმა იყო, რარიგმიერი წამღერებით ამბობდნენ კანტეს! —

ფარაში დამიდიოდა
ერთი ციკანი,
მოფერებამ გადამიქცია
გარეულ მხეცად...

ბესამე, გახსოვს?

— დიახ.

— მუდამ გახსოვდა?

— დიახ.

— ცრუობ.

წყვილი კურდღელი მაინც შერჩენოდა, რას მოჰკურცხლავდა, აჰ...

— ადამიანი იყავ ერთ დროს და, რამ გაგამხეცა...

მთლად მოკუნტული იდგა ბიჭი.

— რისი გული გაქვს, თავი რით მოგაქვს, რა გაბადია...

და აქ ბესამემ უცებ იგრძნო, მინამდეც, სადღაც მიმალულში, ერთი წრუწუნა მის შიგანში რომ დაჩიფირთობდა და, ამავდროულად, პესოებიან ჯიბეებში თითქოს რაღაცას კვნეტდა და ღრღნი-

და, ახლა კი უფრო ამოქმედდა და, თაგვის ნაღრღნავი სხეულში ძალად ეწვეთებოდა, მოეცა ღონე, თავი შემართა, თქვა:

— მე მდიდარი ვარ, როგორც რომ ალბა.

შემართულ თავზე დაადეს ხელი:

— შენ ღარიბი ხარ, როგორც იესო.

მოიმჩვარა, კი. მოიმჩვარა და, მერე როგორ, გადაფითრდა და, მერე რაფრად...

— შენი ალბა კი მათხოვარი იქნებოდა. ხომ?

დაეთანხმა:

— ხომ.

— წადი, იარე.

სიარულისას, თავსა და მხრებზე კვლავაც ვაებად დასწოლოდა დიდი ხელები, ძნელ უსინათლოს მიუძღოდა თითქოსდა ბიჭი, მაგრამ საითკენ — არ იცოდა. საღამოვდებოდა.

საღამოვდებოდა. ბინდდებოდა და, რაღაცით ნაცნობ ბილიკს ტანჯვით მისდევდა ძალიან ნელა, ძალიან მძიმედ, შიშით და ფრთხილად, ღამე იყო შავი, უშავესი.

და, სუნზე მიხვდა! — გომურთან შედგნენ. იდგა, იცდიდა, საძაგლობა რამ მოჰქონდა სიოს, იცდიდა, იდგა.

— მიდი, შევიდეთ.

შიგ გომურში კი, ჩამყაყებული, დამძიმებული, ობმოდებულად წებოვანი რამ სუნი იდგა, წვივებით დამბალ ნაკელს გრძნობდა ბესამე, რაღაცა მოტკბოდ საზარი სუნი ყნოსვას უფლეთდა.

— იცი, სადაც ხარ?

— კი!

— მოგწონს?

— აჰ, არა!

— გიშველო?

— დიახ!

— ჰა, გამომართეი.

ტანში, დაზრინა. აქ, ამ უწმინდურ შენობაში, ბინძურ უკუნში, მუხლამდე ზიზღში იდგა და იდგა, ხელთ კი ფლეიტა დაეჭირნა, ისეთი სუფთა, გრილი, შიშველი... უფრო დამძიმდა მოხუცის ხელი, ჭანგები მხარში ესობოდა, ეგება შველას უპირებდნენ, აფრენას მაღლა... შხამი და ლორწო კი დაბლისაკენ ეზიდებოდა, მთლად

წაბილწული სუნთქვა ეკვროდა, რა იყო მაინც, ასეთი სუნი!, ასეთი უნდო, ასეთი მჭახე, გამოსავალი სად იყო, ნეტავ.

— მიიდე პირზე, და ეამბორე.

ღამე იყო ბნელი, უშავესი.

ხოლო ფლეიტას...

18

ხოლო ფლეიტას მთვარის სალუქი, ვერცხლად თხიერი სული ედგა და, დიდი ხნით ობლად მიგდებული, მოშიებული აქ, გომურისმიერ სიბინძურეში, ჯერ მკრთალად, სუსტად წრიატებდა და აქამომდე მისავათებულს, უნდოდ მიგდებულს, სასოება რამ ეფინებოდა, რადგან ბესამეს ქავილამდე აერჭოლებული, დამთბარი სული იმა ჯადოქრის შიგანს ჩასწვდა და, შეაშმუშნა.

ღრმად მოერთგულე სულის ჩაბერვით, მჭვირვალ თანხმოვნებს გამოსცემდა მჩატე საკრავი ფლეიტა — შმორში, მერე — ხმოვნებად იწელებოდა, მფშვინავი სუნთქვით იმ კუნაპეტში უჩუმარ ბზინვად იჩეკებოდა ვერცხლის ყლორტები რადგან ფლეიტა — მთვარის შტო იყო. და თუმცა ღამე იყო ნაღდი, უშავესი, მელნისფერ ბნელში მთვარით იისფრად მოვარაყებული ის სიფრიფანად ღონიერი, უმოქმედობით მოშიებული ჯადოქარი რაებს აღარა სჩადიოდა — დიდ ხელისგულებს ყოველივეს აღსაზევებლად უსვამდა თითქოს. და შედედებულ, გაქვავებულ მინამდე სიმყრალესა და უწმინდურობას ფაქიზად სათნო ხმებით ბზარავდა, რაც კი რამ იყო შესაზიზღი თუ საძულველი, აქრობდა, შლიდა, ვინ იფიქრებდა, მყაყე გომურშიც თუ ექნებოდა ასეთი ძალა, და იმოდენა ხანს თუ ძილად ეგდო, ნაამბორალი, ფაქიზად სულშთაბერილი, შთაგონებული ახლა, კუმშვად სურვილად იწელებოდა, ღამეულ მფლობელს, რაღა არ ჰქონდა გომურშიაც კი, მოსაფერები — ისეთი ტყე და, ისეთი ბორცვი, იმსიდიდო ცა... საკმეველივით ედებოდა ფლეიტა ჰაერს, და თუ რამ იყო უწმინდურობა, სწმენდდა და ითვინიერებდა, რადგან საკრავთა შორის ვიოლინოსებრ უპირველესს, ორი დიადი უმთავრესი რამ — თავისუფლება და სიყვარული გააჩნდა, ჰქონდა; ვითომც სხვების გადამქელი და, სინამდვილეში ისევ თავად გადათელილი, ჩვენი ბესამე მომცრო ქვეყანას ისევ იმა მუსიკის რბილად აჩაჩხულ მწვერვალებიდან დასცქეროდა და, აჰ, კაცთ ხედავდა მიმომავალთ თუ მოვატერპოლნეთ, ვით ჯინშველთ, ისე, და

ეს სუსტი ხმა რა იყო ნეტავ, ღონიერებით როგორ სავსებით დატენილი, რა, და სიფაქიზის მიუხედავად, რა, ეს რა იყო — დაგორებული მთებიდან ძალა? ამბოხებული გამოქვაბული? მიწისძვრა, ეგებ... ოკეანიდან ამოზრდილი დიდი ლურჯი მთა, ოკეანისა შესაფერი, გრძნობიერებით აღმოძავალი... მაინც რა იყო — უდიადეს ხელს აბოლებული ვულკანიდან ამოჰქონდა გრძნეული ფიქა, რა იყო ეს და — მუსიკა იყო, ქვეყნის მფლობელი, რას დააკლებდა შმორი და ზინზლი, ჩაბინძურებულ შენობაში დამპყრობლად კი არა, არაა, ღმერთმა დაუფაროს, მომთვინიერებლად იდგა ბესამე, და ისე კუშტად ჩამოძერწოდა დიდ მოხუცს სახე, რადგანაც ობლის დაკარგული და აწ მოძებნილი, დაკემსილი ახლად ბგერები, ვინ-ვინ და დიდმა მუსიკოსმა, ქრისტობალდ დე როხასმა კარგად იცოდა, კარგად უწყოდა ამ ცხადეული, მძიმედ უწონო სიზმრების ფასი, ჯადოქარს რაღა არ შეეძლო, მაღალ ბგერებზე მოზევითურო ნაყოფისკენ ხტებოდა თითქოს, დაბალ ხმაზე კი — სიოში თოვდა, ნისლი ეფინათ შორეულ ბაღებს, რაღაც ხატება ღრმა ჭაში ჩანდა, გუბეზე წვრილად, მეჩხრულად წვიმდა, და ზღვათა ფსკერზე გატრუნულიყო უცხო ბუჩქნარი, მისჯილად სველი — რაღაცა იყო ფლეიტის ხმაში, მძინარე ბავშვის ნიკაპზე მძიმედ ჩამოღვენთილი ნერწყვივით წმინდა, თავად ფლეიტაც იმ დაბინდულ ჰაერს ჰმონებდა, შორეულ გზაზე სავალად რომ ციაგით ედო, რადგანაც მთვარე — ფლეიტის სათნო კუნძული იყო, ლურჯ, მიმოფანტულ კუნძულთა შორის უსათნოესი, მიწით გრძნეული, ჰაერით წმინდა... სიფრიფანა ხმით იმსჭვალებოდა განწმენდილი და შვების გომური, წიწვოვანი ტყის სურნელება თვალნათლივ იდგა, რადგან ბესამე თავად წააგავდა ახლა ჯადოქრულად მასუნთქებელ, გირჩებოვან მცენარეს, ერთი პატარა, გრძნეული ტოტით, რომლიდანაც რომ უცხო ნაყოფად ამოდიოდა თვით ის: უფსკერო, განუზომელი, თვით ის — მაღალი, უხვი, მდიდარი, თვით ის — უზომოდ მწყალობელი, — ლაღი, ფარფატა ბედნიერება, სიბედნიერე თვალთუხილველი, ყოვლისმომცველი ჩვენი მეუფის, თავად ჰაერის, ჰაერის მეფე უზენაესი, დიდაღზევების მასუნთქებელი თვით ის — მუსიკა!

დიდ მოხუცისგან ნაბოძევ სამოსს — სოფლურ ტანსაცმელს გომურის წინ იცვამდა ბიჭი, ყალბად ბრწყინავდა იქვე მიყრილი მოსირმული პანტალონები და ეპოლეტებიანი ქურთუკი; გაისმოდა, ბნელში: „კარგად გახსოვდეს, ბესამე რომ, ბგერები ჰაერში არ

იკარგებიან“. იცოდა, კიი, კარგად იცოდა, სიამნარევი ტკივილით გაბუქებული ნამცეცები ბითურ მოძმეებს რომ ეხლებოდნენ და, აკეთილშობილებდნეხ იმათაც მერე, „და რაგინდ დიდი დრო გავიდეს, ბესამევ, კარო, ალბა-კალიგულაიანი მონაკვეთები, ძრწოლა და სისხლი, დიადი რხევა მაინც რჩება, გვეწვეთება ყურთ, ჯერ არ ყოფილა ქვეყნად ნამცეცი, რომ დაიკარგოს“!, შუბლზე, კეფაზე, გრილი ხავერდი შემოახვია, მიმოფლეიტის ნიშანი სანდო, „გზად კორდოვაში შეჩერდი, კარო, ის დაი გაგბანს... შენს პესოებს კი რა ვუყოთ, ბიჭი“. „გლახაკებს ჰქონდეთ“. „როდის ვუბოძო“. „აღდგომა-დღეს. ბევრნი არიან?“ მოხუცმა .თავზე კვლავაც დაადო ხელისგული, ოდნავ უბიძგა, და სოფლისაკენ მთელი ღამე ქკეითად მავალი, სამყაროს დიდი მშობიარობით თითქოს, ისე წვალებით, ისე ნელინელ ამომჭვირვალი ცისა და მიწის დანახვაზე მიხვდა, რატომ წააგავს გათენება დაბადებულის ღონიერ ტირილს, რატომ ჩახჩახებს მერე ქვეყანა, ბნელდება მერე უხმაუროდ — რისთვის და რატომ, და, როგორც ნამდვილი, ჭეშმარიტი ქვეყნისა კაცი, კაცი — მიწისა, ბესამე დღისით ხნავდა, სთესავდა, რწყავდა, იმკიდა, ხოლო ფლეიტას, რადგანაც მთვარის კუთვნილი იყო, მაინც ღამე, კი, ღამე ერჩია, ნაშუაღამევს ქოხიდან ფრთხილად გამოდიოდა ბესამე კარო, და უძაღლებო მახლობელ სოფლებს ღამ-ღამობით ისე ფაქიზად, ისე წმინდად ედებოდა მთვარის ეჟვნები, მძინარე გლეხებს, მიწის მუშაკთ, დალოცვილ მიწის მფლობელებსა და ყმებს, ძილში მკრთალ შვებად ეფინებოდათ ამ სუყველაზე იდუმალი საკრავის ხმები, შვებასვე გრძნობდა ბესამე კარო, ისევ ობოლი, რადგან მიწაზე ფეხშიშველად მდგარს და ფლეიტით ღამის მაკეთილშობილებელს, არ აწვალებდა ბევრ ჩვენგანისთვის ისეთი უნდო: „რატომ ვარ... რისთვის....“ — ღამის ლებანში თითქოს კენტად იჯდა ბესამე, გარემოსილი ფლეიტის მწუხრით, და ეს, სწორედ ეს გახლავდათუე მისი ნამდვილი აღდგენითი სამუშაოები, ქვეყანასა და მის ჯინჭველთზე მჩატე ფლეიტით მიმომფენი თავისუფლება, და სიყვარული, იქავე სადღაც გატრუნულიყო აფრედერიკ მე, ძლიერ ობოლზე სულთა-ვიდანვე მიჩენილი, და უხაროდა, ძნელმა ჟანრმა ცოტათი თითქოს რომ გაუმართლა — თავისუფალი იყო ბიჭი... და აფრედერიკს ხანდახან თუკი ავიწყდებოდა კიდეც ამორჩეული და მისჯილი დარგი, ის ფანტასტიზმი, დროდადრო ტყუილ-უბრალოდ კი არ ახსენდებოდა თავნება ქალი, სახელად — კარმენ, თავისუფლებას, სულის

ველურად აყვავილებულ ბუჩქნარს, მისით ეტრფოდა და, დიდად უყვარდა თავისუფლება და, შემთხვევით ხომ, მოგეხსენებათ, არაფერი ხდება მორჩილ ქვეყნად და, აფრედერიკიც აბა რად უნდა ყოფილიყო შემთხვევითი ფანტასტი, ხოლო ჟანრი რომ განიმტკიცოს, მოახლოებულ დამშვიდობებისას ყოვლად ჭეშმარიტ, ფანტასტიკურ ხერხს გთავაზობთ — არ დაიჯერებთ, გამოყენებულ ლიტერატურას გვთავაზობს იგი! როგორიცაა:

1. პროსპერ მერიმე, „კარმენი“, თარგმანი არ. ცაგარლისა, და

2. ფრედერიკო გარსია ლორკა, „ისპანსკიე კოლიბელნიე პესნი“, პერევოდ ვ. ბიბიხინა ი. ვ. ჩერნიშევიჲ.

და, ბოლოს, მასაც მოვუსმინოთ, რამდენი ხანია, არაფრით არ შეუწყენია უჩინარი თავი, ჰოიი, საწყალი, საბრალოესი აფრედერიკ მე, ვისაც რომ ბევრი ჭკვამხიარული გასართობიც მრავლად შემოხვდა ცხოვრების გზაზე, მაგრამაც იმან ამოირჩია შეხვედრილთაგან ყველაზედ მეტი ხელობა, პროზა, და თუ ხანდახან ლექსად უქცევდა, ოჰ, აპატიეთ, ვის არ გაგვირბის ლამაზ ქალისკენ ოხერი თვალი, აღარც ის უკვირს, დროებითად ყოვლისშემძლე, უფლებადიდადშემოსილი კურფიურსტები მთლად როგორი გაქრნენ, დაიკარგნენ საცხა, ხოლო ბეთჰოვენი, თითქოს იმათზე დამოკიდებული, თქვენ წარმოიდგინეთ, დარჩა. და ამ პატარა გახსენებაზე აფრედერიკ მეს ერთი სული აქვს, ჰაერთ-დიადი-მპყრობელები, ისე თვალნათლივ რომ არხევენ თავად მეუფეს, სრულიად ჰაერს, მისთვის ხანდახან ჩუმჩუმად და ხანაც — ძლიერ ხმამაღლად სათაყვანებელი ხალხი, დიდბატონები, სულ ექვსი კაცი, ჩამოგითვალოთ: ბახი, ჰენდელი, მოცარტი, ვივალდი, როსინი, ვერდი...

ერთხელ კიდევ, რაა?:

იოჰან სებასტიან ბახი,

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი,

გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი,

ანტონიო ვივალდი,

ჯოაკინო როსინი,

ჯუზეპე ვერდი,

კაროვ, ძვირფასო! აფრედერიკ მემ თავისი მცირე საშუალებებით შენ მოგახმარა თავისი შრომა, თავისი მოკრძალებული აღდგენითი სამუშაოებიც არამცთუ დაუყვედრებლივ, სიხარულითაც კი შემოგწირა შენ, საბოლოოდ ბედის რჩეულს, სად აღარ გაგყვა, სად-

ღა არ გახლდა, ქალაქ-ქალაქად და სოფელ-სოფელ, უცნაურია, მაინც, ცხოვრება, ნეტავ რა ძალამ დაგაკავშირათ ის, ამა ძნელი საუკუნის კავკასიელი აფრედერიკი და შენ, ისე ძალიან შორეულო, ბესამეე, კარო, საიდან მოსწვდა ეგ შენი ხმები, ალბათ მბჟუტავი ნამცეცები მართლაც არსად არ იკარგება, ყოველთვის რჩება, უფრო ჩანს — ღამით, და თუმც საბრალომ ახლაც არ იცის, რომელი სოფლის მიწაში ხარ, რომელ პატარა სამრეკლოსთან ნეშტად ჩაფლული, მაგრამ, იცოდეთ — უპატრონო საფლავები არ არსებობენ, რადგანაც მიწა — ყველასია და, აეს ჰაერიც, მუდამ ირხევა.

აქ აფრედერიკს სხვა ალარარა დარჩენია, დაგემშვიდობოთ. ხოლო სივრცეში არაფერი იკარგება, ეჰ.

1980—81 წწ.

განსმდგომი შუაკაცი

ბავშვი რა — ჯერ თვისაც არ იყო, მჭიდროდ გახვეული, მცირე საწოლზე კი არ იწვა, რაღაცნაირად, საყვარლად, იდო.

მთელი ღამის ნამტირალევსა და გაჭინჭყლებულს, ახლა, რიჟრაჟისას, ძალიან ღრმად, გულის ძილით ეძინა და იქვე მიწოლილიყვნენ მისი მშობლები, ცოტათი იქით, სხვა ოთახში კი — პაპა, და კიდევ სულ სხვა, გისოსებიანი ოთახიდან გამოსული, ბავშვს თვინიერად დასდგომოდა თავს მისი სულიერად ავადმყოფი ბიძა, და, წინგადახრილი, ძალიან დასცქეროდა.

ამჟამინდელი, მთლად პირველადი მშობლობით გამოწვეული არევ-დარევა, თორემ ისე ის აქ ვერ შემოვიდოდა — ყოველი ღამით, ახალთახალი რძლის დაჟინებისა გამო, ოჯახის თავი, ამ ჩვილის პაპა, ცოლ-ქმარი შიგნიდან რომ ჩაიკეტებოდა მხოლოდღა მერე მიაშურებდა უფროსი ვაჟის ოთახს, კარში გაჩხერილ თუჯის ძველებურ გასაღებს გადაატრიალებდა, და მინამდე მომცრო ოთახში გამომწყვდეული, დღის პატიმარი, დღის ქოთნით ხელში, საჭირო ოთახისკენ მრუმედ ჩაფიქრებული გასწევდა და თვალში სისოვლემოძალებული მიადევნებდა ნედლ მზერას მამა — შვილი იყო და, უყვარდა, მაინც.

დღით, როცა საჭმელს შეუტანდნენ ხოლმე, მოაბრუნებდა თავს. მერე ისევ გისოსებიანი სარკმლისკენ იქცევდა პირს, და ხალხმრავალ ქუჩას დაჰყურებდა, რაღაცას დუნე სიმწრით ფიქრობდა, შორეულ გლუვ-ღრმა საიდუმლოს, რაღაც სხვანაირს, რაღაცა უცხოს, ხალხი რა, თავისთვის მიმოდიოდა, მაგრამ ხანდახან, ხომ აგვრევია რატომღაც რომელიმეს ფეხი.

რძალი ხანდახან შეშინებული მიაყურადებდა, უნდო კართან გახევდებოდა, მაგრამ ჩქამიც არ მოისმოდა, თავისთვის იწვა, ან იჯდა, ალბათ. მაინც საიდან რძლის იმსიდიდო უნდობლობა, და ეჭვი, არასოდეს აუტეხია შფოთი და აყალმაყალი. ორად ორი რამ გასართობი, საცოდავს, ჰქონდა: ერთი ის იყო, გისოსს დაფიქრებული სინჯავდა ხოლმე, არა, მოგლეჯა კი არ უნდოდა, ბლანტე, შეგუებული ცნობისწადილით უსვამდა ხელს რკინას, ცივი თითებით ბევრგან სინჯავდა, ხანდახან ლოყასაც კი მიადებდა და ღამით კი, მცირე ფართობზე გამოშვებული, თუჯის ძველებურ დიდ გასაღებსაც მისჯილად დუნე გაკვირვებით დასცქეროდა და, ცოტა მაღლიდან, მიუგდებდა ყურს, ეჰ, ვინ იცოდა, რა ბურუსი ამოესმოდა. მეორეც ის რომ, წყალს უფრთხოდა და სისუფთავე კი უყვარდა, საწყალს, და სასთუმალთან დადებულ ყველაზე მდარე ოდეკოლონით ყლენთდა ბამბას და, სხეულზე საშლელივით ისვამდა, გულმოდგინედ, რაღაც უჩინარ, მხოლოდ მისთვის გასაგებ დამწერლობას შლიდა და შლიდა, და მის ოთახში ამისა გამო აუტანლად მქისე, მისი თვალებისმიერი თითქოს, ლამის ლორწომდე გადაქცეული სუნი, იდგა და იდგა.

ახლა კი, ახლა, გამორჩეულ დღეს, რადგან ერთ დროს ესე ოთახი იმისი გახლდათ, მივიწყებულ და მაინც მთლად ახალ მიწათა ბავშვის ტირილით შთაგონებული აღმომჩენი, ხელისგულებით უყმურ კედლებს გამოყოლილი, გარიჟრაჟისას დიდ საოცრებას, ცხოვრების დიდად სათუო გზაზე ახლახან დამდგარ არსებას, სხვაგვარ სულიერთა მომავალ დამპყრობსა და გამომყენებელს, სუნთქვაშეკრული, წინგადახრილი ჩასცქეროდა და ალბათ ვეღარც ახსოვდა ის სამუდამოდ მისჯილი ორი საშინელი სიტყვა, მისი გრძნეული დაავადების შემზარავად გადასაფურჩქნი ჩანასახი, თავი და ბოლო: „ტყუილი...“, „სიყალბე...“, და, მზერადქცეულს, ჩვილის ამ უცნაური, გაყინული ქვრეტით უღვივდებოდა ძველი ეჭვები, ეგებ: „რა, რა გამოხვალ... საით წახვალ... რას ამოირჩევ... ვინ, რა დადგები...“, ბავშვს კი ეძინა, გრძელი გზისთვის იკრებდა ძალას, აჰ, მოელოდა ყოველისათვის როგორი რთული ბილიკთა ქსელი, რა სასოება, რა სიეერაგე, წყნარად ფშვინავდა, მაგრამ როდესაც სულიერად გადამთიელი, პატიოსნებით ადრეც გამორჩეული და ახლა კი უნებურად უპატიოსნესი, უცხო ბიძა მისკენ ძალიან გადაიხარა და დაჟინებული ისეთი მზერა, თვალს გაბზარავდა, დააბჯინა და თან ცივ თითებს სახესთან

ახლოს უმოძრავებდა, აქ, შეიშმუშნა ჩვილი, და ძლიერ დაფრთხა მსწრაფლ გამართული შორი სტუმარი, ჩასაკეტი ოთახისაკენ მორჩილად გაბრუნდა, აესე მალე დაუმთავრდა ამბოხის მსგავსი გასეირნება, მაგრამ კვლავაც წართმეულ თვალებზე მაინც ეტყობოდა, ისევ თავისას ალბათ ფიქრობდა: „ჰეე, ვინ გამოვა...“

1

— რა არის, იცით, ქალბატონო? — წინ გადაუდგა და ქალს მიმართა ერთხელაც არჩილმა, — ჩვენ გვაპატიეთ, უცნობ მანდილოსანს ქუჩაში რომ ასე მოგმართავთ, მაგრამ სახელი არც ვიცი თქვენი...

ქალი არცთუ დაშინებული შესცქეროდა — არჩილს კარგი ეცვა, კარგი ეხურა, გარეგნობითაც არა უშავდა რა; აგრეთვე დღე იყო და ბუნებრივი სინათლე, გამვლელ-გამომვლელი, რამე.

— ხოლო თქვენი სახელი როგორია? — იკითხა არჩილმა.

— ფაცაცო.

ქალს არ ეთქმოდა პატარა. არჩილმა თავი დახარა და კეფაზე დაიდო ხელი, ასფალტს ჩასცქეროდა. მერე, შემართა თავი:

— იცით, მე ამ შინაურული სახელწოდებით ვერ მოგმართავთ, ქალბატონო, თქვენს ნამდვილ სახელს ხომ ვერ მიამბობთ?

— როგორ? — ვერ გაიგო ქალმა.

— თქვენი სასაბუთე, ანუ ანკეტური სახელი ბრძანეთ, — და გაეხუმრა, — რა, არა გქვიათ?

— კი, როგორ არა, — გაამაყდა ქალი.

— და მაინც, სინამდვილეში როგორა გქვიათ?

— ამინადარი.

არჩილმა კვლავაც დახარა თავი და იგივ კეფაზე დაიდო ხელი. ფიქრობდა, იდგა. მერე, აღიღო მზერა:

— იცით რა, ქალბატონო ფაცაცო, ხომ ვერ მეტყოდით, სად მდებარეობს ადამ მიცკევიჩის ქუჩა?

— აა... — გულზე მოეშვა და ეწყინა კიდეც ქალს, — აგვერ, ისაა.

—აიასე ახლოს? ბიჭო, პლომბირია?

— მა რა.

— ნაყინს ხომ არ ინებებთ, ქალბატონო?

— არა, ახლახანს გეახელით.

— მერე, რა, ეს ხომ სადილი არაა?

დაძაბუნებული შოკოლადით გარემოსილი ნაყინ-ესკიმო იყო, ჩვეულებრივი, მაგრამ ყოველნაირობისთვის მზადმყოფმა ქალმა ისე ფრთხილად შემოაცალა ქაღალდი, თითქოს საეჭვო, ჩანთაში იქექებოდა.

დაიძრნენ, ნელა.

— მიკკევიჩის რომელი ნომერი გნებავთ?

— შეიძლება, კითხვაზე კითხვით რომ გიპასუხოთ?

— დიახ.

— ალბათ კარგი გრძნობაა, არა, როდესაც იცით, რომ ლამაზი ხართ და ხალხის თვალს სიამოვნებას ანიჭებთ?

ქალის სახის ხარჯზე ტუჩთა პომადა გაფერმკრთალდა აქ, მერე კი მღელვარებისგან შეჩერებულმა პანტიკაპეამ ასფალტს ორჯერ დაჰკრა ქუსლი და თავი უკან გადააგდო — ჰა, ჰა... ჰა? — გამოერკვა, სადღაც ლავიწთან ჩამოეკითხა არჩილს მერე, — ვერ გავიგეუ?!

ახლა არჩილმა დაიმორცხვა ვითომ, ნაყინს უკბინა...

— გნებავთ, ქალბატონო, სიმართლე გითხრათ?

— დიახ, — თქვა ქალმა და კაბაზე დაიხედა. ისევ მწვანე იყო, კი.

— მე... — წამოიწყო ასე არჩილმა, ცოტა უჭირდა, — მე ეს ვიცოდი.

— თქვენ, რა იცოდით? — „რომ ლამაზზი ვარრ!“

— მე კარგად ვიცოდი რომ, სადაც მდებარეობს ადამ მიკკევიჩის ქუჩა, რადგან იმ ქუჩაზე ვცხოვრობ.

ქალმა მცირე ხნით, მაგრამ მნიშვნელოვნურად შეხედა და უმალ განზე იქცია თავი:

— მაშ, რაღად მკითხეთ?

— მე არშიყობა მეხერხება, — აღიარა არჩილმა.

ქალი გაბრაზდა; გაეცლებოდა კიდეც, მაგრამ რაღაცა აჩერებდა. აჰ, ჰო — ნაყინი...

— რა შემამჩნიეთ მაინც ისეთი?

— აუგად კი ნუ დამძრახავთ, ქალბატონო, — დაფაცურდა არჩილი, — მაგრამ თქვენ ხომ ვალიკოს გარეგნიძაშვილი ხართ?

— კი.

— ჰოდა, ვალიკოს ნათესავს განა მე რამეს ვაკადრებდი? მე და ვალიკო ერთ სისტემაში ვართ. დღეს თავისუფალი ბრძანდებით?

ქალმა ერთიც აათვალიერა და არჩილის სახეში ამჯერად რაღაც

ისეთი შენიშნა, თუმცა გათხოვება ძალიან უნდოდა და მინამდეც არავისთვის მიუმართავს ასე, უთხრა:

— წადი, შენი...

და თავად წავიდა.

— ვა, — გაიკვირვა არჩილმა მერე.

* * *

და, თუმცა მაშინ ფული ჯერ ნაშოვნი არ ჰქონდა რაღა თქმა უნდა, ბავშვობა, ალბათ, მაინც ძალიან კარგი იყო.

მჭახე და რბილი, უკიდეგანოდ ფერადოვანი, ღრმა სარდაფები... აის სათუო იდუმალება, სუყოველივეს მჩატედ რომ ედო... გახარებული აბაჯბაჯება და რაღაცა უნდოდ პირშიმთქმელურზე გადაყვლეფილი პაწია მუხლი — რა გულდაწყვეტა... მაგრამ მაინც დღე, და სინათლე, მართლა სინათლე; ბედნიერება, ყოველ უცხო წამს— ჯერაც ნედლ თავზე ფრთხილად დადგმული ალმოჩენანი, გულში კი ისე ხინჯად შეჭრილი... და გაოცების მჩატედ მპოვნელი დიდი თვალები, და, დაფიქრება, დაფიქრებულზე, ჭარბი ძალა და, აჰ —ტიკტიკი და რბენა და რბენა... დიდად გახვითქულს, შიგანში კი თონედ გამომშრალს, აჰ, რა მალამო — სრულიად წყალი — მბრუნავი მიწის ეს უსაზომოდ კეთილი ოფლი. და ისევ სრბოლა, შეთქმული ეზო, და, ამბოხშიმყოფის თრობით დამტკბარი, გაჭინჭყლებულზე, სულ ჰარპუნებით შინაყვანილს, როგორ სულ სხვა რამ — ძალიან დიდი, კასრისხელა კოზით უჰ, ფაფა, ტანჯვა, ვაება, და მერე, ბოლოყლუპმაინცნაპატიებს, ძლივს გამოღწეულს, გრილ იატაკზე თავჩარგულად მჯდარს, უსამართლობის სასტიკი განცდა და ჩიტის გულის გულდაწყვეტა, და, თან, უნებურად, უკვე სანდოდ გამაგრებული ნაიარევის თითით კირკიტი, ბავშვობა, ჰეე...

2

ლალი გაცილებით კარგი ქალი აღმოჩნდა, სახელიც კარგი ჰქონდა და ყველაფერი, მაგრამ საწყისა ნაყინთან დაკავშირებით შეუსაბამობა რამ მაინც შეემთხვათ ერთი. აი ისიც:

— ნაყინს ხომ არ ინებებთ, ქალბატონო ლალი? — დიახაც იკითხა არჩილმა.

— არა, ახლახან გეახელით.

— ამ სიცივეში? ბრრ... — უნებურად გაიკვირვა არჩილმა და იქვე მიხვდა შეცდომას, გაბათილება ვერაფერი მოიფიქრა, გაუმწეოვდა, მაგრამ მენაყინე-ესკიმოსმა, აშენდა იმის ოჯახი, თქვა:

— მერე რა, ზოგან ზამთარ-ზაფხულ სჭამენ.

ხოლო ლალი იმდენად კარგი ადამიანი აღმოჩნდა, კარლია რესტორანშიაც კი შეჰყვა.

თანაც შუადღის რესტორანში ბევრი თავისუფალი მაგიდა და ოთხი იმდენი სკამი მაინც დგანა, არჩილი+ლალი-ს კანდიდატები კი ორ რჩეულ მათგანზე დასხდნენ. არჩილის მისვლით გახარებულად ჯიბეაქავებული ნაცნობი მიმტანი დაფაცურდა და პატარა ხანში პურმარილი გაიშალა? — უმაღლესი. მინაშდე კი ასეთი საუბარი ჩატარდა:

— რა მოჟამული ამინდია მაინც.

— დიახ.

— ჰა-ჰა... — არჩილს კბილები რადგან კარგი ჰქონდა.

აიმ არსებას, იდუმალ სხვენში რომ სახლობდა, შეეუსუსურებოდა სახელი ბუა — ეს უწყინარი, მხოლოდ იძულებითი ჭამა-ყლაპვისას სიტყვიერად წარმოჩენილი, და სწორედ ჩშირი კვებისა გამო შეჩვეული რამ მცირე მაშიშა — არა, იქ, სხვენში, თავად შიში. სრულიად შიში, ისე ცხადი და ისე აშკარა, შშიშში ბუდობდა. ეს ადრე, ადრე, ახლა კი, ახლა:

— ახლა დავრწმუნდი, აეს მიირთვით სანამ ცხელია, ლომის გული რომ მაქვს.

— ახლაა? რატ-ტოომ?

— რატომ და, ვინ იცის, ქალბატონო ლალი, თქვენი სილამაზის პატრონს რამდენი ვინმე თავზეხელაღებულობამდე გეტრფით და მე კი მაინც გავბედე თქვენს გვერდით ყოფნა.

— აჰ, ეს რანაირი ყოფილხართ, ჰაა? — მცირე ხნის შემდეგ ჩახვდა ნათქვამს ლალი და ცარიელ-ტარიელა ჩანგალი ნაზად ჩაიდო პირში, — მამხნევებთ, ხომ?

— არა, რას ბრძანებთ, — სწრაფად იუარა არჩილმა, — მე არშიყობა სრულიადაც არ მეხერხება.

კარგი, მშვენიერი, შამპანიურად სანაქებო სუფრა იყო გაშლილი, და, თუმცა, მაშინ საამდენო ფული ჯერ ნაშოვნი არ ჰქონდა, რასაკვირველია, ბავშვობა, ალბათ, მაინც ძალიან კარგი იყო. რაღაც ახდა, გარიჟრაჟისას მიზეზიანად გახარებული დიდ ტყეთა არა — ჭალი-

სა ჩიტის, მაგრამ შავ ღამეობით... ბნელ ღამ-ღამობით. რაღაცა უცხოდ დაუნდობელი შეჯანჯღარებით გაღვიძებული, თითებჩაბღუჯულ საბანს გულზე მაგრად, ბავშვურად მიიხუტებდა და თვალებადქმნილი, შესცქეროდა ბნელს...რაღაცა იყო... რა აჰრაღაცა, არ კი იცოდა და, ეგებ — სხვენიდან შემოპარული? ჟრიალი ახლდა, სიცივე ჰქონდა... ოთახისეულ ფართო ბნელეთში, უჯიათი საიდუმლოთი განაღვიძები, გონდაბინდული. შიშითღა გრძნობდა — რაღაცა იყო... მღელვარებისას, თან უკუნეთში, სიბინძურის კასრს ღია ზღვაში ჩაკრული ბავშვი... ყველგან კი, ირგვლივ, წყლით გადამძღარი, ტანჯვაგანვლილი და ახლა სხვისა დამაშინები, ლურჯ-მონაცრისფროდ ავად აღვსილი, ბრგედ დაბერილი ატივტივებული სხეულები და ეს სად — ოთახში?, როგორ ბნელოდა; რაღაცა იყო!.. და აღარაფრისა ამაეების ხსოვნა დიდ, სანაქებო დასვენებაზე, აჟივლებული სკოლის ეზოში მთლად გაქუცული პაწია ყოფილი გლობუსით ფეხბურთის მთამაშებელნი — სულ მატერიკთა და ვრცელ წყალთა დარდი არ ჰქონდათ? — აჩიკოო, აჩი, აქეთ მომეცი, გადმომაწოდე, აჩიკოო, აჩიი, მაგრამ აღარარა ახსოვდა, რადგან გოლის გატანა თავადა სურდა, მიისწრაფოდა ორი აგურით შექმნილ გოლისკენ, სადაც ყურცქვიტა მეკარე იდგა, პურითა და განახევრებული კატლეტით ხელში, მერე იყო და, იყო ირიბი დატაკება და არევ-დარევა: პენალი იყო? იყო, არ იყო, როგორ არ იყო, კი იყო, იყო, მერე—გამხდარი, ნაშიმშილარი ზედმეტად თითქოს მასწავლებელი და იმისი ახსნა: „ამრიგად, რეზერფორდის ცდამ გვიჩვენა, რომ ატომში არიან დადებითი ელექტრული მუხტის მქონე ნაწილაკები, რომელთა მასა...“, მიმოწყენისას, ფანჯრის წილი ცა, ძმაბიჭის ზურგი, მერხის ლაქები, და მერე, მერე, გაშვებულობა — მეექვსე გაკვეთილის გაჭიანურებული აღსასრულის მაუწყებელი რა დიდებული, როგორ ზეიმა, და რანაირად აღსავსე შუქით, მბრწყინავი ზარი — გამოფხიზლება, ახლა კი, ახლა, შემთვრალს, სადღა ახსოვდა აის სიფხიზლე, წიწკნია სითხით ნეტარ ბურანში დროდადრო იყო, რადგან წინ ქალი ეჯდა, კარღია რესტორნიდან კერძო ოთახში ამაღამითვე წასაყვანი, სახელად ლალი, ადამიანის რა კარგი სათაური, სუფრაც მშვენიერი იყო, დადებითი, ოღონდ ხიზილალას არცერთი არ ეკარებოდა — რაღაცნაირი სიამაყით, ვითომ...

— მე ახლა მინდა, ჩემო კარგო ლალიკო, თქვენი სადღეგრძელო კიდევ შევსვა...

— კარგით რა, არჩილ, ეს მერამდენედ უკვე? — გაკეკლუცდა ქალი.

— არა, ჩემო კარგო ლალი, მე ახლა სხვანაირი კუთხით, — წამოდგა, სხეულმა თითქოს შებარბაცება განუზრახა, მაგრამ შეიოკა თავი, ხოლო ენა — ვერა, — ლალიკოს ვენაცვალე, ახლა მე უნდა თქვენნაირი კარგი ქალების სადღეგრძელო შევსვა, რომლებიც გამოირჩევიან სწორი გამგებიანობით და, როგორც ძველები იტყოდნენ, მესჩანკი არ ხართ. თუ ამას ვსტყუოდე, შობელძაღლი ვიყო.

ქალს ცოტათი არ მოეწონა ბოლოსწინა სიტყვა, მაგრამ არ დაიმჩნია და განაპირა ტარხუნა შეასწორა.

— მე ეს იმიტომ მიყვარხარ, ლალი, რომ ზოგიერთივით მანჭვაგრეხა კი არ იცი, არამედ ბუნებრივი ხარ და გაკიბვ-გამოკიბვის გარეშე იცი, რა უნდა იყოს ერთმანეთისთვის ნამდვილად კაცი და ქალი. ბოდიშით, ქალბატონი.

უცებ დაარტყა მესამე ბოთლმა, ლაპარაკობდა; ოღონდაც ასე:

— მე და შენ ხომ უკვე ცოტათი ამხანაგები ვართ და, ლალი, კაცის და ქალის ნამდვილი ამხანაგობა იცი სად ხდება?

— სად...

— იქ...

— სად იქ...

— ლოგინში.

ერთხანს გაოგნებული ქალი რომ გამოერკვა, თვალ-წარბი რისხვამ გადაუსერა, სხვა ვერაფერი მოიფიქრა, პომადებშუა ესღა გამოსცრა:

— მაწანწალა შენ! — და ისიც წამოდგა, ყოვლად უდანაშაულო სკამს მაგრად უბიძგა, მიაშურა ღია კარს.

... სანამ აედევნებოდა, არჩილმა მნიშვნელოვანკუპიურიანი ხელის სილამაზე (ხელის ჭუჭყი — ეს ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი მანეთიანია, ხოლო ტკიცინა ასიანი არჩილის წრეში ხელის სილამაზედ იწოდებოდა) მაგიდაზე დააგდო, გატრუნულ მიმტანს მხარუკუღმა სტყორცნა: „ჯერ ნუ აალაგებ“, ხოლო ჭურვივით ლალის ზედ გრძელი დარბაზის კიდესთან წამოეწია და, თითქოს გამოფხიზლებული, ამისთანეებს ეუბნებოდა: „კარგით რა, ქალბატონო ლალი, მე გეხუმრეთ და, — განვლეს ღია კარი, — მე თქვენი უმწიკვლო პატიოსნების გაგება მინდოდა და მართლაც ღირსშესანიშნავი ქალი ჰყოფილხართ, კარგით რა, გეთაყვათ, ხუმრობა აღარ შეიძლება? თუ არ ვიხუმრეთ...“ მაგრამაც რადგან ქალი თითქოს ჰერმეტიულად იყო დახშული, აღარაფერი გააჩნდა რისხვისა გარდა, არჩილს გაშინაუ-

რებულმა სიმთვრალემ ისევ წამოუარა და უფრო მძლავრი ხერხი მოუძია: „რა გინდა, ქალო, ჩემთან იყავი და კარგს გაკმევ, კარგს ჩაგაცვმ-დაგხურავ, კარგს გასმევ, მეტი რა გინდა, არ ვიცი?!.“ წვრილ მაღალ ქუსლთა დარტყმის ძალამ საცოდავ იატაკზე მოიშატა აქ, ხოლო არჩილი ბაიბურში არ იყო, და გარდერობთან ისიც დაამატა, რომ შეჩერებულ ქალს დიდის ყურადღებით დაუთვალიერა გამობურცულობანი, ყურში ჩაჰკითხა: „აბა, შე ქალო, ტყუილადა გაქვს ყველაფერი ეეს? ერთი, მეორე...“ აქ ლლალლი ისე მკვეთრად შემობრუნდა აჰ, ხელიდან წასული ტუჩები ისე უთრთოდა უჰ, თვალებში მაღალი ძაბვა ჩასდგომოდა ისეთი — ოხხ, თეთრკბილებშუა გამოსცრა ისეთნაირად შავი, შავ-ბნელი: „შშე ვიგგინდარა, ახხლავე თუ არ გაეთრევი ისეთ კივილს ავტეხავ, აქ გაჩნდებიან მთთელი უბნის თანამშრომლები...“ ნათქვამი იყო? — სამივე ბოთლის წამში ამაორთქლებელი და ენოტივით ფხიზელმა არჩილმა ნათქვამი მყისვე ირწმუნა და ძლიერ შემკრთალმა გაიფიქრა: „აჰ, არ გამრიცხონ... სერიოზული ინციდენტი იქნება“, და მაშინათვე დაეპირა გაცლა, მაგრამ გარდერობში მათი პალტოები ერთად ეკიდა, ამ შემთხვევაში უხერხული ნომერი ათი კი — ერთიანი და ნულიანი — მას ჰქონდა და ფეხისწვერებზე შეყოვნდა ამიტომ, ნომერი ათი ყულაბასავით მრავლისმომსწრე მეგარდერობეს წარუდგინა, იმან კი მყისვე ვერ ჩამოხსნა ქალის კუთვნილება, რადგან არჩილის კარგად თანამედროვე ქურქი ქალის თეთრ პალტოს სიმბოლურად გადაჰფარვოდა, ხოლო ქალმა კი, მინამ წავიდოდა, კვლავაც მიახალა ილბლიანი მონადირის პირიქითს: „მაწანწალავ შენ!“ — და წავიდა.

არჩილი მძიმედ ჩაფიქრებული შებრუნდა რესტორანში, თავის მაგიდას მიუჯდა. ვერ იყო კარგ ხასიათზე, ფიქრობდა, იჯდა, იჯდა, ფიქრობდა.

— ხურდა მოგართვათ? — ცალყბად, მხოლოდ ზრდილობისათვის იკითხა კარღია რესტორნის მიმტანმა, მაგრამ არჩილმა თქო:

— ხო.

კვლავაც დაფიქრებულმა მამაკაცმა ფეხი გაშალა, ფული ჯიბეში ჩაიტენა, და პურს წაატეხა.

- პური სადღაც მინდვრებში მოჰყავთ, თურმე ძალიან ბევრი შრომა სჭირდება, მერე, სულ ბოლოს, არჩილისთანებიც სჭამენ.

მაგრამ მხოლოდ პური რა საკადრისია? არჩილი ხიზილალაში უსვამდა პურის ახალ-ახალ ქერქს და, სანამ ლამბაქი სულ არ მოასუფ-

თავა, ლალით მოწყენილ ორგანიზმში იღებდა. მკვეთრი ფერები რამ, შეეერთა: განწყობილება იყო შავი, ხოლო ხიზილალა — წითელი, არჩილი იჯდა და ჭამდა.

ღია კარის, ბითურული დღე...

3

„ეეს?“ არა, ეგ არა“, — ჩვეულებრივი, მაინცა და მაინც არაფრით გამორჩეული კაცი მოდიოდა რადგან. „კი მაგრამ, ბიჭო, სადამდე უნდა ვიცადოთ, ბიჭო“, ვეღარ ითმენდა ყველაზე ცქვიტი თანაკლასელი, მაგრამ თვალმოჭუტული მეორე ყოჩი, თვალთმაქცობათა თავი და თავი, ღირსეულად მიუგებდა, თუმცა ღელავდა ისიც: „დაიცა, გამოჩნდება“. „და აი ეს... ჰა!..“ დიდი, მსუქანი კაცი მოაბოტებდა, რაღაცნაირად სათნოდ გაბიჟვინებული, კეთილი უნდა ყოფილიყო, რაღაც... „არა, არც ეგ“. „და ეს? ეს, აი...“ ნახევარი კლასი, შინისაკენ მარჯვნივ დასაშლელი, სკოლის კუთხესთან იდგა, იცდიდა, მეორე ნახევარს კი პირველი ყოჩის მეთაურობით უკვე ამოერჩია ეგრეთ წოდებული „კაი ტიპი“ და, აღარა ჩანდნენ. „აი ეს, ნაღდად, აი ეს ბიჭო, აი-აი ეს!“ — იყვირა ცქვიტმა და მეორე ყოჩმაც, ჩაცინებულმა, კმაყოფილად დახარა თავი. და პატარა ხანში სანახაობა იყო? — სიცილით იგუდებოდა მთელი ქუჩა: წარმოიდგინეთ, მოდის თბილისის მთავარ პროსპექტზე ძლიერ დაბალი, და ტანმორჩილთათვის ჩვეული დიდის სიამაყით სახეზე, მძლავრღიპიანი კასრტანა კაცი, იღლიაში ყავისფრად სერიოზული პორტფელი ამოუჩრია, მეორე ხელს კი ისე ღირსებით, თითქოს საალლუმოდ, ყოჩაღად და შინაგანი სიმტკიცით იქნევს, მიდის სადღაცას, ჰგონია რომ თავისთვის მიდის, მაგრამ ზურგს უკან ერთმწკრივად ჩაგრძელებული ოცამდე ონავარი მიჰყვება, იღლიაში პორტფელისებრ ჩანთაამოჩრილნი, ხელოვნური ღიპის წარმომქმნელი ქუდი მუცელთან ჩაუკუჭავთ, ფეხაყოლილნი, გაჯგიმულნი მიჰყვებიან და, ხელს სწორედ რჩეულივით კატეგორიულად იქნევენ, შემხვედრნი კი შორიდანვე ფაციცდებიან, იღიმებიან მერე, შემდგომ — სიცილი ძლიერ აწვებათ და უნებურად კაცს თვალაბეუტულნი შეჰღიმიან, ანცლაშქრის არმცოდნე მეთაური კი გაკვირვებისგან უფრო და უფრორე ამაყდება, ცდილობს არავის მოაჩვენოს დაბნეულად თავი, ჩამვლელთა ღიმილის მოშლასა და გაბათილებას მეტის ღირსების წარმოჩინებითა ცდილობს, მაგრამ რა

იცის, მის ზურგს უკან რა ამბავია... აბა, აჩიკო და მისთანანი, ისე-უბრალოდ დაბრუნდებოდნენ შინ? — ბავშვობა, ჰეე, რარიგ ტევადი, სადამდე ვრცელი, როგორ და როგორრანაირად ცვლადი, მაგრამ ახლა, აქედან, ბედნიერებამდე დაუჯერებელი ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, როგორ მისჯილად დაკარგული რამ, აღუდგენელი, ტყეში ჩიტი მომკვდარიყო, ყოვლისშემძლე და განსაცვიფრებელი—დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში კარგად იყო, ბავშვობა, ჰეე, და ერთი მართლა დიდი კაცი, შორი პოეტი, სიმოხუცემდე ბავშვობისა ვერდამკარგავი, ჩვილის წელადი არტახებით შებოჭილი და ეუჰ, მაინც ზეგარდმოდ თავისუფალი, თავისუფლების ტყვე, არჩილსა კიდეენ— ბევრისა თვალში კაი ადგილი, და იმ აღზევების, პოეზიას რომ უწოდებენ, ფულით შეძენილი დაკარგვა, და მივიწყება კიდევ აი იმისა, სიტყვით სამშობლოს რომ ეძახიან და დანაწვიმარი, შრობაწყებადი, სუნით ფერადოვანი მიწის ოხშივარის ნაცვლად — ბენზინიანი სამსახური და თანამდებობა, და ვითომც განლაღებული საუბრებისას ამდაგვაროვნად უსუსური ქათინაურები: „დღეს თქვენ განსაკუთრებით კარგად გამოიყურებით, ყენიჩკა“, ან, დიდი-დიდი, საიდანღაც ნასესხები „შენ წალკოტის ყაყაჩო ხარ, თამარა“, ანარადა, ვითომც ძალიან ჩახვეული: „ალბათ როგორი ძალიანი კარგი გრძნობაა, არა, როდესაც იცით რომ თვალწარმტაცი ხართ და ხალხის თვალს სიამოვნებას ანიჭებთ?“, ჩვენს ხალხურში კი, ამისთანაები სწერია, ხალხნო — „სად მოიცალა ი ღმერთმა შენი თვალ-წარბის წერათა“, მაგრამ არჩილი ისედაც არხეინად გრძნობდა თავს, რადგან ზედაპირულ სიამეთაგან არაფერი აკლდა; კი, ასე იყო, თუმცა არჩილი ვინმეს მხოლოდ ამინადარსა და ლალისთან რომ ეხილა, ეგებ ქალის უნახავიც კი ჰგონებოდა, მაგრამ ძალიანაც შეცდებოდა: არჩილსა და მის წრეელებს რესპუბლიკის გარეთ თითქმის ყოველ გამოჩენილ ქალაქში თითო-ოროლა ათვისებული ქალი მაინცა ჰყვანდათ ძირითადად ხელის სილამაზეთა წყალობით, მშობლიურ ქალაქში ხომ... უბრალოდ, არჩილის გულითადი სურვილი იყო, ისე დაეპყრო რომელიმე არცთუ ულამაზო ხორციელის გული, იმა მანდილოსანს მისი ასავალ-შემოსავალი სრულებითაც არა სცოდნოდა და ჩვენი მეტრფე უიმმანქანოდ, რიგითი ადამიანივით ფეხოსნად გამოდიოდა ქუჩებში და პატივმოყვრული ოცნების ახდენასა ლამობდა, მაგრამ ვერ გამოსდიოდა ეს. გამოსავალი კი მაინც აღმოიჩინებოდა წყალობით შემდეგი დებულებისა — „ქალი ერთია ყველა“, და მოშინაუ-

რებულ ყოფილ სატრფოს სამზარეულოდან გამოსძახებდა: „მოდი აქ, ქალო, დამალევინე, წყალი“, არადა, ადრე აჩიკო ბიჭი იყო? ნაარდადეგებს, რაღაც სიწმინდე ჩამოჰქონდა თიანეთის შუაგზაზე ტყისპირად გაშენებული იმ სოფლიდან, მისი ოჯახის ახლობლები რომ ცხოვრობდნენ; სოფელი იყო? წყაროიანი, კაკლნაროვანი, ცაცხვებიანი, აჩიკომ ბედზე მიუსწრო და შეფრფინვით ბევრჯერ იხილა მოქმედი ძველი წისქვილი და მბრჭყვინავი კალო, ღელეში თევზიც კი დაცურავდა, მართალი იყო აქ ყოველივე: მზე თუ ჩანდა და, მართლა აცხუნებდა, ქარი თუ ქროდა, აფორიაქებულ სოფელში ნამდვილად ქროდა და, ღრუბლები თუ ჩამოიძენძებოდნენ — წვიმდა, აჰ, ჭეშმარიტად, მიწისთვის წვიმდა, ძალიან მართლა აჩურჩულდებოდა დამძიმებული ისედაც მიწა — თავშესაფართა, სახლთა საყრდენი, ფერად ნაყოფთა მომთმენი გამდელობით ადამიანთა მეპატრონე და სულ ბოლოსაც იმათი წყნარი შემკედლებელი, იქ მცირე ღელეს ადიდება სჩვეოდა ხოლმე, რა კარგი იყო ზვინში შეყუჟვა, გველის შიში რომ არა ჰქონოდა, იქ ტყეში მგლები ხაფანგებშუა დაწანწალებდნენ და შუაღამით ხანდახან ეზოს მოადგებოდნენ. ყმუილი ისე ახლოს იყო, კი; დათვიც იცოდა. იქ წმინდა ჰაერს გატრუნული ყნოსავდა ბიჭი, სოფლის კვამლიც კი წმინდა გახლდათ, დაფლეთილი და, ისუნთქებოდა, იქ ყოველივე სიმართლე იყო, და იქაურ რძეს სხვა გემო ჰქონდა. სხვა მადლი ახლდა, იქ — ნამდვილ ქართულს ლაპარაკობდნენ, იქ შებინდებამ მოძალება იცოდა ისეთი, სილამაზეზე გული გწყდებოდა, ნალიან ჭიშკარს მოაბღავლებდა შორით ჩამუქებულ, ვრცელ ტყეთა შიშით მოსილი დიდრონი ძროხა და ვარსკვლავები გინდ აბჟუტებულიყვნენ, გინდ არა, რაღაც სხვა, უცხო ქვეყანაში აღმოჩნდებოდა აჩიკო, აჩი, გახევებული, ნაბიჯწარუდგმელი მოგზაური, ბინდით გაჟღენთილ იდუმალებას უყურებდა, ხეს მუშტრის თვალით აჰყურებდნენ და გარს უვლიდნენ დღით მოღლილი და მაინც გაფაციცებული ქათმები, ბინდიან მიწას ერიდებოდნენ და ღამის გასათევ ტოტებს ზვერავდნენ, ფრთებს დაიქნევდნენ მერე; იქ რაგინდ ცხელი ზაფხული ჩამომდგარიყო, საღამოობით მაინც ციოდა, აძიგძიგებამდე იდგა ბნელში აჩიკო და, მერე სახლს მიაშურებდა, სახურავად კრამიტი და იატაკად სოხანე რომ ჰქონდა, და ხელკეთილით გამომცხვარი სოფლის პურით და სოფლის კარაქით და ნამდვილი რძით ყუჩად ვახშმობდა, გატრუნულ საგნებს ძალიან ოდნავ ალიცლიცებდა ძველი ლამპარი, ბუხრის

ნათელი უთავბოლოდ და ტკაცუნით ძრწოდა, გასათბობ ლოგინში შეძვრებოდა აჩიკო, მატყლის დიდ საბანს თავზედაც კი წაიფარებდა და ჩათბუნების მოლოდინში ინაბებოდა, რა გემრიელი იყო სახლი, მისი ნესტიც კი, გარეთ კი ბნელად განდგომილი ქვეყანა რჩებოდა, ღამის ანაბარა.

ახლა სულ სხვაგვარ არდადეგებს იწყობდა ხოლმე, რასაკვირველია, — სექტემბრის ასე, თხუთმეტი-ოცი, ყველა დროს სჯობდა, რადგანაც სწორედ მაშინ არჩილი და მისი წრეელები ცნობილზღვიან აგარაკზე ხუთი თანადროული მანქანით მიემგზავრებოდნენ. თითოში თითო წრეელი იჯდა რაღა თქმა უნდა საჭესთან, დიახ; კარგი უჩნდათ გზა გასვლით დროსტარებათკენ, ქროლვა, მოსახვევები მკვეთრი წივილით რჩებოდნენ უკან, წითელ ტაძარს ხურდა ფულს შეუჩერებლივ, ხელუკუღმა მიაყრიდნენ — ვინ იცის, ეგებ... — ინსპექციათა ფარდულებთან კი ძალიან ნელა, ფრთხილ-ზეიმისებრ ჩაატარებდნენ დამჯერ მანქანათ, და ისევ — ქროლვა, წივილი ისევ, ხრეშზე გადავლას სხვა ეშხი ჰქონდა, რაღაც ყოჩაღად მძიგბიგებლური. პირველ საუზმეს უღელტეხილთან შეასრულებდნენ ხოლმე, უცხო რესტორნებსა და იქაურ საჭმელს ერიდებოდნენ — „რა იცი, ამ სიცხეში... როდინდელია...“, და ასფალტისპირა ტყეში სუფთა ადგილს რომ შეირჩევდნენ, იწყებოდა დიდრონ ჩანთებში ფათური და შედარებით უბრალო რაგინდარას ამოღება — შემწვარი წიწილები, მოხარშული დედალი, სუკი გენაცვალე, ხის სოკო, თევზი-მევზი და ამისთანა ყოფითი რამ, აგრეთვე წვრილმანები: ლავაში, ყველი, ძმრის ხელშეწყობით სალათად შეძმაკაცებული კიტრი და პამიდორი, ის ლიმონათი, დიახ, და შინაური ხაპაჭური — კარგი ცხოვრებით ზომიერად კმაყოფილ ცოლთა დროებით ბეჭდებწაძრულ თითთა მეშვეობით ნახელავი, რეჰანი და სხვა, ხოლო ფინალისათვის გამოიძვრინებოდა სასიამოვნო მოულოდნელობანიც — ვთქვათ, რომელიმე გამჭრიახი წრეელის მიერ თერმოსით წამოღებული შოკოლადოვანი ნაყინი, რომელიც სიცხეში ჭამისას პირდაპირ მისწრება იყო, მაგრამ მერე და მერე ძალიანი მოწყურება იცოდა; არჩილს გრძელი დანა ჰქონდა ერთი, და იმის წყალობით თერმოსის ყინულოვან შიგანს ჩხრიკნიდა, ჩორკნიდა და დაქუცმაცებულ სასუსნავს წრეელებს ჭიქაში უყრიდა, ისევ-ისევ გზა!.. ისიც, როგორი წინანდელი, ისიც გზა იყო?.. ალბათ, აბა რა — პირველად, სუ-სულ პირველად სკოლის ნაცვლად იმან და კაკიმ სულ სხვა ადგილას რადგან

ამოჰყვეს თავი. ეგრეთწოდებულ „შატალო“-ზე იმ დასაკარგავში კაკი რად გაჰყვა, ეს არ იცოდა, თავად კი... იმიტომ... ეს იმიტომ რომ... იმიტომ, რადგან... რადგანაც... მოკლედ, ეგე... შეყვარრრებული გახლდათ. მეექვსეკლასელ ბიჭებს თანატოლი გოგოებიც კი უფროსულად დასცქეროდნენ, აჩის კი, ბედი არ გინდა, კაცო?—მაინცდამაინც თვით მეერვეკლასელი, მისთვის ისეთი დიდასაკოვანი ისეთი შორეული და მიუწვდომელი, კომკავშირელიც კი უკვე, უყვარრრდა. ლამის ძალიან დიდი ხანი იყო, სხვაგვარი რეჩხი რომ უყო გულმა — მთელი ოცდაორი ოცდათოხსაათიანი დღე. ეს რანაირი ყოფილა მაინც ეს შეყვარება ძალუმი ესე, განა აჩიკო როდესმე წარმოიდგენდა, სარკეში თუ მალულად წამდაუწუმ დაითვალიერებდა თავს? ანდა, მთლად უარესი — ვარცხნილობის საუკეთესოებაზე დიდხანს ეფიქრნა? გაფრთხილებოდა პერანგს და შარვალს? იმდენის მომსწრე ხელისგულზე, დაფასთან ჩამოსაკაკლავი ისტორიული თარიღების ნაცვლად, დაეწერა „ნ“? შატალოზე, რა, მახლობელ კინოში თუ წავიდოდნენ იმისი კბილა ბიჭები, აჩიკოს კი რაღაც სხვა სურდა. რაღაც ამაღლებულად განსაკუთრებულსა სთხოვდა შეძრული გული და, მოიფიქრა — ფუნიკულიორზე ასვლა გადასწყვიტა და კაკიც ისე საეჭვოდ მყისვე დაეთანხმა, აჩიკომ ერთი კი გაიფიქრა: „ესეც ხომ არ... შეყვარებული ხომ არ...“, და უცებ, სასტიკი განცდით აეწეწა სული: „და ამასაც ის ხომ არ...!“ მაგრამ აჰ, არა, არა, კაკი ისეთი დაბალი იყო, კლასელებს მხრამდე ძლივას სწვდებოდა, ჯერ პიონერსაც კი არ ჰგავდა, იმას კი, იიმ, „ნ“-ს, წესით და რიგით თუნდაც ფიქრობრივ აბა რანაირად შებედავდა, მაგრამ ძნელი იყო კი აჰ, სიყვარული, და აჩიკომ მაინც გამოსცადა ძმაბიჭი, თუმცა ღელავდა, ხმადაბლა ჰკითხა:

— ნ?

— რა? — შეაცქერდა პატარა კაკი.

— არა, არაფერი... —

„კარგი ბიჭია“.

მერე იყო და, იყო ნელი ტრამვაი, სამიოდ მგზავრი, ვიღაც სამხედრო, ლითონის ბაგირის წყნარი ღრჭიალი, შორეულ ტყეთა ნაცრისფერობა, გაძარცული ტყე, შემოდგომურად დუნე სიყვითლე, გასუსულიყვნენ აჩიკო და კაკი, რადგან თბილისი, მათი ქალაქი, ზემოდან ძლიერ გადასხვაფერდა — რაღაცნაირად, გაიშალაც და დაპატარავდაც, მაშინ თბილისზე კრამიტიანი სახურავები უფრო სპარ-

ბობდა, და უფრო ვიწრო, შინაურული ხიდები იყო მტკვარზე გადებული, და კანტი-კუნტა მანქანები იტაცებდნენ თვალს: სანუკვარ ეზოს, სადაც ცხოვრობდა დედუფალი „ნ“, ამაოდ დაეძებდა აჩიკო, მერე პარკისკენ დაადეს თავი, სადაც იმდროინდელი გამოჩენილი ატრაქციონი — აწონ-დაწონ დიდი ბოქლომითა და ჯაჭვით საიმედოდ დაებათ, მერე პარკს გასცდნენ, იქით უფრო სხვა ხეები იდგა, უფრო ნამდვილი, უფრო ტყედ შეკრულნი თითქოს, და შორეულ ყეფაზე ერთხანს შედგნენ და მერე ორთავეს ერთად გაახსენდა რომ— მოშივნოდათ, და ვითომ ძაღლის შიშმა კი არა, მადის გამოღვიძებამ უბიძგათ უკან, ფუნიკულიორის რესტორნისაკენ, თან ყოყმანებდნენ — მხოლოდ მანეთი, და რაღაც ხურდა, ისიც გზის ფულად, ჰქონდათ. მაგრამ აჩიკომ „ნ“ გაიხსენა და ვაჟკაცურად აიარა საფეხურები, ერთხანს დარბაზში იბოდიალეს, მერე ბუფეტის თავკაცს მიადგნენ და რომ გაუწოდეს მანეთიანი — იმა პაწია ასაკისათვის, ცოტათი ხელის სილამაზე, და დაამატეს: „თუ შეიძლება, ერთი მანეთის, პური და ყველი“, ბუფეტოვანმა მსწრაფლ-განრისხება დააპირა, ჯერ ეგონა თუ, აშაყირებდნენ, მაგრამ თვალების დანახვაზე, თვალებზე მიხვდა, ვისთანებთანაც ჰქონდა ამჯერად საქმე, ნახევარი პური მოუჭრა, ჩამოუთალათ ორი დიდი ნაჭერი ყველი, მერე თავის მხრივ ყოვლად უთქმელად ერთი ბოთლი ლიმონათი დაამატა, შეეძლო ორიც, შატალოიონნი პარკში დაბრუნდნენ, სკამის კიდეზე დასხდნენ, და რადგან აჩიკოს ის გრძელი დანა მაშინ არ ჰქონდა რასაკვირველია, პური შუაზე გადატეხეს, რა სუნი ჰქონდა! მერე ისევ ქალაქის სათვალთვალო მოჯირს მიადგნენ, აჩიკო კვლავაც იმა ეზოს ძებნას შეუდგა, და, თავისუფლად შესაძლოა. კაკიც შეყვარებული იყო, რადგან ორჯერ ძალიან ხმადაბლა თქვა:

— ეხ.

იმავ საღამოს კი, რადგან, მოგეხსენებათ, უშედეგოდ არარა ხდება — ეს საზიზღარი, ეს საზიზღარი, — რაღაცნაირად, მთელის ეშხით და თან უბალღამოდ ამბობდა დედა, — ბავშვს სკოლაში უშვებ და, ხედავ, თურმე სად და სად არ დაეთრევა? რა გინდოდა იქ, ბიჭო!

აბა, თავად განსაჯეთ, იტყოდა?

— მითხარი-მეთქი!!

ეტყოდა, განა? შინ კი არადა, ამხანაგებთანაც ვერ გაამხელდა მიზეზს, ახლა კი, პირიქით, საამაყოდაც კი ქონდათ საქმე:

— სამი სვიდო[1] მაქვს, — ამბობდა აის წრეელი, კარგ რუსულს დიახაც რომ ჩემულობდა, — რომელ ერთთან წავიდე, კაცო?

— რომელთანაც სჯობს.

— სწორია, სწორი, — ჩაურთავდა არჩილიც და წამოიმართებოდა, — შევიდეთ, ზღვაში?

კოტეჯებიან აგარაკიდან დიდად ცნობილ ქალაქ-კურორტში თუ ჩაისეირნებდნენ, იქიდან, უკან, რამდენიმე ისეთ ქალს წამოიმძღვანიებდნენ, ურთიერთს კარგად რომ შეეხამებოდნენ, იმათი გამოცნობა არ იყო ძნელი — ხელის სილამაზიანნი რომლებსაც უყვარდათ, ეტყობოდათ, რაღაცნაირად, ჩაცმულობაზე, იერსა თუ მტაცებლურ-ბრიყვულ გამოხედვაზე. მაგრამ ერთ წრეელს ერთ მშვენიერ დღეს, ღამეს, შიდა ბარძაყზე დაუმთავრებელ-ვარსკვლავ-ტატუირებული ვაჰ-ქალი რომ შეხვდა, მას შემდეგ მორიგ მანდილოსნებთან შესამოწმებლად ჯერ ზღვაში გასცურ-გამოსცურავდნენ, შრობისას ტანზედ შეამოწმებდნენ და მერე კი, დაორებულნი, აგარაკისკენ ჰერი-ჰერი. სექტემბერში ზღვისპირას იმდენად აღარ ირეოდა მილეთის ხალხი, მაგრამ მაინც, წინდახედულობით, რამდენიმე ხელისსილამაზიან ნეილონის სანდოდ დახშულ პარკს გადასაცმელში საცურაო ტრუსების წინა ვაქკაცურ მხარეს ჩაიჩურთავდნენ და მერეღა მიაშურებდნენ ზღვას, რომელიც, თავიდან, კოჭებთან, მჭახე სიგრილით შემაკრთობელიც იყო, გაფრთხილებასავით — „ზღვა ვარ“, მერე, მუცლამდე რომ შეაბიჯებდა, სიცივე იპყრობდა, მერე ერთი უნდა გადაშვებულიყო და გონიერსა თუ უვიც სხეულის ერთნაირად თბილი სიამით ჟღენთდა მარილოვანი წყალი, არჩილი ხელფეხს მადიანად იქნევდა, კარგი იყო სექტემბრის ზღვა, და კარგივე გახლდათ იმის შეგრძნებაც, რომ სულიერთაგან აბა სხვას ვის ექნებოდა წყალქვეშ იმდენი ქაღალდის ფული; რესტორნებს გარდა, ნეტარებათა თვალსაჩინო სხვადასხვაობისათვის, ბუნების წიაღშიც სჩვეოდათ ქალებიანა ქეიფითი გასვლა, ხოლო როცა ერთხელ არჩილი იმ თავისი გრძელი დანით შეუდგა ბეჭის დათლას, ერთ-ერთმა თეთრშარვალშემოტკლეცილმა, თვალებგანგებამოღამებულმა ქალმა სიცილ-სიცილით სულ ასე იძახა: „აჰ, კავკასიელები, კავკასიელები, კავკაზია...“

---

[1] რუსული გამოთქმიდან «До свидания».

ბევრი იცინეს. ძალიანი. აი, ეს იყო ცხოვრება, თორემ, იმ თბილისელი ერთი ბებერი ქალის ყოფასაც განა ცხოვრება ეთქმოდა, განა?

4.

არჩილის მეზობლად, სწორედ მისი კარგი კარის პირდაპირ, იგივნაირ ოთხოთახიანში, ერთ-ერთი წრეელი ცხოვრობდა, უშო—ერთად ჩააწყვეს. სართულზე ორი ცალოთახიანიც იყო, რომელთაგანაც თავისკენა არჩილმა არამყვირალა ენერგიულობით შემოიერთა, წრეელმა უშომ კი მეორე, თავისპირა ბინის ათვისებას ვერაფერი მოუხერხა, რას არ შეჰპირდა, მაგრამ გადასვლას არასდიდებით არ თანხმდებოდა იმბინიანი ხნიერი ქალი, მართა. „გიჟია, რეგვენ-ტიალ-ოხერი? — საჭეს უჯდა და ისე შფოთავდა წრეელი უშო, — მეტი რა გინდა, ქალო, ოროთახიანში გადაგიყვან-მეთქი, ამავე კვარტალში-მეთქი...“ „მერე? — ეკითხებოდა მანქანისმიერი გვერდითა წრეელი, არჩილი და კიდევ ერთი უკნითა დუმდნენ, თანაც, არჩილმა კარგად იცოდა, რაშიც იყო საქმე... „არაო. რად მინდა დიდი ფართობიო“. „ალბათ ფული უნდა“. „არა, მაგისი დედა ვატირე, — ძალიან მწარედ ცხარდებოდა წრეელი უშო, ჯდომლურ მდგომარეობას იცვლიდა. — უკეთეს ერთოთახიანში გადაგიყვან, უკეთეს ადგილას, უკეთეს სართულზე, რაც ხარახურა გაქვს, უფასოდ გადაგიტან-მეთქი, ბლომად ფულსაც დაგიმატ... ჰხაიი, ჰაა,“ — სუნთქვა ეკვროდა. „მერე?“ „არაო“. „რატომ, მაგისი... — უკვირდა გვერდითას, — სხვა რა ჯანდაბა და ოხრობა უნდა“. „რავი, მაგისი...“ „ეგება ფული ეცოტავება?“, „არა, გაგიჟდი? იმდენს დავპირდი რო...“ „მა რა დოზანა და...“ მცირე ხნის შემდეგ, სწორ მონაკვეთზე, უშო ამბობდა: „გიჟია, მა რა, აქ ჩემი შვილი ცხოვრობდაო და მე იმის ხსოვნას ვერ დავტოვებო...“ „მამა უცხონდა, ეგ თუ მაგ ბინას არ მიატოვებს, მაგისი შვილი რა, — გაცოცხლდება?“ „ბებიამაგისამ, — გაიოცებდა ალმართის შემდგომ იგივ წრეელი, — სხვა ბინაში თუ გადაბრძანდება, შვილი რა, აღარ ეხსომება?“ „რავი, მაგისი...“, დაიბოღმებოდა უშო და მოსახვევს ისე ჯიქურ იპყრობდა, მკვეთრი წივილი პროფილებზე, გლუვად უხილავ განაფხაჭნად გადასდიოდათ, და ზომიერად შემკრთალი გვერდითა წრეელი დაუყვავებდა: „კარგი რა, უშო, შენ თუ შენ ნერვებს არ გაუფრთხილდი, სხვა კი არ მოუვლის... შენ კარგად უნდა დაფიქრდე, უშო, ნელა ატარე და ისე, ყოველთვის არის გა-

მოსავალი“. „მეტი რაღა ვქნა, შე კაცო, — უკვირდა უშოს, — ცოლად ხომ ვერ შევირთავ და...“ ამას სიმწარე ახუმრებინებდა, რაღა თქმა უნდა, რადგან ის ქალი დედად ერგებოდა, საერთოდ კი საქეიფოდ მიდიოდნენ, გორთან, „ბიჭო, მოვიფიქრე! — უხაროდა მანქანაში მინამდე ყუჩად მჯდარ უკნითა წრეელს, — მაგარი საფლავის დადგმას დაპირდი და, აი ნახავ, თუ, თუ არ დაგთანხმდეს“. უშომ სარკიდან შეხედა და, თქვა: „ვუთხარი ეგეც. არ მოინდომა.“ „რატომ, შე კაცო... არ ჰყვარებია?!“ „არა, რა ვიცი, სულ სხვა რამე მოიმიზეზა“. „რაო...“ „აქაც უბრალო იყოო და...“ „კარგი, ოჰ, კაცო...“— უკვირდა წრეელს. „აბაა... ბედი არ გინდა? — მწარედ დაიჩივლებდა უშო, — ყველა ოხერი მე უნდა შემხვდეს“.

გადაუხვიეს.

„შაოს ბოტკინი დამართნია, ეგღა უნდოდა? მაინც ისედაც ძვალი და ტყავია,“ — თქვა გვერდითა წრეელმა. „უიმე, რას ამბობ, როგორ?“ — ძლიერ უგულოდ იკითხა უშომ. „რა ვიცი, კი წევს და...“ „აუცილებლად უნდა ვნახოთ, — სისულელით წამოსცდა გვერდითას, მაგრამ საჩქაროდ გამოასწორა, — თუმცა კარანტინი ექნება ალბათ, ნაღდად, გადამდებია“. „ხილი და რამე შევუგზავნოთ“. „ადგილიც აღარ ექნება, კაცო, მარტო ანტონა... ფული სჯობია“, „აკლია, კი, კი, — იღიმებოდნენ, — და შენ რომ აიღო და ის ფული დაამატო და სადმე სხვაგან გადასცვალო ბინა?“ „გაგიჟდი, ბიჭო? — სარკეს ამჯერად არ დაკმაყოფილდა და მიუხედა კიდევაც უშომ, — რაც მე რემონტში ჩამიყრია...“ „ჰოო, ეგ ჰოო, — მყის თანხმდებოდა და მერე ხელებსაც შლიდა უკნითა წრეელი, — არა, ძმაო, არა, შენ რომ გაქვს, არა? — ეგეთი რამე ჯერ მართლა არსად არ მინახია...“ უშოს გულს ეს კი სიამოვნებდა, მაგრამ დაჩაგრულად ამბობდა: „მე სწორედ მაგისმა რემონტმა არ დამღუპა?“ „შენმა?“ „არა, იმ ქალის“. „იმ ქალის? რატომ...“ „რა ვიცი, მაგის შვილს მაგის ოთახში რაღაც ნაგავი შპალერი თავისი ხელით გაუკრია და... მეო, იმის ნამუშევარს ვერ მივატოვებო, დიახ...“ „მალარი იყო?“ „არა, ფიზიკი. და თანაც, რაღაც მატაციკლეტისთვის თურმე ფულს აგროვებდა“. „მაგრა ყოფილა. ისე, ის ბიჭი რომ არ მომკვდარიყო, ოროთახიანში ნაღდად გადავიდოდნენ, ოჯახის შექმნა, ცოლიო, რამე...“—თითქოს დასაბუთებულად მსჯელობდა უკნითა წრეელი, ხოლო უშანგის უფრო ეკიდებოდა ცეცხლი, გულდათუთქული, ასე ამბობდა: „აბა მე რავი, მე ჩემი ბედი, მოკვდა“.

უახლოვდებოდნენ, გორს.

ამის თანაბებს, გულღიაობა ალაპარაკებდათ, თორემ ისინი აი იქ უნდა გენახათ, ერთმანეთის ოჯახებში, წვეულებებზე, ანდა — საპირო ზეკითურა ხალხის თანდასწრებით ხომ... რა პეწი ახლდათ, რა სიკოხტავე, როგორვითარი მზადყოფნა, ანდ რანაირი სიტყვა-პასუხი; ხვეწნურად ძლიერ მომლოდინე მზერას აღაპყრობდნენ ნემსთ-ყუნწშიგამძვრალთ, დახვეწილები გახლდნენ ისეთი უცხო თვალს მათთვის რომ შეეხედა? — სულო და გულო... ატაშეების მიხვრა-მოხვრა ჰქონდათ. სულ სხვანი იყვნენ ქალაქგარეთა რესტორანში, კაბინეტთაგან ყველაზე უშუალოში მოყუჩებულნი, სიცხეში ცივი შამპანურით აგრილებულნი, და თანავდროულად ახურებულნი მაინც, პერანგჩახსნილნი, ჭიპამდე დეკოლტეთი ისხდნენ და სვამდნენ, მეორე დილით კარგი იყო მაცივრისმიერი შინდის კომპოტი, დაფუფქულივით ენა-ხახაში სასიამოვნოდ იეღინთებოდა, საერთოდ, ზაფხულს, ნაზად ნატიფი საჭმელები უფრო უყვარდა, ხბო, ბატკანი, ვთქვათ, და სულ სხვა რამ ეშხი ჰქონდა დეკემბრობით საფერავსა და ღორის მწვადს, ჯიგრის ყაურმას, ხანდახან ძლიერ კარგი იყო განსხვავებულობანიც კი, როგორიცაა ტორტი, მოკლედ, რა იცი, ორგანიზმი რას არ მოგთხოვდა, მაგრამ ყველაფერი ეს თავისით კი არ მოდიოდა, ამას შრომა და ანგარიშიანი გაბედულებანი უნდოდა, შემმოწმებელთა სისუსტეების ამოცნობა, ჭკუით მიდგომა, სხვადასხვაკუთხა დაზღვევები, გამოზომილი ურთიერთობა როგორც უფროსთან, ასევ — უმცროსთან, თანამშრომელთა თვალის გასაკეთილებლად რაიმე ზედმეტი უანგარო დატვირთვის აღება, მართლა ადვილი კი არ იყო იმათი დარგი, ოღონდაც, რისთვის, და რა ამტანი იყო სხეული, თანდათანობით ბუნების წესით თუმცა ცვდებოდა, ალბათ, მაგრამ ჯერხნობით არა უშავდათ რა, თითქოს, და შესამოსიც აღმატებულად თანადროული ჰქონდათ — ჯერ ის იყო და, ნეილონ-ბაილონობა იყო და, სულ შარიშური გაუდიოდათ, „ბიჭი მიდის მოხვეულში“-ს ჰგავდნენ, მერე მოვიდა შავად მკაცრი „კერპ“-ობა, უცხო ქვეყნების მაძებრებს ძლიერ ჩამოემგვანნენ, ოღონდაც შლაპას ვერა გუობდნენ, ხავერდობანა რომ შემოვიდა, ახავერდოვდნენ, მზის შუქზე ჰავლი გადასდიოდათ, მერ ჩამოდგა ტყავით შემოსვა, ტყაოსნობანა, რა უჭირდა რა, სიამოვნებდა თვალს, მაგრამ ერთს ერთხელ თავში დაადეს დიდი აგური.

აგურისავე სახლში ცხოვრობდა ეს ადრე, წინათ, დედუფალი „ნ“ — აჩიკო იმის ფანჯრებს ისე გაოგნებულად დამფრთხალი მიჩერებოდა, შუშაზე მეტად თავად უფრო შუშისა იყო, ფარდის ერთი შერხევა და, დაიმსხვრეოდა ნაღდად, ღელავდა ისე. გარეთ ციოდა, დიდ ერთგულ ჭადარს ამოფარებოდა აჩი; რა კარგი იყო. ზამთრობით რომ ღამდება ადრე, ისე-უბრალოდ ვერ შენიშნავდნენ, აჩიკო ოდნავ წინგადახრილი იდგა, და უნებურად მუცელზე მიედო ფრთხილი ხელისგული — ნაოპერაციეზე, შინიდან პირველად გამოსული გახლდათ. პირდაპირ აქეთ მოაშურა, „ნ“-ს სახლისაკენ, და რა თქმა უნდა, არასდიდებით გაიყოლია შემკრთალი დედა — „ვაიმე, ვინმე არ დაგეჯახოს...“ აჩიკო იდგა რაღაცნაირად ვალმოხდილი, გაამაყებული, რადგან თავისი ძნელი ჩანაფიქრი კაცურკაცურად განახორციელა: სამიოდ კვირის უკან, რაღაცა ბედად, აეკვიატა, რომ ამ შუა ზამთარში თბილისის ზღვაში თუ შებედავდა, მერე მოხდებოდა ისე, რომ გაიცნობდა „ნ“-ს და კინოში ერთად წავიდოდნენ და სანახევროდ იაიც ჩაიფიქრა, რომ „ნ“ ლაღიძის წყლებშიაც კი შეჰყვებოდა და სამ-სამ ორმაგს სვენებსვენებით გამოსცლიდნენ, ჩაიფიქრა აჩიკომ ასე და, თბილისის ზღვაზე მარტოდ წასვლისაც აბა რად უნდა შეშინებოდა, აგერ არ ჰყავდა პატარა კაკი? თბილისის ზღვაზე მაშინ ტრანსპორტი არ დადიოდა, არც ეს სახლები იდგა მაშინ, ყრუ, მიეარდნილი ადგილი იყო, მაგრამ აჩიკომ და მისმა კაკიმ ყოჩაღად სძლიეს შორეული გზა, და დიდ-გამოცდის ჟამი რომ დადგა, და ტანსაცმელ-კაკიზე-გადაბარებულმა, სიცივისაგან ქვადქცეულმა აჩიკომ წყალში რომ შეჰყო ცერი, ასე ეგონა, სუსხისაგან აფრინდებოდა, და მაგრამ, მაინც, სიყვარულო ეხხ, სიყვარულო — უხხ, თავითფეხამდე დასველდა და, ძმაბიჭის ხვედრის წარმოდგენით თვალებმომწაროდდახუჭულ კაკის თავისი პალტო გამოგლიჯა და ტანს ომითი როცა აკანკალებული სხვა სიტყვაა, იმშრალებდა, კაკი თავისი შწვანე ყელსაბურით ძმაბიჭის სველ თმაზე ცოდვილობდა, ძალიან უშლიდნენ ერთმანეთს ხელს, და როცა გადალურჯებულიც სხვა სიტყვაა, აჩიკო გაოგნებული მშობლების წინაშე შუაღამისპირს ამაყად წარსდგა და შეკითხვაზე, თუ სად იყო, გამარჯვებულმა საკუთარ თავზე, გარკვეული ქედმაღლობით მოხსენებულჰქმნა სისწორე, ამ პასუხს მშობლების მხრიდან, რაღა თქმა უნდა, აპლოდისმენტები არ მოჰყოლია, და, კიდევ კარგი, თავშეკავებული კაცი იყო აჩიკოს მამა, მხოლოდ ვალერიანის ორი აბი იკმარა, რაც შეეხება დედას, სხვა

დროს ამის მეათედსაც არ აპატიებდა, მაგრამ ახლა, განცვიფრებული, წიგნიან სკამზე დაჯდა და ესღა იკითხა:

— იქ რა გინდოდა, მითხარი, შვილო...

აბა, თავად განსაჯეთ, იტყოდა?

— მითხარი, შვილო, დედა არა ვარ?

ეტყოდა, განა? — ყოფილიყო რა... ნურას უკაცრავად — „ნ“-ს ირგვლითა საქმენი სხვაგვაროვანნი გახლდათ, და სიტყვა „საიდუმლო“-ს ნაჯობნარა სიტყვა „ხვაშიადი“, ასე ჰფიქრობდა, როცა ფილტვების ანთების შიშით დაფაცურებული მშობლები შეყვარებულ ყმაწვილს თავით ფეხამდე სპირტით ზელდდნენ, და თუმცა აჩიკო გაციებითაც არ გაციებულა, გაცივდა კაკი, ოღონდ, ისე მოხდა, დამთხვევა იყო თუ არა კაცმა არ იცის, ალბათ არ იყო, მეორე საღამოს, მწვავე შეტევისა გამო, მკაცრ მაგიდაზე საბრმანაწლაოდ წამოაწვინეს თეთრებმა აჩი, ბიჭ-რომანტიკულს კინოთა და ორმაგ-ორმაგ ტკბილ წყალთა ნაცვლად საცდელი ყარფუზის ბედი ეწია, ეს იყო საქმე? წარმოგიდგენიათ, ხომ?

ნ

მაგრამ ბრმა ნაწლავს, გლანდებსა და ამისთანაებს რა უჭირდა, მორჩენილზე, ავადმყოფობა ცოტათი საამპარტავნო და შვებითიც იყო, სხვა გემო ჰქონდა დასუსტებულზე ქუჩაში გასვლას, როცა ბგონია რომ შენი გმირული ამბავი სუყველამ იცის, ხალხი კი თავისთვის მიედინება, რა გამოულევს საქმეს, ნაავადმყოფარზე ახლობელთა ზედმეტი ყურადღებაც საკმაოდ თბილად ეფინება გაამაყებულ გულს, და გაკვრით ჩავლილ, თითქოს თამაშა, სურდოსნაირ, ვთქვათ, ავადმყოფობებს რა უჭირდა რა, დაავადება აი ის იყო, საშინელი და ძრწოლისმიერი — მართას შვილს უცებ რომ აღმოაჩნდა. მართას ქალიშვილიც კი ჰყავდა, მაგრამ ის როგორღაც არ ითვლებოდა, სადღაც შორს იყო გათხოვილი, და მართას იმ თავის ბიჭზე ამოსდიოდა, როგორც იტყვიან, მთვარე და მზე, როგორც იტყვიან, ის იყო მისი გულის ვარსკვლავი. ბიჭს თითქოს არა უშავდა რა, ჩვეულებრივივით იყო, არჩილი იმას არასოდეს დალაპარაკებია, მხოლოდ ესალმებოდნენ ერთმანეთს. ის ერთოთახიანიც იმ ბიჭისათვის მიუციათ: როგორც ამბობდნენ, ნიჭიერი ფიზიკოსი ყოფილა, და შეუწყვიათ ხელი. მართა რომელიღაც საავადმყოფოში მოწყალების დად მუშაობდა, ადრე.

შვილის ამბავამდე, მართა ქოთქოთა და მხიარული ქალი გახლდათ, მოულოდნელი სიმსუბუქით იმორჩილებდა დიდ, მსუქან სხეულს, გაცინებისას თვალები სულ აღარ მოუჩანდა და ლოყებზე კი სამაგიეროდ დიდი ფოსოები უღრმავდებოდა, მაგრამ არჩილმა არ იცოდა ეს. მართას განსხვავებულ, გაპრანჭულ მეზობლებში მორიდებით ეჭირა თავი, ხოლო მაღაზიებიდან რაგინდ მძიმე ჩანთით მობრუნებულიყო, ლიფტით არ სარგებლობდა — სიმჭიდროვისა თუ დახშულობის ეშინოდა თუ რაღაც ამგვარი...

არჩილს კი დიდად ეამაყებოდა განვითარებული ტექნიკური პროგრესი, — იქნებოდა ეს სწრაფმავალი ლიფტი, ფერადი ტელევიზორი თუ გაუმჯობესებული მანქანა, ესკალატორიც. თანდათანობით ყოველივე ეს ძალიან კარგი რამე გახდა, მშვენიერიც კი, რადგან არჩილი საგრძნობლად დამძიმდა. ადრე აჩიკოს, მაღალს და გამხდარს, უფრო ბუნება და მისი თითქოსდა მიშვებული წესრიგისა სწამდა, ათვალწუნებით უყურებდა შეკრეჭილ ბუჩქებს. ახლა პირიქით, მსჯელობდა კიდეც — მოდი, თუ კაი ბიჭი ხარ და, ნუ გასხლავს გლეხი ვაზს. მაგრამ ის ბუჩქები ნაყოფს არ იძლევიან, არიან თავისთვის, რას აშავებენ, ეს არ ახსოვდა, არხეინად იყო. დამძიმებასაც რა უჭირდა რა, რომელი ჭოკით მხტომელი არჩილი იყო, მაგრამ ზღვისპირა აგარაკისთვის მაინც ცდილობდა წონის დაკლებას — რაც გინდა იყოს, პლაჟს ტანით მოხდენილები უფრო ჰშვენოდნენ და არჩილი აგარაკამდე ერთი თვით ადრე მკვეთრად ზღუდავდა პურისა და ფქვილეულის ათვისებას, ერიდებოდა ისეთ საჭმელებს, რომ აწყურებენ, უფრო ხაჭოსა და მისთანაებს შეექცეოდა, და ამის გარდაც დილის გამამხნევებელ ვარჯიშს მისდევდა; ასე განსაჯეთ, რადიოს დახმარებით. და არა ტელევიზორისა, რადგან ამ უკანასკნელში ისე მშვენივრად ჩამოსხმული სამაგალითოდ მოვარჯიშე გოგონები სცვლიდნენ ერთმანეთს, არჩილს განმკლავ-მიმკლავებისა ნაკლებად სცხელოდა. ამ შემთხვევაში უაღრესად ფერად ტელევიზორს ნაკლებად განვითარებული რადიო სჯობდა. კარგსპორტულფორმიანი არჩილი საწყის მდგომარეობაში: („ფეხები ოდნავ განზე!") დგებოდა ნოხზე, და შეძლებისდაგვარად ასრულებდა დიქტორის მბრძანებლურ-დამყვავებლურ მითითებებს („წაა-მოწექით ახლა, ხელები მაღლა ასწიეთ-ეთ, ასე, წაა-მოჯექით, ამოისუნთქეთ ახლაა, ისევ საწყისი მდგომარეობა, ეეერთი,... ოოორი — ვაუებმა შეგიძლიათ ჰანტელები აიღოთ — საამი,.. ოოთ-ხი,.. კარგია, ეეერთი..."). არჩილი თავიდან კი

იღლებოდა და სახსრებში სტეხდა, მაგრამ მომდევნო დღეებში ეუფლებოდა ვარჯიშს, სხეულს ახსენდებოდა მივიწყებული, ერთდროს მშვენიერი კალათბურთელობის რაღაც მოქნილი ნამცეცები, და გიმნასტიკის დიქტორზე ნაკლებ როდი შეელოდა იმ უცნობი პიანისტის, გვარად როდიონოვს რომ უცხადებდნენ, მელოდიები და აკორდები. იყო ადგილობრივი გადმოცემაც, ადგილობრივი პიანისტით, ხარშილაძეთი, მაგრამ ხარშილაძეს ნუ ეწყინებოდა და, როდიონოვის მჩატე ჰანგები ხარშილაძის მჩატე ჰანგებზე უფრო შთამბეჭდავი იყო. პიანისტი როდიონოვი ალბათ თავისით ირჩევდა მოვარჯიშეთათვის მხნე, ცნობილსა და მსუბუქად სასიამოვნო მოტივებს, თავისებურად აიმპროვიზირებდა, საჭიროებისდამიხედვით სცვლიდა რიტმს, და ერთხელ, როგორღაც, არჩილს ის პიანისტი, როდიონოვი, აეკვიატა: რამდენი ვინმე ვარჯიშობდა ალბათ მისადმი ნანდობ პიანინოს ხმაზე, ეს უხილავი და მაინც რამდენის ოჯახისკაცი მოისურვებდა და უფრო სწრაფად აახტუნებდა რამდენ ვიღაცას, მოინდომებდა და, შეღავათად, მოძრაობებს შეანელებინებდა, ინებებდა და, სულ ყირამალა აკოტრიალებდა, არჩილის თვალში ყოვლად უცნობი პიანისტი ესე თანავდროულად ახლობელი და შორეული ისეთი, ხდებოდა. არჩილი ხანდახან ლიფტშიაც კი ცდილობდა წარმოედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო დილის მაესტრო, როდიონოვი, საერთოდ, ცხოვრებაში. რა უცნაური ახირება იყო მაინც ეს: ნეტა ეკეთა თუ არა რომელიმე თითზე გიშრისთვლოვანი ბეჭედი, ან ჰყავდა თუ არა ნანინანატრი ცოლ-შვილი პიანისტ როდიონოვს, ან ნეტა როგორ მოიქცეოდა პიანისტი როდიონოვი, შვილის უმსგავსი საქციელის ამბავს სკოლიდან თუკი მოუტანდა მისი ნეტაროგორკაბიანი მეუღლე, ევა. ხოლო პიანისტი როდიონოვი კიდევ უფრო მიუწვდომელი ხდებოდა, როცა აქა-იქ გამოურევდა ფრანგულსა თუ იტალიანურ მელოდიებს, მაშინ პიანისტს გრძელ გონდოლაზე ყელმოღერებულს წარმოიდგენდა, მაგრამ იყო კი ნეტავი იქ, სორენტოში, ზურმუხტისფერი, ანდა საერთოდ, ზღვა?

უცნაურია, რაღაც ძალით და მიუწვდომლობით, ეს ახირება ბავშვობიდანულს ჰგავდა. ბავშვობაში კი, რა არ ხდებოდა, — ჯადოსნობანი, რა საკვირველი წარმოდგენები იპყრობდა ხოლმე, აი, მაშინ კი, მ

ლაქში, ძალიან ჭრელ და მოძრავ ხალხში მარტო აღმოჩნდა პატარა აჩი, სადარბაზოსთან უმწეოდ მდგარი, გადათელილი ქუჩის ხმაურით და მიმომავლებს, აჰ, უცხოთ ისე, რაღაცნაირად, ძალიან განზე მიგდებულის უსუსურობით შესცქეროდა, და მერე, უცებ, საშინლად ისე, რაღაც განათდა! — აჩიკო ჩასწვდა, რომ ყველაფერი, ყოველივე ეს — სულ მისთვის იყო! ეს სწორედ მისთვის ხდებოდა ტროლეიბუ!თა გულგრილი ჩავლა, ეს მისთვის იდგა ძველი სარდალის ქანდაკება, ფართო ხმლით ხელში, მისთვის იქნევდა გატიკნულ პორტფელს დაგვიანებული სადღაცას, აღელვებული კაცი, და სწორედ მისთვის იყვნენ ისე გულგრილნი ერთურთისადმი მოძრაობის მარეგულირებელი მილიციელი და ოთხგზის უკვე გამოთხოვილი, გზასაცდენილი და ქუჩის კი სწორად გადამსვლელი ჯერაც ლამაზი ქალი, ბავშვობისმიერ განათებებში აეს ჩაწვდომა ყველაზე მეტად შთამბეჭდავი, დიადი გახლდათ — რომ ყველაფერი მისი იყო და მისთვის ხდებოდა, მაგრამ ერთს, მთავარს, მაშინაც კი ვერ მიხვდა — რომ აღმოჩენით პირდაღებული პატარა აჩიც თავისი მხრიდან ყველასი იყო, ვერა, ვერ გრძნობდა სწორედ ამ ამბავს, ამ მთავარ ამბავს, რომ თავადაც რომ, ცალმხრივი აღმოჩენით შეძრული, ისიც ყველასი რომ იყო და იმათთვის იდგა, და, აღზევებით გამართული, მამის მოყვარული თითების შეხებისთანავე შეკრთა და თავისი ამ, როგორც ეგონა, ზეპატივმოყვრული წარმოდგენისა ძლიერად შერცხვა, ასე ეგონა თუ, ძალიან ბრგე და ძლევამოსილ ვინმედ წარმოიდგინა პატარა თავი, ისეთი დიდი, ვრცელი ქალაქი რომ დაიჩემა, და მობუზული მიჰყვებოდა რომელიღაც მუზეუმისკენ გახარებულ მამას — შვილი მოესწრო, შორ ქალაქში ჩამოიყვანა. აჩიკოს მერეც ძაან რცხვენოდა იმ განათების, რა იცოდა რომ, მართალი იყო, რადგან ჩვენ, ყველა ადამიანი, მთლად უხილავი რაღაც ქსელით სულ ერთმანეთზე ვართ გადაბმულნი, რის უცხოობა, მთლად უცხონიც კი, ერთმანეთის ვართ, აქ რაღაც სულ სხვა, სხვა ძალაა და ჰოიჰ, ბეჩავი პიანისტი როდიონოვი, თუკი ჰგონია რომ ეს ის ამოძრავებს, თუნდ დილაობით, სურვილისდასებრ ხალხს, არა, აჰ, არა, გინდ სულელური რამ მაგალითი ავიღოთ, თუნდაც უშოსი: „მე ჩემი ბედი, — ჩიოდა უშო, — მაინც რამ მოკლა...“ „აბა, კაცო, — ეთანხმებოდა გვერდითა წრეელი, კვლავ მანქანაში, კვლავ ოთხნი ისხდნენ, გურჯაანამდე, ჯერ ბლომად აკლდათ. „მე რომ ბედი მქონებოდა, — მსჯელობდა უშო, — ეგეთი ტუტუცი მეზობელი კი არ შემხვდებოდა, ვინმე ნორ-

მალნურს შევეყრებოდი“. „აბა, მაშ, კაცო...“ მცირედ ჩაყუჩდნენ, და თურმე ტყუილ-უბრალოდ კი არა, რადგან უკნითა წრეელი თურმე ბედის მრავალკუთხობრივობაზე ფიქრობდა, რადგანაც, თქო: „მე რომ ვუკვირდები, არა, უშო, რამდენმა რამემ შეგიშალა ხელი, აი, ერთში მაინც რომ გაგმართლებოდა...“ „რაში...“ — სარკიდან შეხედა უშომ. „აი, ვთქვათ, არა?! — ჯერ ის ბიჭი კარგი ფიზიკი რომ არ დამდგარიყო, ბინას ხომ იყე არ მისცემდნენ და ვიღაცამაც ალმასკომში ხომ აწონა, დაწონა და ბინა რაღა მაინცდამაინც შენ გვერდით მიაშავეს, და რაღა მაინცდამაინც შენ ჯიზზე მოკვდა და ის იეფი შპალერიც რომ არ მიეტყაპნა, და მატაციკლეტის ფული რომ არ ეგროვებინა, ხომ უკეთესი ექნებოდა საქმელ-სასმელი, მაგათ რა, ცოტაც კი ჰყოფნით ხოლმე, და ის მართაა თუ ვიღაც ოხერი, ეგებ სულაც არ გათხოვილიყო, ვერ დაჯდებოდა სახლში?..“ „აბა, მაშ, კაცო... — ჰაზიზი გული უკვდებოდა უშოს, საქესა ბღუჯავდა, — დამჯდარა კიკოდ ოხერ-ტიალი სახლში, და სულ რადიო აქვს ჩართული.“ „მუსიკებს ისმენს?“ — უკვირდა გვერდითა წრეელს. „ყველაფერს უსმენს, მე კი მაგისი“...

სიმართლე იყო. ბალიშში თავით ჩამხობილ მართას რადიო ერთთავად ჩართული ჰქონდა, საშუალო ხმაზე, ზლუქუნს მეზობლებამდე რომ არ გაეღწია; ერიდებოდა. აგარაკისწინა არჩილს დილის ვარჯიშის წამოწყება არ გამოეპარებოდა — გინდაც შესაბამისი დრო დავიწყნოდა, მართას კედლიდან მაინც მოჟონავდა მხნე, ხალისიანი ბგერები, იქით კი იგივ ჰანგები ალბათ უშოს კარგრემონტიანი ბინისკენ მიცოცავდნენ, უშო ძალიან სკდებოდა გულზე, მაგრამ მართასავით, რაღა თქმა უნდა. არ უკვდებოდა გული, რადგან ეს იმას აზლუქუნებდა მიწაში მწოლი ერთადერთი ვაჟი, როგორც იტყვიან, მისი გულის ვარსკვლავი, და ქალისათვის, რომელსაც ლიფტის დახუთულობაც კი აშინებდა, როგორი უნდა ყოფილიყო იმ ერთადერთი ვაჟის კუბოში წოლის წარმოდგენა, რადგან იქ ალბათ ძალიანი სივიწროვეა.

მაგრამაც არჩილს, წრეელებთაგან განსხვავებით, ხანდახან მაინც ეცოდებოდა თავმკვდარი მართა. ის კი არა და, ცოტ-ცოტაობით თავისი საქმიანობისაც ეეჭვებოდა, თუმცა გამართლებანი წრეელებს, იცოცხლე, ჰქონდათ: „მე რომ არ ვაკეთო, არა? — მერე შენ მირჩენ ცოლ-შვილს?“ „ჩემმა ბავშვებმა რა დააშავა...“ „რაღა მე ვიჩანჩალო კუდში...“ „ქვეყანა ასეა და...“ — ჰეჰ, ქვეყანაში აღარც სთვლი-

დნენ გლეხს, რომელიც რომ, რაც გინდა იყოს, ბუნების წინაშე მაინც მართალია, არც ინტელიგენტს, და, რაღა თქმა უნდა, აღარც მართას, თავის შვილიანა, ამ უკანასკნელთ მტრებადაც კი რაცხდნენ, და, მხოლოდ თავის გატანა კი არა, ხშირად ნამეტანიც რომ მოსდიოდათ, ამას არაფრად აგდებდნენ, ეს რაღაც ანცობასავით ითვლებოდა, აი, თუნდაც იქ: როცა არჩილის წრეელები ერთ შედარებით დაბლამდგომ ძმაბიჭს ახლო რაიონში ეწვივნენ, ხოლო იმას კი სწორედ იმ დროს მართალია რბილი, მაგრამ მაინც რევიზია ჰყავდა, ერთობლივ დიდად აღფრთოვანდნენ და ეგრევ გადასდეს კარგ-ოქმთფორმება და რაიონის საუკეთესო, ტყეში მოყუჩებულ რესტორნისაკენ სულ ბენზინის წვით აღმართ-აღმართ გასწიეს ნელა, ხოლო როდესაც ძმაბიჭ-მასპინძელმა შედარებით უბრალო ღვინო — „კახეთი“ ჩამოადგმევინა მიმტანს, წრეელები და რბილრევიზორნი საკმაოდ შეცბნენ, მაგრამ გაირკვა მსწრაფლ ყველაფერი: იმ ხანობისთვის (მეოცე საუკუნის სამოციანი წლების მიწურული), იმ რაიონში (ჰოპ-გეგმა, ყველაფერი, რამე), თურმე სწორედ ამ ძნელი ღვინის სმა ითვლებოდა დიდ ვაჟკაცობად, და არა სიძუნწედ, რაიც იმანაც დაადასტურა, რომ მიმტანმა ორი ყუთი შამპანურიც ძლივას მოზიდა რიგრიგობით, გაოცებული სტუმრების თვალწინ სუყველა ვერცხლ-ყელა ბოთლი დიდის დგაფუნით გახსნა, და გაოგნება უნდა გენახათ, როცა ქაფქაფით აელვებული ძვირფასი სითხე მაგიდის ირგვლივ სხვა მიმტანთან ერთად, ყოჩაღად, მაგიდის ირგვლივ მიმოაქცია...— ორმოცი ბოთლი!, და ამა დიდმანევრობის საშუალებით, ჰოი, რა ძალა მოემატა უბრალო „კახურს“, აჰ, როგორ სვამდნენ, რა აღჭურვილი გაიგეს გემო, აგარაკისპირს, პურს არ სჭამდნენ და გოჭის კანზე მრავლად ისვამდნენ ხიზილალას, ქეიფი იყო? — ძველ რომაელთ დამშვენდებოდათ, ბოლოკიც იდო, აის ეშმაკი, და ვახტანგურად ბრუნდერშაფტს სვამდნენ, და ერთადერთი, არჩილი გახდა რაღაცნაირად უგუნებოდ, რაღაც... მერე, წამოდგა, გავიდა განზე, ვინ შეამჩნევდა, აღფრთ-აღგზნებულები იყვნენ, არჩილმა კი მახლობელი ტყისკენ გასწია, ტყე იქვე იყო, შევიდა ტყეში, და ერთ-ერთ ხეს, რომელიც უფრო მოუვიდა თვალში, მიუახლოვდა და ნელა მიადო ხელი. ცაცხვს ნაზად მშრალი, გრილი ქერქი აქვს, მაამებელი, არჩილი იდგა, გატვრინვით იდგა და ხიდან თითქოს რაღაც სიმართლე გადმოსდიოდა, იდგა, იცდიდა, და მიხვდა, მიხვდა: აი ის ფული, შამპანურის ის მიმოდაქცევა და პურმარილი, ნაღდად, ნამდვილად რომ

ეყოფოდა მართას ბიჭს იმ სანუკვარი მოტოციკლეტისათვის, — ძალიან მიხვდა. თავჩაქინდრული, დარცხვენილი იდგა არჩილი, ახლა აჩიკოს წააგავდა, და მაინც, მერე, რომ შემოესმა ბწყობრი სიმღერა, პირველ ხმას კოხტად ამბობდა უშო, კვლავაც, სუფრისკენ გასწია და, პურ-მარილს რა სჯობს, ნეტა თუ სვამდა ხანდისხანობით მუსიკოსებში ის პიანისტი როდიონოვი?

ეს ანცობანი, ჯანდაბას კიდევ, არაფერი, მთავარი უფრო მაინც ის იყო, საკუთარ თავში შეეჭვებულებს, გასამართლებლად, ყოველნაირი ცუდი ამბავი რომ ახარებდათ, ეს იყო მათი შვება, რომ ვიღაცამ ვიღაცა ბებუთით დასჭრა, ან რომ გაქურდა, ან რომ გლეხები დანასისხლად ჰყიდიან სურსათს, რომ ვიღაც ექიმს ქრთამში ჩაავლეს და ვიღაც გამომცდელს ვიღაცისაგან დიდი მაყუთი აუღია, აი, რა ჰქონდათ გასამართლებლად და გასახარად, და, უმრუდდებოდათ რეგვენი თვალი, მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ, გამაძღარებს, აღარ ახსოვდათ, რომ აქვთ სამშობლო, საქართველო, ძველგადმოცემით, ღვთისმშობლის სათნოდ წილი ქვეყანა, რომ იმერეთში ფერებია რომ, აღუწერელი, რომ გურიაში ბორცვებია რომ, აჰ, სანეტარო, სამეგრელოში, განსაცვიფრებლად, ერთი ისეთი ამოდის მთვარე, და რომ კახეთში რა წვალებით, როგორვითარი წვითა და დაგვით მოჰყავთ დიდ გლეხებს ეროვნული საუნჯე, ვაზი. და რომ სვანეთში შუაღამისას კლდით გადმოდიან დავუ და დალი, რომ ქართლში ისეთ ქართულს ლაპარაკობენ, მიდი, იარე და უგდე ყური და რომ იქ ერთი სოფელია, ძლიერ დრეკადი სახელით, ნოსტე, ეს აღარ ახსოვდათ. თავი და თავი უბედურება, ამაში იყო.

ჩვენს ნათარეშევ, სად და საითკენ არ განზიდულ მკრთალ საცავებშიც, მაინც ისეთი ნივთები ძევს რომ...

6

და იყო კიდევ ერთი რაღაცა, ბნელ ღამეობით უსაზომოდ დამაფიქრველი.

არჩილისათვის, უბრალო სიტყვით, ეს იყო ნისლი — გაუგებარი, უცხო ნაწილაკებით მოსილი და დიდად საეჭვო მაინც. გულზე დავიდოთ კარგად დაბანილი ხელი: ხომ გაგვკრთომია ანაზდად, უცებ— ეგება არის?

რა...

რა და, —

ერთხელ უშომაც კი შეახსენა, ამჯერად, ხუთნი, ორთქლის აბანოში, დასვენებისას, ზეწარშემოხვეულები, კაი ჩეხური ლუდით მოთენთილები ისხდნენ, და პირზე რაც კი მოადგებოდათ, ყველაფერს ფქვავდნენ, ოღონდაც ზანტად.

„სახლში, მივალ, და, ხაშსაც, დავურტყამ, — ლუღლუღით ამბობდა აის წრეელი, მანქანაში რომ გვერდითა იყო და ოდნავ ცოცხლდებოდა, — ხომ წამოხვალთ ჩემთან?“ „შენ, რა გიჭირს, რა, — ძლივას მიუგო უშომ, — სახლში, შენ, მისვლა, გიხარიან და, აბა, მე მკითხე...“ „აღარ გადადის, ჩემის ტრულალა?“ — იკითხა ამჟამად სხვებზედ ყოჩაღმა წრეელმა, რომელიც თირკმლების ნაადრევი შეჭკნობისა გამო ლუდს არა სვამდა. „არა, აჰ, არა...“—ვობლაიანი ხელი ჩაიქნია უშომ. „შვილის გულისთვის...“ — ჩაურთო ახსნა ყოფილმა გვერდითამ. „ფიზიკი თორემ... — ამოქმედდა აქ აის წრეელი, მანქანაში რომ უკნითა იყო, — ფიზიკი რა, დიდი ამბავი — თუ უნიჭოა, რაღად გინდა, და თუ ნიჭიერია, მთლად უარესი, აკეთებენ დინამიტებს“. შეექცეოდნენ, ვობლებს, არჩილი იმ თავისი გრძელი დანით ყუჩად იჯდა და თევზებს შიგნავდა. „ისე, კაცმა რომ თქვას, — დიდის შეპარვით წამოიწყო უკნითა წრეელმა, — რა არის მაინც მაგისი ცხოვრება, თუ ზის და ტირის“. „მაგის ადგილზე,—ხელათ მიუხვდა ახალი წრეელი, — თავს არ ვიცოცხლებდი“, და გამომცდელად შეაცქერდნენ უშოს, იმან კი ჯერ წამით ქვეშ-ქვეშად გამოხედა რიგრიგობით ყველას, ვობლას წიწკნიდა, და, შერე მაინც, დაუდევრობით, სხვა დროს ამას როგორ იტყოდა, ლუდით მოთენთილმა, თქვა: „ეურჩიე ეგეც... ერთხელ შეევედი, ვითომ თანაგრძნობას ვუცხადებდი და შეწუხებულმა, ასე ვუთხარი, როგორ ძალიან მეცოდებით, რა არის აბა, თქვენი ცხოვრება, მხოლოდ ტანჯვა და წამება-მეთქი...“ „მერე, რა გითხრა“, — დაეკითხა ყოფილი უკნითა, არჩილს კი უცებ რაღაცნაირად უცხო გორგალი მოეძალა ყელში. „ჯერ შემომხედა“... „მერე, რა გითხრა...“ „ვერა, მე თავს ვერ მოვიკლავო...“ „ვითომ რატომ...“ — გაიკვირვა ყოჩაღთმიერმა, ამაზედ უშომ: „ესაო, თავის მოკვლაო რაღა, ძალიანი დიდ ცოდვაში ჩამეთვლებაო და...“ „რა ცოდვა, კაცო, — კვლავ გაიკვირვა თირკმლებმინუსამ, უშომ კი, ეს თქო: „რაღაც ღმერთი წამს თუ ჩემი ფეხები“.

რაღაცა ღმერთი... ვინ იცის, იქნებ... ეგება, ვვითომ?.. სულ დაფურცვლილი ძველი წიგნის ბრალიც იყო ეს, ამაზე ფიქრი ნისლს ჩამოჰგავდა, არჩილი უცებ წამოდგა:

— რაღაც ვერა ვარ კარგად... წავალ.

— რა იყო, კაცო...

— საქმე მაქვს ერთი.

თითებზე, სუნის მოსაცილებლად, ჯერ ლუდი გადაივლო, გრძელ დანასაც ბლომად დაასხა, საპნით იბანა მერე ხელები, ტანთ დაუდევრად, უსარკოდ ჩაიცვა საჩქაროზე და, გამოვიდა გარეთ, ჩვეულებრივი, რიგითი ფეხოსანივით გაუყვა ქუჩას. ქუჩა რა—წყნარი და მშვიდი იყო, ძველთბილისური, არჩილი გამვლელთ ვეღარ ამჩნევდა, ნისლი რამ ადგა. უცნაური რამ მოვლენა არის აი ეს ნისლი, სხვადასხვაგვაროვანი, ალბათ წარსულშიც აკვირდებოდნენ, ხოლო დიდ საბას აი ასეთი საბოძვარიც აქვს დღევანდელთათვის, ჩვენთვის:

ნ ი ს ლ ი — მზის სიმხურვალე წყალთა ქვეყანათა ნოტიოთაგან ორთქლს აჰკრეფს და შეიქმნების ნ ი ს ლ ი.

უკეთუ მრავალი აღიღო მისგან იქმნების წვიმანი და თუცა მცირედი აღიღო მ ა ნ ა ნ ა დ შეიქმნების.

ხოლო ნ ი ს ლ ი ც ა ესრეთ განიყოფიან: მცირესა და თხელს ნისლსა ეწოდების ფ ო შ ფ ო შ ი.

ხმელსა და მტურის მსგავსსა ნისლსა ბ ო რ ი ა ყ ი.

ხოლო ნოტიოსა ნისლსა ბ ო რ ი და ნისლსა მონათოვარსა ბ უ ე რ ი. და ნისლსა ზრქელსა და ძლიერად მქროლელსა, რომელი შეკრბების მთათა ზედა ა რ მ უ რ ი.

— კარგი საროჩკა არ გინდა, ბიძა? — ვიღაცამ ჰკითხა.

— რაჰ!.. არა.

სიტყვით თუმცა კი არ იცოდა და, მაგრამ, ხანდახან, არმური სჭირდა. სულ დაფურცვლული, ძველი წიგნის ბრალი იყო ეს? ცოტათი, დიახ: იმა ბეჩავ წიგნს სარდაფისეულ, მამაპაპურ, მოჯანჯლარებულ, გადასაგდებ სკივრში ქექვისას გადააწყდა არჩილი და, თვალი ოდნავ რომ გადაავლო, გაამაყდა კიდეც: რა გასაგებად ვლაპარაკობთ ჩვენ, აი, ახლა, და რა ფშუტურა და ჩამორჩენილი იყო სკივრზეც კი ძველი, გაზედმეტებული ენა. ავიღოთ, თუნდაც: არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე („რა უბედურობაა, და ჯერ სადა ხარ“), და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე („შეუსაბამობა, შეუსაბამობა!“) და რაოდენი არს წყალთა შინა და ქუეშე ქუეყნისა: არა თაყვანი-ჰსცე მათ („რატო უნდა ვსცე“) და არცა მსახურებდე მათ („რატო უნდა ვემსახურო რო...“).

ანდა, მთლად უარესი, ეს მითომ ყოველი დაძინების წინ უნდა გეთქვა: მცველო და მფარველო მდაბლისა სულისა და ხორცთაო ჩემთაო, რაოდენიცა რა გაგამწარე, ანუ შეგაწუხე, დღეინდელსა ამას დღესა, სიტყვით, ანუ საქმით, ანუ გინებით, შემინდვენ და დამიფარე ღამესა ამას ყოვლისა საბრთხეთაგან და ასე შემდეგ, და ა. შ., გაიგე ახლა, თუ კაი ბიჭი ხარ, რამე, მიდი და გაიგე... მაგრამ ის წიგნი რაღაცნაირად არ გადააგდო — იყოს, თავისთვის. ხანდისხანობით კი, ჩამორჩენილი გამოთქმით აღვნიშნოთ და, ფიქრთ განსართველად, გადაშლიდა ხოლმე.

შედარებით საინტერესოდ გამოიყურებოდა აბზაცებიანი ადგილი „ათი მცნება". რამოდენიმე მთლად ვერ გაიგო, ზოგში კი თითქოს საყვედურობდნენ, მაგალითად, აქ: „არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა", აი კი ააქ, მწარედ ჩაფიქრდა: გინდ მოეკლათ და, რა ექნა, აბა, უკნითა წრეელის მეტად ჯანსაღი, საამოდ შევსილი ყოფილი მოცეკვავე, რაღაც სულსხვანაირი ხარისხის ხორცით დატენილი ცოლი მოწონდა, მოწონდა, აჰ, როგორ მოსსწონდა, კი, ნეტა მაინც რას საყვედურობდა ის ძველი წიგნი, გულიც კი არ მიგიწევდესო და, გულს შენ უბრძანებ? — სამაგიეროდ, არჩილს, მისდღემჩი, თვალებში სხვანაირად არ შეუხედავს, არც, მით უმეტეს, როგორ გააპარებდა იმისაკენ აღელვებულ ხელს; ისე, უკნიდან თუ მიადევნებდა თვალს და, აკი იცოდა, რომ, დასავითაა ძმაკაცის ცოლი, თვალს თუ არ ჩავთვლით.

ხოლო სამი რამ დარიგება, საკმაოდ სხარტი, ძლიერ გასაგებად ჟღერდა. ესენი იყო:

6) არა კაც-ჰკლა.

7) არა იპარო.

8) არა იმრუშო.

„არ იმრუშო რა,—გაბრაზებული იყო არჩილი,—შენი ნებაა? ორგანიზმი თავისას მოითხოვს".

რა იყო მაინც ამაში ცუდი, ესეც ძმაკაცის ცოლი ხომ არ იყო: თუ შენ გინდა და, მითუმეტეს, თუ უცხო ქალსაც უნდა, ნეტაი ვისთვის რა შავდება, ფიზიკური ძალადობისა და გაუპატიურებების სულაც არ იყო არჩილი მომხრე. ორ ადამიანს, არა? თუ ერთმანეთი უხარიანთ, არა? ნეტა რა არის ამაში ცუდი. არა? აი, თუნდაც იქ, ზღვისპირობისას:

აჰ, ერთი ქალი მოეწონა მაგრამ, რას მოეწონა, კინაღამ ჭკვიდან

გადადგა კაცი. ვერ პოულობდა ვრცელ პლაჟზეც ადგილს, და, როგორც იქნა, უკნითა წრეელის დახმარებით (იმან კარტობანა იცოდა მიმჯდომლურ-გამცნობლური და კარგი) რომ გაიცნო, ხელის სილამაზეთა წყალობით ჯერ ქალაქის რესტორნები მიმოატარა, მრავლად იგემეს კარგი პროდუქტი, ქალს ერთადერთი, ისიც ქალური, უჩანდა ნაკლი — რაღაც ძალიან ზედმეტად ეცხო სახესა და თვალწარბზე სილამაზისა დახმარებანი, ალაგ — გრაფიკით შესრულებული, ზოგან — ფერმწერლური და, ოჰ, ტუჩებზე ხომ, პომადა ედო? — მძლავრფენოვანი, მაგრამ სხეული, რა სხეული, ტანი-ტატანი, და ის დროც დადგა, მანქანაში რომ კოხტად ჩაუჯდა და ბუნებისკენ, მუხნარისკენ დაადგნენ აღმართს, კარგი ადგილი შეირჩიეს, სალამოსაკენ, მსუყედ გრილოდა მშვენიერ ტყეში, არჩილმა ჯერ სურსათ-სანოვაგე გადაიტანა მანქანიდან, მერე — უკანა დასაჯდომი და ზედ დასვა ქალი, თვითონ კი იქვე მოკალათდა, ნოტიო მშრალზე, შესვა ოთხიოდ სადღეგრძელო, სერიოზული, მაგრამ ძალიანი უმიზეზოდ კისკისებდა ქალი მინამ დღე იყო, ხოლო როდესაც შემობნელდა გატრუნულ ტყეში, ანცობას უკლო და, სამაგიეროდ, ახლა არჩილი გათამამდა და გაწვა კიდეც წინაშე იმისთა ლამაზთა ფეხთა, და, შამპანურით შეყუჟუნებულს, ის ძველებურად რომანტიკული წამოწყება-ილეთი გაახსენდა, მეტრფენი სატრფოს ფეხსაცმლით რომ შამპანურს სვამდნენ, და გამოსთხოვა კიდეც ნებართვა, მაგრამ ქალისა ზედმეტად ღია-ღია „ბოსონოჟკებში" რვაპირი ქარი გადიგამოდიოდა, იმაში სითხეს რა გააჩერებდა, და არჩილმა კი ჰიგიენური უფრო, გამოიგონა ხერხი — ქალს ხელისგული ჩააღრმავებინა და იმის ამოტრიალებულ პეშვში ასხამდა შამპანურს, იქიდან კი — სვამდა, ქალს მოეწონა ეს ოსტატობა, ლოყაზედაც შეუმშრალა ხელი და, წაქეზებად ამაზე მეტი რა გინდოდა? — ეძგერა ნაზად, ქალმა ერთი-ორი ხომ აკოცნინა და, სწრაფ ამბორ-სერიებზეც კი მიუშვა, მაგრამ არჩილმა ყველაფერი რომ მოინდომა, ჩურჩულ-დიალოგი ძუ-ხვადური გაიმართა ასეთი: „არა, აქ როგორ შეიძლება..." „რატო... როგო არ შეიძლება". „არა, არ შეიძლება, არ გამიწყვიტო", „აი ნახავ, ძვირფასო, თუ არ შეიძლება." „კარგი რა, კაბა სულ დამესვრება, ეგრე მაგრა ნუ," „ახლებს გიყიდი... ბევრს," „არა, აქ ტყეში არ შეიძლება", „რატომ, სულიკო", „ქუჩის ქალი კი არა ვარ", „რა უნდა ქუჩას ამ შუა ტყეში", „არა-მეთქი" — და გამკაცრდა ქალი, გადამწყვეტლურად შემოეცალა, წამოდგა ფეხზე, და ნაწყენსა და გაბუ-

ტულ არჩილს ქოჩორზე ხელი დიდსულოვნურად გადაუსვა მერე, თქვა: „რა იყო, ოქრო, რა გეწყინა, ნუთუ სახლამდე ვეღარ მოითმენ?“ „როგორ თუ ვერა!“ — მსწრაფლ ზეწამოიჭრა არჩილი და, სანამ დასაჯდომს კუთვნილ ადგილას ჩასვამდა, ქალმა შეჰკითხა: „მართლა მიყიდი უკეთეს კაბებს?“ „აბა რა“, — ხალისიანად მიუგო არჩილმა, მაგრამ თანდათან მაინც ჩაწყდა გული, სტიმულირებულმა ქალმა კი შამპანური ბოთლით მიიყუდა, საკმაოდ იგემა და, ძლიერ გაცელქდა, იქ კი საკმაოდ მოეკიდა, დაღმართ-დაღმართ რომ დაეშვნენ, ნელა:

— მე მიყვარს სრბოლა, მე სრბოლა ისე ძალიან მიიყვარს, — იმეორებდა აგიჟმაჟებული ქალი, — მოდით რა, ალეკო, თავდაღმართში თავდავიწყებით დავეშვათ, რაა?

— აქ არ შეიძლება, — ჭკვა შერჩენოდა არჩილს, სახელცვლილებამ, „თქვენ“-ობითობამაც, გულში გაჰკენწლა, — ვერ ხედავ, ბარტყკო, როგორი ღრმულიკოებია?

— მითუმეტეს რომ, ალეკო, ალლეკო, უფრო ახტუნავებული არ იქნება ქროლვა?

— არა, სულიკოვ, არ შეიძლება.

— რატომ?

— კარდანი ვალი ჩაიშლება.

— აა. რა ჩაიშლება?

გაუმეორა; მერე და მერე კი იყო მანქანის კარის ფრთხილი მიხურვა, რატომღაც ფეხისწვერებზე შესვლა ამტან კოტეჯში, სინათლის არანთება — აჰ, რომანტიული მთვარის რომანტიკულადვე ბუნებრივი ვითომ, შუქი? და სიჩქარისა გამოისობით დიდად გაურჩებულ ყოველნაირ სამოსთა უარყოფა, აღსრულებული შემოხუტება, მერე თავის ორმხრივი წარმოჩინება, კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს დიახაც, რომ, ვითომ, მაგრამ სულ მერე და მერე, ბოლოს და ბოლოს, იყო გულღმა უაზროდ წოლა და გამჩმახებელი მთვარე და არჩილისა პირში, პომადისაგან დაობებული შოკოლადის გემო, ისეთი მძაღე, რომ გაიფიქრა: „არა იმრუშო“, ხოლო მომაბეზრებელი სიჩუმე ქალმა პირველმა დაარღვია:

— კარდანი ვალი რა იყო?

— არის რა... — სანთებელა გააჩხაკუნა არჩილმა და მკერდზე დაიდო საფერფლე, — მანქანის ნაწილია.

— მანქანის?

— ჰო. ხვალე გაჩვენებ, თუ გინდა.

— ერთი მაგისი... — ისე მოულოდნელად შეიგინა ქალმა, კარგა რეჩხი ჰყო არჩილის გულმა: „ვაიმე?“, თქმით კი ასე თქვა:

— აბა, რა სისულელეებს იძახი, ჟანა? რა ბავშვობაა?

ბავშვობა, ჰეე — სისულელეებად იწოდებოდა, ნეტა როგორი იქნებოდა სკოლის ასაკში ის პიანისტი როდიონოვი? ნუთუ ეს მართლა ცოდვა რამ იყო — „არა იმრუშო?“ რა დიდი იმდენი იმა აღსრულებულ საქმეში ეყარა რომ, დავუშვათ და რომ, ეკენ თუ არის, მართლა არსებობს, შემოგინახოს დანაშაული და მერე შეგრისხოსა და დაგსაჯოს მემრე? როცა მოკვდები... აღსრულებამდე იყო მხოლოდ ესე ცოდვა მაჩქროლებელი, შესრულებისას გახლდათ მხოლოდ ასეთ ქალებთან შინაურულდაველურად კარგი, რადგანაც მერე... — გამოფიტულზე, ა, ასე წოლა და არაფერი, თუმც, რაღა არაფერი, გულგრილობა და ჩუმი ზიზღიც კი, ზედმეტად თუ აქვს პირისახეზე საკმაზი, გულგრილობა და კარგა საკმაო შეცბუნებაც კი, თუ იგინება, გულგრილობა და მოყირჭება და მიმალვ-მომალვაც, თუკი მეწყვილე ზედმეტურად პროგრესულობითია, ნუთუ ამისთვის უნდა დაესაჯა იმ ვიღაცა ღმერთს? თუ არსებობდა... თუ, დავუშვათ და, გინდაც რომ სწორი ყოფილიყო ჩამორჩენილთა სათუო რწმენა, რომ მართლა არის, არჩილს ხომ ჰქონდა მაინც ერთი რამ პატიება-გამოსავალი. ხომ არასოდეს დაურღვევია იმ დაფურცვლული წიგნის ერთი: „არა კაცჰკლა“, — ხომ? აი ეს სიტყვები შვებასა ჰგვრიდნენ, არჩილი ვისი მომკვლელი იყო, საათივით ჰქონდა აწყობილი საქმე, სიამოვნებდა, შაგრამ ჯიბეში რომ ჩაიყო უცაბედი ხელი, და მერე ცხვირსახოცი ტყუილ-უბრალოდ რომ მიიტანა პირთან, მაინც ეტაკა თევზის სუნი და, დანაც დაყნოსა, ვობლას სიმყრალე აიმასაც სდიოდა, ლითონს, და არჩილს თავისი შორეული ხელი გაახსენდა, აჩიკოს ის გადიდმნიშვნელოვანებლური ხელი, „ნ“-ს სანუკვარი კარის სახელურს რომ ჩასჭიდა ერთხელ, იმის ეზოში ნაშუაღამევს ქურდის ლანდივით რომ შეიპარა და, გულრამდენადაც — მოფრიალემ, იმდენად — სუნთქვაგაკმენდილმა, ნანატრ სახელურს გადასარჩენად თითქოს, ისე ღონივრად და მაინც რიდით ჩასჭიდა აძიგძიგებული, რაის უთევზო, რისი სუფთა — წმინდა თითები, მაშინ ხომ განცდა რამდენჯერ იყო უფრო მძლავრი, უფრო დიადი, ვიდრე ჟანასთან, და თუ ზიზღამდე მისული საქმე ცოდვას უდრიდა, აის რატომღა არ იყო მაშინ უფრორე მეტად დასასჯელი — ის სიყვარული დედუფლისადმი „ნ“? ალბათ, სიყვა-

რელს, გასამართლები, რაღაცა სჭირდა... რაღაცა იყო მასში ისეთი, გულს ჩამრჩენლური, რადგანაც ახლა, ნაბანოვარზეც, რომ მოენატრა და თავისი კარის სახელურისკენ ადიოდა ისე და ნელა, ვითომც იმ ძველ სისანუკვრეს უახლოვდებოდა და, გაგვითამაშდა არჩილი, ჩვენი, მაგრამ რაღაცა არ იყო რიგზე, ცვლილებას ყურის კუნჭულით გრძნობდა, მერე ერთბაშად ვამოერკვა და — იმ მეზობლიდან რადიოს ხმა აღარ ი'ამოდა... კარიც კი ოდნავ მოღიავებულად დარჩენოდა და ბოლო ორი საფეხურიც შეცბუნებულმა რომ აიარა, მაძებარია თვალი, და, აიმ ღრიჭოში შეიხედა და, მაგიდასთან მიმჯდარი, მაგიდაზე ნიკაპდაყრდნობილი მეზობლის დანახვაზე, გაშრა...

მართა ფიქრობდა!

7

„არა იპარო...“

ყველაზე რთული, არჩილისათვის, აი ეს იყო. იმდენად რთული, სისულელეს უწოდებდა ხოლმე. ჯერ ეს ერთი რომ, კომბინაციას პარვად არ თვლიდა, მეორეც ის რომ, რად უნდა ყოფილიყო დოყლაპია და სხვაზე ნაკლები, მესამეც ის რომ, აგრეთვე სხვისა არ იყოს, ძლიერ უყვარდა კარგი ცოლ-შვილი და მეოთხეც რომ, ყველაზე მთავარი, გასამართლებლად იყო კიდევ ერთი რაღაცა...

და მაინც, „არა იპარო“, — ყღერდა.

...ბნელ ღამეობით, რის მოიდუმლო, მთლად იქითურა, სხვაკანონება, მარტივად სიზმარს რომ ეძახიან, გადასვლამდე, იყო რაღაც ნათელი ჩქამი, გაელვება რამ ბურანეული და მაინც ისე მკაფიოდ ცხადი, თანაც მკაცრი და თან სათნო, დიახ, შორით მართალი, რომ — „არა იპარო...“ და რაღაც უფრო გაცილებით ძლიერის შიში, ვიდრე ეს ლაყე ინსპექტორი თუ მრისხანე რევიზორი თუ დიდრონი პროკურორია და სხვა, და სხვა, და მაინც, შვებად, ეჰ, ყოველთვის რომ არსებობს შვება—დიდის იმედით გახსენებული: „არა კაც-ჰკლა“ და, ამშვიდებდა, ეს. ძალიან არა, — ისე რა; თითქოს. ეს ერთი მცნება, მარტოკინად დაურღვეველი, ნეტა დანარჩენთ, ცხრად წონოსანთ, თუ ეყოფოდა? გადმოსწონიდა?.. სიკვდილის მერე. თუ, დავუშვათ და... რაღაცა იდო ღამეში სუფთაც, ასამაღლებელი, წარმოიდგინეთ, ნათელიც იდო, დღისდღეობით კი, ხანდახან, მზისით, ისე ბნელოდაა... რაღაცაც იყო ღამეში ნაღდი, და სარკესაებრ მისაჩერები — ნეტავი ვინ ვარ... იძინებდა.

დღე სულ სხვა რამ იყო—წამოდგომა და ტანთ ჩაცმა, რამე, ხანღიხანობით — პიანისტი როდიონოვი, და მერე შხაპი, საგულდაგულო პირპარსვა და გამოწკეპილობა; იქ, სამსახურში გამოზომილი თავდაჭერა, და სათუო გადახვევათა საფუძვლიანი აწონ-დაწონვა, მართლა ისე-უბრალოდ კი არ მოდიოდა კაი ცხოვრება; საწინწამსვლელოდ კარგად ფასობდა იუმორი და შესანიშნავი სიტყვა-პასუხი იქ, სადაც საჭირო იყო, და მზადყოფნისა და მორჩილების გამოსახატავად—ეუეუნი თვალთა, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ იმათთვის, ძლიერულად რომ საჭირონი იყვნენ, საჭირო იყო აგრეთვე ნიჭი ქრთამის საჩუქრად გარდასახვისა, და სხვა, და სხვა, რაოდენი რამ იყო საჭირო, ეჰ, დღისდღეობით, როგორ ბნელოდაა... და თანაც, ღამე, ყოველდღე — ღამე, დაეჭვება და ხიან-მიწიანი მომავლის შიში, და სადღაც ამოკითხული თუ მოსმენილი, რომ დაძინებამდე, ძილის წინ, თითქოს, არის რაღაცა გარდამავალი წამი, როდესაც ჩვენ-ჩვენი თავი სუყველამ ვიცით... ასე იყო, კი, თუ, რაღა თქმა უნდა, არ იყო ნასვამი, ხოლო ნასვამი, ბლომ-ბლომობითაც, — ხშირხშირაობით გახლდათ, ხანდახან ლიფტში ძლივს აგნებდა საჭირო ღილაკს, და სანამ ოთხივე გასაღებს კუთვნილ ქარქაშში შეასწორებდა, კვლავაც მეზობლის ღრიჭოსაკენ გაექცეოდა თვალი — ისევ მართა და, ისევ ფიქრობდა... მაგრამ ვერა და ვერ იქნა, ვეღარაფრით მოაცილა იმ თავის გრძელ დანას ვობლასი სუნი. არადა, გადასაგდებადაც არ ემეტებოდა, შეჩვეული იყო, მოგონებებსაც აღუძრავდა — ზღვაო, ტყე, რამე... რა აღარ სცადა — დიდხანს ხეხავდა, ცივი წყლითაც და მდუღარეთიც რეცხდა და რეცხდა, საპნიან წყალში მთელი ღამით ჩადო და, მაინც, დაყნოსვისას, ეჩვენებოდა თუ რა, მაინც ასდიოდა კრიალა ლითონს ავად ამომჭოლი, სუნი. ისევ და ისევ ხეხდა და ხეხდა, და, ფიქრობდა თანაც... „არა იპარო“ — გაბათილებებისა და საჭიროების მიუხედავად, ეს ალბათ მაინც ცუდი რამ გახლდათ, მაგრამ რა იყო ის ორი კაცი, დაახლოებით მათივე საქმის მიმდევარნი, ყოვლად სათნოები, უბოროტონი, გაჭირვებულთა დამხმარენი, და სიკეთისას თვალები უფრო უსველდებოდათ, ეს რაღა იყო... რეცხავდა დანას.

„არა იპარო...“ დიდი ამბავი, კაცს ხომ არა ჰკლავდნენ, მაგრამ ხანდახან ისე ძალუმად, ისე აშკარად წამოუვლიდათ იქამომდე ღონიერი, — დაკუნთულივით, და თან წრიალა, ეჭვი, ვერ ერეოდნენ, ვეღარ მალავდნენ და, თუმც სიტყვა „პარვა“-ს არ ახსენებდნენ, თავს

იმართლებდნენ სხვადასხვანაირად, აი, თუნდაც ასე: გვერდითა წრეელმა ერთხელ ძალიან მოიწყინა და, ალაპარაკდა. რამ მოუარა, ჯერ არ იცოდნენ, იგი კი ისე სევდიანად ლაპარაკობდა... ის ჰყვებოდა რომ, ადრე არ იყო ასეთი ცუდი — „მე ადრე კარგი ბიჭი ვიყავი“, რომ სკოლაშიაც, და უმაღლესშიც, მშვენივრად სწავლობდა: „ხუთები მქონდა“, ის ნაღვლიანად იხსენებდა რომ, თურმე ძლიერად სწამდა ამ პლანეტისა. — „მე დედამიწა უკიდეგანო, უფსკერო და დიადი მეგონა მაშინ“, და ყმაწვილობისას ამა ცხოვრების სასრულობანას ვერ იჯერებდა კი არა, აზრადაც არ მოსდიოდა, არცა ფიქრობდა: „მე მეგონა, რომ, არასოდეს, არ მოვკვდებოდი“, — უბრალოდ, ვერცკი წარმოედგინა, მაგრამ თანდათან, მერე და მერე, მოგეხსენებათ, ცხოვრების ალაგ დროული და ალაგ-ალაგ უდროო, გამორჩევითი წესი: ხან ნათესავი, ხან — მეზობელი, ყველაზე მწარედ — თანატოლი ხანაც, უკვდებოდა და, დაიმ ერთადერთს, წყალი რომ მართლა არ გაუვა, საკმაოდ მიხვდა: „უცებ დამაწვა, ერთბაშად ჩავხვდი, რომ მოვკვდებოდი... აუცილებლად, როდესმე, სადღაც...“ და ამას ისიც დაერთო რომ, ის დიდი რწმენა, ამ პლანეტისა, თანდათანობით შემოაცვდა: „მე დედამიწა უკიდეგანო რომ მეგონა და, ამით მომქონდა, მისიანს, თავი, თურმე რა — ისიც არაფერი ყოფილა, თურმე, თურმე, კოსმოსში მტვრის ნამცეციც კი არაა, თურმე“, და ამ ვთქვათ და ნამცეცის, — მეტრილიონედს — აი, მასავით ძალიან პაწა ადამიანს რითიღა უნდა ეგრძნო რაიმე ძალა — ჰამაც, მოკვდები... და ყველაფერი დამთავრდება სიკვდილის მერე. ხომ ასეა, ეს? „თანაც, ცხოვრება, ძალზე გრძელი გვგონია ხოლმე,“ დანაღვლიანდა, მიყუჩდა და, წყნარის ხმით დაამატა მერე, რომ თავად ეს დროც, ეს წყეული, ისე გადის რომ, ყოველი წამი იმ ოხრობასთან მიახლოებაა, და რაგინდ ბევრი იცოცხლო კაცმა, თურმე, „იმ მარადიულ დროსთან შედარებით. არც საწყისი რომ არა აქვს და არა აქვს ბოლოც, მთელი ცხოვრება აი იმასთან შედარებით სულ დიდი-დიდი მცირე ფინჩხაა ნაკლული წამის, — და, კიდევ მეტად მოიბუზა. მერე კი თითქოს გამხნევდასავით, თავი ასწია გვერდითა წრეელმა, ჯიბესთან მარდად, უნებურად გაიკრა ხელი, მოყაჩაღდა და, საკვირველებავ, აეს სტრიქონიც დაამატა: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა...“, ამიტომ, კაცად რომ ეგრძნო თავი, „ამ სისულელეშიც, ამ გაელვებაში, გადაპრანჭულად „მთელი ცხოვრება“ რომ ჰქვია და ისე კი ჯანდაბისაკენ მიჩინდრიკობს, ნუთუ ამ წამისწამობაში თლათ

პატარ-პატარა სურვილთა დაკმაყოფილების უფლება არ უნდა გქონდეს?.. მოდი აქ ბიჭო!“ — მკაცრად გასძახა და მაშინვე გაკვირვებით ახედა თურმე ისედაც იქვე მყოფ, თავთით წამომდგარ ოფიციანტს, კარგა ხანს მის ზურგს უკან რომ გახევებულიყო, და უცხო აზრთა პირდაღებულად მოსმენისას ხელთ რომ შეგრილებოდა „ოსტრი-სალიანკა“.

არჩილს კი, ბოლო დროს მაინც, სულ უფრო და უფრო ახსენდებოდა ის ამბავი, ბავშვობისდროინდელი, იმ ერცელ ქალაქში, მანქანათა და ფეხოსანთა დიდარეულობისას, მეხად განცდილი — რომ ყველა ისინი, ესე იგი ჩვენ, რიგითი და ურთიერთისთვის სრულიად უცხო ადამიანები, რაღაც უხილავი, სათუო ქსელით ვართ ერთიმეორეზე გადაბმული, გადაჯაჭვულნი, რომ ერთმანეთზე, გინდაც არ ვიცნობდეთ, დამოკიდებულები ვაართა. მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო სავსებით სწორი, აგვეღო თუნდაც, აი ეს მართა — ხომ კარის მეზობელი იყო არჩილისი, მაგრამ, აბა რა საერთო ჰქონდათ... თუმცა კი, რაღაც მაინც გაჩნდათ — მართა ხომ უშოს აწყენინებდა და უშოს ცუდი გუნება-განწყობა წრეელებზედაც გადადიოდა, აი ამაში იყო მაინც პატარა საქმე... ისე კი, მართასთან, მანამდე — მხოლოდ „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ და სხვა არაფერი, მაგრამ ერთხელაც, შინ რომ ავიდა არჩილი და, ზაფხული იყო, ცოლ-შვილი აგარაკად ჰყავდა, გასაღებთ-აცმა რომ მოიმარჯვა, კეფაზე უცხო მზერა აეწვა, მიიხედა და, ერთბაშად თავდახრილი, დამორცხვებული ედგა ზურგს უკან ხნიერი მართა. ეს არჩილი კი, გაკვირვებული მთლად, ზემოდან ფართოდ დაჰყურებდა და მერე კი მართამ როგორც იქნა და, სძლია სიმორცხვეს, ასწია თავი, აჰ, რა ვედრებით ამოსცქერიდა, და ასე უთხრა: „ნეტა მოვკვდებოდე...“ და ჩაქინდრა თავი. არჩილი ერთი პირობა ძალიან დაიბნა, მაგრამ თავს მოერია და როგორც შეეძლო, ანუგეშა: „აბა ეგ რა საკადრისია, პატივცემულო...“ მაგრამ მართამ კვლავაც ახედა, რაღაცნაირი ბევრმაგი მზერით, და უცნაურად გაიმეორა: „ნეტავი მოვკვდე“. „გიჟია, სულელ-ოხერტიალი? — გაიფიქრა არჩილმა. მერე, შინ რომ შევიდა. — მე რა ნებართვებს მეკითხება, აიღოს და ასე თუ უნდა, მოიკლას თავი“. მაგრამ აქ ისიც გაახსენდა, მართა ამას რომ დიდ ცოდვად სთვლიდა, თურმე, „მერედა, მე რა შუაში ვარ, აიღოს და ნუ მოიკლავს თავს“, მერე კი გაღიზიანებამ სულ გაუარა, რადგან ზღვიპირობანა მოახლოებულიყო და ახლა საღამოობითაც კი ვარჯიშობდა, ოღონდ უპია-

ნისტროდიონოვოდ. მერე დროულად ჩართო ტელევიზორი, ფეხ-ბურთს გემოზე წამოწოლილმა უყურა, თან ცივ კომპოტს დროდა-დრო სვამდა — კარგი რამეა აგვისტოში; მერე ერთ ათვისებულ ქალს დაურეკა და ორგანიზმის მოთხოვნილება ხვალისათვის დათ-ქვეს (ხვალ: „მოდი აქ ჩემთან, მოდი აქ ქალო"), ძილის დროც რბი-ლად რომ მოახლოვდა — მთქნარებამ ამცნო, შიშველა ტანზე მხო-ლოდ ზეწარი წაიფარა, ისიც — მუცლამდე, ნავარჯიშევზე, ხელები უკან, მადიანად, დანებებულივით გადააგდო და გულაღმა, წყნარად, უშფოთველად, მთლად აჩისავით ჩაეძინა, ოდნავ ფშვინავდა ერთ-ხანს, და მერე ძალიან ნელა, მაგრამ ღონივრად წამოიმართა, არა, სიზმარი ეს არ იყო, საწოლზე ფართოდ თვალგახელილი იჯდა და ოთახისეულ სიბნელეში რაღაც საზარლის გამორჩევას ძაან ცდი-ლობდა, მაგრამ იქ მაინც ვერაფერი მოიძია და უცებ, ფანჯარასთან მომდგარ სულიერს ჰკიდა თვალი და, გაოგნებისგან, „ჰაჰ!" — შეს-ძახა კიდეც — აქ, ამ შუა ქალაქში, კარგ რაიონში, რა უნდოდა და ესაქმებოდა ღრმა წყალთა ურჩხულს, თან, მრისხანესა და მუქარიანს კი არა, არა — შეწუხებული, რა უზარმაზრად შეწუხებული, დიდ გამობურცულ სევდიან მზერას რაღაც უმწეოდ, მთლად უილაჯოდ ატრიალებდა, უცხო ვაებით არიდებდა თვალს, და კლანჭებიან თათს თუ რაღაცას, სახესთან ტანჯვით იტრიალებდა, და მთელი სახე ეთ-ქმოდა თუ რა, დიდად ღონიერი, ახორკლილი, გარედანაც კი ეტყო-ბოდა, ძლიერ ღრმა ქერცლით დაფარვოდა და თავი ვედრებით სად-ღაც ზემოთკენ რომ ასწია, საკვირველებავ, ახლად გამოჩენილ ყე-ლისავე მძლავრ ამჯარში მცირე ადგილი აქერცვლოდა, და მოვარ-დისფრო, ღრმად სათუთ კანზე ორად-ორი რამ სიტყვა ეხატა, ლამა-ზად, მკაცრად. რომელთაგანაც მხოლოდ ერთი გამოარჩია, მისთვის წუნკალი: „არა"... და, მეორესაც რომ შეაკვირდა, თითქოს დეფი-ზით სიგრძემომატებულს, ვეღარაფერი ამოიკითხა, ალბათ „იპარო", ან „იმრუშო" ეხატა ჩვილ კანს, და მთლად თვალებად გადაიქცა, მაგრამ ფსკერთა მაუწყამ მეორე თათიც ამოიწვდინა სადღაც სიღრ-მიდან, მაღლა შემართა. აიქიდან კი, კლანჭებიდან, რაღაც ლორწოდ შედედებული სითხე ძალიან ნელა, დიდწვეთობით, და მწვანე ფერის ტანჯვად სდიოდა, და ზედ მეორე საშიშ სიტყვაზე ეღვრებოდა და სულაც დაფარა, არჩილმა ისევ აის მშველელი — „არა კაც-ჰკლა" გაიხსენა და, აქ კი ფანჯრისამ პირველად, ერთხელ, კვლავ წამებით და თანაგრძნობით, ოღონდ თვალებში წამით შეხედა, და, დაიძირა, სულ ბოლოს — თათით...

გამთენია-ხანს არჩილს მშვენივრად ეძინა, მერე ყოჩაღმა მაღვიძარამ წამოახტუნა, მოგეხსენებათ, რაცაა სისხამი დილა — კაი განწყობა, ოქროყანაში თუ ძმაკაცისას, სხვა წრეელებთან ერთად, ახლა, ზაფხულის გამოისობით, მონატრებული რამ სითხე — ხაში გელის (ზაფხულში ხომ აეს წვნიანი — ათასში ერთხელ), და მერე ისიც მოგონდა რომ, ნიორს მაინცდამაინც გემოზე ვერ გაურევდა საჭმელს, რადგანაც მერე, ამ შინაარსიან კვირა-დღეს, ათვისებული ქალიც დაეგეგმა, ეგ არაფერი, მცირენივრობა, და ონკანისეულმა რაღაცტყვე წყალმა ზღვათა ურჩხული რომ გაახსენა, აი ესეც კი არაფერი, ოღონდ სიზმარი ცოტა მსუბუქად გაუკვირდა — აის ურჩხული რამ დაასიზმრა, რომელი ფსკერთა აქვალანგისტი თავად იყო, უცნაურია სიზმარი მაინც, ჰეჰ... გასაპნული სახე გულისყურიანად ჩამოიპარსაიპარსა, საგულდაგულოდ შეიმოწმა და, ის იყო, კარგა გამოეწყო და შარვალზედაც კოხტად შეიბნია ბოლო ღილი, ახალი წრეელის მანქანამაც დაიპიპინა. თავი ფანჯარაში გაჰყო, მხნედ ჩასძახა რომ, ჩაირბენდა ხელათ, ბინას მოავლო ფხიზელი თვალი — რაიმე ჩართული ან მოშვებული არ დარჩენოდა, კარის სახელურს ჩასჭიდა ხელი, და კარსიქითა რაღაც ხმაური რომ შემოესმა, აქ კი ცოტათი, სულ ცოტათი, ოდნავ შეცბუნდა — ძალიან ადრე, ადრიანი დილა გახლავდათ რადგანაც — და კარის ავ-კეთილსტუმარგამოსცნობო მინის პაწია ჭუჭრუტანაში გაიხედა და, დაინახა მართა! იდგა და თითქოს ვილაცას უცდიდა, ჩაექინდრა თავი. არჩილმა კარი ყოყმანის შემდეგ მხნედ გამოაღო, არც მისალმებია, და კიბის ჩარბენამდე ერთი სული კი ჰქონდა, მაგრამ ოთხმაგად მაინც ხომ უნდა დაეკეტა კარი და, რომ შემობრუნდა, მართა ერთი საფეხურით დაბლა დამდგარიყო, რაღაც ვედრებითაც აეწია თავი, აჰყურებდა. არჩილი სრულად დაიბნა და, მერე კი თითქმის უგანა, მაგრამ მართა იქაც გადაეღობა, და რაღაც ხვეწნით, მუდარით უთხრა, ძლიერ ღელავდა: „ნეტავი მოვკვდებოდე...“ — როგორ საბრალოდ, და რა ვედრებითაც, ამოსცქეროდა, კი, მაგრამ აქ უცებ, საკვირველებავ, რა დაამატა: „შენ მდიდარი ხარ... ნეტავი მოვკვდე“.

ვიდრემდე კიბეს ჩამოათავებდა, გაბრუებული იყო. სულ არ ახსოვდა სიტყვა „მდიდარი“, ყველაზე მეტად ამ მცირე სიტყვამ — „შენ“ — გააოგნა როგორ! აშკარა იყო, მართას უზრდელობით არ მოსვლია ეს, რაღაც სულ სხვა რამ იყო ამამ სიტყვაში — აი ის მართა, მეზობელი, იახლოვებდა!

„რა დაგემართა, — ჰკითხა მერე გვერდითა წრეელმა, — რაღაც ვერა ხარ“. „ჰა? კი, ვერა ვარ...“ — თქვა არჩილმა და მანქანის შუშა ჩამოსწია. ზემო ქუჩებით გადადიოდნენ სოლოლაკისკენ, ქალაქი ცოტა ქვემოთ მოჩანდა, ჯერ ხომ არ იყვნენ უფრორე მაღლა. მერე არჩილმა მთას ახედა და იმ ნელ ტრამვაის მოჰკრა თვალი, მიაჩერდა, აჰ.

— მე აქ ჩამოვალ.

— რა იყო, კაცო.

— ტრამვაით ავალ.

— რატომ, შე კაცო.

— რაღაც წნევა მაქვს.

— მერე, ტრამვაით უნდა იჩაქჩაქო? ხელათ ავგრიალდებით.

— სწორედ მაგიტომ... — თქვა არჩილმა, რაღაც სწყუროდა, — წნევას არ უყვარს ძალიან სწრაფად ამაღლება. და ტრამვაით ამოვალ, ნელა.

— რა განსხვავებაა, კაცო.

— ნელა ამოვალ. თან, შუაგზაზეც ჩერდება ცოტა... მამა-დავითზე.

— მაშინ სულ ზემოთ დაგიცადოთ?

— არა.

— აბა იქიდან როგორღა მოხვალ.

— დავიჭერ რამეს. ანდა, ფეხით წამოვალ სულაც... იქვე არაა?

— რა არი იქვე...

— გააჩერე, გააჩერე.

და თუმცა ახლა ფუნიკულიორის ქვედა სადგურზე სულ სხვა, ახალი, მამინაცვალივით შენობა იდგა, მაინც ის იყო, აის ადგილი, ბავშვობის მთელი ორი გრძელი წლით უფროსი დედუფალი „ნ“-ს აიმ პირველმა სიყვარულმა რომ მოიყვანა. ის რანაირი იყო მაინც ის შეყვარება ძალუმი ისე, განა აჩიკო როდესმე წარმოიდგენდა, სარკეში თუ მალულად დაითვალიერებდა თავს? ანდა, მთლად უარესი — ვარცხნილობის საუკეთესოებაზე დიდხანს ეფიქრნა? გაფრთხილებოდა პერანგს და შარვალს? იმდენის მომსწრე ხელისგულზე, დაფასთან ჩამოსაკაკლავი ისტორიული თარიღების ნაცვლად, დაეწერა „ნ“? შატალოზე რა, მახლობელ კინოში თუ წავიდოდნენ იმისი კბილა ბიჭები, აჩიკოს კი რაღაც სხვა სურდა, რაღაც ამაღლებულად განსაკუთრებულსა სთხოვდა შეძრული გული და, მოიფიქრა — ფუ-

ნიკულიორზე ასელა გადასწყვიტა და პატარა კაკიც ისე საეჭვოდ მყისვე დაეთანხმა, აჩიკომ ერთი კი გაიფიქრა: „ესეც ხომ არ... შეყვარებული ხომ არ...“, და უცებ, სასტიკი განცდით აიწეწა: „და ამასაც ხომ ის ხომ არ!..“ მაგრამ აჰ, არა, არა, კაკი ისეთი დაბალი იყო, კლასელებს მხრამდე ძლივას სწვდებოდა, ჯერ პიონერსაც კი არ ჰგავდა, იმას კი, იმ, კომკავშირელ „ნ“-ს, წესით და რიგით თუნდაც ფიქრობრივ აბა რანაირად შებედავდა, მაგრამ ძნელი იყო კი, აჰ, სიყვარული, და აჩიკომ მაინც გამოსცადა ძმაბიჭი, თუმცა ღელავდა, ხმადაბლა ჰკითხა: „ნ?“ „რა?“ — შეაცქერდა პატარა კაკი. „არა, არაფერი...“ — და გაიფიქრა — „კარგი ბიჭია“.

აი, სწორედ იქ სურდა ნელინელ ასელა, პატარაობის დიდსურვილებთან, მაგრამ ჯიბეზედ მხოლოდ ხელის სილამაზენი ჰქონდა, და სალარო!თან რომ დაიხარა, ერთ-ერთი მაინც გაიწოდა და მოლარემ კარგა გაკვირვებით ახედა და, არჩილი მერე რომ შეწუხდა — „რა ექნა, სხვა არ მაქვს“, რაღაცნაირად, სანდო იერზე, სოფლიდან შედარებით ახლად უნდა ყოფილიყო ჩამოსული ქალი, უთხრა: „ისე მიბრძანდით, ჩემო ბატონო“.

მერე იყო და, ე-როგორც მაშინ, იყო ნელი ტრამვაი, სამიოდ მგზავრი, ვიღაც სამხედრო, ლითონის ბაგირის წყნარი ღრჭიალი, მაგრამ შორეულ ტყეთა ნაცრისფრობისა და შემოდგომურად დუნე სიყვითლის ნაცელად — ახლა სიმწვანე, მარადი ფერი. მაგრამ ამ უნდო, ამომწუწნავი აგვისტოთი როგორღაც ერთობ დაბზარული და დახეთქილი; სამაგიეროდ, როგორც ახლა. მაშინაც ასე გასუსულიყო ისიც და კაკიც, რადგან თბილისი, მათი ქალაქი. ზემოდან ძლიერ გადასხვაფერდა — რაღაცნაირად, გაიშალაც და დაპატარავდაც, მაშინ თბილისზე კრამიტიანი სახურავები უფრო სჭარბობდა, და უფრო ვიწრო, შინაურული ხიდები იყო მტკვარზე გადებული, და კანტიკუნტა მანქანები იტაცებდნენ თვალს: სანუკვარ ეზოს, სადაც ცხოვრობდა დედუფალი „ნ“, როგორაც მაშინ ჩვენი აჩიკო. ახლაც ამაოდ დაეძებდა .არჩილი, ანდა სად იყო ნეტავ ახლა ის პატარა კაკი. სკოლის შემდეგ რომ აღარც ენახა. მერე პარკისკენ გაიხედა. სადაც რომ, ადრე, გამოჩენილი რაჰ გასართობი — აწონ-დაწონ დიდი ბოქლომითა და ჯაჭვით საიმედოდ დაებათ, ახლა კი, აუჰ, რაღანაირი გამოგონებანი — „ეშმაკის ქარბორბალა“ და მსხვილმან-დიდრონი ატრაქციონნი, იდგა, ვიღაც ახსოვდა ის „აწონ-დაწონ“, არჩილმა ისევ დახედა ქალაქს, რაღაცა იყო ის სიყვარული. გაუმტყუნარი. და. საერ-

თოდაც, ეჰ, სიყვარულში დიდი რამ იდო, და როცა ახლა დაჰყურებდა მშობლიურ ქალაქს, აიმბავშვობით ათრთოლებული რაღაცა დიდი, ამაღლებული, გამოსასწორებელი რამ მოენატრა, როგორც თავისთვის, უფრორე — სხვისთვის, ჯიბეზე შიშით მოისვა ხელი და, უკვე იცოდა, რას ჩაიდენდა, რასაც იზამდა, იცოდა უკვე!, მაგრამ ტრამვაით ჩაბრუნების თავი აღარა ჰქონდა, ეგერ არ იყო საბაგირო გზა? მაგრამ იქ მხოლოდ კონტროლიორი დამდგარიყო, რაღაცნაირად, ქალაქური მგელი, და ხურდა თუმცა იმასაც არ აღმოაჩნდა, მაინც გაუშვა, ოღონდ უხეშად და დამადლებით:

— კარგი ხო, წადი.

სწრაფად, ჰაერით ბრუნდებოდა ძირს, გადმოვიდა და ხვეული გზით ჩავიდა დაბლა, ზემელზე იყო, ქუჩა გადასჭრა, მერე მანქანის დაჭერისა მოერიდა — მაინც ითრევდა ფეხს, და ტროლეიბუსში რომ ავიდა, მესამედაც რომ არ ბოძებოდა სიტყვიერი წყალობა, კონდუქტორისკენ ზურგშექცევით, სადღაც კუნჭულში აიტუზა და თავისი ძნელი გაჩერებაც რომ მოვიდა, ჩავიდა არჩილი.

ის ადიოდა თავისი სახლის კიბეზე, რადგან ლიფტი ჯერ კიდევ არ მუშაობდა, ადრე იყო ისე, მაგრამ შინისკენ არა, არა, ცოტათი განზე, და გამოღიავებულ კარში ის დაინახა, ვინაც უნდოდა — საწოლზე იჯდა ხნიერი მართა, სულ მუდარადქცეული შეჰყურებდა და, ის რომ შეატყო სახეზე არჩილს, რაც რომ მას სურდა, საწოლზე წყნარად გადაწვა ხნიერი ქალი, ბილიკივით ჭკვიანი, მართა, პირქვე დაემხო, რაღაცნაირად, სანახევროდ იწვა, რადგან ფეხები იატაკიდან სულ ოდნავ ახლოს ჩამოჰკიდნოდა, არჩილი იდგა, მერე გადადგა ნაბიჯები და, იქამდე აყოვნებდა, სანამ მართას ცალ ფეხზე გასძვრა რაღაც უწყინარ-სულელურად ფერადი ქოში, მაგრამაც წინდა ცერთან დაკემსილი ჰქონდა და ამის დანახვაზე არჩილმა მაღლა შემართა ხელი და შიგ კისერში ღონივრად ჩასცა თავისი გრძელი, წვრილი დანა და მერე ადამიანში საკმაოდ დიდხანს ატრიალებდა.

1981—1982 წწ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მხიარული ბორცვი	3
ჩემი ბუბუტა, ჩვენი ტერეზა	33
ვატერ(პო)ლოო, ანუ ალდგენითი სამუშაოები	101
განსმდგომი შუაკაცი	195

ს. ბ. № 1060
რედაქტორი ნინა გოგოძე
მხატვარი ვ. რურუა
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა
კონტრ.-კორექტორი ლ. სულთანიშვილი
კორექტორი მ. სიმონიშვილი
გამომშვები ლ. ხაზარაძე

გადაეცა ასაწყობად 19. II. 83
ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.07.83
ანაწყობის ზომა 6×9
ქაღალდის ზომა 60×84 1/16
ნაბეჭდი თაბახი 13,95
საღებავგატარება 14,06
საბეჭდი ქაღალდი № 1
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 12,21
ტირაჟი 10.000
უე 00428 შეკვ. № 1099
ფასი 75 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯანიშვილის 5.
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Тбилисская типография № 4. Госкомиздата
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.
საქართველოს სსრ გამსახკომის, თბილისის № 4 სტამბა
380060, მედქალაქის II კორპ.

Дочанашвили Гурам Петрович

В стороне стоящий посредник

(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1983